

ნინო შარაშენიძე

მიღამო

სიტუაციები და ბრამატიკა
კომუნიკაციისთვის

ბამონცემლოვა „საიმედო“
თბილისი
2011

ISBN 978-9941-0-2667-6



© **საერთაშორისო ინტეგრირებული ცენტრი**
და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი

რედაქტორი: კახა ბაბუნია

ნინო შარაშენიძე

სიტუაციები და გრამატიკა კომუნიკაციისათვის და მისი შედეგის პრინციპები

„სიტუაციები და გრამატიკა კომუნიკაციისათვის“ ენის გრამატიკული სისტემისადმი თავისებური მიდგომაა. იგი გულისხმობს ისეთი ახალი ქვესისტემის აგებას, რომელიც დაეხმარება ენის შემსწავლელს კომუნიკაციის დამყარებაში. კომუნიკაციურ გრამატიკაში ყოველი კატეგორია განიხილება იმის მიხედვით, რამდენად აქტიური და მნიშვნელოვანია იგი კომუნიკაციის ამა თუ იმ ფორმის დასამყარებლად და აზრის გამოსახატავად. ამდენად, კომუნიკაციური გრამატიკის მთავარი საკითხია, თუ როგორ უნდა აიგოს ურთიერთობა და რა ენობრივი საშუალებებია საჭირო გარკვეული აზრის გადმოსაცემად. ქართული ენის რთული გრამატიკული სისტემა ბადებს იმის აუცილებლობას, რომ შეიქმნას ამ ტიპის სახელმძღვანელო საქართველოში დამკვიდრებული არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის. იგი ასევე გამოსადეგი იქნება ქართული ენის შესწავლით დაინტერესებული უცხოელი პირებისთვისაც.

ქართული ენის გრამატიკული სისტემა მკვეთრად განსხვავდება ინდოევროპული ენებისაგან, რაც განსაკუთრებულად ართულებს მის შესწავლას. ამ სირთულეების გამო ხშირ შემთხვევაში ენის შემსწავლელს პრობლემები ექმნება, რაც აფერხებს სწავლების პროცესს. სწავლებისადმი სწორი მიდგომა, ეფექტური საშუალებების უხვად გამოყენება, სწორი მეთოდოლოგია, სირთულეების გადანაწილება სწავლების ეტაპებზე, კომუნიკაციური სწავლების პრინციპების გამოყენება, გრამატიკული სისტემის სწორად და გააზრებულად მიწოდება – ყოველივე ეს დაეხმარება პედაგოგებს სწავლების რთული პროცესი ეფექტური და ადვილად დაძლევადი გახადოს.

„სიტუაციები და გრამატიკა კომუნიკაციისათვის“ პირველი მცდელობაა ამგვარი სისტემის აგებისა. სახელმძღვანელოს შედგენის პრინციპი ისაა, რომ ენის შემსწავლელმა პრაქტიკული ნიმუშების შესწავლით გააცნობიეროს სხვადასხვა ენობრივი საშუალება და გამოიყენოს ისინი კომუნიკაციისას. ამდენად, ამოსავალი პრინციპია მასალის იმგვარად მიწოდება, რომ ენის გამომყენებელი ფლობდეს ამ საშუალებებს. მაგალითად, როგორ გადმოიცემა პიროვნების ვინაობა, კუთვნილება, როგორ დაისმება შეკითხვა, როგორ აღიწერება ენაში მოქმედება (დასრულებული, დაუსრულებელი, შედეგობითი, მრავალგზისი...), როგორ გამოიხატება ნებართვა,

შეთავაზება, ვაღდებულება, თავაზიანი ფორმები, როგორ აიგება მილოცვის, დამოკიდებულების ამსახველი ფრაზები და სხვა. ესაა არასრული სია იმ ენობრივი ფორმებისა, რაც კომუნიკაციისას მნიშვნელოვანია. სახელმძღვანელოს აგების მთავარი პრინციპი სწორედ ამ საკითხთა თანმიმდევრული მიწოდებაა. გარდა ამისა, ქართულში ერთ-ერთ მთავარ პრობლემად ზმნის სწავლება რჩება: სუბიექტურ და ობიექტურ უღლებათა პარადიგმები, გრამატიკულ კატეგორიათა სიმრავლე; ასევე დიდ სირთულეს ქმნის ენის შემსწავლელისათვის ორგანული წარმოება და ერთიანი მოდელის არარსებობა, ამიტომ კომუნიკაციური გრამატიკის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად გვესახება ამ ასპექტში ზმნურ ფორმათა ახლებური პრინციპით მიწოდება. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართული ზმნის აგების პრინციპის იმგვარად დამუშავება, რომ უპირველეს ყოვლისა ზმნის ფორმის მნიშვნელობა და ფუნქცია იყოს ნათელი. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება გრამატიკულ საკითხზე აგებულ მარტივი შინაარსის ტექსტებს, რომელიც ამა თუ იმ გრამატიკული კატეგორიის კარგად გააზრებას და ათვისებას შეუწყობს ხელს.

წლების განმავლობაში ამ მიმართულებით წარმოებულმა მუშაობამ თავისი შედეგი გამოიღო. უკვე გამოცემულ სახელმძღვანელოებში ენობრივი სისტემის გააზრებულმა მიწოდებამ გამოავლინა ჩატარებული მუშაობის ეფექტურობაცა და პრობლემებიც, ხოლო წარმოქმნილი პრობლემების ანალიზმა კი ახალი გზები გამოკვეთა. სწავლების სფეროში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი გამოცდილებაა. ამდენად, კომუნიკაციური გრამატიკის შედგენა არა მარტო უმნიშვნელოვანეს საქმედ მიგვაჩნია, არამედ მეტად შრომატევად და რთულ საქმედაც, რადგან ამ მხრივ არ არსებობს არც ანალოგი და არც გამოცდილება.

სახელმძღვანელოზე მუშაობის პირველი ეტაპი აუცილებლად ითვალისწინებდა ქართული ენის გრამატიკული სისტემის საფუძვლიან ანალიზს და იმ საკითხთა გამოყოფას, რაც კომუნიკაციური გრამატიკისათვის აქტუალურია. ამ საკითხთა გარკვეული თანმიმდევრობით დალაგებაც პირველი ეტაპის მთავარი და უმნიშვნელოვანესი სამუშაო იყო. მუშაობის პროცესში გამორიცხული არაა ამ საკითხთა რაოდენობის გაზრდა. შესაძლოა ზოგიერთი საკითხი გაიყოს და იგი რამდენიმე გაკვეთილის თემაც გახდეს. რამდენადაც ქართული გრამატიკისადმი ამგვარი მიდგომა სრულიად ახალია და არც სხვა ენათა ამგვარი თვალსაზრისით დამუშავების გამოცდილება არაა გამოსადეგი ქართულისათვის, ბუნებრივია, მუშაობის პროცესში ბევრი საკითხი საჭიროებს საფუძვლიან ანალიზს.

გრამატიკის კომუნიკაციურ კონტექსტში სწავლებისათვის აუცილებლად გასათვალისწინებელია სისშირული ლექსიკონის მონაცემებიც, განსაკუთრებით ზმნური ნაწილის დასამუშავებლად. ამგვარი ლექსიკონი უკვე შექმნილია (იგი

გამოსაცემად მომზადდა ევრაზიის ფონდის დაფინანსებით). ლექსიკონის მონაცემებზე დაყრდნობით სახელმძღვანელოში დამუშავდა ის ზმნური ფორმები, რომლებიც ელემენტარული კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვანია. ცალკე უნდა გამოიყოს ერგატიული კონსტრუქციის ზმნები და შესაბამისად დამუშავდეს, ხოლო მათი ანალიზისას ასევე მნიშვნელოვანი იქნება სიხშირული ლექსიკონის მონაცემები, რადგან ზმნათა ანალიზი სწორედ ამ პრინციპით უნდა იქნეს წარმოდგენილი (ყველა ზმნური ფორმის ანალიზი, ბუნებრივია, ვერ მოხდებოდა ასეთ სახელმძღვანელოში, ამიტომ შეირჩა ყველაზე ხშირად გამოყენებული ზმნები).

თითოეული გაკვეთილი მოიცავს ოთხ გვერდს: **პირველ გვერდზე** კონკრეტული საკითხი განხილულია სქემების და პარადიგმების მეშვეობით, რასაც შემდეგ მოსდევს გრამატიკული ფორმის წინადადებებში გადატანა. ყოველი წინადადება ყოფილი რეალობიდანაა აღებული და აქვს პრაქტიკული და კომუნიკაციური ფუნქცია. ყველა განსახილველი საკითხი ამოწურულია წინადადებებში, რაც საკითხს პრაქტიკულ დანიშნულებას აძლევს. **მეორე გვერდზე** მოცემულია ტექსტი და დიალოგი, რომელიც იმ კონკრეტულ ფორმებზეა აგებული, რაც განსახილველი თემის ძირითად საკითხს წარმოადგენს. ტექსტისა და დიალოგის სიუჟეტი მარტივი ყოფილი სიტუაციებიდან აღებულ თემაზეა გაშლილი, რაც აადვილებს ტექსტის აღქმას და გაგებას. თუ ენის შემსწავლელმა რომელიმე სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა არ იცის, ეს არ აძნელებს ტექსტის (ან დიალოგის) შინაარსის გაგებას, რადგან თავად თემა და მისი განვითარება ადვილად ამოსაცნობია. ტექსტსა და დიალოგს ახლავს კონკრეტული სიუჟეტისა შემცველი ნახატებიც, რაც ასევე ხელს უწყობს ტექსტის შინაარსის გაგებას. ტექსტში ხაზგასმით (გამუქებითა და დახრით) გამოყოფილია ის ფორმები, რომელიც მოცემული გაკვეთილის საყრდენს წარმოადგენს. ასე რომ, ენის შემსწავლელი ამ ფორმებს პრაქტიკულად ეცნობა არა მარტო წინადადებებში, არამედ გაბმულ ტექსტსა და დიალოგში. ამიტომ, თუნდაც ამ ტექსტებისა და დიალოგების სწავლა გაუადვილებს მას ქართული ენის რთული გრამატიკული სისტემის აღქმას, გაგებას, გაცნობიერებას და ათვისებას, და რაც მთავარია, მის პრაქტიკაში გამოყენებას. **მესამე გვერდზე** მოცემულია სავარჯიშოები. განსახილველი მასალისა და სავარჯიშოების ერთ წიგნში მოთავსება წმინდა პრაქტიკული მოსაზრებითაა განპირობებული და წიგნის ეფექტური მუშაობის მისაღწევად საუკეთესო გზაა. ენის შემსწავლელს იქვე აქვს საშუალება მიღებული ცოდნა შეამოწმოს და განიმტკიცოს. სავარჯიშოების წიგნის ცალკე გამოტანა გაართულებდა კონკრეტული საკითხის მოძიებას და მასზე ვარჯიშს; თანაც ეს მეთოდი უკვე აპრობირებული და წარმატებულია მსოფლიოში. სავარჯიშოები სხვადასხვა სახისაა, მესამე გვერდზე ძირითადად ჩასასმელი, დასაკავშირებელი,

საპასუხო და ა. შ. ტიპის სავარჯიშოებია; გარდა ამ ტიპის სავარჯიშოებისა, რაც ფორმის შერჩევის ჩვევას ავითარებს ენის შემსწავლელის ცნობიერებაში, ვფიქრობთ, აუცილებელია ენის შემსწავლელმა თავად შეძლოს მცირე მოცულობის ტექსტის ან დიალოგის შექმნა და გამოიყენოს მასში ახლად შეთვისებული მასალა. სწორედ ამ მოსაზრებით, *მეოთხე გვერდი* ეთმობა ორი სახის დავალებას: ესაა განხილულ და ათვისებულ მასალაზე საკუთარი წინადადებების ან მცირე მოცულობის ტექსტის შექმნა. წიგნს ბოლოს დაერთვება რამდენიმე ტიპის დანართი: ერთი ესაა *თეორიული ანალიზი* განხილული კონკრეტული საკითხებისა. ეს ნაწილი საინტერესო იქნება მასწავლებლებისათვის, მაგრამ მისით შეიძლება ისინიც დაინტერესდნენ, ვისაც არა მხოლოდ პრაქტიკულად უნდა ფორმის ათვისება, არამედ ქართული ენის გრამატიკული სისტემა შედარებით ღრმად აინტერესებს. ეს გამართლებულად მიგვაჩნია, რადგან, ვფიქრობთ, რომ წიგნი ყოველგვარი ინტელექტის პიროვნებას მეტ-ნაკლებად უნდა აკმაყოფილებდეს. წიგნს ასევე დაერთვება განხილული *ზმნებისა და ფორმების საძიებელი*; ასევე *სავარჯიშოების პასუხები*, რომლის მეშვეობითაც ენის შემსწავლელს შეუძლია შეამოწმოს საკუთარი ცოდნა. წიგნი შესაძლოა გამოყენებული იქნას როგორც თვითმასწავლებელი, ან როგორც დამხმარე სახელმძღვანელო.

სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი მოიცავს ორმოცდაათ გაკვეთილს. მასში მეტ-ნაკლები სისრულით განიხილება კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვანი ენობრივი ფორმები. ასევე გარკვეული ადგილი ეთმობა ცალკეული ზმნების პრაქტიკულ ანალიზს; ზმნა ქართული ენის ურთულესი სფეროა და განსაკუთრებით არაქართველთათვის ძნელდება ზმნური ფორმების აგების არსის გაცნობიერება და შემდეგ ამ ფორმების პრაქტიკაში სწორად გამოყენება. ცალკეული გაკვეთილები ეთმობა არა მარტო თავისებური ზმნების წარმოებას, არამედ კომუნიკაციისთვის აქტიური სხვა ფორმების დამუშავებასაც. მაგრამ ამ რაოდენობის გაკვეთილებში, ბუნებრივია, ვერ განიხილება კომუნიკაციისთვის არსებითი ყველა ფორმა. მუშაობის პროცესს ართულებს ისიც, რომ წიგნში მოცემულია ახლებური ხედვა: ახალი საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად, საბედნიეროდ, იქცა არაქართველი მოქალაქეებისათვის ქართული ენის საფუძვლიანად შესწავლა, რათა მათ დაუბრკოლებლად და სრულფასოვნად შეძლონ განვითარება საქართველოში. ამისათვის კი აუცილებლად მოსამზადებელია არაერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, ესენია: *მეორე ენის სწავლების ახალი, თანამედროვე მეთოდოლოგია და ენის გრამატიკული სისტემის კომუნიკაციური ასპექტი დამუშავება*, რათა სწავლების პროცესი მნიშვნელოვნად გაადვილდეს და მეტად ეფექტური გახდეს, ასევე სწავლებას ცხადი და პრაქტიკული შედეგი მოჰყვეს.


ამგვარი სამუშაო ჩატარებულია ლატვიაშიც, (რომლის გამოცდილება მართლაც გასაზიარებელია მეორე ენის სწავლების საკითხში), სადაც სამწლიანი მუშაობის შედეგად შეიქმნა ლატვიური ენის კომუნიკაციური გრამატიკა. (რომ არაფერი ვთქვათ, ინგლისური ენის პრაქტიკული გრამატიკის კურსზე (მერფის გრამატიკა), რომლის არაერთი გამოცემა არსებობს და ყოველი გამოცემა წინაზე გაცილებით მეტი მოცულობისაა. ასე რომ, სახელმძღვანელოს შექმნის პროცესი მეტ და მეტ დასამუშავებელ საკითხს წარმოაჩენს, რაც შეუქცევადი პროცესია და ასევე მოითხოვს ხანგრძლივ და ინტენსიურ მუშაობას. უდავოა, რომ ახალი ტიპის სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნის პროცესში იგი აუცილებელი და მნიშვნელოვანი გზამკვლევი გახდება სახელმძღვანელოების ავტორებისათვისაც.

შენიშვნებსა და საქმიან თანამშრომლობას დიდი სიამოვნებითა და გულისყურით მივიღებთ.

1. პიროვნება



მე ვარ ანა. მე ოცი წლის ვარ. ვცხოვრობ ახალციხეში. ვარ სტუდენტი. დედა მასწავლებელია, მამა ინჟინერია.



მე გიორგი ვარ. მე ოცდახუთი წლის ვარ. ბოლნისში ვცხოვრობ. მე არ ვსწავლობ, მე ვმუშაობ. ვარ ექიმი. დედა ჟურნალისტია. მამა არქიტექტორია.

<i>მე</i> ვარ	<i>ჩვენ</i> ვართ	
<i>შენ</i> ხარ	<i>თქვენ</i> ხართ	
<i>ის</i> არის	<i>ისინი</i> არიან	არის → ა (რის)

ვინ?	რა?
დედა	წიგნი
მამა	რვეული
კაცი	ძაღლი
ქალი	კატა
მასწავლებელი	ქათამი
ინჟინერი	ცხენი

1. გაცნობა

- *მე* მასწავლებელი ვარ.
- *თქვენ* ვინ ხართ?
- *მე* არქიტექტორი ვარ. *ის* ვინ არის?
- *ის* ღირექტორია.
- *ჩვენ* ლექტორები ვართ. *თქვენ* ვინ ხართ?
- *ჩვენ* სტუდენტები ვართ. *ისინი* ვინ არიან?
- *ისინი* მოსწავლეები არიან.

2. ვინაობის დასახელება

- *მე* ამირან გოგოლაძე ვარ. *თქვენ*?
- *მე* ვლადიმერ სმირნოვი ვარ. *ის* ვინ არის?
- *ის* არის ალი ისკანდეროვი.

3. თავაზიანი ფორმა

- *თქვენ* ვინ ხართ?
- *მე* ვარ სალომე.
- *თქვენ* მასწავლებელი ხართ?
- დიახ, *მე* მასწავლებელი ვარ.

4. დიახ, არა

- სალომე მასწავლებელია?
- დიახ, სალომე მასწავლებელია.
- გურამი მასწავლებელია?
- არა, გურამი სტუდენტია.

* * *

- მე ნანა მიქავა **ვარ. ცხოვრობ** თბილისში. მე სტუდენტი **ვარ. ვსწავლობ** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, პირველ კურსზე. მე 17 წლის **ვარ.** ეროვნებით **ვარ** ქართველი, **ცხოვრობ** საქართველოში, **ვარ** საქართველოს მოქალაქე.
- მაია მანუკიანი 18 წლის **არის.** ის უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე **სწავლობს**, მესამე კურსზე. მაია თბილისში **ცხოვრობს**, ავლაბარში. ის **არის** საქართველოს მოქალაქე.
- ალი ალიევი 19 წლის **არის.** ის ტექნიკურ უნივერსიტეტში **სწავლობს**, მეორე კურსზე. **ცხოვრობს** ბოლნისში. ალი **არის** საქართველოს მოქალაქე.

შენ ვინ ხარ? სად ცხოვრობ? სად სწავლობ? სად მუშაობ?

ისაუბრე ამხანაგის შესახებ

გამოიყენე ფორმები:

მე ვ-სწავლობ	ჩვენ ვ-სწავლობ-თ	მე ვ-მუშაობ	ჩვენ ვ-მუშაობ-თ
შენ სწავლობ	თქვენ სწავლობ-თ	შენ მუშაობ	თქვენ მუშაობ-თ
ის სწავლობ-ს	ისინი სწავლობ-ენ	ის მუშაობ-ს	ისინი მუშაობ-ენ

მე ვ-ცხოვრობ	ჩვენ ვ-ცხოვრობ-თ
შენ ცხოვრობ	თქვენ ცხოვრობ-თ
ის ცხოვრობ-ს	ისინი ცხოვრობ-ენ

- შენ უნივერსიტეტში **სწავლობ?**
- **არა**, ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში არ **ვსწავლობ**, მე ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტში **ვსწავლობ**.
- ისტორიის ფაკულტეტზე **სწავლობ?**
- **არა**, ისტორიის ფაკულტეტზე არ **ვსწავლობ**, მე იურიდიულ ფაკულტეტზე **ვსწავლობ**.
- ის ვინ **არის?**
- ის **არის** ალექო მარგიანი?
- სად **სწავლობს?**
- არ **სწავლობს**, **მუშაობს**. ის 26 წლის **არის** და სკოლაში **მუშაობს**.

საკარჯიშობები

1.1. ჩასვით შესაფერისი პირის ნაცვალსახელი:

1. _____ ვარ სტუდენტი.
2. _____ არის მასწავლებელი.
3. _____ ვინ ხართ?
4. _____ ვინ არიან?
5. _____ სად მუშაობ?
6. _____ სად მუშაობენ?
7. _____ სწავლობთ?
8. _____ სად ცხოვრობთ?
9. _____ მასწავლებელი ხართ?
10. _____ სტუდენტები არიან?

1.2. ჩასვით ვარ ზმნის შესაფერისი ფორმა:

1. მე _____ მოსწავლე.
2. ისინი ვინ _____?
3. ჩვენ _____ სტუდენტები.
4. მე არ _____ მასწავლებელი.
5. ის ვინ _____?
6. თქვენ ვინ _____?
7. ის _____ არქიტექტორი?
8. ჩვენ არ _____ მოსწავლეები, ჩვენ მასწავლებლები _____.
9. მე არამ პეტროსიანი _____.
10. ის _____ სკოლის დირექტორი.

1.3. მიანიშნეთ, რომელი ფორმა გამოხატავს თავაზიანობას? მიუწერეთ ფ.

1. შენ ვინ ხარ? _____
2. თქვენ ვინ ხართ? _____
3. შენ სად ცხოვრობ? _____
4. თქვენ სად ცხოვრობთ? _____
5. ის მასწავლებელია? _____
6. თქვენ მასწავლებელი ხართ? _____
7. თქვენ სწავლობთ? _____
8. ისინი არ სწავლობენ, მუშაობენ. _____
9. ჩვენ სკოლაში ვმუშაობთ. _____
10. ჩვენ სტუდენტები არ ვართ. _____

1.4. ჩასვით ტექსტში შემოკლებული ფორმები პრის ზმნისა:

1. კარგი ამინდი არის – _____
2. გურამი არის მასწავლებელი – _____
3. სალომე არის სტუდენტი – _____
4. ის არის მოსწავლე – _____
5. გიორგი არის არქიტექტორი – _____
6. ის სახლი არის დიდი – _____
7. ის ჩანთა არის პატარა – _____

1.5. მონაცემების მიხედვით დაწერეთ მცირე ტექსტი ქვემოთ მოცემული პიროვნებების შესახებ:

მერაბ ახალაძე	მარიამ იაძე	ნინო შარაძე	რობერტ მინასიანი	ვალერი მაჰამედოვი	ალექსანდრე გეგეშიძე
თბილისი 20 წლის სტუდენტი უნივერსიტეტი საქართველოს მოქალაქე	დმანისი 16 წლის მოსწავლე სკოლა საქართველოს მოქალაქე	თბილისი 24 წლის მასწავლებელი სკოლა საქართველოს მოქალაქე	ახალქალაქი 32 წლის ინჟინერი საქართველოს მოქალაქე	გარდაბანი 27 წლის ექიმი საქართველოს მოქალაქე	ქუთაისი 54 წლის არქიტექტორი საქართველოს მოქალაქე

1.6. ჩასვით ტექსტში გამოტოვებული ზმნები:

მე მაია გალდავა _____. _____ თბილისში. მე სტუდენტი _____. _____ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, I კურსზე. მე 18 წლის _____. ეროვნებით _____ ქართველი, _____ საქართველოში, _____ საქართველოს მოქალაქე.

ელმირა მანუკიანი 17 წლის _____. ის უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე _____, III კურსზე. ელმირა თბილისში _____, ავლაბარში. ის _____ საქართველოს მოქალაქე.

ალი ისკანდეროვი 20 წლის _____. ის ტექნიკურ უნივერსიტეტში _____, მეორე კურსზე. _____ ბოლნისში. ალი _____ საქართველოს მოქალაქე.

2. კუთვნილება

კუთვნილება

- კუთვნილებითი ნაცვალსახელი (ჩემი, შენი, მისი...)
- ნათესაობითი ბრუნვა (პაც-ის...)

**ვისი?
რისა?**



ვისი?

მე – ჩემი	ჩვენ – ჩვენი
შენ – შენი	თქვენ – თქვენი
ის – მისი	ისინი – მათი

ის – ის

**და – დის
ძმა – ძმის**

მე ვარ ანა. ჩემი გვარია მაისურაძე. დედაჩემი მასწავლებელია, მამაჩემი ინჟინერია. ჩემი და 12 წლისაა. მისი სახელია მარიამი. ის მოსწავლეა, სწავლობს სკოლაში, მეექვსე კლასში. ჩემი ძმა 10 წლისაა. ისიც მოსწავლეა. მისი სახელია ირაკლი. ის მეოთხე კლასში სწავლობს. ჩვენი სახლი აბაშიძის ქუჩაზეა. ჩვენი სახლი დიდია.

1. კუთვნილების გამოხატვა

- ეს შენი წიგნია? – არა, ეს დედაჩემის წიგნია.
- ის რა არის? – ის ჩემი ჩანთაა.
- ეს ტანსაცმელი ვისია? – ეს ტანსაცმელი ირაკლისაა.
- ეს ჩემი დის სათამაშოა, ეს ჩემი ძმის რვეულია.
- ეს ჩემი ფეხსაცმელებია, ის ჩემი ძმის ფეხსაცმელებია.
- ეს შენი შარვალია? – არა, ეს მამაჩემის შარვალია.
- ძალიან ლამაზი კაბაა. ვისია? – დედაჩემის კაბაა.

**ჩემი ძმა
ჩემი და
მაგრამ
დედაჩემი
მამაჩემი**

2. –ც ნაწილაკი

- ჩემი გვარია მაისურაძე. ჩემი ძმის გვარიც მაისურაძეა.
- ეს კაბა და შარვალი ვისია? – ეს კაბაც ჩემია და ეს შარვალიც.
- დედა სახლშია? – არა. –მამა? – არც მამა არ არის სახლში.
- დედა არ არის სახლში, მამაც არ არის.
- ჩემი და მოსწავლეა, ჩემი ძმაც მოსწავლეა.
- ჩემი ამხანაგი უნივერსიტეტში სწავლობს, მეც უნივერსიტეტში ვსწავლობ.
- გიორგი მუშაობს, შენც მუშაობ? – არა, მე ვსწავლობ.
- ჩემი ძმა კინოშია, ჩემი დაც კინოშია.

3. –ში ან –ზე თანდებულების გამოყენება

- შენ სად ცხოვრობ? – მე აბაშიძის ქუჩაზე ვცხოვრობ. – მეც.
- ის თბილისში ცხოვრობს, გურამიშვილის ქუჩაზე.
- შენ ქალაქში ცხოვრობ? – არა, მე სოფელში ვცხოვრობ.
- გივი სოფელში ცხოვრობს? – არა, გივი ქალაქში ცხოვრობს, ნუცუბიძის ქუჩაზე.
- შენ სად მუშაობ? – სკოლაში. შენი სკოლა სად არის? – კანდელაკის ქუჩაზე.
- სად ცხოვრობ? – ბოლნისში, რუსთაველის ქუჩაზე.
- რა არის შენი მისამართი? – ქალაქი რუსთავი, თამარ მეფის ქუჩა № 15.
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ჭავჭავაძის ქუჩაზე.

* * *

რუსუდანი ჩემი ამხანაგია. ისიც თბილისში ცხოვრობს. რუსუდანი უნივერსიტეტში სწავლობს, *ჟურნალისტიკის* სპეციალობის IV კურსზე. *რუსუდანის* ოჯახი დიდია. ისინი დიდ და ლამაზ სახლში ცხოვრობენ თბილისში, სოლოლაკში, *დავითაშვილის* ქუჩაზე. *რუსუდანის* დედა სკოლის მასწავლებელია. *დედამისი* და *დედაჩემი* ერთ სკოლაში მუშაობენ. *რუსუდანის* მამა პოლიკლინიკაში მუშაობს, ის *ოჯახის* ექიმია. *რუსუდანის ძმაც* სტუდენტია და *დაც*. ძმა უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტია. *მისი* სახელია ლექსო. და ჰუმანიტარული ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტია. *მისი* სახელია მარიკა.

<i>მე დავიბადე</i>	<i>ჩვენ დავიბადეთ</i>
<i>შენ დაიბადე</i>	<i>თქვენ დაიბადეთ</i>
<i>ის დაიბადა</i>	<i>ისინი დაიბადნენ</i>

- *თქვენი სახელი?*
- მე ვარ ირინე.
- *რა გვარის ხართ?*
- ჩემი გვარია დიმიტრიადი.
- *რა ეროვნების ხართ?*
- ეროვნებით ბერძენი ვარ. საქართველოში დავიბადე, ვარ საქართველოს მოქალაქე.
- *რამდენი წლის ხართ?*
- ოცდახუთი წლის ვარ.
- *ირინე, სად სწავლობთ?*
- არ ვსწავლობ, ვმუშაობ.
- *სად მუშაობთ?*
- ახლა *სკოლაში* ვმუშაობ, რუსული *ენის* მასწავლებელი ვარ.
- *დიდი ხანია მუშაობთ?*
- არა, დიდი ხანი არ არის, ორი წელია *სკოლაში* ვმუშაობ.
- *სად ცხოვრობთ?*
- ახლა *თბილისში* ვცხოვრობ.
- *თქვენი მშობლებიც თბილისში ცხოვრობენ?*
- არა, *ჩემი* მშობლები თბილისში არ ცხოვრობენ, ისინი ქალაქ *ბოლნისში* ცხოვრობენ.
- *თბილისში სად ცხოვრობთ?*
- იოსებბიძის *ქუჩაზე*.

საკვარჯიშოები

2.1. დაუკავშირეთ ერთმანეთს პირის და კუთვნილების გამომხატველი ნაცვალსახელები:

ის	ჩემი
ჩვენ	შენი
მე	მათი
შენ	მისი
თქვენ	ჩვენი
ისინი	თქვენი

2.2. დაწერეთ კუთვნილების გამომხატველი ნაცვალსახელები ა რ ი ს ზმნის შემოკლებული ფორმით და შეადგინეთ წინადადებები:

ჩემი – ჩემია

შენი – _____

ჩვენი – _____

თქვენი – _____

მისი – _____

მათი – _____

2.3. დაუკავშირეთ ერთმანეთს კითხვა და პასუხი:

- | | |
|----------------------|------------------------------|
| 1. ეს რა არის? | ა) მე პოლიკლინიკაში ვმუშაობ. |
| 2. სად ცხოვრობ? | ბ) ის ჩემი ძმია. |
| 3. რა გვარის ხარ? | გ) უნივერსიტეტში ვსწავლობ. |
| 4. რა ეროვნების ხარ? | დ) ეს ჩემი ჩანთაა. |
| 5. ეს შენი რვეულია? | ე) მე თბილისში ვცხოვრობ. |
| 6. სად მუშაობ? | ვ) ჩემი გვარია გაგნიძე. |
| 7. ის ვინ არის? | ზ) მე ქართველი ვარ. |
| 8. სად სწავლობ? | თ) დიახ, ეს ჩემი რვეულია. |

2.4. დაწერეთ წინადადება ც ნაწილაკით:

1. დედა სახლში არ არის. მამა სახლში არ არის. _____

2. ჩემი და სტუდენტია. ჩემი ძმა სტუდენტია. _____

3. ჩემი მშობლები ქუთაისში ცხოვრობენ. დავითის მშობლები ქუთაისში ცხოვრობენ.

4. მარიამის და მოსწავლეა. მარიამის ძმა მოსწავლეა. _____

5. მე უნივერსიტეტში ვსწავლობ. ჩემი ამხანაგი უნივერსიტეტში სწავლობს.

2.5. დაურთეთ -ში ან -ზე:

თამარი (თბილისი) _____ ცხოვრობს, (ავლაბარი) _____, ბოგდან
სმელნიცკის (ქუჩა) _____. ის (უნივერსიტეტი) _____ სწავლობს,
ჟურნალისტიკის (სპეციალობა) _____. დედამისი (პოლიკლინიკა) _____
მუშაობს, მამამისი (სკოლა) _____. ისინი დიდ (სახლი) _____ ცხოვრობენ.
ახლა თამარი (სახლი) _____ არ არის, ის არის (კინო) _____. კინოთეატრი
არის რუსთაველის (ქუჩა) _____.

2.6. დაწერეთ თქვენი ამხანაგის შესახებ:

2.7. დაალაგეთ დიალოგი:

- (1)– თქვენი სახელი?
 - ახლა თბილისში ვცხოვრობ.
 - რა ეროვნების ხართ?
- (2)– მე ვარ ირინე.
 - რა გვარის ხართ?
 - ოცდახუთი წლის ვარ.
 - სად მუშაობთ?
 - ჩემი გვარია დიმიტრიადი.
 - იოსებბიძის ქუჩაზე.
 - დიდი ხანია მუშაობთ?
 - წარმოშობით ბერძენი ვარ. საქართველოში დავიბადე, ვარ საქართველოს მოქალაქე.
 - რამდენი წლის ხართ?
 - ირინე, სად სწავლობთ?
 - არა, ჩემი მშობლები თბილისში არ ცხოვრობენ, ისინი ქალაქ ბოლნისში ცხოვრობენ.
 - არ ვსწავლობ, ვმუშაობ.
 - ახლა სკოლაში ვმუშაობ, რუსული ენის მასწავლებელი ვარ.
 - არა, დიდი ხანი არ არის, ორი წელია სკოლაში ვმუშაობ.
 - სად ცხოვრობთ?
 - თქვენი მშობლებიც თბილისში ცხოვრობენ?
 - თბილისში სად ცხოვრობთ?

3. კითხვის ღასმა

306? რა? სად? როდის? რამდენი? რომელი? როგორი? როგორ? ვისი? რისი?


ვინ არის? – ვინაა?
რა არის? – რაა?
სად არის? – სადაა?
როდის არის? – როდისაა?
რამდენი არის? – რამდენია?
რომელი არის? – რომელია?
როგორი არის? – როგორია?
როგორ არის? – როგორაა?
ვისი არის? – ვისია?
რის არის? – რისაა?

1. კითხვითი სიტყვები

- ვინ არის მერაბ თავაძე? – მერაბ თავაძე ჩემი მასწავლებელია.
- რა არის ეს? – ეს ჩემი ჩანთაა.
- სად არის დედა? – დედა არის სოფელში.
- რამდენი წლის ხარ? – თხუთმეტის.
- რომელი საათია? – ახლა სამი საათია.

2. კითხვითი სიტყვა + ა(რის)

- რამდენია ორჯერ სამი? – ექვსი.
- რომელია შენი მანქანა? – აი, ის წითელი.
- ვისია ეს წითელი მანქანა? – ჩემია.



3. კითხვითი სიტყვა + ა + ა(რის)

- სადაა ჩემი ჩანთა? – არ ვიცი, აქ არაა.
- ვინაა ეს ბავშვი? – ჩემი ამხანაგის ძმაა.
- როდისაა კონცერტი? – კვირას.
- როგორაა დედა? – გმადლობთ, კარგად.

4. კითხვითი სიტყვა + ა + ა(რის)

- სადაა გიორგი? – აქაა, ოთახში.
- სადაა ჩემი რვეული? – იქაა, უჯრაში.
- სადაა ჩემი შარვალი? – აქ არაა, კარადაშია.
- ესაა შენი რვეული? – არა, ეს არაა ჩემი რვეული, ეს ჩემი ძმისაა.

5. კითხვითი სიტყვა + ა + ა(რის)

- როდისაა შენი დაბადების დღე? – 15 თებერვალს.
- რა ფერისაა შენი ახალი შარვალი? – თეთრი.
- რამდენი წლისაა შენი ძმა? – თორმეტის.
- როგორი ამინდია თბილისში? – ძალიან კარგი.

გამარჯობა, ანა!

-როგორ ხარ? როგორ არის შენი ოჯახი?

-როგორაა შენი და?

-ანა, რამდენიმე კითხვაზე პასუხი მაინტერესებს:

-იცი, ვინაა ირაკლი გამრეკელი?



როგორ ხარ? **როგორ** არის შენი ოჯახი? **როგორაა** შენი და? ანა, შეიძლება რამდენიმე კითხვა დაგისვას? იყი, **ვინაა** ირაკლი გამრეკელი? იცნობ? კიდევ მაინტერესებს: **როდისაა** შენი ზანკეტი? **რომელ** რიჩვში? **რა ფერისაა** შენი ახალი კაბა? **რომელ** რესტორანშია ზანკეტი? **სადაა** ეს რესტორანი? **რომელ** **სათზეა** ზანკეტი? **ვინაა** დაპატიუებული? **როგორი** ამინდებია ახლა? მალე მომწერე წერილი, ყველაფერი ძალიან მაინტერესებს... ქეთი.

P. S ჰო, კიდევ რისი კითხვა მინდა: **როდისაა** შენი დის დაბადების დღე? მინდა მივულორო... **რამდენი** წლის ხდება? მალე მომწერე წერილი....

* * *

- შეიძლება, რამდენიმე შეკითხვა დაგისვათ?
- დიას, რა გაინტერესებთ?
- **როდისაა** თქვენი დაბადების დღე? **რომელი** ზოდიაქო ხართ?
- ჩემი დაბადების დღე არის ნოემბერში, 25 ნოემბერს. ჩემი ზოდიაქოა მშვილდოსანი.
- **ვინ** არის თქვენი მეუღლე?
- ჩემი მეუღლე არის გიორგი გოგელია.
- **რა** პროფესიისაა?
- არქიტექტორია.
- **რა** არის თქვენი ჰობი?
- მოგზაურობა და კლასიკური მუსიკის მოსმენა.
- **სად** გინდათ მოგზაურობა?
- აღმოსავლეთის ქვეყნებში, იაპონიაში, ჩინეთში...
- **რამდენი** შვილი გყავთ?
- ორი, გოგონა და ვაჟი.
- **რომელია** უფროსი?
- გოგონა.
- **როგორი** ურთიერთობა გაქვთ შვილებთან?
- ძალიან მეგობრული.
- წელიწადის **რომელი** დრო გიყვართ?
- ზაფხული.
- მანქანა გყავთ?
- დიას.
- **როგორი** მძღოლი ხართ?
- კარგი.

საპარჯიშოები

3.1. დაუკავშირეთ კითხვა პასუხს:

- | | |
|------------------------------------|-------------------------|
| 1. როდისაა სპექტაკლი? | ა) ძალიან გემრიელია. |
| 2. რა ფერისაა შენი ჩანთა? | ბ) ჩემია. |
| 3. სადაა შენი სამსახური? | გ) გმადლობთ, კარგად. |
| 4. ვინაა ის კაცი? | დ) ხვალ შვიდ საათზე. |
| 5. რა ფილმია დღეს? | ე) წითელი. |
| 6. როგორაა დელატქვენი? | ვ) ჯავახიშვილის ქუჩაზე. |
| 7. ვისია ეს კალამი? | ზ) „ზორო“ |
| 8. რომელი საათია? | თ) სამი არ არის. |
| 9. როგორია ეს ნამცხვარი? | ი) ჩემი დირექტორია. |
| 10. რამდენი მოსწავლე არ არის დღეს? | კ) ზუსტად ხუთია. |

3.2. შეადგინეთ კითხვითი წინადადებები.

1. რამდენი _____
2. სადაა _____
3. ვინაა _____
4. როგორაა _____
5. ვისია _____
6. რომელია _____
7. რამდენია _____
8. როგორი _____
9. როდის _____
10. სად _____

3.3. მოცემულია პასუხები. შეადგინეთ კითხვა:

1. _____
– გმადლობთ, კარგად.
2. _____
– ძალიან ღამაზია.
3. _____
– აქ არაა, მოსკოვშია.
4. _____
– კვირას, სამ საათზე.
5. _____
– თვრამეტის.
6. _____
– ჩემი ახალი თანამშრომელია.
7. _____
– ჭრელია.

3.4. უპასუხეთ კითხვებს:

1. ესაა შენი ახალი მანქანა? – არა, _____
2. ისაა შენი ახალი დირექტორი? – არა, _____
3. აქაა შენი სამსახური? – არა, _____
4. ჩემი კაბა იქაა, კარადაში? – არა, _____

3.5. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

როგორ _____? _____ არის შენი ოჯახი? _____ შენი და? ანა, შეიძლება რამდენიმე კითხვა დაგისვა? იცი _____ ირაკლი გამრეკელი? იცნობ? კიდევ მაინტერესებს: _____ შენი ბანკეტი? _____ რიცხვში? _____ შენი ახალი კაბა? _____ რესტორანშია ბანკეტი? _____ ეს რესტორანი? _____ საათზეა ბანკეტი? _____ დაპატიუებული? _____ ამინდებია ახლა? მალე მომწერე წერილი, ქეთი.

ჰო, კიდევ რის კითხვა მინდა: _____ შენი დის დაბადების დღე? მინდა მიუულოცო... _____ წლის ხდება? მალე მომწერე წერილი...

3.6 დაალაგეთ დიალოგი სწორი თანმიმდევრობით:

- რა პროფესიისაა?
 - რომელია უფროსი?
 - როდისაა თქვენი დაბადების დღე? რომელია თქვენი ზოდიაქო?
 - აღმოსავლეთის ქვეყნებში, იაპონიაში, ჩინეთში...
 - ჩემი მეუღლე არის გიორგი გოგელია.
 - არქიტექტორია.
 - რა არის თქვენი ჰობი?
- (1) – შეიძლება, რამდენიმე შეკითხვა დაგისვათ?
- სად გინდათ მოგზაურობა?
 - რამდენი შეილი გყავთ?
 - გოგონა.
 - როგორია თქვენი ურთიერთობა შეილებთან?
 - მოგზაურობა და კლასიკური მუსიკის მოსმენა.
 - წელიწადის რომელი დრო გიყვართ?
 - ჩემი დაბადების დღე არის ნოემბერში, 25 ნოემბერს. ჩემი ზოდიაქოა მშვილდოსანი.
 - ზაფხული.
 - მანქანა გყავთ?
 - ვინ არის თქვენი მეუღლე?
 - ორი, გოგონა და ვაჟი.
 - ძალიან მეგობრული.
 - დიახ.
 - როგორი მძღოლი ხართ?
 - კარგი.
- (2) – დიახ, რა გაინტერესებთ?

4. არის – იყო – იქნება – არ ყოფილა

ბუზინწინისწინ – ბუზინწინ – ბუზინ – დღეს – ხვალ – ზემო – მახვი

ახლანდელი დრო	წარსული დრო	მომავალი დრო	წარსული შემდგომობით
ვარ მე	ვიყავი მე	ვიქნები მე	(არ) ვყოფილვარ მე
ხარ შენ	იყავი შენ	იქნები შენ	(არ) ყოფილხარ შენ
არის ის	იყო ის	იქნება ის	(არ) ყოფილა ის
ვართ ჩვენ	ვიყავით ჩვენ	ვიქნებით ჩვენ	(არ) ვყოფილვართ ჩვენ
ხართ თქვენ	იყავით თქვენ	იქნებით თქვენ	(არ) ყოფილხართ თქვენ
არიან ისინი	იყვნენ ისინი	იქნებიან ისინი	(არ) ყოფილან ისინი

1. არის ზმნა – ახლანდელი დრო


- სად **ხარ**? – კინოში **ვიყავი**, ახლა სახლში **ვარ**.
- სად **იყავი** ორშაბათს? სახლში არ **იყავი**? – არა, თბილისში არ **ვიყავი**, სოფელში **ვიყავი**.
- გუშინ ჩვენთან სტუმრები **იყვნენ**.
- შარშან ზაფხულში სად **იყავით** დასასვენებლად? – სოფელში, ბებიასთან.
- გუშინ გიორგი სკოლაში **იყო**? – კი, **იყო**.
- სად **იყავი**? – მაღაზიაში **ვიყავი**, პური ვიყიდე.
- გუშინ სად **იყავი**? – მე და ჩემი მეგობარი თეატრში **ვიყავით**. – კარგი სპექტაკლი **იყო**? – კი, ძალიან კარგი **იყო**.
- ვინ **იყვნენ** ისინი? – ჩემი კლასელები **იყვნენ**.

2. ვარ, ხარ, არის – მომავალი დრო

- ორშაბათს სახლში **იქნებით**? შენთან მოსვლა მინდა. – კი, სახლში **ვიქნები**, არსად არ მივდივარ.
- ხვალ დილით სამსახურში **ვიქნები** და იქ მომიტანე ეს წიგნი.
- როდის **იქნება** გიორგი სახლში? – ხუთ საათზე სახლში **იქნება**.
- ხვალ ფოსტა ღია **იქნება**? – კი, ღია **იქნება**, ხვალ ორშაბათია.
- ორ საათზე სამსახურში **ვიქნები** და დამირეკე.
- როდის **იქნებით** სახლში? – მე და ჩემი და სადამოს სახლში არ **ვიქნებით**, მეგობრის დაბადების დღეზე **ვიქნებით**, მაგრამ დედაჩემი სახლში **იქნება**.
- ახლა სადამოა, ნათია და გურამი სახლში **იქნებიან**? – კი სახლში **იქნებიან**, ახლა გვიანია.

3. არის ზმნა – წარსული დრო

- ბაზარში **იყავი**? – არა, **არ ვყოფილვარ**, სამსახურის მერე წავალ.
- მოსკოვში როდის **იყავი**? – ორი წელია **არ ვყოფილვარ**, ალბათ წელს წავალ.
- სად **იყავი**? – დიდი ხანია დედაჩემთან **არ ვყოფილვარ** და დღეს დილით ვიყავი.
- დიდი ხანია თეატრში **არ ვყოფილვარ**, კვირას ვიყავი.
- თქვენ ჩემს ახალ ბინაში **არ ყოფილხართ**, როდის მოხვალთ? – კვირას სახლში **იქნები**? მოვალთ.
- წიგნის ფესტივალზე **იყავი**? – არა, **ჯერ არ ვყოფილვარ** და ძალიან მინდა წასვლა. – შენ **იყავი**? – არა, არც მე **ვყოფილვარ**. დღეს ბოლო დღეა, წავიდეთ.



* * *



გამარჯობა ნიკა! მე ახლა თბილისში ვარ. ორი დღე ისევ აქ ვიქნები. ორშაბათს კი უკვე კიევში ვიქნები. კვირას ქუთაისში ვიყავი, სემინარი იყო და დავესწარი. მერე ჩემი ნათესავები ვნახე, ორი დღე ბიძასთან და ბიცოლასთან ვიყავი სოფელში. იქ ძალიან კარგი იყო, დავისვენე. ჩვენთან ერთად იყვნენ ჩემი ბიძაშვილებიც. ისინი ახლაც იქ არიან და ალბათ რამდენიმე დღე კიდევ იქნებიან. სამი დღე ვიყავი სოფელში და კარგად დავისვენე. შენ როდის იქნები თბილისში? ეს დღეები სად იყავი? სამსახურში რა არის ახალი? ჩვენი დირექტორი როდის იქნება? მე მგონი, ახლა საზღვარგარეთაა, ალბათ რამდენიმე დღეში იქნება. შენ პარასკევს იქნები? მალე მომწერე პასუხი.

ლექსო.

* * *

- დედა, სად იყავი?
- მაღაზიაში.
- ეს ბოსტნეულიც მაღაზიაში იყიდე?
- არა, მერე ბაზარში ვიყავი. შენ სკოლაში იყავი?
- ვიყავი, მაგრამ მარიამ მასწავლებელი არ იყო და თორმეტ საათზე უკვე სახლში ვიყავი.
- რატომ არ იყო მარიამ მასწავლებელი, ავად არის?
- სოფელში ყოფილა და იქ გაცივდა, ორი დღეა ავად არის. ალბათ ამ კვირაში არ იქნება.
- გურამ მასწავლებელი იყო?
- არც გურამ მასწავლებელი არ ყოფილა.
- შენ წიგნების მაღაზიაში არ ყოფილხარ?
- არა, არ ვყოფილვარ. შენ იყავი?
- ჰო, ვიყავი, მათემატიკის ახალი სახელმძღვანელო უკვე არის.
- მართლა? გუშინ ვიყავი და არ იყო.
- მე ცოტა ხნის წინ ვიყავი მაღაზიაში და იყო წიგნი.
- ისადილებ?
- კი. პური არის სახლში?
- არა, არ არის. მოვიტან.
- ყავა მინდა, არის?
- კი, ორ წუთში იქნება, მერე დაისვენე და ვისადილოთ.



საპარჯიშოები

4.1. ჩასვით მოცემული ზმნები წინადადებებში:

ვიყავი ყოფილა არის იყავი ხარ იყვნენ ვარ იქნება ვიქნები იყავით
--

1. გუშინ მარიამი სკოლაში არ _____ .
2. სად _____ ?
3. მაღაზიაში _____ და პური ვიყიდე.
4. დღეს _____ ორშაბათი.
5. ჩემი მეგობრები გუშინ კინოში _____ .
6. შენ რამდენი წლის _____ ?
7. მე _____ 17 წლის.
8. როდის _____ მარიამი სახლში?
9. არ ვიცი, სახლში როდის _____ .
10. თქვენ გუშინ საღამოს სად _____ ?

4.2. უპასუხეთ კითხვებს, გამოიყენეთ ფორმები: ვიყავი, არ ვყოფილვარ.

1. მოსკოვში როდის იყავი? – ორი წლის წინ _____ .
2. მოსკოვში როდის იყავი? – არასოდეს _____
3. სად იყავი? – მაღაზიაში _____
4. ბაზარში იყავი? – არა, _____
5. დღეს სკოლაში არ _____
6. რამდენი ხანია ექსკურსიაზე არ _____
7. გუშინ საღამოს რესტორანში _____
8. დაბადების დღეზე _____ და სახლში გვიან მოვედი.
9. არა, მე შენთან არ _____
10. ავად ვიყავი და სამსახურში სამი დღე არ _____ .

4.3. უპასუხეთ კითხვებს:

1. სად იყავით 2005 წლის ზაფხულში? _____
2. სად იქნები ნოემბერში? _____
3. ყოფილხარ პარიზში? _____
4. ახლა სად ხარ? _____
5. სად იქნები ორშაბათს? _____
6. ვინ არის შენი მეგობარი? _____

7. სად არის ახლა შენი ოჯახი? _____
8. რამდენი წლის ხარ? _____
9. რამდენი წლის იქნები 2015 წელს? _____
10. რამდენი წლის იყავი 2000 წელს? _____

4.4. გადაიყვანეთ წინადადებები წარსულ ან მომავალ დროში, გამოიყენეთ დროის გამომსახველი სიტყვები: ხვალ, გუშინ.

1. მარიამი სკოლაშია. _____
2. მაღაზია დიაა. _____
3. ჩემი ძმა სოფელშია. _____
4. დღეს ტელევიზორში კარგი კინოა. _____
5. დღეს კარგი ამინდია. _____


4.5. დაწერეთ წერილი, გამოიყენეთ არის ზმნის სხვადასხვა დროის, პირისა და რიცხვის ფორმა.

4.6. ჩასვით დიალოგში გამოტოვებული ზმნები:

- დედა, სად _____?
- მაღაზიაში.
- ეს ბოსტნეულიც მაღაზიაში იყიდე?
- არა, მერე ბაზარში _____. შენ სკოლაში _____?
- _____, მაგრამ მარიამ მასწავლებელი არ _____ და თორმეტზე უკვე სახლში _____.
- რატომ არ _____ მარიამ მასწავლებელი, ავად _____?
- სოფელში _____ და იქ გაცივდა, ალბათ ამ კვირაში არ _____.
- გურამ მასწავლებელი _____?
- არც გურამ მასწავლებელი _____.
- შენ წიგნების მაღაზიაში არ _____?
- არა, არ _____. შენ _____?
- ჰო, _____, მათემატიკის ახალი სახელმძღვანელო უკვე _____.
- მართლა? გუშინ _____ და არ _____.
- მე ცოტა ხნის წინ _____ მაღაზიაში და _____ წიგნი.
- ისაღიღებ?
- კი. პური _____ სახლში?
- არა, არ _____ . მოვიტან.


5. ღროის მიტიტიება (1)

2006	წლის	შვიდი
ივნისია, სამშაბათი		
პირველი მაისია		




ცხრა საათია (9.00)

ცხრა საათია
ცხრას აკლია ათი წუთი
ათის ათი წუთია
ათის ნახევარია




ათის ხუთი წუთია (9.05)
 ათის ათი წუთია (9.10)
 ათის თხუთმეტი წუთია (9.15)
 ათის ოცი წუთია (9.20)
 ათის ოცდახუთი წუთია (9.25)
 ათის ნახევარია (9.30)

ორშაბათს, შვიდ საათზე
2 (ორ) მარტს, ათის ნახევარზე
2006 (ორი ათას ექვს) წელს



ათს აკლია ოცდახუთი წუთი (9.35)
 ათს აკლია ოცი წუთი (9.40)
 ათს აკლია თხუთმეტი წუთი (9.45)
 ათს აკლია ათი წუთი (9.50)
 ათს აკლია ხუთი წუთი (9.55)

ბაზაფხულზე	ზაფხულში
შემოდგომაზე	ზამთარში



ათი საათია (10.00)

1. რა დღეა?

- რა დღეა დღეს? – დღეს არის 15 (თხუთმეტი) მაისი, ხუთშაბათი.
- რა დღე იყო გუშინ? – გუშინ *პირველი* მარტი იყო, ორშაბათი.
- რა დღეა ხვალ? – ხვალ ორი ნოემბერია, სამშაბათი.
- დღეს კვირაა, სამუშაო დღე არაა, სამსახურში ხვალ ვიქნები.
- როდის დაიბადე? – მე დაიბადე 1970 წლის 17 (ჩვიდმეტი) *აგვისტოს*.
- გიორგი დაიბადა 1980 წლის 7 (შვიდი) *იანვარს*, მარიამი კი – 1979 წლის 15 (თხუთმეტი) *მარტს*.

2. რომელი საათია?

- რომელი საათია? – *შვიდს აკლია 20 წუთი*.
- ახლა *რვას აკლია 10 წუთი*, კონცერტი 8 (რვა) *საათზე* იწყება.
- რომელი საათია? – *ოთხის 5 (ხუთი) წუთია*, კონცერტი 4 (ოთხ) *საათზე* დაიწყო.

3. როდის?

- როდისაა საზეიმო საღამო? – *ორშაბათს, 7 (შვიდი) საათზე*, ჩვენ *შვიდის ნახევარზე* შევხვდეთ ერთმანეთს.
- *შვიდის ათ წუთზე* კაფესთან ვიყავი, მაგრამ საღამო არ მოვიდა.
- *შვიდს აკლია 5 (ხუთი) წუთი*, გურამი აქ არ არის, ალბათ 7 (შვიდი) *საათზე* მოვა.
- დედას 2 (ორ) *საათზე* უნდა შევხვდე სკოლასთან, ახლა რომელი საათია? – ახლა *ორის ნახევარია*, ადრეა.
- მე *ორის ნახევარზე* მოვალ, შენ როდის იქნები სახლში? – *პირველ საათზე* მე სახლში ვიქნები.

4. როდის?

- **ზაფხულში** სად იყავი? – სოფელში.
- **ზამთარში** სად იქნები? – **ზამთარში** ერთი თვე გერმანიაში ვიქნები, მერე კი – საქართველოში.
- სწავლა როდის იწყება? – **შემოდგომაზე, 20 სექტემბერს.**
- არდადეგები როდის გაქვს? – **შემოდგომაზე, ნოემბერში** – ერთი კვირა; მერე **ზამთარში, დეკემბერშიც** ერთი კვირა და **გაზაფხულზე, მარტში** ხუთი დღე.

დაუპირფაინო:

<p>ოთხ საათ ზე (4 საათ ზე) შვიდ იანვარს (7 იანვარს) ათას ცხრაას ოთხმოც წელს (1980 წელს)</p>	<p>მაბრამ: 1980 წლის 7 იანვარი – ათას ცხრაას ოთხმოცი წლის შვიდი იანვარი. 1980 წლის 7 იანვარს – ათას ცხრაას ოთხმოცი წლის შვიდ იანვარს.</p>
---	--

მე
 ასული



* * *

მე, ნათია გიორგის ასული მაისურაძე, დავიბადე **1981 წლის 7 სექტემბერს** ქალაქ ზოლნისში **1987 წლის შემოდგომაზე** შვედი ქალაქ ზოლნისის მე-2 საშუალო სკოლაში. **1989 წელს** გადავედი ზოლნისის პირველ საშუალო სკოლაში. **1990 წელს** შვედი სამხატვრო სკოლაში. **1991 წელს** შვედი მუსიკალურ სკოლაში, დავამთავრე **1998 წელს**. საშუალო სკოლა დავამთავრე **1998 წელს**. მუშაობა დავიწყე **1998 წლის 15 სექტემბერს**. **1999 წელს** ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოლნისის ფილიალში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. **2003 წელს** დავიწყე მუშაობა სკოლაში. **2004 წლის ზაფხულში** ვიყავი შანაკში „პატრიოტი“. ახლა ვმუშაობ ზოლნისის მეორე საშუალო სკოლაში, ვარ ქართული ენის მასწავლებელი.

ნ. მაისურაძე

* * *

- დილა მშვიდობისა!
- გამარჯობათ!
- მდივანი თქვენ ხართ?
- დიახ.
- მე **ორშაბათს** ვიყავი თქვენთან. თქვენ არ იყავით.
- დიახ, **ორშაბათს** შეხვედრა იყო სკოლაში. რა გინდათ?
- მე ანკეტა უნდა შევავსო.
- მე დაგეხმარებით. თქვენი სახელი და გვარი?
- თემურ ონიანი.
- როდის დაიბადეთ?
- **1975 წლის 30 სექტემბერს.**
- სკოლაში როდის შეხვედით?
- **1981 წლის შემოდგომაზე.**
- როდის დაამთავრეთ სკოლა?
- **1992 წელს.**
- უმაღლესში როდის შეხვედით?
- **1993 წელს.**
- როდის დაამთავრეთ?
- **1999 წელს.**
- **ორშაბათს 12 საათზე** მობრძანდით და ღირეპტორთან შეიტანეთ განცხადება და თქვენი ანკეტა.
- დიდი მადლობა.
- კარგად ბრძანდებოდეთ.
- ნახვამდის.

სამარჯობო

5.1. დაწერეთ თარიღი სიტყვიერად:

1. 1998. 17. 05 _____.
2. 2002. 5. 07 _____.
3. 1887. 15. 01 _____.
4. 2000. 20. 02 _____.
5. 1357. 7. 03. _____.
6. 1963. 30. 11 _____.
7. 1988. 31. 01 _____.
8. 1989. 27. 09 _____.
9. 1885. 15. 05 _____.
10. 1918. 17. 02 _____.

5.2. ჩასვით სწორი ფორმით:

1. _____ სკოლაში ვიყავი (ორშაბათი).
2. _____ სახლში ვიქნები (კვირა).
3. _____ თეატრში მივდივარ (შაბათი, 7 საათი).
4. _____ დაბადების დღეზე მივდივარ (ხუთშაბათი).
5. _____ ტელევიზორში კარგი ფილმია (ოთხშაბათი, 10 საათი).
6. მე დავიბადე _____ (თქვენი დაბადების წელი და დღე).
7. _____ დიდი არდადეგები მაქვს (ზაფხული).
8. _____ ბაკურიანში წავალ დასასვენებლად (ზამთარი).
9. _____ ახალი წელია (1 იანვარი).
10. სკოლაში მივდივარ _____. (8 საათი).

5.3. დაწერეთ, სად ხართ ამ დროს?

1. დილის 9 საათი: _____.
2. დილის 10 საათი: _____.
3. დღის 3 საათი: _____.
4. საღამოს 7 საათი: _____.
5. საღამოს 10 საათი: _____.

5.4. უპასუხეთ კითხვებს:

1. როდის დაიბადე? _____.
2. სად დაიბადე? _____.
3. სკოლაში როდის შეხვედი? _____.
4. როდის არის შენი ამხანაგის დაბადების დღე? _____.
5. რომელ წელს დაიბადა შენი ამხანაგი? _____.

5.5. დაწერეთ თქვენი ავტობიოგრაფია:

5.6. დასვით კითხვები:

- _____?
- თემურ ონიანი.
- _____?
- *1975 წლის 30 სექტემბერს.*
- _____?
- *1981 წლის შემოდგომაზე.*
- _____?
- *1992 წელს.*
- _____?
- *1993 წელს.*
- _____?
- *1999 წელს.*

5.7. დაუსვით კითხვები თქვენს ამხანაგს და დაწერეთ პასუხები მესამე პირის ფორმით:

1. რომელ წელს დაიბადა? _____
2. როდისაა დაბადების დღე? _____
3. როდის შევიდა სკოლაში? _____
4. სად იყო ზაფხულში? _____
5. სად იყო ზამთარში? _____

6. ღროის მიითითება (2)

როდის?

დილით / ორშაბათს დილით
ღამით / ოთხშაბათს ღამით
შუაღლისას / შაბათს შუაღლისას
საღამოს / კვირას საღამოს

კვირის დასაწყისში / ბოლოს
თვის დასაწყისში / ბოლოს
წლის დასაწყისში / ბოლოს

-იდან... -მდე/-ამდე

რვა საათიდან ათ საათამდე
ორშაბათიდან პარასკევიამდე
შვიდი იანვრიდან შვიდ თებერვლამდე
1980 წლიდან 1988 წლამდე

1. როდის?

- ზეგ დილით სად იქნები? – სახლში.
- გუშინწინ საღამოს სახლში იყავი? – არა, სახლში არ ვყოფილვარ, სტუმრად ვიყავი.
- ორშაბათს დილით სახლში იქნები? – არა, სკოლაში.
- როდის მიდიხარ თეატრში? – კვირას საღამოს.
- რას აკეთებ შაბათს საღამოს? – შაბათს მთელი დღე სახლში ვიქნები, გაკვეთილები არ მაქვს.
- ხუთშაბათს შუაღლისას თავისუფალი ხარ? სტუმრად წავიდეთ მარიკასთან. – არა, თავისუფალი არ ვარ, გაკვეთილი მაქვს.
- კვირას ღამით კარგი ფილმია ტელევიზორში. – მართლა? რომელ საათზე? – თორმეტის ნახევარზე იწყება.

2. როდის?

- კვირის დასაწყისში ძალიან ბევრი საქმე მაქვს, მთელი დღე სამსახურში ვიქნები.
- მოსკოვში თვის დასაწყისში წავალთ.
- კვირის ბოლოს სოფელში ვიქნები, დედასთან უნდა წავიდე.
- ამერიკიდან ვიზა მომივიდა და წლის ბოლოს წავალ.
- ამ თვის ბოლოს ახალ სამსახურს ვიწყებ.

3. -იდან ... -მდე

- ხვალ საღამოს შვიდი საათიდან ათ საათამდე გაკვეთილი მაქვს და არ მცალია.
- ზეგ სამიდან ოთხამდე ბიბლიოთეკაში ვიქნები და იქ მოდი.
- უნივერსიტეტში 1981 წლიდან 1986 წლამდე ვსწავლობდი, შენ რომელ წლებში სწავლობდი?
- ორშაბათიდან ხუთშაბათამდე დაკავებული ვარ, პარასკევს თავისუფალი ვარ.
- სექტემბრიდან ოქტომბრის დასაწყისამდე ქალაქში არ ვიქნები.

* * *

ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი დაიბადა 1840 წლის 9 ივნისს. პატარა აკაკი ექვს წლამდე იზრდებოდა სოფელ საგანეში. 1850 წლიდან 1859 წლამდე აკაკი სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, 1859 წლიდან 1862 წლამდე აკაკი პეტერბურგში იყო, 1862 წელს საქართველოში დაბრუნდა. 1870 წლამდე აკაკი ქუთაისში ცხოვრობდა. 1871 წლიდან აკაკი თავის ნაწარმოებებს ბეჭდავდა ჟურნალ „დროებაში“. 1912 წელს პოეტმა იმოგზაურა რაჭა-ლეჩხუმში. აკაკი წერეთელი გარდაიცვალა 1915 წლის 26 იანვარს სოფელ სხვიტორში. იგი დაკრძალეს თბილისში, მთაწმინდის პანთეონში.

* * *

- **ორშაბათს დილით** სად იქნები?
- **ორშაბათს ათი საათიდან ორ საათამდე** სკოლაში ვიქნები, გაკვეთილები მაქვს. შუადღისას სპორტულ დარბაზში მივდივარ, იქ **ოთხის ნახევრამდე** ვიქნები, მერე სახლში წავალ.
- საღამოს სახლში იქნები?
- **ხუთი საათიდან** სახლში ვიქნები. ექვს საათზე ჩემი ამხანაგი მოვა, ერთად უნდა ვიმეცადინოთ.
- **ღღის ბოლოს** გცალია?
- კი, მცალია, ალბათ **რვა საათამდე** ვიმეცადინებთ, მერე თავისუფალი ვიქნები.
- მე რვა საათზე მოვალ, ერთი საათი მცალია. **ცხრამდე** შენთან ვიქნები.
- კარგი. რა პრობლემაა?
- **სამშაბათიდან პარასკევამდე** სკოლაში არ ვყოფილვარ და დავალებები მითხარი.
- გინდა ერთად ვიმეცადინოთ?
- კარგი იქნება. როდის ვიმეცადინოთ?
- სამშაბათს **ხუთი საათიდან** სახლში ვიქნები, მოდი და ვიმეცადინოთ.
- ძალიან კარგი. **ხუთიდან** შენთან ვიქნები.
- გელოდები.



მე (არ) მცალია	ჩვენ (არ) გვცალია
შენ (არ) გცალია	თქვენ (არ) გცალიათ
მას (არ) სცალია	მათ (არ) სცალიათ

საპარჯიშოები

6.1. მოცემული ფორმებიდან ჩასვით წინადადებაში ერთ-ერთი:

1. _____ სახლში არ ვიქნები. (გუშინ / ხვალ)
2. _____ სკოლაში არ ვყოფილვარ. (გუშინწინ / ზევ)
3. _____ თავისუფალი ვარ. (გუშინ / დღეს)
4. _____ თეატრში კარგი სპექტაკლია. (დღეს / გუშინწინ)
5. _____ დილით სად იქნება შენი ძმა? (გუშინწინისწინ / მაზევ)
6. _____ მაღაზიაში ვიყავი და კარგი შარვალი ვიყიდე. (გუშინ / ხვალ)
7. _____ ორშაბათია. (გუშინ / დღეს)
8. _____ კვირა იყო და საღამოს კინოში ვიყავი. (გუშინ / ხვალ)
9. _____ საღამოს ჩემთან მოდი, ვიმეცადინოთ. (ხვალ / გუშინ)
10. დედა ბაზარში _____ იყო და ხილი იყიდა. (გუშინწინისწინ / ზევ)

6.2. შეცვალეთ საზგასმული ფორმა ნიმუშის მიხედვით:

1. ორშაბათს ძალიან დაკავებული ვარ. კვირის დასაწყისში დაკავებული ვარ.
2. შაბათს თავისუფალი ვარ. _____
3. 2 სექტემბერს ჩემი ამხანაგისაგან წერილი მივიღე. _____
4. იანვარში საზღვარგარეთ მივდივარ. _____
5. დეკემბერში თბილისში ვიქნები. _____
6. ორშაბათს და სამშაბათს ბიბლიოთეკაში ვიქნები. _____
7. 25 იანვრიდან ახალ სამსახურში ვიქნები. _____
8. ჩემი ნათესავი დეკემბერში ჩამოვა საქართველოში. _____
9. ორშაბათს დილით მოსკოვში ვიქნები. _____
10. თებერვალში ჩემი საბუთები მზად იქნება. _____

6.3. ჩასვით ფორმები ნიმუშის მიხედვით:

1. თორნიკე იაძე (1987-1989) 1987 წლიდან 1989 წლამდე ინგლისში ცხოვრობდა.
2. მარიამი (6-10საათი) _____ ჩემთან იქნება.
3. (ორშაბათი – ოთხშაბათი) _____ არ მცალია.
4. ამ სკოლაში ვსწავლობდი (1990-1995) _____
5. (7 საათი) _____ სახლში არ ვიქნები.
6. (მარტი – მაისი) _____ საზღვარგარეთ ვიქნები.
7. (ივნისი – ივლისის ბოლო) _____ შევებულება მაქვს და ქალაქში არ ვიქნები.
8. ხვალ ინგლისურის გაკვეთილი გაქვს? – კი, (3-5 საათი) _____

9. (5 საათი) _____ აუცილებლად მოვალე შენთან.
10. ამ დავალებას (სადამო) _____ დავწერ.

6.4. დაწერეთ, სად იყავით ამ დროს?

1. გუშინ 3-5 საათი _____
2. გუშინდინ დილა-სადამო _____
3. 2001-2003 წელი _____
4. ორშაბათი-ხუთშაბათი _____
5. სექტემბერი-დეკემბერი _____

6.5. მოცემულია ილია ჭავჭავაძის ცხოვრების წლები. შეადგინე ტექსტი:

დაიბადა 1837, 27. 10; 1848-1851 – სწავლობდა პანსიონში; 1852-1856 – თბილისის გიმნაზია; 1857-1861 – პეტერბურგის უნივერსიტეტში; 1873-მდე ცხოვრობდა დუშეთში, 1873-დან – თბილისში. 1886-დან გამოდიოდა გაზეთი „ივერია“, რედაქტორი. 1900-1901 – სამკურნალოდ იყო ევროპაში. 1907. 30. 08 გარდაიცვალა.

6.6. დაწერეთ თქვენი დღის განრიგი, გამოიყენეთ მოცემული ფორმები; დაწერეთ თქვენთვის მნიშვნელოვანი სხვა ინფორმაციაც:


დილის რვა საათი; დილის 9 საათი; დილის 10 საათი; შუადღისას 2 საათი, 2-4 საათი, 4-6 საათი, საღამოს 6 საათი, 7-9 საათი; 10 საათი; 11 საათი; 12 საათი;

6.7. დაწერეთ: სად იყავით, სად ხართ, სად იქნებით მოცემულ დროს?

გუშინ საღამოს, დღეს დილის 10 საათი, გუშინდინ საღამოს, ხვალ დილით, ზეგ შუადღისას, მაზეგ, გუშინდინისწინ, ნოემბერი, აგვისტო, თებერვალი, 2003-2004, 2008...

7. ღრმის მითითება (3)

შარშანწინისწინ – შარშანწინ – შარშან – წელს – ბაისად – მერმისს



1. როდის?

- ახალ წელს სახლში იქნები? – კო, ყოველთვის სახლში ვხვდები, ოჯახთან ერთად. მერე ამხანაგებთან მივდივარ. შენ სად იქნები ახალ წელს?
- აღდგომას თბილისში იქნები? – არა, აღდგომას ყოველთვის სოფელში მივდივართ მთელი ოჯახი.
- გიორგობას სად იქნები? – ალბათ სოფელში ვიქნები.
- შობას გიორგი სად ატარებს? – ეკლესიაში მიდის ამხანაგებთან ერთად.

2. რამდენ ხანში? / რა დროში?

- რამდენ ხანში დაიწყება ფილმი? – ერთ საათში.
- დედა, რამდენ ხანში მოხვალ? – მალე მოვალ, ხუთ წუთში აქ ვიქნები.
- სოფელში როდის მიდიხარ? – ერთ კვირაში წავალ.
- ამ წიგნს რამდენ ხანში წაიკითხავ? – ერთ კვირაში წავიკითხავ და მერე შენ მოგცემ.
- ეს სახლი ერთ წელიწადში აშენდება.
- ერთ თვეში გამოცდები იწყება.

3. რამდენი ხნით?


- ლონდონში დიდი ხნით მიდიხარ? – არა, სამი თვით მივდივარ.
- ათი წუთით გავალ და მალე მოვალ.
- სალომე ერთი წლით გერმანიაში იყო, იქ ის გიმნაზიაში სწავლობდა.
- ორი დღით ქუთაისში მივდივარ სემინარზე და ორშაბათს უკან დავბრუნდები.
- დიდი ხნით მიდიხარ თბილისში? – არა, ცოტა ხნით, ალბათ ორი დღით.
- ცოტა ხნით გავალ და მალე დავბრუნდები.



ერთ საათში მოვალ. – ერთი საათით გავალ და მალე მოვალ – ერთი საათის განმავლობაში არ ვიქნები.

* * *

შობა ძალიან მიყვარს. ყოველთვის მხიარული ვარ. შარშანწინ **შობას** გერმანიაში შევხვდი. იქ **ერთი წლით** ვიყავი სასწავლებლად. გერმანელებს ძალიან უყვართ შობა. მთელი ქალაქი ღამაზადაა მორთული. **ათი საათიდან** სუფრა იშლება. **თორმეტ საათზე** ერთმანეთს ულოცავენ და საჩუქრებს ჩუქნიან. ოჯახში ყველასთვის აქვთ საჩუქარი. **ახალ წელს** კი ფეიერვერკია.



საქართველოში ახალ წელს განსაკუთრებულად ხვდებიან. **ოცდათერთმეტ დეკემბერს** საღამოს სუფრა იშლება, ქართველები **რამდენიმე საათის განმავლობაში** სუფრასთან არიან. **თორმეტ საათზე** ერთმანეთს ულოცავენ. მერე მეკვლე მოდის. **თორმეტი საათიდან** ვინც პირველი მოვა, მეკვლე ის იქნება. **თორმეტი საათის** შემდეგ ახალგაზრდები **რამდენიმე საათით** მეგობრებთან მიდიან და ერთობიან. **შვიდ იანვრამდე** ახალი წლის ზეიმია, **შვიდ იანვარს** კი მართლმადიდებლური კალენდრით შობაა. **წინა ღამით** და **შობას** ეკლესიაში მიდიან.

* * *

- გამარჯობა, გიორგი, მე ალექო ვარ.
- როგორ ხარ, ალექო.
- კარგად, შენ?
- მეც არა მიშავს. **ცოტა ხნით** შენთან მოვალ, სახლში იქნები?
- **რამდენ ხანში** მოხვალ?
- **ერთ საათში**.
- ახლა **ცოტა ხნით** გავდივარ, **ნახევარ საათში** ალბათ სახლში ვიქნები და მერე მოდი.
- გუშინ სახლში არ იყავი?
- არა, **ერთი კვირით** სოფელში ვიყავი.
- **აღდგომას** სოფელში იყავი?
- ჰო, **აღდგომას** ყოველთვის სოფელში მივდივართ.
- კარგია სოფელში, **შარშან აღდგომას** მეც სოფელში ვიყავი, **წელს** კი - თბილისში.
- ჰო, კარგია სოფელში, **გაისად** ერთად წავიდეთ ჩემს სოფელში.
- კარგი.
- **როდის** მოხვალ ჩემთან?
- **ერთ საათში** ან **საათ-ნახევარში** მოვალ, შენ ამ დროს სახლში იქნები?
- ჰო, სახლში ვიქნები, გავალ და **ოც წუთში** ან **ნახევარ საათში** სახლში ვიქნები და გელოდები.
- აბა, კარგად, შეხვედრამდე.
- გელოდები.

ერთად წავიდეთ



სამარჯობები

7.1. ჩასვით სწორი ფორმა: საათზე, საათით ან საათში

1. როდის მიდის შენი მატარებელი? – (9 საათი) _____.
2. რამდენ ხანში დაიწყება ფილმი? – (20 წუთი) _____.
3. დირექტორი წავიდა? – არა, (ერთი საათი) _____ გავიდა და მალე მოვა.
4. სახლში მალე იქნები? – კი, (2 საათი) _____ ვიქნები.
5. ერთიანი ეროვნული გამოცდები როდის იწყება? – (ერთი თვე) _____ იწყება.
6. ანა თბილისშია? – არა, ამერიკაშია სასწავლებლად წასული (ერთი წელი) _____.
7. ახალციხეში სემინარზე მივდივარ (ორი დღე) _____ და შაბათ-კვირას ქალაქში არ ვიქნები.
8. რამდენ ხანში იქნები ბიბლიოთეკაში? – ალბათ მალე ვიქნები, მაქსიმუმ (ერთი საათი) _____.
9. მე შენთან ზუსტად (8 საათი) _____ მოვალ, სახლში იქნები?
10. (6 საათი) _____ კონცერტი იწყება.

7.2. მოცემულია პასუხები, დასვით კითხვები:

1. _____?
შარშან საფრანგეთში ვიყავი სამოგზაუროდ.
2. _____?
გერმანიაში ერთი თვით ვიყავი.
3. _____?
რვა საათზე თეატრთან ვიქნები.
4. _____?
გურამი სამსახურში ხვალ ათი საათიდან იქნება.
5. _____?
სამშაბათს სამსახურში ვიქნები.
6. _____?
ერთ საათში უკვე სკოლაში ვიქნები.
7. _____?
სკოლას გაისად ვამთავრებ.
8. _____?
ჩემი დაბადების დღე არის აპრილში.

9. _____?

ორშაბათიდან სკოლაში არ ვყოფილვარ.

10. _____?

კვირამდე თბილისში არ ვიქნები.

7. 3. დაასრულეთ ფორმები:

ორშაბათ..... 3 საათ.....; ორი საათ..... განმავლობაში; 1986 წელ.....; 1988 წელ.....; ორი წელ..... შემდეგ; ახალ წელ.....; 1987 წელ..... 5 ივნის.....; კვირ..... დასაწყის.....; თვ..... ბოლო.....; ხუთშაბათ..... დღე.....; შაბათ..... საღამო.....; კვირა..... შუადღის.....; გაზაფხულ.....; ზამთარ.....; ხუთი წუთ.....; სამ საათ.....; შემოდგომა.....

7. 4. ჩასვით შესაფერისი დროის ფორმები:

შობა ძალიან მიყვარს. ყოველთვის მხიარული ვარ. შარშანწინ _____ გერმანიაში შევხვდი. იქ _____ ვიყავი სასწავლებლად. გერმანელები შობას განსაკუთრებულად ხვდებიან. მთელი ქალაქი ღამაზადაა მორთული. _____ სუფრა იშლება. _____ ერთმანეთს ულოცავენ და საჩუქრებს ჩუქნიან. ოჯახში ყველასთვის აქვთ საჩუქარი. _____ კი ფეიერვერკია.

საქართველოში ახალ წელს განსაკუთრებულად ხვდებიან. _____ საღამოს სუფრა იშლება, ქართველები _____ სუფრასთან არიან. _____ ერთმანეთს ულოცავენ. მერე მეკვლე მოდის. _____ ვინც პირველი მოვა, მეკვლე ის იქნება. _____ შემდეგ ახალგაზრდები _____ მეგობრებთან მიდიან და ერთობიან. _____ ახალი წლის ზეიმი, _____ კი მართლმადიდებლური კალენდრით შობაა. _____ და _____ ეკლესიაში მიდიან.

7. 5. ჩასვით შესაფერისი დროის ფორმები (ნუ გაიმეორებთ მოცემული ტექსტის ფორმებს):

- გამარჯობა, გიორგი, მე ალექო ვარ.
- როგორ ხარ, ალექო.
- _____ მოხვალ?
- _____.
- ახლა _____ გავდივარ, _____ ალბათ სახლში ვიქნები და მერე მოდი.
- გუშინ სახლში არ იყავი?
- არა, _____ სოფელში ვიყავი.
- _____ სოფელში იყავი?
- ჰო, _____ ყოველთვის სოფელში მივდივართ.
- კარგია სოფელში, _____ მეც სოფელში ვიყავი _____, _____ კი თბილისში ვიყავი.

8. ქონა: I. მაძვს

მე მაძვს ... (უსულო საბანო)	
წიგნი რვეული	ჩანთა ტანსაცმელი

ბიორბი-ს აძვს წიგნი მარნიამ-ს არ აძვს რვეული

ახლანდელი დრო		წარსული დრო	
მე მაძვს	ჩვენ გვაძვს	მე მძონდა	ჩვენ გვძონდა
შენ ბაძვს	თქვენ ბაძვთ	შენ ბძონდა	თქვენ ბძონდათ
მას აძვს	მათ აძვთ	მას ჰძონდა	მათ ჰძონდათ

მომავალი დრო		წარსული შედეგობითი	
მე მიძნება	ჩვენ გვიძნება	მე (არ) მძონია	ჩვენ (არ) გვიძონია
შენ ბეძნება	თქვენ ბეძნებათ	შენ (არ) ბძონია	თქვენ (არ) ბძონიათ
მას ეძნება	მათ ეძნებათ	მას (არ) ჰძონია	მათ (არ) ჰძონიათ

1. ზმნა აძვს – ახლანდელი დრო

- რვეული *გაქვს*? – დიას, *მაქვს*.
- *გიორგის* რვეული *აქვს*? – არა, არ *აქვს*.
- დღეს ჩვენ ექვსი გაკვეთილი *გვაქვს*, შენ რამდენი გაკვეთილი *გაქვს*? – ჩვენ ხუთი გაკვეთილი *გვაქვს*, ორ საათზე სახლში ვიქნები.
- თქვენ ახალი წიგნები *გაქვთ*? – არა, ახალი წიგნები არ *გვაქვს*, ძველი წიგნები *გვაქვს*.
- *მოსწავლეებს* ახალი წიგნები *აქვთ*.

2. ზმნა აძვს – წარსული დრო

- გუშინ დრო არ *მძონდა* და ვერ დაგირეკე.
- დაბადების დღეზე რატომ არ იყავი? – საჩუქარი არ *მძონდა* და ვერ წავედი.
- ჩემს *ამხანაგს* ძველი კომპიუტერი *ჰძონდა* და გუშინ ახალი იყიდა, ძალიან კარგი კომპიუტერია.
- შენ ხომ *გძონდა* ვიდეოკამერა? – *მძონდა* და აღარ *მაქვს*, შარშან ზღვაზე ვიყავი და იქ დაგვარგე.
- შენს *მეზობლებს* რომ ციფრული ფოტოაპარატი *ჰძონდათ*, ზუსტად ისეთი მაჩუქა გუშინ ბიძაჩემმა.
- გუშინ სკოლაში კონცერტი *გძონდათ*? – ჰო, ძალიან კარგი კონცერტი *გეძონდა*.

3. ზმნა აძვს – მომავალი და წარსული შედეგობითი

- გამოცდა *გძონდა*? – არა, ჯერ არ *მძონია*, ორშაბათს *მექნება*.
- *გურამს* ვიდეო *აქვს*? – არა, ვკითხე და არ *ჰძონია*.

ჯერ არ არასოდეს (არ) არც	} მძონია
--------------------------------	----------

4. ნანამ მითხრა, შენ ვიდეოკამერა *გქონია*, მათხოვებ? – ვიდეოკამერა? არა, არ *მაქვს* და *არც მქონია*.
- მეგონა, რომ ეს წიგნი სახლში *მქონდა* და *არ მქონია*.

ჩვენი სკოლა

ჩვენ დიდი სკოლა *გვაქვს*. ის ყველაზე დიდია ქალაქში. სკოლას ერთი ცენტრალური შესასვლელი *აქვს*, ასევე *აქვს* პატარა შესასვლელი მეორე მხრიდან. კარგი შენობაა, მაგრამ ცუდი ისაა, რომ არა *გვაქვს* სპორტული დარბაზი. ახლა აშენებენ დიდ სპორტულ მოედანს და ახალ სასწავლო წელს უკვე ახალი და დიდი სპორტული მოედანი *გვექნება*. ჩვენი საკლასო ოთახი მეორე სართულზეა. საკლასო ოთახს სამი დიდი ფანჯარა *აქვს*.



კლასში *გვაქვს* დაფა, კარადა. კარადაში ბევრი წიგნია. კლასში ძალიან დიდი გლობუსიც *გვექონდა*, მაგრამ ახლა გეოგრაფიის კაბინეტშია. აი, საცურაო აუზი არც *გვექონია* და არც *გვაქვს*.

თქვენ როგორი სკოლა *გაქვთ*?

* * *

- გამარჯობა, ანა.
- გამარჯობა, ნინი.
- შენ სახლში ბევრი წიგნი *გაქვს*?
- კი, ბევრი წიგნი *მაქვს*, ბაბუაჩემს დიდი ბიბლიოთეკა *ქვონდა* და ბევრი ძველი და კარგი წიგნი *გვაქვს*.
- მართლა? ძალიან კარგი. ერთი წიგნი მინდა, თუ *გაქვთ*.
- რა წიგნია?
- დოსტოევსკის „საწყალი ადამიანები“.
- დოსტოევსკის ნაწარმოებების რამდენიმე ტომი *გვაქვს*, მამაჩემს ვკითხავ და თუ *გვაქვს*, გათხოვებ.
- ჩეხოვის ნოველები *გაქვთ*?
- რუსულად თუ ქართულად?
- ქართულად მეც *მაქვს*, რუსულად მინდა.
- *გვექონდა* და ჩემს მეგობარს ვათხოვე, ახლა სახლში არ *მაქვს*, მაგრამ მომავალ კვირაში *მექნება*.
- ტოლსტოის მოთხრობები?
- ტოლსტოის რომანები *გვაქვს*, მაგრამ მოთხრობები *არც გვექონია*.
- რომანები მეც *მაქვს*. მაშინ ნახე დოსტოევსკი და მათხოვე. ერთი კვირა *მექნება* და დაგიბრუნებ.
- კარგი.

საპარჯიშოები

8.1. შეარჩიეთ შესაფერისი ფორმა: *მაქვს, გაქვს, აქვს, გვაქვს, გაქვთ, აქვთ.*

1. დღეს რამდენი გაკვეთილი _____?
2. არა, დღეს არ მცალია, დრო არ _____.
3. თუ შეიძლება მითხარით, მაღაზიაში ახალი რა _____?
4. მობრძანდით ნახეთ, მაღაზიაში ბევრი ახალი საქონელი _____.
5. რა ლამაზი სახლი _____ კარინს, ძალიან მომწონს!
6. სახლში ქართული წიგნები ბევრი _____?
7. პატარა ანას თავისი ოთახი _____ და მასში ძალიან ბევრი სათამაშოა.
8. ჩემს მეზობლებს ძალიან დიდი და კარგი სახლი _____.
9. ჩანთაში რა _____? ძალიან მძიმეა.
10. მე სოფელში პატარა სახლი _____, მაგრამ ჩემზე დიდი ვენახი არავის _____.

8.2. ჩასვი ზმნა სწორი დროის ფორმით:

1. დღეს დრო ნამდვილად არ _____, მაგრამ ხვალ _____ და ერთად წავიდეთ მაღაზიებში.
2. გუშინ დრო ნამდვილად არ _____ და ვერ დავრეკე გურამთან.
3. შარშან მესხეთში ვიყავით, მაშინ ვიდუკამერაც _____ და ბევრი კარგი ადგილი გადავიდეთ.
4. შენ კომპიუტერი _____ სახლში? არა, ახლა არ _____.
5. მე ძველი კომპიუტერი _____ და ახლა ახალი ვიყიდე.
6. ტოლსტოის მოთხრობები _____? არა, ბევრი ვეძებ და არ _____, მე კი მეგონა _____.
7. როდის _____ დიდი არდადეგები?
8. თუ ხვალ დრო _____, ერთად წავიდეთ თეატრში, ბილეთები _____.
9. ძველი პალტო _____ და დღეს აი ეს ვიყიდე, კარგია?
10. დავალება რა _____? არ _____.

8.3. დააღაგეთ ზმნები ერთი დროის ფორმებად, მოცემული არ არის სამი ფორმა,

გამოიცანით რომელი ფორმებია ეს და დაწერეთ ისინი ცალკე ხაზზე:

მქონდა, გაქვს, გექნება, არ გქონია, ჰქონდა, აქვს, გვქონდა, მექნება, არ გქონიათ, გაქვთ, ჰქონდათ, არ ჰქონიათ, გექნებათ, გქონდა, ექნება, გვაქვს, გქონდათ, გვექნება, არ მქონია, ექნებათ, აქვთ, არ ჰქონია.

ახლანდელი დრო _____

წარსული დრო _____

მომავალი დრო _____

წარს. შედეგ. _____

გამოტოვებულია: _____

8.4. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ფორმების გამოყენებით:

მაქვს: _____

მქონდა: _____

აქვს: _____

არ მქონია: _____

მექნება: _____

გქონდათ: _____

გაქვს: _____

არ ჰქონია: _____

გვექნება: _____

გაქვთ: _____

8.5. ჩასვით გამოტოვებული ზმნები:

- გამარჯობა, ანა.
- გამარჯობა, ნინი.
- შენ სახლში ბევრი წიგნი _____?
- კი, საკმაოდ ბევრი წიგნი _____, ბაბუაჩემს დიდი ბიბლიოთეკა _____ და ბევრი ძველი და კარგი წიგნი _____.
- მართლა? ძალიან კარგი. ერთი წიგნი მინდა, თუ _____.
- რა წიგნია?
- დოსტოევსკის „საწყალი ადამიანები“.
- დოსტოევსკის ნაწარმოებების რამდენიმე ტომი _____, მამაჩემს ვკითხავ და თუ _____, გათხოვებ.
- ჩეხოვის ნოველები _____?
- რუსულად თუ ქართულად?
- ქართულად მეც _____, რუსულად მინდა.
- _____ და ჩემს მეგობარს ვათხოვე. ახლა სახლში არ _____, მაგრამ მომავალ კვირაში _____ და გათხოვებ.
- ტოლსტოის მოთხრობები?
- ტოლსტოის რომანები _____, მაგრამ მოთხრობები **არც** _____.
- რომანები მეც _____. მაშინ ნახე დოსტოევსკი და მათხოვე. ერთი კვირა _____ და დაგიბრუნებ.
- კარგი.

9. ყოლა: 1. მყავს

მე მყავს ... (სულიერი არსება)	
დედა	ძმა
მამა	ბაღლი
ჩიტი	

ბიორბი-ს ჰყავს მამა მარიამ-ს არა ჰყავს ბაღლი

ახლანდელი დრო		წარსული დრო	
მე მყავს	ჩვენ გვყავს	მე მყავდა	ჩვენ გვყავდა
შენ გყავს	თქვენ გყავთ	შენ გყავდა	თქვენ გყავდათ
მას ჰყავს	მათ ჰყავთ	მას ჰყავდა	მათ ჰყავდათ

მომავალი დრო		წარსული შედეგობითი	
მე იმყოფება	ჩვენ გვიმყოფება	მე (არ) იმყოფილა	ჩვენ (არ) გვიმყოფილა
შენ იმყოფება	თქვენ იმყოფებით	შენ (არ) იმყოფილა	თქვენ (არ) იმყოფილათ
მას იმყოფება	მათ იმყოფებით	მას (არ) იმყოფილა	მათ (არ) იმყოფილათ

1. ჰყავს – ახლანდელი დრო

- ანა, შენ მამიდა *გყავს*? – დიახ, *მყავს*.
- გიორგის დედა *ჰყავს*? – არა, არ *ჰყავს*, მას ორი მამიდა *ჰყავს*.
- მე სახლში ძაღლი *მყავს* და იმ ძაღლს ორი ლეკვი *ჰყავს*.
- მართალია, შენ სახლში ჩიტები *გყავს*? – ჰო, თუთიყუშები *მყავს*, მამანქმმა მიყიდა ზოომადახიაში.
- ჩემს *მეზობლებს* ძალიან კარგი ჯიშის ძაღლი *ჰყავთ*. – რომელი ჯიშის? – კავკასიური ნაგაზი.

2. ჰყავს – წარსული დრო

- პატარა რომ ვიყავი, ძაღლი *მყავდა*, ტესი ერქვა.
- სკოლაში ქართულის ძალიან კარგი მასწავლებელი *მყავდა* და ქართული კარგად ვიცდი.
- ბავშვობაში ერთი მეგობარი *მყავდა*, ის მოსკოვში წავიდა და ახლა იქ ცხოვრობს.
- ორი წლის წინ ჩემს ბიძაშვილს თუთიყუში *ჰყავდა*, კოკო, ძალიან ჭკვიანი იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ გაფრინდა.
- მე და ჩემს ძმას ერთი ძაღლი *გვყავდა* ეზოში, ბეთხოს ვეძახდით.
- ჩემს მეგობარს მამა არ *ჰყავდა* და დედაჩემი ყოველთვის ეხმარებოდა მის ოჯახს.

3. ჰყავს – მომავალი, წარსული შედეგობითი

- იცი, ცოტა ხანში ლეკვი *იმყოფება*, ჩემს მეგობარს ძაღლი *ჰყავს*, როცა იმას ლეკვები *ეყოლება*, ერთს მე მახუქებს.
- ნინო, შვილი როდის *გეყოლება*? – ორ თვეში.
- როცა ჩვენს შვილებს ოჯახები *ეყოლებათ*, ისინი აუცილებლად ცალკე იცხოვრებენ.
- თქვენ *გყავთ* ან *გყავდათ* ცხოველი ან ფრინველი სახლში? – არა, არასოდეს არ *გვეყოლია* არც ცხოველი და არც ფრინველი.
- არასოდეს არ *იმყოფილა* ძაღლი და ძალიან მინდა.

* * *

მე დიდი ოჯახი *მყავს*. *მყავს* დედა, მამა, ორი და და ერთი ძმა. ჩემს ძმას ცოლი *ჰყავს* და მალე შვილი *ეყოლება*. ჩემს დას ქმარი და ორი შვილი *ჰყავს*. უმცროსი და გათხოვილი არაა, მაგრამ *ჰყავს* საქმრო. *მყავს* ერთი მამიდა, რომელიც ჩვენთან ცხოვრობს, მას თავისი ოჯახი არასოდეს *არ ჰყოლია*. მალე ჩვენს ოჯახს კიდევ ერთი წევრი *ეყოლება*: ჩემი დის ქმარი.



შინაური ცხოველები? დიას, *გვეყავდა* ძაღლი ბიმი, რომელიც ახლა აღარ *გვეყავს*. ის სოფელშია ბებიასთან. მე კიდევ *მყავდა* ჩიტი და ზაზუნა. სხვა ფრინველი ან ცხოველი არასოდეს *არ მყოლია*.
თქვენ ვინ და რა *გყავთ* ოჯახში?

* * *

- თქვენი სკოლა დიდია?
- დიას, ქალაქში ყველაზე დიდი სკოლაა.
- რამდენი მოსწავლე *გყავთ*?
- რვაასი მოსწავლეა სკოლაში.
- მეთერთმეტეკლასელი რამდენი *გყავდათ*?
- 42 მეთერთმეტეკლასელი იყო.
- პირველკლასელი რამდენი *გეყოლებათ* წელს?
- წელს 38 პირველკლასელი *გვეყოლება* ორ კლასში.
- რამდენი მასწავლებელი *გყავთ* სკოლაში?
- სკოლაში სულ 32 თანამშრომელია.
- კლასში საშუალოდ რამდენი მოსწავლე *გყავთ*?
- არასოდეს *არ გვეყოლია* კლასში ოცდახუთ მოსწავლეზე მეტი, ჩვენს სკოლაში ასეთი წესი გვაქვს.



საკვარჯიშოები

9.1. ჩასვით შესაფერისი პირის ფორმები: *მყავს, გყავს, ჰყავს, გვეყავს, გყავთ, ჰყავთ.*

1. შენ სახლში კატა _____ თუ ძაღლი? – ორივე _____.
2. ჩვენ ქართულში ახალი მასწავლებელი _____.
3. რამდენი მოსწავლე _____ კლასში?
4. რუსუდანს ვინ _____ ოჯახში?
5. ჩვენ კარგი დირექტორი _____ და ყველა პრობლემას ის მოაგვარებს.
6. შოთას კარგი ჯიშის ძაღლი _____.
7. არა, კატა არ მიყვარს და არც არასდროს _____.
8. შენ მამიდა _____? არა, არ _____.
9. მეხუთე სკოლის თანამშრომლებს ახალი დირექტორი _____ და ძალიან კმაყოფილები არიან.
10. სტუდენტურ ორგანიზაციას ახალი პრეზიდენტი _____.

9.2. ჩასვი ზმნა სწორი დროისა და პირის ფორმით:

1. გუშინ სტუმარი _____ და ამიტომ ვერ დაგირეკე.
2. შენ ხომ თუთიყუში _____, ახლა აღარ _____?
3. მალე ზურაბს ოჯახი _____ და ისინი საცხოვრებლად სხვაგან გადავლენ.
4. აღას ქმარი არასოდეს არ _____, ის ყოველთვის მარტო ცხოვრობდა.
5. ნანა და გოგი უკვე ორი წელია დაქორწინებული არიან, მაგრამ შვილი ჯერ არ _____.
6. მომავალ წელს ჩვენ ქართულში ახალი მასწავლებელი _____.
7. ჯონი ძალიან კარგი ადამიანია, მეგობრებიც _____ და ისინი დაეხმარებიან, თუ რაიმე პრობლემა იქნება.
8. მერაბს ცოლი და სამი შვილი _____.
9. ჩემს ოჯახს ძალიან უყვარს ცხოველები და სულ _____ ძაღლი, კატა, ერთხელ კურდღელიც _____, მაგრამ მერე არასოდეს არ _____ კურდღელი.
10. და და ძმა _____? – დიახ, ერთი და და ორი ძმა _____.

9.3. დააღაგეთ ზმნები ერთი დროის ფორმებად, მოცემული არ არის ხუთი ფორმა, გამოიცანით, რომელი ფორმებია ეს და დაწერეთ ისინი ცალკე ხაზზე:

გყავდათ, მყავს, არ ჰყოლიათ, ჰყავდა, ეყოლება, გვეყავს, ჰყავდათ, გეყოლებათ, არ მეოლია, გყავდა, გყავს, გვეყოლება, არ გყოლია, არ ჰყოლიათ, გყავთ, მყავდა, ჰყავს, მეყოლება, არ გყოლიათ.

ახლანდელი დრ. _____
წარსული დრ. _____
მომავალი დრ. _____
წარს. შედეგ. _____
გამოტოვებულია: _____

9.4. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ფორმების გამოყენებით:

მყავს _____.
ჰყავთ _____.
არ მყოლია _____.
ეყოლებათ _____.
გვყავდა _____.
გეყოლება _____.
ჰყავდა _____.
გვეყოლება _____.
არ გყოლია _____.
გყავდა _____.

9.5. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ფორმებით და ჩასვით ისინი სწორ ფორმაში, გამოიყენეთ ჰყავს ზმნა:

1. გურამი / მასწავლებელი / მათემატიკა / ახალი
_____.
2. ბებია / შვილიშვილი / ცხრა
_____.
3. ჩემი / ძმა / მეგობრები / ძალიან / კარგი
_____.
4. შენი / მეზობელი / რამდენი / შვილი
_____?
5. სალომე / ბიძაშვილი / პატარა / შვილი
_____.

10. მყავს – მაქვს

მყავს – ადამიანი, ცხოველი, ფრინველი, მწერები... მანქანა, ველოსიპედი,
თვითმფრინავი, მოტოციკლი... კაბერი, ბეჭი, ნაჭი....
(მყავს + გადაადგილების საშუალებები)

მაგრამ:

სარეცხი მანქანა მაქვს.

1.

- *ველოსიპედი გყავს?* – *მყავს*, ერთი კვირაა ვიყიდე.
- გივის კარგი *მანქანა ჰყავს*, ცნობილი მარკის და ახალი.
- ზოგ ამერიკელ ბიზნესმენს საკუთარი *თვითმფრინავი ჰყავს*.
- ზურას კარგი *მოტოციკლი ჰყავს*.
- ჩემს ნათესავს პატარა *კატერი ჰყავს*.
- შენ რა *მანქანა გყავს?* – ფორდი.

2.


- ბავშვობაში ერთი *ველოსიპედი მყავდა*, ის რომ დაიმტვრა, მერე აღარც *მყოლია*.
- ისინი ძალიან მდიდრები არიან, ორი *მანქანა ჰყავთ*, დიდი საკუთარი *სახლი აქვთ* თბილისში და აგარაკი თბილისთან ახლოს.
- სარეცხი მანქანა *გაქვს?* – ძველი სარეცხი მანქანა *მქონდა* და სულ ორი დღეა ახალი ვიყიდე.

<i>ჯერ არ მყავს</i>	მაგრამ:	<i>არასოდეს არ მყოლია</i>
<p><i>ჯერ არ მყავს</i> = აქამდე, ამ დრომდე არ მყავს, მაგრამ მომავალში შეეძლება;</p> <p><i>არასოდეს არ მყოლია</i> = არც წარსულში და არც ახლა არ მყავს.</p>		

3.

- მანქანა *ჯერ არ მყავს*, მაგრამ მალე *შეეძლება*.
- საკუთარი მანქანა *გყავს* ან *გყავდა?* – არა, არც *მყავს* და არც *არასოდეს მყოლია*.
- ველოსიპედი *მყავდა*, მაგრამ მანქანა *არასოდეს არ მყოლია*.
- შვილი *გყავთ?* – არა, *ჯერ არ გეყავს*.
- გათხოვილი ხართ? – არა, ქმარი *არასოდეს არ მყოლია*.
- ველოსიპედი არც *არასოდეს მყოლია* და არც *შეეძლება*, ველოსიპედის ტარება არ ვიცი.
- თვითმფრინავი? *არც მყავს*, არც *არასოდეს მყოლია* და *არც შეეძლება*, მე ხომ მილიონერი არა ვარ?!

* * *



შენ მოხვოვ, რომ მოგწერო ყველაფერი ჩემ შესახებ და ახლა გწერ. მე ვცხოვრობ საქართველოში, საქართველოს ერთ პატარა და ძალიან ლამაზ კუთხეში – აჭარაში. საკუთარი ოჯახი არა **მყავს**, მაგრამ **მყავს** დიდი ოჯახი: დედა, მამა, ერთი ძმა და ორი და. უფროს ძმას ცალკე ოჯახი **ჰყავს** და ცალკე სახლი **აქვს** ჩვენთან ახლოს. და გათხოვილია, თავისი ოჯახი **ჰყავს** და ბათუმში

ცხოვრობს. მე ჩემს მშობლებთან და პატარა დასთან ერთად ვცხოვრობ ბათუმთან ახლოს, გონიოში. **გვაქვს** დიდი სახლი, **გვყავს** ორი მანქანა, ერთი მამაჩემს **ჰყავს**, ანუ ოჯახისაა, მეორე კი ჩემია. მე ასევე **მყავს** კატერი, რომელიც ძალიან მიყვარს, ზაფხულში ხშირად გავდივარ ზღვაში, კატერით ზღვაში სეირნობა ჩემი ჰობია. ცოლი **არახოდებს მყოლია**, მაგრამ იმედი **მაქვს**, **მეყოლება**.

შენ მეკითხები, შინაური ცხოველები თუ მიყვარს და რა **მყავს**: კი, ძალიან მიყვარს ცხოველები. სახლში **გვყავს** ორი ძაღლი, ერთი კოკერ-სპანიელი, მეორე პატარა – რა ჯიშია, არ ვიცი... კიდევ მე და ჩემს დას **გვყავს** ორი თუთიყუში. მამაჩემს **ჰყავს** შვიდი კურდღელი, ძალიან უყვარს მათი მოვლა. პატარა რომ ვიყავი, კუ **მყავდა**, ძალიან მიყვარდა, ჩემმა ნათესავმა მახუჭა, მერე ეს კუ დაიკარგა, არ ვიცი სად წავიდა. ძალიან მიყვარდა ეს კუ. **გვყავს** ძროხა, რომელსაც დედაჩემი უვლის, ამიტომ სახლში ყოველთვის **გვაქვს** რძე და რძის ნაწარმი: ყველი, ხაჭო, ნადული, კარაქი... მამაჩემს ასევე **ჰყავს** ცხენი, ადრე ორი ცხენი **ჰყავდა**, მაგრამ ახლა ერთი **ჰყავს**. იმ ცხენით მთაში დადის. **გვაქვს** ციტრუსების დიდი ბაღი. ესაა და ეს...

აი, მოგწერე ჩემ შესახებ, ახლა შენ მომწერე შენ შესახებ.

ლექსო გონიოდან

* * *

- ანკეტა უნდა შევავსოთ.
- დიახ, გისმენო.
- მეუღლე **გყავთ?**
- დიახ, **მყავს**.
- შვილები?
- **მყავს** ორი შვილი.
- გადაადგილების რა საშუალება **გყავთ?**
- **მყავს** ფოლცვაგენის მარკის მანქანა.
- კერძო სახლი **გაქვთ?**
- კერძო სახლი **გვქონდა**, გაყვიდეთ, ახლა ბინა **მაქვს**.

სამარჯობოები

10.1. დაუკავშირეთ: ჰყავს თუ აქვს?

კარადა
ძაღლი
ავტომობილი
სურათი
კომპიუტერი
სარკე
ტელევიზორი
წამალი
რვეული
მამიდა
საათი
სარეცხი მანქანა



10.2. ჩასვით შესაფერისი ფორმა:

1. სარეცხი მანქანა ჯერ არ _____, მალე ვიყიდი.
2. ჩიტი სახლში არასოდეს არ _____.
3. კატერი არც _____ და არც არასოდეს _____.
4. ასეთი კარგი გადაცემა არასოდეს არ _____ ამ ტელევიზიას.
5. მაგნიტოფონი _____ სახლში? – არა, ჯერ არ _____.

10.3. მოცემული ნიმუშის მიხედვით შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: მე მყავს ძაღლი, მაგრამ არასოდეს (არ) მყოლია კატა.

1. ველოსიპედი _____ მაგრამ _____ მანქანა.

-
2. სარეცხი მანქანა _____ მაგრამ _____ კომპიუტერი.

-
3. კატა _____ მაგრამ _____ თუთიყუში.

-
4. დეიდა _____ მაგრამ _____ მამიდა.

-
5. მაგნიტოფონი _____ მაგრამ _____ ვიდეოკამერა.
-

10.4. შეადგინეთ წინადადებები მოცემული სიტყვებით:

ნიმუში: ჩემს მეგობარს კარგი ტელევიზორი აქვს.

1. ველოსიპედი _____
2. გრძელი თმები _____
3. ძმა _____
4. კარგი ხასიათი _____
5. საწერ-კალამი _____

10.5. დასვით კითხვები: ნიმუში: ძმა გყავს?

_____	_____
_____	_____
_____	_____

10.6. დაწერეთ თქვენ შესახებ: (ნიმუში: მოცემული ტექსტი)

10.7. შეადგინეთ დიალოგი თქვენს მეწვეილესთან ერთად (ანკეტის ან სხვა ფორმით)

_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____

11. სასურველი მოქმედება.

მინდა	ნეტა(ვ)
ძალიან მინდა ძალიან მყავდეს! ნეტა კომპიუტერი მქონდეს!	

მე მინდა შენ ბინდა მას უნდა (ოს)	ჩვენ გვინდა თქვენ ბინდათ მათ უნდათ
---	--

მე მქონდეს შენ გქონდეს მას ჰქონდეს (ოს)	ჩვენ გვქონდეს თქვენ გქონდეთ მათ ჰქონდეთ	მე მყავდეს შენ გყავდეს მას ჰყავდეს (ოს)	ჩვენ გვყავდეს თქვენ გყავდეთ მათ ჰყავდეთ
--	---	--	---

ციფრული ფოტოაპარატი რომ მქონდეს, ბევრ სურათს გადავიღებდი.
მანქანა რომ მყავდეს, უხეივთ არ ვივლიდი.

1.
 - მინდა საკუთარი სახლი მქონდეს!
 - მინდა ბევრი ფული მქონდეს!
 - მინდა დიდი სახლი გვექონდეს!
 - მინდა დედაჩემს კარგი სამზარეულო ჰქონდეს!
 - ნეტავ დეიდა ან მამიდა მყავდეს, არავინ არ მყავს.
 - ნეტავ მანქანა მყავდეს!

2.
 - ძალიან მინდა, რომ კომპიუტერი მქონდეს!
 - ყველაზე ძალიან რა გინდა გქონდეს? დაბადების დღეზე გაჩუქებ. – ყველაზე ძალიან მინდა მყავდეს ძალი!
 - ძალიან მინდა სახლში თევზები მყავდეს.

3.
 - პატარა ანის ძალიან უნდა, რომ თუთიყუში ჰყავდეს.
 - სალომეს ძალიან უნდა ლამაზი კაბა ჰქონდეს.

4.
 - რა კარგი იქნებოდა, გიორგის რომ ჩვენთან ახლოს სახლი ჰქონდეს!
 - რა კარგი იქნებოდა, მანქანა რომ მყავდეს!
 - რა კარგი იქნებოდა, დიდი სახლი რომ გვექონდეს!
 - რა კარგი იქნებოდა, სამსახური და დიდი ხელფასი რომ მქონდეს!

5.
 - მე რომ მანქანა მყავდეს, ბევრს ვიმოგზაურებდი და მთელ საქართველოს ვნახავდი.
 - თქვენ რომ ვიდუღაპარატი გქონდეთ, წვეულებას გადავიღებდი.
 - მაიას რომ სარეცხი მანქანა ჰქონდეს, სარეცხს ხელით არ გარეცხავდა.
 - მე რომ ველოსიპედი მყავდეს, იმით ვისეირნებდი.
 - შენ რომ ჭკუა გქონდეს, ენებს ისწავლიდი.
 - ჩვენ რომ ფული გვექონდეს, საკუთარ სახლს ვიყიდდით და იქ ვიცხოვრებდით.
 - მე რომ ფული მქონდეს, საზღვარგარეთ უნივერსიტეტში ვისწავლიდი.

მინდა	ვიყო	ვიყოთ
მსურს	იყო	იყოთ
ნეტავ	იყოს	იყვნენ

მინდა	მყავდეს
მსურს	მქონდეს
ნეტავ	ვიყო

* * *

თქვენ მეკითხებით, რაზე ვოცნებობ? ბევრი ოცნება მაქვს: ძალიან მინდა დიდი ოჯახი *მყავდეს* და ყველა ერთად *ვცხოვრობდეთ*. მინდა დიდი სახლი *მქონდეს*, ამ სახლს წინ დიდი ბაღი *მქონდეს*, ბაღში კი უამრავი ლამაზი ყვავილი *იყოს*. სახლში რამდენიმე საძინებელი მინდა *მქონდეს*, სტუმრები რომ მეყოლებოდა, ყველას თავისი ოთახი *მქონდეს*. ავეჯი? ძალიან ბევრი ავეჯი არ მინდა *მქონდეს*, მაგრამ კომფორტული და მოხერხებული მინდა *იყოს*. კიდევ მინდა ორი მანქანა *მყავდეს* – ერთი ჯიპი, რომლითაც ყველგან ვივლი და მეორე პატარა მანქანა, კაბრიოლეტი, ზაფხულში ღია მანქანით სეირნობა ძალიან მომწონს. მინდა *მყავდეს* ერთგული ძაღლი, რომელსაც თავისი პატარა სახლი *ექნება*. კიდევ ძალიან მინდა და *მყავდეს*, ჩემზე ერთი წლით უფროსი ან უმცროსი, ბევრი საერთო მეგობარი *გყავდეს* და დროს ერთად *ვატარებდეთ*.

აი, ჩემი ოცნება... რა კარგი იქნებოდა, ყველაფერი ეს რომ მართლა *მქონდეს*...




ყველაზე მეტად...

- ყველაზე მეტად რა გინდა?
- მინდა უფროსი ძმა *მყავდეს*...
- გინდა, ბევრი ფული *გქონდეს*?
- მინდა.
- რას *იზამდი*, ბევრი ფული რომ *გქონდეს*?
- ყველა ჩემს ახლობელს *მივცემდი*, კარგ მანქანას *ვიყიდდი*.
- რას *იზამდი*, კარგი მანქანა რომ *გყავდეს*?
- ბევრს *ვიმოგ ზაურებდი*.
- რას *ნახავდი*?



- მთელ ევროპას *ვნახავდი*, ვიდეოკამერას *ვიყიდდი*, ვიდეოთი ფილმებს გადავიღებდი და ყველას *ვაჩვენებდი*, ვისაც სამოგზაუროდ წასვლა არ შეუძლია.

- კიდევ რა გინდა *გქონდეს*?
- დიდი სახლი მინდა *მქონდეს* ზღვის ნაპირას....
- შენ რა გინდა *გქონდეს* ან *გყავდეს*?



სამარჯობები

11.1. ჩასვით მყავს, გყავს ზმნების შესაფერისი ფორმები:

1. ძაღლი _____ ? – არა, მაგრამ ძაღლიან მინდა _____.
2. მანქანა _____ ? – არა, ძაღლიან მინდა _____.
3. არ გინდა ახალი სარეცხი მანქანა _____ ?
4. ფული რომ _____, დიდ სახლს ვიყიდდი.
5. და _____, მაგრამ ძაღლიან მინდა უფროსი ძმა _____.

11.2. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ნიმუშის მიხედვით. გამოიყენეთ მოცემული ფორმები: *ნიმუში: რა კარგი იქნებოდა, აგარაკი რომ მქონდეს.*

ვიდეოკამერა:

_____.

კომპიუტერი:

_____.

ბევრი ფული:

_____.

ჭურჭლის სარეცხი მანქანა:

_____.

დიდი და კომფორტული ბინა:

_____.

11.3. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ნიმუშის მიხედვით. გამოიყენეთ მოცემული ფორმები:

ნიმუში: მე რომ სტუდენტი ვიყო, კარგად ვისწავლიდი.

მასწავლებელი – ვასწავლიდი

_____.

მდიდარი – ვიმოგზაურებდი

_____.

რეჟისორი – _____ზე ფილმს გადავიღებდი

_____.

მწერალი – _____ზე წიგნს დავწერდი

_____.

ჟურნალისტი – პრეზიდენტისგან ინტერვიუს ავიღებდი

_____.

11.4. მესამე საგარჯიშოს წინადადებები გადაიყვანეთ მესამე პირში:

ნიმუში: გიორგი რომ სტუდენტი იყოს, კარგად ისწავლიდა.

11.5. დაწერეთ, თქვენ რაზე ოცნებობთ:

11.6. შეადგინეთ დიალოგი თქვენს მეწყვილესთან ერთად:

ყველაზე მეტად რა გინდა?

12. ცოდნა: ვიცი

ახლანდელი ღრო

მე ვიცი	ჩვენ ვიცით
შენ იცი	თქვენ იცით
მან იცის	მათ იციან

წარსული ღრო

მე ვიცოდი	ჩვენ ვიცოდით
შენ იცოდი	თქვენ იცოდით
მან იცოდა	მათ იცოდნენ

მომავალი ღრო:

მე გეცოდინება	ჩვენ გვეცოდინება
შენ გეცოდინება	თქვენ გეცოდინებათ
მას ეცოდინება	მათ ეცოდინებათ

წარსული შედეგობითი:

მე (არ) მცოდნია	ჩვენ (არ) გვეცოდნია
შენ (არ) გცოდნია	თქვენ (არ) გცოდნიათ
მას (არ) სცოდნია	მათ (არ) სცოდნიათ

სასურველი:

ნებას

მინდა

მე ვიცოდე	ჩვენ ვიცოდეთ
შენ იცოდე	თქვენ იცოდეთ
მან იცოდეს	მათ იცოდნენ

გიორგიმ იცის ინგლისური, *მარიამმა იცის* გერმანული.

გიორგიმ იცოდა ინგლისური, *მარიამმა იცოდა* გერმანული.

გიორგის ეცოდინება ინგლისური, *მარიამს ეცოდინება* გერმანული.

გიორგის კარგად *არ სცოდნია* ინგლისური, *მარიამს არ სცოდნია* გერმანული.

ნეტავ *მარიამმა იცოდეს* ინგლისური, ნეტავ *გიორგიმ იცოდეს* გერმანული.

1.

- მე ინგლისური კარგად არ *ვიცი*, ახლა ვსწავლობ და ორ წელიწადში კარგად *მეცოდინება*.
- რომელი ენები *იცი*? – *ვიცი* ქართული, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული და ინგლისური; გერმანული კარგად არ *ვიცი*.
- ახალი ამბავი *იცი*? – არა, არ *ვიცი*.

2.

- *დედამ იცის*, რომ ხვალ სკოლაში კრება მაქვს?
- *მამამ არ იცის*, მე რომ მოვედი?
- *გიგამ* კარგად *იცის რუსული*.
- *ჩემმა ბიძაშვილმა* ძალიან გემრიელი ნამცხვრების გამოცხობა *იცის*.

3.

- გუშინ გაკვეთილი არ *ვიცოდი*, ავად ვიყავი და ვერ ვისწავლე.
- *ლეილამ* არ *იცოდა*, მე რომ ვიდეოკამერა მქონდა.
- *იცოდი*, მე რომ სახლში არ ვიყავი? – არა, არ *ვიცოდი*.
- როდის *გეცოდინება*, სოფელში მიდიხარ თუ არა? – ხვალ.
- ნეტავ ინგლისური *ვიცოდე*, სასწავლებლად საზღვარგარეთ წავიდოდი და კარგ განათლებას მივიღებდი.

4.

- მე მეგონა, რომ შენზე ყველაფერი *ვიცოდი*, მაგრამ ბევრი რამ *არ მცოდნია*.
- შენი მისამართი *არ სცოდნია გურამს* და წერილი ვერ გამოგიგზავნა.


მოსწავლემ არ იცის რუსული

ის – მან

სტუდენტმა იცის რუსული

* * *

ჩვენს კლასში ოცი მოსწავლეა. ძალიან კარგი კლასი გვყავს. ვსწავლობთ ორ უცხო ენას – ინგლისურს და გერმანულს. კლასში სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეები ვართ და ყველამ რამდენიმე ენა იცის. აი, ალბერტი. ის სომეხია. მან კარგად იცის სომხური, იცის



ქართული, რუსული, ახლა ინგლისურს და გერმანულს სწავლობს, მაგრამ ინგლისური და გერმანული ალბერტმა ჯერ კარგად არ იცის. ფატიმა აზერბაიჯანელია, მან კარგად იცის აზერბაიჯანული, კარგად იცის რუსული, ინგლისური და გერმანული არც მან იცის კარგად.

ჩვენი კლასის მოსწავლეები კარგად სწავლობენ: მარინამ კარგად იცის გეოგრაფია, არტურმა კარგად იცის მათემატიკა; ალიმ კარგად იცის ისტორია. ქიმია და ფიზიკა რთული საგნებია და ბევრმა არ იცის კარგად. ჩვენს კლასში ყველაზე კარგად ქიმია რუსლანმა იცის,

ფიზიკა კი ყველაზე კარგად ფადიმ იცის.

ლეილამ ძალიან კარგად იცის ხატვა. ლეილას დედა დედაჩემის კლასელი იყო და ხატვა ლეილას დედასაც კარგად სცოდნია. გიორგი ორი წელია კომპიუტერის კურსებზე დადის და მალე მას ჩვენს კლასში ყველაზე კარგად ეცოდინება კომპიუტერი და ინტერნეტში მუშაობაც.

* * *

- აი, ჩემი საბუთები, ინებეთ.
- ძალიან კარგი. ახლა ანკეტა უნდა შევავსო.
- დიას, გისმენთ.
- რომელი ენები იცით?
- მე კარგად ვიცი რუსული, საშუალოდ ვიცი ინგლისური.
- კომპიუტერი იცით?
- დიას, კომპიუტერი ვიცი.
- რომელი პროგრამა იცით?
- კარგად ვიცი „ვინდოუსი“, ვიცი „ექსელიც“.
- თქვენი კოლეგაა მურმან ხუციშვილი?
- დიას.
- თუ შეიძლება მითხარით, მან რა ენები იცის?
- მურმანმა კარგად იცის რუსული და ინგლისური. გერმანული საშუალოდ იცის.
- კომპიუტერული პროგრამები იცის?
- მურმანმა კარგად იცის „ვინდოუსი“, „ექსელიც“ კარგად ეცოდინება, სამსახურში სჭირდებოდა.
- მას არ სცოდნია გასაუბრების დრო, თუ შეიძლება უთხარით, როდის უნდა მოვიდეს.
- მე არ ვიცი, იცის თუ არა, მაგრამ მე აუცილებლად ვეძევი.



საპარჯიშოები

12.1. ჩასვით ვიცი ზმნა შესაფერისი დროისა და პირის ფორმით:

1. გუშინ ცუდი ნიშანი მივიღე. – როგორ? – გაკვეთილი არ _____ .
2. გიგას მისამართი არ _____, მაგრამ ცოტა ხანში დარეკე და _____.
3. სალომეს არ _____, ჩვენ რომ აქ ვცხოვრობთ.
4. მე ძალიან კარგად _____ ქართული და რუსული.
5. როდის _____, სოფელში მიდიხარ თუ არა?
6. ნეტავ რამდენიმე ენა _____ !
7. მე რომ ინგლისური კარგად _____, აუცილებლად წავიდოდი საზღვარგარეთ და იქ ვისწავლიდი ერთი წელი.
8. მე არ _____, სად ცხოვრობს მარიამი, მაგრამ ანას აუცილებლად _____.
9. შენ _____, გუშინ რომ გამოცდა მქონდა?
10. მე კარგად _____ ეს საგანი და გამოცდის არ მეშინია.

12.2. წარმოადგინეთ ვიცი ზმნასთან შეწყობილი სახელი სწორი ბრუნვის ფორმით:

1. _____ ძალიან კარგად იცის _____ . (ჩემი და; ინგლისური)
2. _____ იცოდა, მე რომ შენთან ვიყავი. (დედაჩემი)
3. _____ კარგად არ იცის _____. (გიორგი; ფრანგული)
4. _____ ჩემი _____ არ სცოდნია. (გურამი; მისამართი)
5. _____ აზერბაიჯანელია და _____ კარგად იცის. (ალი; აზერბაიჯანული ენა)
6. _____ აუცილებლად ეცოდინება, როდის არის ანას _____. (მარიამი; დაბადების დღე)
7. ნეტავ _____ იცოდეს, როგორ მინდა მისი ნახვა! (ქეთი)
8. _____ იცოდა, დღეს რომ ინგლისურის _____ გეკონდა? (სალომე; გაკვეთილი)
9. _____ არ ეცოდინებათ დაბადების დღის ცენტრის მისამართი და მე ვეტყვი. (მარიკას კლასელები)
10. _____ ორი წლის შემდეგ _____ კარგად ეცოდინება. (არტური; ქართული ენა)

12.3. დაუკავშირეთ ერთმანეთს სწორი ფორმები:

ანა	იციან	
ანამ	ეცოდინება	
ანას	არ სცოდნია	ქართული ენა
დავითი	ნეტავ იცოდეს	
დავითმა	არ ეცოდინება	
დავითს	იცის	

12.4. უპასუხეთ კითხვებს:

- რომელი ენა იცი შენ? _____
- რომელი ენები იცის შენმა მეგობარმა? _____

- რომელი ენები იციან ოჯახის წევრებმა? _____

- რომელი ენის სწავლა გინდა? _____

12.5. ჩამოწერეთ ცხრილში თქვენი კლასელების ან ნაცნობების სახელები და მიუთითეთ, რომელი ენა იცის მან; შემდეგ შეადგინეთ და დაწერეთ ტექსტი

სახელი	ქართული	სომხური	აზერბაიჯანული	რუსული	ინგლისური	გერმანული	ფრანგული
ნანო	+	-	-	+	+	-	-

12.6. შეადგინეთ ტექსტი და გამოიყენეთ სახელები სწორი ფორმით:

13. თქმა: ამბობს – თქვა – იტყვის – (არ) უთქვამს

ახლანდელი დრო	წარსული დრო	მომავალი დრო
ვამბობ მე მას (-თ)	ვთქვი მე ის (-თ)	ვიტყვი მე მას (-თ)
ამბობ შენ მას (-თ)	თქვი შენ ის (-თ)	იტყვი შენ მას (-თ)
ამბობს ის <u>მას</u> (-ენ)	თქვა <u>მან</u> ის (-ეს)	იტყვის ის <u>მას</u> (-ან)

წარსული უმდებრობითი		სასურველი	
(არ) მითქვამს მე ის	(არ) გვითქვამს	(ნეტავ) ვთქვა მე ის	ვთქვათ
(არ) გითქვამს შენ ის	(არ) გითქვამთ	(მინდა) თქვა შენ ის	თქვათ
(არ) უთქვამს <u>მას</u> ის	(არ) უთქვამთ	თქვას <u>მან</u> ის	თქვან

1.

- პატარა თინიკო ლექსს ძალიან კარგად **ამბობს**.
- მე **ვამბობ** იმას, რასაც ვფიქრობ.
- რას **ამბობ**? არ მესმის, გაიმეორე!
- ჩვენ არასოდეს არ **ვამბობთ** ტყუილს!
- თქვენ **ამბობთ**, რომ ხვალ კარგი ამინდი იქნება?
- მე არ ვიცი ისინი რას **ამბობენ**, მაგრამ მე ეს არ მომწონს.

2.

- მე სიმართლე **ვთქვი**.
- შენ **თქვი** და მე გავიმეორე.
- კახამ კარგად **თქვა** ლექსი.
- ჩვენ **ვთქვით** ის, რასაც ვფიქრობდით.
- რა **თქვით**? გაიმეორეთ!
- მათ **თქვეს**, რომ ხვალ სახლში იქნებიან.

3.

- მე **ვიტყვი** სიმართლეს და მხოლოდ სიმართლეს!
- მე ეს არ მომწონს; შენ რას **იტყვი**?
- რასაც დედა **იტყვის**, მეც იმას გავაკეთებ.
- ჩვენ **ვიტყვით** სიმართლეს!
- თქვენ რას **იტყვით**, ხვალ კარგი ამინდი იქნება?
- ისინი როგორც **იტყვიან**, ყველაფერი ისე იქნება.

4.

- მე არასოდეს **არ მითქვამს** ტყუილი.
- შენ რა **გითქვამს** ჩემზე?
- თინიკოს **უთქვამს**, რომ ჩვენი ახალი მასწავლებელი ძალიან კარგი ქალია.
- თქვენ **გითქვამთ**, რომ ორშაბათს მასწავლებელი არ იქნება, მართალია? – არა, ასეთი რამ არავის **არ უთქვამს**.

5.

- მე მინდა, რომ შენ სიმართლე **თქვა**!
- ნეტავ დედამ **თქვას**, რომ კვირას ყველაფერი მზად იქნება!
- რა კარგი იქნება, მათ რომ ყველაფერი **თქვან**!

* * *

მე არასოდეს არ მითქვამს ტყუილი და არც ახლა ვიტყვი. მე ყოველთვის სიმართლეს ვამბობ და ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ. მე ბევრჯერ მითქვამს, რომ არ მომწონს ჩვენი ახალი კლასელი, იმიტომ რომ მატყუარაა. ახლა შენც ამბობ, რომ ბევრი ტყუილი უთქვამს. ამბობს, რომ მე მისი ბიძაშვილი მიყვარს, მე კი არც ვიცი, ვინაა მისი ბიძაშვილი, არც ვიცნობ. კიდევ ამბობს, რომ თბილისში ცხოვრობს, ერთხელ თქვა, რომ სამოგზაუროდ იყო იტალიაში. კიდევ უთქვამს, რომ დირექტორის ნათესავია. ყველაფერი ეს ტყუილია, კიდევ ბევრ სხვა სისულელეს ამბობს... სულ ტყუილებს და ტყუილებს ამბობს... მე არც ის ვიცი, კიდევ რამდენ სისულელეს იტყვის, უკვე ბევრი სისულელე თქვა. მაგრამ მე ხვალ სკოლაში მოვალ და სიმართლეს ვიტყვი, აუცილებლად ვიტყვი ყველაფერს, რაც ვიცი და ვნახოთ, რას იტყვიან ჩვენი კლასელები.

* * *

- დღეს მშვენიერი ამინდია.
- რას ამბობთ?
- მე ვთქვი, რომ დღეს ძალიან კარგი ამინდია.
- დიას, კარგი ამინდია. ტელევიზორში თქვეს, რომ კარგი ამინდები ერთი კვირა იქნება.
- ტელევიზორში ხშირად ამბობენ და მერე ისე არაა. რას ამბობენ, საქართველო-უკრაინის მატჩი როდის და სად იქნება?
- ჯერ არ უთქვამთ, ალბათ ამ დღეებში იტყვიან ყველაფერს.
- პრეზიდენტის ვიზიტზე ამერიკაში რა თქვეს?
- ამბობენ, რომ ძალიან კარგი და მნიშვნელოვანი ვიზიტი იყო.
- თქვეს, სპორტლოტოს ახალი ტირაჟი როდის იქნება?
- არა, ჯერ არ უთქვამთ, ნეტავ მალე თქვან, მეც მინდა ვითამაშო.



საპარჯიშოები

13.1. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა:

1. ახლა ლექსს _____ პატარა სანდრო.
2. რას _____, როგორი ამინდები იქნება?
3. გუშინ მე _____, რომ ხვალ სკოლაში არ ვიქნები.
4. როგორ ფიქრობ, მარიამი სიმართლეს _____ ?
5. რა _____ გურამმა ჩემზე?
6. ჩვენ ყველა _____ იმას, რაც იყო.
7. შენმა ამხანაგებმა რა _____, სკოლაში იყვნენ?
8. შენ გუშინ სიმართლე _____ თუ ტყუილი?
9. გაიმეორეთ, რა _____?
10. ნეტავ _____, რა უნდა!

13.2. წარმოადგინეთ ზმნასთან შეთანხმებული სახელები სწორი ბრუნვის ფორმით:

1. _____ თქვა, რომ მალე მოვა. (მანანა)
2. მე ვიცი, _____ მართალს იტყვის. (სალომე)
3. _____ ჩემთვის არ უთქვამს, რომ დღეს არ იქნება. (თამარი)
4. _____ აუცილებლად _____ იტყვის. (ნოდარი, სიმართლე)
5. _____ ამბობს, რომ ვანო კარგი ადამიანია. (მამაჩემი)
6. ნეტავ _____ თქვას, რომ ხვალ თბილისში იქნება! (ჩემი მეგობარი)
7. _____ ის თქვას, რასაც ფიქრობს. (ყველა)
8. მე ვფიქრობ, რომ _____ არ უთქვამს თავისი _____. (ყველა, სათქმელი)
9. ეს _____ ახლა _____ ამბობს! (ბავშვი, ტყუილი)
10. _____ არ უთქვამს, როდის იქნება თბილისში. (ბებია)

13.3. დაუკავშირეთ ერთმანეთს სწორი ფორმები:

დედა	თქვა	სიმართლე
დედამ	უთქვამს	სიმართლეს
დედას	იტყვის	
ნატა	არ უთქვამს	
ნატამ	ამბობს	ტყუილი
ნატას	უთქვამთ	ტყუილს
	ნეტავ არ თქვას	

13.4. ჩასვით მოცემული სიტყვები სწორ ფორმაში და დააღაგეთ ისე, რომ მიიღოთ წინადადება:

1. პრეზიდენტი გუშინ რომ მოხსენებაში თქვა კარგად მალე ყველაფერი იქნება
2. თქვას ძალიან მე მინდა ნატა სიმართლე რომ
3. ნანა სკოლაში არ უთქვამს რომ ხვალ იქნება
4. ნეტავ ყველაფერი ვანო არ თქვას

13. 5. შეადგინეთ ტექსტი გაკვეთილში მოცემული ზმნების გამოყენებით შემდეგ თემაზე:

ჩემი მასწავლებელი

13.6. შეადგინეთ დიალოგი მოცემული კითხვების გამოყენებით:

– რა თქვეს ტელევიზიით?

– _____

– რა თქვა შენმა მასწავლებელმა გუშინ?

– _____

– თუ შენ არ იქნები სკოლაში, რას იტყვის მასწავლებელი?

– _____

– რა უთქვამს შენს კლასელს გუშინწინ?

– _____

– რა არ უთქვამს შენთვის დედას გუშინ?

– _____

– რას იტყვის დედა, თუ შენ ტყუილს იტყვი?

– _____

– რას ამბობს შენი მეგობარი შენზე?

– _____

14. სურვილი, შესაძლებლობა და აკრძალვა: არ – ვერ – ნუ

არ = არა, უარყოფა, არბაპეტივობა, კატეგორიული უარყოფა;
 ვერ = შესაძლებლობის არქონა, არბაპეტივობა შესაძლებლობის გამო.
 ნუ = აკრძალვა.

არ ვიტყვი = არ მინდა და არ ვიტყვი;
 ვერ ვიტყვი = მინდა, რომ ვთქვა, მაგრამ არ შემიძლია ვთქვა;
 ნუ იტყვი! = ბრძანება: არ თქვა; არ შეიძლება, რომ თქვა; არ უნდა თქვა.

ზმნის პირის ნიშანთა სქემა:

მხოლოებითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი	მხოლოებითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
I ვ _____	I ვ _____ თ	I მ _____	I მვ _____
II _____	II _____ თ	II ბ _____	II ბ _____ თ
III _____ ს / ა / ო	III _____ უს / უნ / ნ / ან / ნან	III პ, ს; – _____	III პ, ს; – _____ თ

წერა – წერს	სწავლა – სწავლობს
<p>ახლანდელი: ვწერ (III – -ს; -ენ) მომავალი: დავწერ (III – -ს; -ენ) წარსული: დავწერე (III – -ა; -ეს) სასურველი: ნეტავ დავწერო (-ს; -ნ) წარს. შედეგ.: (არ) დამიწერია (III – დავწერია)</p>	<p>ახლანდელი: ვსწავლობ (III – -ს; -ენ) მომავალი: ვისწავლი (III – -ს; -ან) წარსული: ვისწავლე (III – -ა; -ეს) სასურველი: ნეტავ ვისწავლო (-ს; -ნ) წარს. შედეგ.: (არ) მისწავლია (III – უსწავლია)</p>

1.

- – დავალება გაქვს? – არა, არ მაქვს, *ვერ დავწერე.*
- – გაკვეთილი იცი? – არა, არ ვიცი, *არ მისწავლია.*
- – რატომ არ *ისწავლე*? – *ვერ ვისწავლე, ვერ გავიგე.*
- – დავალება დაწერე? – *არ დამიწერია.*
- – სავარჯიშო დაწერე? – *ვერ დავწერე.*

რატომ? = მიზეზი
 – იმიტომ, რომ. . .



შენიშვნა: არ დავწერე – ეს ნიშნავს, რომ არ მინდოდა და არ დავწერე. კატეგორიული უარყოფაა, ვერ კი შესაძლებლობას გამოხატავს: მინდოდა დაწერა, მაგრამ ვერ დავწერე რაღაც მიზეზის გამო).

2.

- – ლექსი იცი ზეპირად? – არა, არ ვიცი. – **რატომ?** – *ვერ ვისწავლე, ვერ მოვასწარი*, დრო არ მქონდა.
- – გაკვეთილი იცი? – არ ვიცი. – **რატომ?** – *იმიტომ რომ, ვერ გავიგე.*
- – ტექსტი ისწავლე? – *არ მისწავლია*, წიგნი არ მქონდა და *ვერ ვისწავლე.*
- – ამ ტექსტს *ვერ ვისწავლი!* – **რატომ?** – სიტყვები არ ვიცი და *ვერ გავიგე.*
- – ამ სავარჯიშოს *ვერ დავწერ.* – **რატომ?** – *იმიტომ რომ, გაკვეთილზე არ ვიყავი და ვერ გავიგე.*



შენიშვნა: ვიცი ზმნასთან ვერ ნაწილაკი არ გამოიყენება: არ შეიძლება ასე: ვერ ვიცი, ამის ნაცვლად შეიძლება ვთქვათ: *ვერ ვისწავლე, ვერ გავიგეთ, ვერ ვიყავი... ან არ ვიცი.*

კონსტრუქციები

წერს ის მას – დაწერა მან ის	სწავლობს ის მას – ისწავლა მან ის
ბიორბი / თამარი წერს დავალებას	ბიორბი / თამარი სწავლობს ლექსს
ბიორბი / თამარი დაწერს დავალებას	ბიორბი / თამარი ისწავლის ლექსს
ბიორბიმ / თამარმა დაწერა დავალება	ბიორბიმ / თამარმა ისწავლა ლექსი
ნეტავ ბიორბიმ / თამარმა დაწეროს დავალება	ნეტავ ბიორბიმ / თამარმა ისწავლოს ლექსი
ბიორბის / თამარს დაუწერია დავალება	ბიორბის / თამარს უსწავლია ლექსი

* * *



დღეს გაკვეთილები არ ვიცოდი და ცუდი ნიშნები მივიღე. ძალიან ცუდად ვარ. დედამ არ იცის და არ მინდა გაიგოს. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ჩემი ბრალი არაა... გუშინწინ და გუშინ სკოლაში არ ვიყავი. სალომესთან დავრეკე, მაგრამ გაკვეთილები არ იცოდა. მერე ნათიასთან დავრეკე და ნათიამ ვერ თქვა, რა გგქონდა. ამიტომ ვერ დავწერე ქართული და ვერც ვისწავლე. მასწავლებელმა გაკვეთილზე თქვა:

– ნუ ზარმაცობთ! შაბათს მშობელთა კრება იქნება და მშობლებს ვეტყვი როგორ ცუდად იქცევით!

ეს საშინელებაა!... ვიცი დედა როგორ ინერვიულებს... არ ვიცი, რა იქნება... მათემატიკაში ამოცანა ვერ გავიგე, რუსულში ლექსი ვერ ვისწავლე, იმიტომ რომ, არ ვიცოდი, რა გგქონდა, ინგლისურში სავარჯიშოები ვერ დავწერე... ნათიაზე ვარ გაბრაზებული: ნათიამ ლექსიც ისწავლა, სავარჯიშოც დაწერა, მე კი უკვე სამი ორიანი მაქვს.

გურამმა ინგლისური ძალიან კარგად იცის. ძალიან კარგი თემა დაუწერია. წავიკითხე და ძალიან მომეწონა.

* * *

- მარიამ, გაკვეთილი იცი?
- არა, მასწავლებელო, არ ვიცი.
- რატომ?
- გუშინ ავად ვიყავი, სიცხე მქონდა და ვერ ვისწავლე.
- კარგი. შენ, ვალერი, შენ იცი ტექსტი?
- ტექსტი ზეპირად არ ვიცი, ვერ ვისწავლე. მაგრამ სავარჯიშოები დავწერე.
- რატომ ვერ ისწავლე? ვერ გაიგე თუ ვერ მოასწარი?
- ვერ მოვასწარი.
- კარგი, ხვალისთვის ისწავლე.
- დიას, აუცილებლად ვისწავლი.
- ნანო, შენ რა იცი?
- მე ტექსტი ვისწავლე, მაგრამ დავალება ბოლომდე ვერ დავწერე. ბოლო ორი სავარჯიშო ვერ გავიგე.
- კიდევ ვინ ვერ დაწერა დავალება?
- მე და ფატიმ ვერ დავწერეთ.
- ლეილა, შენ დაწერე?
- არა, მასწავლებელო, არც მე არ დამიწერია, ვერ დავწერე.
- კარგი, ეს სავარჯიშოები კლასში დავწეროთ.



სავარჯიშოები

14.1. ჩასვით არ, კერ ან ნუ ნაწილაკი:

1. დაწერე სტატია? – _____ დამიწერია.
2. რატომ _____ დაწერე სტატია? – _____ მოვასწარი.
3. რამდენჯერ უნდა ვთქვა, კედლებზე _____ დაწერ!
4. ტექსტი _____ ვისწავლე და ამიტომ სავარჯიშოებიც _____ დავწერე.
5. დედაჩემი სულ ამას ამბობს: _____ იტყვი ტყუილს!
6. მე არასოდეს _____ ვიტყვი ტყუილს.
7. ძალიან ვნერვიულობ. – რატომ? – დავალება _____ დამიწერია.
8. იცი, სად იყო გუშინ რამაზი? სკოლაში არ ყოფილა. – ვიცი, მაგრამ _____ ვიტყვი.
9. დედა სად იყო? ბაზარში? – არა, _____ ყოფილა, ავად იყო და _____ წავიდა.
10. წერილი _____ დავწერე და დღეს სადამოს მინდა დავწერო.

14.2. წარმოადგინეთ ზმნასთან შეწყობილი სახელები სწორი ბრუნვის ფორმით:

1. (გოგი) _____ გაკვეთილებს სწავლობს და მთელი დღე ოთახშია.
2. (ანა) _____ გაკვეთილები არ უსწავლია და სკოლაში ვერ წავიდა.
3. (როსტომი) _____ ძალიან კარგად დაწერა საკონტროლო წერა.
4. საკონტროლო წერა არ დაუწერია _____, _____ და _____ (ლაურა, კოტე, მარინე).
5. (ნატა) _____ კარგად არ ისწავლა და ტესტი ვერ ჩააბარა.
6. (თორნიკე) _____ გაკვეთილები არ უსწავლია.
7. დედა ყოველთვის ამბობს: ნუ იტყვი _____ (ტყუილი).
8. (ნონა) _____ სავარჯიშოები დაწერა? – არა, ჯერ არ დაუწერია _____ (დავალებები).
9. ძალიან მინდა, ამ სემესტრში (ლიზა) _____ კარგად ისწავლოს.
10. შენ რას ფიქრობ, (ნაზი) _____ კარგ (სტატია) _____ დაწერს?

14.3. დაუკავშირეთ ერთმანეთს სწორი ფორმები:

გურამი	დაწერა	დავალებას
გურამმა	ვერ დაწერს	დავალება
გურამს	ვერ წერს	
სტუდენტი	სწავლობს	საგანი
სტუდენტმა	არ უსწავლია	საგანს
სტუდენტს	ვერ ისწავლა	

მოსწავლე
მოსწავლემ
მოსწავლეს

არ დაუწერია
დაწერს
წერს

სავარჯიშოს
სავარჯიშო

14.4. შეადგინე წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით:

იცოდა _____

არ უსწავლია _____

ამბობს _____

დაწერა _____

14.5. შეადგინეთ წინადადებები ან ტექსტი შემდეგი ზმნების გამოყენებით:

იცის	სწავლობს	წერს	დაწერა	თქვა
არ უსწავლია	ვერ დაწერა	არ სცოდნია	არ უთქვამს	
ისწავლის	დაწერს	დაწეროს	თქვას	

14.6. შეადგინეთ დიალოგი მოცემული პასუხების გამოყენებით:

- _____ ?
- არა, ტექსტი ვერ დავწერე, მე სავარჯიშოები დავწერე.
- _____ ?
- არ დამიწერია.
- _____ ?
- არ მისწავლია, ვერ მოვასწარი.
- _____ ?
- არ უთქვამს.
- _____ ?
- არ ყოფილა.

15. თავაზიანი ფორმები

ვარ – ბახლავართ ხარ – ბრძანდებით არის – ბრძანდება	აზრობ – ბრძანებთ თქვი – ბრძანეთ ბეატყვი – მოგახსენებთ	მოგმეცი – მოგართვით მოგცემ – მოგართმევ
ჰამე – მიირთვით ვჰამე – გეახლებით	მოდი – მოგბრძანდით მოვალ – გეახლებით	დაჯექი – დაბრძანდით (დასხვდით) აღექი – აბრძანდით
მუშაობს – მოღვაწიობს	ბინდა – ბნებავს ბინდა – ინებავთ	მომეცი – მიბოძეთ აიღე – ინებავთ

– თუ შეიძლება...
– დიდი სიამოვნებით!

– ნება მიბოძეთ,
ბითხრათ....

1.

- – მე **გახლავართ** ნანა ბიწადე. თქვენ ვინ **ბრძანდებით**? – მე გახლავართ არჩილ ჯაფარიძე!
- – თქვენი მეუღლე როგორ **ბრძანდება**?
- – **ბრძანეთ** და მე მერე ვიტყვი, რა მინდა. – არა, ჯერ თქვენ **ბრძანეთ** და მე მერე **მოგახსენებთ**.
- – მე ეს წიგნი გუშინ **მოგართვით**! მეორე წიგნს კი ხვალ **მოგართმევთ**.

2.

- – **მიირთვით** ეს ნამცხვარი, ძალიან გემრიელია! – დიას, უკვე **გეახლებით** და მართლაც ძალიან გემრიელია.
- – აქ **მობრძანდით**, ყველა სტუმარი ამ ოთახშია. – დიას, მეც ორ წუთში **გეახლებით**!
- – **მობრძანდით, დაბრძანდით!** რას **ინებებთ**, ყავას თუ ჩაის? – ჩაის დავლევ, – ახლავე **მოგართმევთ**.
- – მაგიდასთან **დაბრძანდით** და ყავა **მიირთვით**! – დიას, დიდი სიამოვნებით **გეახლებით**!

3.

- – დედათქვენი სად **მოღვაწეობს** ახლა? – სკოლაში მუშაობს, ქართულის მასწავლებელია.
- – **თუ შეიძლება**, ეს წიგნი **მიბოძეთ**! – რომელი წიგნი **გნებავთ**? – მე მინდა აი ეს ინგლისური წიგნი.
- – თქვენ ეს წიგნი **გნებავთ**? აი, **ინებეთ**!



შენიშვნა:

ამ ფორმებთან არის რამდენიმე აკრძალვა: არ შეიძლება ამ ფორმების პირველ პირში გამოყენება: არ შეიძლება: მე ვბრძანდები, მე მნებავს, მე მომართვი, მე მივირთვი, მე მოვბრძანდი, მე ვბრძანებ, მე მივირთვი, მე ვმოღვაწეობ.

ორი წერილი

* * *



გუშინ ჩემს იმეილზე შენი წერილი მივიღე. ვინ ხარ? სად ხარ? სწავლობ თუ მუშაობ? მე ვარ ერეკლე.

შენს წერილში შენ ამბობ, რომ ძალიან გინდა ჩემი გაცნობა. მე თანახმა ვარ, შენ თქვი, სად გინდა შეხვედრა და მეც იქ მოვალ. მინდა კაფეში დაგპატიყო. ნამცხვარი ვჭამოთ ერთად, ჩვენს ქალაქში ერთი კარგი კაფე ვიცი, ერთხელ იქ ძალიან გემრიელი ნამცხვარი ვჭამეთ მე და ჩემმა მეგობრებმა და იქ დაგპატიე.

თუ გინდა, როცა შეგხვდებით, ჩემს საყვარელ წიგნს მოგცემ და გაიგებ, რა მომწონს.

მაშ ასე, მოდი კვირას, 3 საათზე, პარკში, შესასვლელში პირველ სკამზე დაჯექი, რომ მე გიცნო.

ერეკლე

* * *

გუშინ ჩემს იმეილზე თქვენი წერილი მივიღე. ვინ ბრძანდებით? სად ბრძანდებით? სად მოღვაწეობთ? მე გახლავართ ალექსანდრე.

თქვენს წერილში ბრძანებთ, რომ ძალიან გნებავთ ჩემი გაცნობა. მე დიდი სიამოვნებით თანახმა ვაქნები, თქვენ ბრძანებით, სად გნებავთ შეხვედრა და მეც იქ ვეახლებით. მინდა რესტორანში დაგპატიყოთ. მე ბედნიერი ვიქნები, თუ თქვენ ჩემთან ერთად მიირთმევთ სადილს. ჩვენს ქალაქში ერთი კარგი რესტორანი ვიცი, ერთხელ იქ ვეახელით და თქვენც იქ დაგპატიე.



თუ გნებავთ, შეხვედრისას ჩემი ლექსების ახალ კრებულს მოგართმევთ.

მაშ ასე, მობრძანდით კვირას, 3 საათზე, პარკში, შესასვლელში პირველ სკამზე დაბრძანდით, რომ მე გიცნოთ.

დიდი პატივისცემით ალექსანდრე

* * *

- დილა მშვიდობისა.
- გამარჯობათ. მობრძანდით, დაბრძანდით, რა გნებავთ, რით გემსახუროთ?
- მე მინდა მოგართვათ ჩემი გაკეთებული ხაჭაპური. ინებეთ.
- რატომ წუხდებოდით? დიდი მადლობა, ძალიან გემრიელი იქნება.
- დიას, გემრიელია და გემრიელად მიირთვიეთ! დედა როგორ ბრძანდება?
- გმადლობთ, კარგად არის.
- ახლა სად მოღვაწეობს?
- ბიბლიოთეკაში მუშაობს.
- თქვენ ისევ მასთან ერთად ბრძანდებით?
- დიას, ჩვენ ერთად ვცხოვრობთ.
- ძალიან კარგი. მე უნდა წავიდე. გემრიელად მიირთვიეთ.
- მიბრძანდებით? დიდი მადლობა ყურადღებისათვის. თეფშს მე თვითონ მოგართმევთ.

საპარჯიშოები

15.1. დაუკავშირეთ ერთმანეთს შესაბამისი ფორმები:

ჭამე	დაბრძანდი
მოგცემ	ბრძანდებით
თქვი	ინებეთ
დაჯექი	გეახლებით
ამბობ	მიირთვით
გინდა	მოგართმევ
აიღე	გნებავს
მოუალ	ბრძანებთ
მუშაობ	გეახელით
ხარ	გეახლებით
ვჭამე	მოღვაწეობთ

15.2. შეცვალე წინადადებები თავაზიანი ფორმებით:

1. რა თქვი? კარგად ვერ გავიგონე. _____
2. თქვენი მეუღლე ახლა საფრანგეთშია? _____
3. ჭამე ნამცხვარი, არ მოგეწონა? _____
4. მე უკვე ვჭამე ნამცხვარი. _____
5. მოდი, აქ დაჯექი! _____
6. როგორ ხარ? _____
7. რა გინდა? _____
8. მე ვარ არქიტექტორი. _____
9. სად მუშაობ? _____
10. აი, აიღე ეს წიგნი. _____

15.3. ჩასვით წინადადებაში მოცემული ზმნის თავაზიანი ფორმა:

1. სად _____ (არის) ღირექტორი?
2. ფულს მალე _____ (მოგცემ)
3. ხვალ _____ (მოდი) სამსახურში 10 საათზე.
4. თქვენ უკვე _____ (ჭამეთ)?
5. მე _____ (გეტყვი) რა არის საჭირო სკოლისთვის.
6. თუ შეიძლება, _____ (მომეცით) თქვენი საბუთები.
7. მე უკვე _____ (ვჭამე), ახლა თქვენ _____
(ჭამეთ).
8. მე _____ (ვარ) თქვენი ახალი მასწავლებელი.
9. აქ _____ (დაჯექი)!
10. სად _____ (მუშაობ) ახლა?

15.4. არასწორი ფორმა გადახაზეთ:

- 1. მე ვბრძანდები / გახლაგართ თქვენი ახალი დირექტორი.
- 2. მე მინდა / მნებაეს ვნახო თქვენი საბუთები.
- 3. მე ახლა საბავშვო ბაღში ვმოდვაწეობ / ვმუშაობ.
- 4. მე უკვე მივირთვი / გეახელით ტორტი.
- 5. მე სკოლაში დღეს 9 საათზე მოვედი / მოვბრძანდი.
- 6.

15.5. მისწერეთ წერილი თქვენს მასწავლებელს თავაზიანი ფორმების გამოყენებით.

15.6. შეადგინეთ ორი დიალოგი, ერთი ჩვეულებრივი ფორმებით, ხოლო მეორე თავაზიანი ფორმებით.

I

II

16. თავაზიანი ზორმეზი. მიმართვა.

თავაზიანი ზორმა:

ბატონო დავით! ქალბატონო თამარ!
 ბატონო ბიორბი! ქალბატონო ნანა!

ბატონი თამაზი	ქალბატონი ნატა
ბატონმა თამაზმა	ქალბატონმა ნატამ
ბატონ თამაზს	ქალბატონ ნატას
ბატონი თამაზის	ქალბატონი ნატას
ბატონო თამაზ!	ქალბატონო ნატა!

სტუმარი – სტუმ(ა)რად
 მასწავლებელი – მასწავლებ(ე)ლად

1.

- თქვენთან სტუმარია? – დიახ, ჩვენთან ბატონი ალი ბრძანდება სტუმრად.
- რამდენი ხანია მუშაობს ქალბატონი ანა მასწავლებლად? – ქალბატონი ანა უკვე ოცდახუთი წელია ჩვენს სკოლაში მუშაობს მასწავლებლად.
- ბატონი ალი დიდი ხანია ჩვენი სკოლის დირექტორია.
- ქალბატონი მარიამი უკვე პენსიონერია და ახლა იგი სკოლაში სტუმრად მოვიდა.

2.

- რა თქვა გუშინ ბატონმა თამაზმა? – ბატონმა თამაზმა თქვა, რომ იგი ხვალ ჩვენთან სტუმრად მოვა.
- რამდენი ენა იცის ქალბატონმა სოფიომ? – ქალბატონმა სოფიომ სამი ენა იცის.
- რა ბრძანა ბატონმა როსტომმა? – ბატონმა როსტომმა ბრძანა, რომ მალე მოვა.

3.

- ბატონო თამაზ, მობრძანდით, აქ დაბრძანდით.
- თუ შეიძლება, ქალბატონ ირინეს მიართვით ეს ტორტი.
- ეს ადგილი ვისია? – ეს ადგილი ბატონი თენგიზისაა.
- ქალბატონო მარიამ, რა მოგართვათ? ჩაის ინებებთ თუ ყავას? – თუ შეიძლება ყავა დამისხით.
- ეს ყავა ქალბატონ მარიამს მიართვით.
- ბატონმა ალექსანდრემ ქალბატონ ლამარას დაბადების დღე მიულოცა და ყვავილების დიდი თაიგული მიართვა.

4.

- მარიკა, ჩქარა მოდი, ნახე ტელევიზორში რა ფილმია!
- გურამ, ეს წიგნი მომეცი!
- ვალერი, გუშინ რატომ არ იყავი სკოლაში?
- ფატი, შენ სად ცხოვრობ?



შენიშვნა:

წინადადებაში მიმართვა ყოველთვის მძიმით გამოიყოფა სხვა სიტყვებისაგან.

5.

- | | |
|----------------------------|-------------------------------------|
| • ლევან, დაწერე დავალება! | ბატონო დავით, მიირთვიოთ ნამცხვარი! |
| • დავალება დაწერე, ლევან! | მიირთვიოთ ნამცხვარი, ბატონო დავით! |
| • დაწერე, ლევან, დავალება! | მიირთვიოთ, ბატონო დავით, ნამცხვარი! |

* * *



ბატონი ვახტანგი ჩვენი სკოლის დირექტორი ბრძანდება. იგი დიდი ხანია ჩვენს სკოლაში მოღვაწეობს და არაერთი თაობა გაზარდა. **ბატონმა ვახტანგმა**ც ის სკოლა დაამთავრა, სადაც მასწავლებლად ოცდახუთი წელი და დირექტორად ოცი წელი იმუშავა.

ბატონ ვახტანგს ჩვენს ქალაქში ყველა იცნობს, ყველა პატივს სცემს და ყველას უყვარს. **ბატონი ვახტანგის** არაერთი მოსწავლე დღეს თვითონ ასწავლის სხვებს. მე მინდა **ბატონ ვახტანგს** ვუსურვო დიდი ხნის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, **ბატონი ვახტანგი** ხომ ყველას მასწავლებელი და ყველასათვის სამაგალითო ადამიანია.

ბატონო ვახტანგ! იყავით ბედნიერი, ჯანმრთელი, დიდხანს იცოცხლეთ, კიდევ ბევრი ახალგაზრდა გაზარდეთ და ასწავლეთ მათ ბევრი კარგი რამ!

* * *

- გისმენთ!
- გამარჯობათ, **ბატონო დავით!** დღეს სამსახურში იქნებით?
- **ქალბატონო ირინე,** თქვენ ხართ?
- დიახ, მე გახლავართ. დღეს სამსახურში იქნებით? თქვენი ნახვა მინდა.
- დიახ, **ჩემო კარგო,** 2 საათიდან სამსახურში ვიქნები.
- ძალიან კარგი, აუცილებლად გნახავთ.
- **დავით,** ტელეფონზე ვინ იყო?
- ირინე, ჩემი თანამშრომელი... **მარიამ,** შენ სად მიდიხარ?
- მაღაზიაში უნდა ჩავიდე პურის საყიდლად.
- იქნებ გიორგის დაუძახო, ჩემთან მოვიდეს!
- კარგი, ახლავე... **გიორგი!**
- რა იყო, **დედა?**
- მამა გეძახის, მიდი.
- **მამა!** მოვიდე?
- ჰო, **შვილო,** მოდი, რაღაც საქმე მაქვს შენთან.
- ახლავე მოვალ, **მამა. სალომე,** მოდი, ბავშვი დაიჭირე, არ წაიქცეს, მე მამა მეძახის.
- ახლავე მოვალ, **გიორგი.**

საპარჯიშოები

16.1. შეაერთეთ სწორი ფორმები:

ბატონი	მარიამ
ბატონმა	დავითს
ბატონ	დავითი
ბატონი	მარიამი
ბატონო	დავითმა
ქალბატონი	მარიამმა
ქალბატონმა	დავით
ქალბატონ	დავითის
ქალბატონი	მარიამს
ქალბატონო	მარიამის

16.2. ჩასვით სწორი ფორმა:

1. _____ (ბატონი ალექსი) კარგად იცის ინგლისური.
2. ეს წიგნი დაწერა _____ (ქალბატონი მარიკა).
3. რამდენი ენა იცის _____ (ბატონი თამაზი).
4. ახლა სად მუშაობს _____ (ქალბატონი ნინო).
5. ვინ ჰყავს ოჯახში _____ (ქალბატონი ნატა).
6. რას ამბობს განათლების რეფორმაზე _____ (ბატონი რამაზი)?
7. რა გინდათ თქვას _____ (ბატონი კახა)?
8. ვინ დაწერა ეს ანგარიში? _____ (ბატონი ზურაბი)?
9. რა მოგართვით, _____ (ბატონი მურმანი)?
10. აი, აქ დაბრძანდით, _____ (ქალბატონი ნონა)!

16.3. დაწერეთ თავაზიანი მიმართვის ფორმები:

ნიმუში: ნანა სკოლაშია. ქალბატონი ნანა სკოლაში ბრძანდება.

1. გიორგი ახლა აქ არის. _____.
2. ნანა სკოლაში მუშაობს. _____.
3. ანამ თქვას, რა უნდა. _____.
4. ვარლამი 1948 წელს დაიბადა. _____.
5. გურამ, აიღე ნამცხვარი. _____.
6. ნუნუ, მოდი, აქ დაჯექი. _____.
7. ნინო იტყვის, რა იყო გუშინ სკოლაში. _____.
8. სუსანამ თქვა, რომ ხვალ სკოლაში არ იქნება. _____.
9. პაატა კეკელიძის ქუჩაზე ცხოვრობს. _____.
10. მანანას არასოდეს არ უთქვამს ტყუილი. _____.

16.4. დაწერეთ თქვენი ნაცნობების შესახებ თავაზიანი ფორმებისა და ზმნების გამოყენებით: არის, თქვა, მუშაობს, იცის, დაიბადა...

16.5. შეადგინეთ ორი დიალოგი: ერთი მეგობართან, მეორე მასწავლებელთან:

I

II

17. ობიექტისადმი იმართული მოქმედება

თქმა: ეუბნება – ეტყვის – უთხრა – (არ) უთქვამს

ზმნის პირის ნიშანთა სქემა:

მსოფობიტი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი	მსოფობიტი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
I ვ _____ II _____ III _____ ს / ა /ო	I ვ _____ თ II _____ თ III _____ ეს / ენ / ნ / ან / ნენ	I მ _____ II გ _____ III ჰ, ს; – _____	I გვ _____ II გ _____ თ III ჰ, ს; – _____

ახლანდელი:	ვეუბნები მე მას მას (III – ეუბნება, ეუბნებიან)
მომავალი:	ვეტყვი მე მას მას (III – ეტყვის, ეტყვიან)
წარსული:	ვუთხარი მე მას ის (III – უთხრა, უთხრეს)
სასურველი:	ვუთხრა მე მას ის (III – უთხრას, უთხრან)
წარსული შედეგა:	(არ) მითქვამს მე ის (III – უთქვამს, უთქვამთ)

შეაღრამე:

- ვალერი არ ამბობს სიმართლეს – ვალერი არ ეუბნება მასწავლებელს სიმართლეს.
- ვალერი იტყვის სიმართლეს – ვალერი მასწავლებელს სიმართლეს ეტყვის.
- ვალერიმ არ თქვა სიმართლე – ვალერიმ არ უთხრა მასწავლებელს სიმართლე.
- ნეტავ ვალერიმ სიმართლე თქვას! – ნეტავ ვალერიმ მასწავლებელს სიმართლე უთხრას.
- ვალერის სიმართლე არ უთქვამს – ვალერის მასწავლებლისთვის სიმართლე არ უთქვამს.

1.

- ბატონი გურამი ყოველთვის ეუბნება სტუდენტებს, რომ გამოცდაზე ტესტი ძნელი იქნება.
- ვის ელაპარაკები ტელეფონით? – ბატონ ზურაბს ჩემს მისამართს ვეუბნები.
- მშობლები ყოველთვის ეუბნებიან შვილებს, რომ მათ კარგად უნდა ისწავლონ.
- ჩემს შვილს ვეუბნები, რომ კარგად უნდა ისწავლოს
- რას ეუბნები შენს თანამშრომელს? – ვეუბნები, რომ ხვალ სამსახურში არ ვიქნები.

2.

- რას ეტყვი მასწავლებელს, რატომ არ იყავი დღეს გაკვეთილებზე? – ვეტყვი, რომ ავად ვიყავი.
- მაია დედას სიმართლეს ეტყვის? – კი, აუცილებლად ეტყვის სიმართლეს.
- რატომ არ იყავით მათემატიკის გაკვეთილზე? რას ეტყვით ღირექტორს?
- ალბათ ბავშვები ეტყვიან მასწავლებელს, რატომ ვერ ისწავლეს კარგად ტექსტი.

3.

- ქალბატონმა თამარმა სტუდენტებს უთხრა გამოცდის ზუსტი დრო.
- მე ქალბატონ მარიამს ვუთხარი ის, რასაც ვფიქრობ.
- მე ძალიან მინდა ვუთხრა ბატონ როსტომს, ჩემს ღირექტორს, რომ სკოლაში კარგად არ არის.
- მე ჯერ არ მითქვამს ღირექტორისთვის ყველაფერი, ხვალ ვეტყვი.
- დედასთვის არ გითქვამს სიმართლე? არა, სიმართლე არ მითქვამს, ვერ ვუთხარი, ალბათ დღეს საღამოს ვეტყვი ყველაფერს.

* * *

გუშინ ნიკა სკოლაში არ იყო და დედას ტყუილი **უთხრა**. ნიკამ კარგად იცის, რომ მარიკაც **ვერ ეტყვის** დედას სიმართლეს. მასწავლებელი ძალიან გაბრაზდა ნიკაზე და ნიკას დედას დაურეკა, **უთხრა**, რომ ნიკას უკვე შვიდი საათის გაცდენა აქვს სკოლაში. დედამ ძალიან ინერვიულა და ნიკას მამას **უთხრა** ყველაფერი, მაგრამ ყველაფერი ბოლომდე **არ უთქვამს; არ უთქვამს**, რომ ნიკა ცუდად სწავლობს, რომ მასწავლებელმა დარეკა სახლში და რომ ნიკას შემესტრის ბოლოს დამოცდა ექნება ორ საგანში: ქართულ ენაში და მათემატიკაში. ნიკა ცუდად იქცევა, მშობლებს სიმართლეს არ **ეუბნება**. მე მინდა ნიკას **ვუთხრა**, რომ ის ცუდად იქცევა, მინდა მშობლებს სიმართლე **უთხრას**. სულ **ვეუბნები**, რომ ასე არ შეიძლება. ნიკამაც იცის, რომ ტყუილი ცუდია, მაგრამ როცა ტყუილს **ამბობს**, ამაზე ვერ ფიქრობს. სხვებსაც **ეუბნება** ტყუილს. ამიტომ მინდა ხვალ ვნახო და ყველაფერი **ვუთხრა**, რასაც ვფიქრობ. მე ვიცი ნიკას ხასიათი, ის ცუდი არ არის და დედამისს სიმართლეს **ეტყვის**.



* * *



- რას **იტყვი** ჩვენი ახალი მასწავლებლის შესახებ?
- ძალიან კარგი გოგონაა, ახლგაზრდა, ლამაზი. გუშინ კომპლიმენტი **ვუთხარი**.
- როდის არის მშობელთა კომიტეტის კრება?
- პარასკევს.
- მეხუთე კლასის მოსწავლეებს **ვუთხარი**, შენ **უთხარი** შენს მოსწავლეებს?
- არა, ჯერ **არ მითქვამს**, ახლა ამ კლასში გაკვეთილი მაქვს და **ვეტყვი**.
- რას ეტყვი მშობლებს?
- აუცილებლად **ვეტყვი** კლასის სახელმძღვანელოების შესახებ **მინდა**

კარგად და ლამაზად მოწყობის შესახებ, ასევე **ვუთხრა**.

- სახელმძღვანელოების შესახებ **რას ეტყვი**?
- ქართული ენის ორი ახალი სახელმძღვანელოა და ერთად **ვიტყვი**, რომელი იქნება ჩვენი სახელმძღვანელო.
- არდადეგების შესახებ უკვე **უთხარი**?
- არა, ჯერ არ მითქვამს, ამ კრებაზე **ვეტყვი**.
- ღირეპქტორმა რა **უთხრა** მშობლებს გაკვეთილების გაცდენის შესახებ?
- ღირეპქტორმა მკაცრად **უთხრა** მშობლებს საერთო კრებაზე, რომ თუ მოსწავლე ათ საათს არასაპატიო მიზეზით გააცდენს, გამოცდას ჩააბარებს ტრიმესტრის ბოლოს.
- რომელ საათზე დაიწყება კრება, რა დრო **ვუთხრათ** მშობლებს?
- პარასკევს ორ საათზე.

საპარჯიშოები

17.1. დააღაგეთ ზმნები პირების მიხედვით: (აქ საზები უნდა გადაესვას ფორმებს)

უთხარი, ვუთხრა, მითქვამს, ვეუბნები, ეტყვით, უთხრათ, უთქვამს, ეუბნები,
 ეუბნებიან, ვეტყვით, ეტყვის, უთხარი, ეუბნება, ვუთხრათ, გითქვამს, ეუბნები, ვეტყვი,
 ეტყვიან, ვეუბნებით, უთქვამთ, უთხრათ, ეტყვი, უთხრა, უთხრეს, გვითქვამს,
 უთხრას, უთხრან, უთხრა, გითქვამს.

ვეუბნები	ვეტყვი	ვუთხარი	ვუთხრა	(არ) მითქვამს
ეუბნები				

17.2. ჩასვით სწორი ფორმა:

1. დედას სიმართლეს ვერ _____.
2. რა _____ გუშინ შენს ძმას?
3. ხვალ ნანას მინდა _____ სიმართლე.
4. რა _____ დედას?
5. მე არასოდეს არავისთვის არ _____ ტყუილი.
6. ძალიან მინდა ნანამ მასწავლებელს _____ ყველაფერი.
7. რას _____ დედას, სკოლაში რომ არ იყავი?
8. ბატონმა ზურაბმა სტუდენტებს _____ გამოცდის დღე.
9. დედისთვის ჯერ არ _____, რომ ავად ხარ?
10. სკოლაში არ _____, რომ ხვალ გაკვეთილები არ იქნება.

17.3. დაწერეთ სახელები სწორი ფორმით.

1. _____ ეუბნება.
(მასწავლებელი, მოსწავლე, დავალება)
2. _____ უთხრა.
(შვილი, დედა, სიმართლე)
3. _____ ეტყვის.
(შვილი, დედა, სიმართლე)
4. _____ არ უთქვამს.
(ზურა, ალექსისთვის, ტყუილი)
5. _____ ნეტავ უთხრას.
(ანა, მასწავლებელი, სიმართლე)

17.4. ჩასვით სწორი ფორმა:

1. რატომ არ _____ დედას სიმართლეს? (ამბობ, ეუბნები)
2. როდის _____ შენი მისამართი? ვერ გავიგონე. (თქვი, უთხარი)
3. ვის _____ შენი სახელი და გვარი? (თქვი, უთხარი)
4. გვიმ ვერ _____, სად ცხოვრობს ანა. (თქვა, უთხრა)
5. გოგამ არ _____ დირექტორს, სად ცხოვრობს ნანა. (თქვა, უთხრა)
6. რას _____, სად არის ნუნუ? (ამბობ, ეუბნები)
7. სადღმე როდის _____ მასწავლებელს სიმართლეს? (იტყვის, ეტყვის)
8. დაწერეთ თქვენ შესახებ ტექსტი მოცემული კითხვების მიხედვით:

17.5. უპასუხეთ კითხვებს და დაწერეთ:

1. რას ეუბნებით ყოველთვის დედას?
2. რას ეტყვიტ მასწავლებელს ხვალ?
3. რა უთხარით თქვენს მეგობარს გუშინ?
4. რა უნდა უთხრათ თქვენს ნათესავს?
5. რა არ გითქვამთ არასოდეს?

17.6. შეადგინეთ დიალოგი მოცემული ფორმების გამოყენებით:

ამბობ – ეუბნები; იტყვი – ეტყვი; თქვი – უთხარი; თქვა – უთხრა; უთქვამს

<hr/>	<hr/>
<hr/>	<hr/>
<hr/>	<hr/>
<hr/>	<hr/>
<hr/>	<hr/>
<hr/>	<hr/>

18. მთქმელის პოზიცია: სუბიექტი და ობიექტი.

ზმნის პირის ნიშანთა სქემა:

სუბიექტური პირის ნიშნები

ობიექტური პირის ნიშნები

მსოფლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი	მსოფლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
I მ _____	I მ _____ თ	I მ _____	I მ _____
II _____	II მ _____ თ	II მ _____	II მ _____ თ
III _____ ს / ა / ო	III მ _____ მს / მწ / ნ / ან / ნაწ	III მ, ს; _____	III მ, ს; – _____ თ

ვეუბნები მე მას მას – *მეუბნება* ის *მე* მას

ვეტყვი მე მას მას – *მეტყვის* ის *მე* მას

ვუთხარი მე მას ის – *მითხრა* მან *მე* ის

ვუთხრა მე მას ის – *მითხრას* მან *მე* ის

არ *მითქვამს მე* მისთვის ის – არ *უთქვამს* მას *ჩემთვის* ის

1.

- მე ყოველთვის *ვეუბნები* ჩემს შვილს სიმართლეს და ისიც ყოველთვის სიმართლეს *მეუბნება*.
- რას *ვეუბნები* შენს ამხანაგებს? – *ვეუბნები* რომ ხვალ სკოლაში არ ვიქნები და ისინი *მეუბნებიან*, რომ ხვალ საკონტროლო წერა აქვთ.
- რას *გეუბნება* მასწავლებელი, როცა დავალება არა გაქვს? – *მეუბნება*, რომ ეს ცუდია.
- ვინ *გეუბნება*, რომ ხვალ სკოლაში სწავლა არ იქნება? – ჩემი ამხანაგი *მეუბნება*.

2.

- მე ვერ *ვეტყვი* ყველაფერს გურამს, ხანამ ანა არ *მეტყვის* სიმართლეს.
- მე არ ვიცი რა გვაქვს ქართულში, სკოლაში არ ვყოფილვარ, გიგი *გეტყვის*, რა დავალება მოგვცეს.
- ნანა *მეტყვის* რა გვაქვს ინგლისურში და მე *ვეტყვი*, რა გვაქვს ქართულში.
- რას *გეტყვის* მასწავლებელი, დავალება რომ არ გაქვს? – *მეტყვის*, რომ ცუდი მოსწავლე ვარ.
- მე სიმართლეს *ვეტყვი* და არც ის *მეტყვის* ტყუილს.

3.

- რა *გითხრა* გიორგიმ? – *მითხრა*, რომ დღეს რუსულის მასწავლებელი არ იყო.
- ირაკლიმ *გითხრა*, რა გაქვთ გაკვეთილი ინგლისურში? – არა ვერ *მითხრა*, ისიც არ ყოფილა სკოლაში.
- მე *ვუთხარი* მანანას ყველაფერი, მაგრამ მანანამ არაფერი არ *მითხრა*.
- რა *უთხარი* მანოს? – ყველაფერი *ვუთხარი* და იმანაც ყველაფერი *მითხრა*.

4.

- მე არაფერი არ *მითქვამს* ჩემი კლასელისათვის და არც მას არ *უთქვამს* არაფერი.
- რა *გითხრა* მაკამ? – არაფერი არ *უთქვამს*.
- *გითხრა* კოტემ, ხვალ რომ სკოლაში არ იქნება? – არა, არ *უთქვამს*.
- *გითხრა* მაიამ, რომ ხვალ მისი დაბადების დღეა? – არა, ჯერ არ *უთქვამს*, მაგრამ ძალიან *მინდა მითხრას*.

* * *

მე არ მინდა, რომ შენ წუდი აზრი გქონდეს ჩემზე. მინდა ყველაფერი **გითხრა** და მინდა შენც **მითხრა** ყველაფერი, მაგრამ შენ არაფერს არ **ამბობ** და ვერც მე **გეუბნები**. რატომ არ **მეუბნები** სიმართლეს? გუშინ ნაცამ სიმართლე **მითხრა**, მერ სიმართლე **ვუთხარი**, მაგრამ მერე ძალიან წუდად ვიყავი. რატომ არ **მეუბნები**, რა გინდა და რა არ გინდა? მე ყოველთვის **გეუბნები**, რა მინდა და რა არ მინდა.



გუშინ ჩემს მეგობარს დაზადების დღე ჰქონდა, მაგრამ მე არ ვყოფილვარ. **მითხრა**, დამპატიყა, მაგრამ ავად ვიყავი და ვერ წავიდი.

ნანა იყო დაზადების დღეზე და **მითხრა**, რომ შენც იყავი, ისიც **მითხრა**, რომ შენ ძალიან მონყენილი იყავი. მე **ვუთხარი**, რომ არ

მინდა შენ წუდად იყო. მე ხვალ ვიქნები სკოლაში და **გაქცი**, რას ვფიქრობ ჩვენს კლასზე. შენც **მითხარი**, რას

ფიქრობ. მე არ მინდა მასწავლებელს **ვუთხრა** ყველაფერი, შენ გინდა რომ **უთხრა**? მე რომ მასწავლებელს სიმართლე **ვუთხრა**, **მეცყვის**, რატომ

აღრე არ **მითხარი** ყველაფერიო. რა **ვუთხრა**? იმიტომ ვერ **ვუთხარი**, რომ ნაცამ ასე **მითხრა**. არა, ხვალ აყრილებლად **ვიცევი** სიმართლეს, შენც **იცევი** სიმართლეს.

სიმართლე ყოველთვის კარგია და ადვილია.

* * *

- რა **გითხრა** დირექტორმა?
- **მითხრა**, რომ ხუთშაბათს მშობელთა კრება იქნება.
- **ეტყვი** დედას?
- კი, აუცილებლად **ვეტყვი**.
- რას **გეტყვის**, როცა გაიგებს რომ ორი დღე გაკვეთილებზე არ იყავი?
- არ ვიცი, რას **მეტყვის**, მაგრამ მე ძალიან მინდა სიმართლე **ვუთხრა**. **ვეტყვი**, რომ გაკვეთილები არ ვიცოდი და იმიტომ არ ვიყავი.
- შენ ყველაფერს **ეუბნები** დედას?
- არა, ყველაფერს **ვერ ეუბნები**, მაგრამ ბევრ რამეს **ვეუბნები**. როცა რაღაცას **ვეუბნები**, მერე თვითონაც **მეუბნება** ბევრ რამეს და ეს ძალიან კარგია. ახლა კი არ **ვუთხარი** და ამიტომ მაქვს ბევრი პრობლემა.
- ტყუილი არასოდეს არ **გითქვამს**?
- არა, არ **მითქვამს**, ყოველთვის სიმართლეს **ვამბობ** და მეც არ **მეუბნებიან** ტყუილს.
- ეს კარგია.



სავარჯიშოები

18.1. დააღაგეთ ფორმები სუბიექტური და ობიექტური პირების მიხედვით:

გეუბნები ვეტყვი მითხრა მეტყვის მეუბნება ეტყვი გეტყვის
 ვუთხრა ეუბნები გეუბნება ვუთხარი გითხრა მითხრას
 უთხრა გითხრას უთხარი

ვეუბნები							
მეუბნება							

18.2. წინა სავარჯიშოში მოცემული ზმნებიდან შეარჩიეთ ფორმა და ჩასვით წინადადებებში:

1. მე ვერ _____ მასწავლებელს სიმართლეს.
2. მარიაკა მე ვერ _____ რა უნდა.
3. რას _____ შენს მეგობარს და რას _____ ის შენ?
4. მე _____ მასწავლებელს, რომ ხვალ სკოლაში არ ვიქნები.
5. ხვალ დედა _____, როდის წავალთ სოფელში.
6. რას _____ მასწავლებელს, რატომ არ იყავი სკოლაში?
7. ხვალ მანანა _____ ყველაფერს, რატომ არ იყო გაკვეთილებზე გივი.
8. მე _____ მამას, რომ არ მინდა სოფელში წასვლა.
9. მამამ _____, რომ ჩვენ ხვალ წავალთ სოფელში.
10. რა _____ დედას?
11. დედამ შენ _____, რომ ბებია ზამთარში ჩვენს სახლში იცხოვრებს?
12. არ ვიცი, რა _____ მასწავლებელს.
13. ძალიან მინდა, მარიამმა _____ სიმართლე.
14. ძალიან მინდა, რომ შენ სიმართლე _____ ბატონ დავითს.
15. რა გინდა, რომ _____ მასწავლებელმა?

18.3. შეარჩიეთ სწორი ფორმა:

1. მე _____ ჩემს კლასელებს, რომ ხვალ ჩემი დაბადების დღეა.
(ვუთხარი, მითხრა)
2. ჩემმა კლასელმა არ _____, რომ ხვალ მისი დაბადების დღეა.
(ვუთხარი, მითხრა)
3. მე ვიცი, დედა არაფერს არ _____ . (ვეტყვი, მეტყვის)
4. მე ვერ _____ დედას, რომ სკოლაში არ ვიყავი. (ვეტყვი, მეტყვის)
5. რას _____ შენს ამხანაგებს? (ეუბნები, გეუბნება)

6. რას _____ შენი მასწავლებელი, როცა გაკვეთილი არ იცი?
(ეუბნები, გეუბნება)
7. მეგი არ _____, რა უნდა. (ვეუბნები, მეუბნება)
8. მე ყოველთვის _____ მასწავლებელს, როცა გაკვეთილი არ ვიცი. (ვეუბნები, მეუბნება)
9. რას _____ შენს მშობლებს, სკოლაში რატომ არ იყავი?
(ეტყვი, გატყვის)
10. მარიამი _____, რატომ არ ვიყავი სკოლაში. (ეტყვი, გატყვის)

18.4. დაწერეთ თქვენ შესახებ: ვინ რას გეუბნებათ?

18.5. დაწერეთ, რას ეუბნებით თქვენს მეგობრებს?

18.6. დაწერეთ, თქვენ შესახებ, გამოიყენეთ ორივე ფორმა: ვეუბნები – მეუბნება; ვეტყვი – მეტყვის; ვუთხარი – მითხრა; მინდა ვუთხრა – მინდა მითხრას;

19. ნათქვამის განმეორება (პირდაპირი და ირიბი ნათქვამი)

ნატამ თქვა: – მე სოფელში მივდივარ.
ნატამ თქვა, მე სოფელში მივდივარ(ო).

მე გითხარი: – ეზოში არ წახვიდე!
მე გითხარი, ეზოში არ წახვიდე-
მეთქი!
ჩვენ გითხარით, ეზოში არ წახვიდე(ო)!

მეთქი < მმ ვთქვი.
ჩვენ (მრავლობითი რიცხვი)
-ო

დედას უთხარი: – შენი ნათესავი მოვიდა.
დედას უთხარი, შენი ნათესავი მოვიდა-თქო.

თქო < თქვა

მე → შენ ← დედა
I პირი II პირი III პირი

-ჯერ
რამდენჯერ? –
ორჯერ, ათჯერ, ბევრჯერ...

1.

- გიორგიმ თქვა, გუშინ კინოში *ვიყავითო*.
- დირექტორმა გვითხრა, შაბათს მშობელთა კრება *იქნებაო*.
- მერიამმა თქვა, ხვალ ჩემი დაბადების *დღეაო*.
- მასწავლებელმა იკითხა, გაკვეთილი ვინ *იციხსო*.
- ნანამ მითხრა, ორი დღე სკოლაში არ *ვიქნებიო*.

2.

- მე გუშინ გითხარი, სკოლაში არ *ვიქნები-მეთქი*.
- მე უკვე გითხარი, გუშინ სამსახურში არ *ვიყავი-მეთქი*.
- მე გაითხე, რა *გინდა-მეთქი* და არ მიპასუხე.
- რამდენჯერ გითხარი, ასე არ *გააკეთო-მეთქი*!
- ათჯერ გითხარი, დავალე *დაწერე-მეთქი* და კიდევ არ დაგიწერია?
- სად იყავი? – ხომ გითხარი, მაღაზიაში *ვიყავი-მეთქი*?
- მე გითხარი, ტყუილს ნუ *იტყვი-მეთქი* და კიდევ თქვი ტყუილი?

3.

- ჩვენ ყველამ ვთქვით, ხვალ სკოლაში არ *ვიქნებითო*.
- სულ გეუბნებით, ტყუილი არ *თქვათო*!
- ნანიმ თქვა, გუშინ ჩვენ თეატრში *ვიყავითო*.
- მაიამ თქვა, ხვალ ჩვენ სახლში არ *ვიქნებითო*.
- ჩვენ ბევრჯერ ვთქვით, კარგი იქნება, ქართული ენა საქართველოში ყველამ *იცოდესო*!

4.

- ბებიას ასე უთხარი, შენი მეზობელი *მოვიდა-თქო*.
- წადი და დედას უთხარი, ნანას შენი დახმარება *უნდა-თქო*.
- დირექტორს უთხარით, ხვალ სკოლაში სტუმრები *იქნებიან-თქო*.

* * *



მე ვიცი, რომ შენ ახლა ძალიან ნერვიულობ, მაგრამ მე ბევრჯერ გითხარი, ასე ნუ **აკეთებ-მეთქი**. გუშინ გითხარი, ორშაბათს სკოლაში **ვიქნები-მეთქი**, ისიც გითხარი, მასწავლებელს მე **ვეტყვი-მეთქი**. შენ რატომ არ იყავი სკოლაში? ისევ სხვაგან იყავი და ტყუილი თქვი? მე სულ გეუბნები, ტყუილს ნუ **ამბობ-მეთქი**, მაგრამ შენ ისევ ამბობ ტყუილს. მასწავლებელმა გვითხრა, ორშაბათს საკონტროლო წერა **იქნებაო**, ამიტომ არ იყავი სკოლაში? მარიამმა და თამარმაც თქვეს, სკოლაში არ **ვიქნებითო**, მაგრამ ისინი იყვნენ. მასწავლებელს ვუთხარი, არ ვიცი ნიკა რატომ არ **არის-მეთქი** სკოლაში, მაგრამ მასწავლებელმა დირექტორს უთხრა და მერე ერთად დარეკეს შენს სახლში. ახლა დედამ ყველაფერი იცის. შენი და რას ამბობს? უთხარი, არ **ინერვიულო-თქო**, ყველაფერი კარგად იქნება. მე კიდევ ერთხელ გეუბნები, ნუ ამბობ **ტყუილებს-მეთქი!**..

* * *

- დიას, გისმენთ!
- მე ირაკლი ვარ, მერაბ, როგორ ხარ?
- ოჰ, ირაკლი, რა კარგია, რომ დარეკე. კარგად ვარ, შენ როგორ ხარ?
- კარგად, მაგრამ ცოტა დაღლილი ვარ.
- როგორი ამინდები იყო სოფელში?
- კარგი. ყველაფერი კარგადაა. სოფელში შენი ძმა ვნახე.
- როგორ არიან?
- კარგად. შენმა ძმამ თქვა, იმ საქმეზე **დამირეკოსო**, მე ახლა ძალიან დატვირთული ვარ, ჩამოსვლა არ **შემიძლიაო** და ისე ძალიან მაინტერესებს, რა **გადაწყვიტესო**. თუ შეუძლია, **დამირეკოსო** ან სამარშრუტო ტაქსის მძღოლს გამოატანოს **წერილიო**. თუ ვერც წერილს გამოაგზავნიან და ვერც **დამირეკავენო**, მაშინ ზუსტად ერთი კვირის შემდეგ მე **ჩამოვალო** და ავტოსადგურში **დამხვდნენო**, თან ბარგი მექნება და იქნებ მანქანით **დამხვდნენო**. ავტობუსი სადგურში ორ საათზე **იქნებაო**.
- კარგია, შენ რომ გითხრა, თორემ მე ვინერვიულე, ვერც დავრეკე და ვერც ამბავი გავიგე. რაო, როდის **დამხვდნენო?**
- ზუსტად ერთი კვირის **შემდეგო**, მომავალ ოთხშაბათსო.
- კარგი, კარგი, აუცილებლად დავხვდები. მანქანით **დამხვდნენო?**
- ჰო, **მანქანითო**, ბევრი ბარგი **მექნებაო**.
- ოჰ, კარგი კაცი ხარ, კარგი ამბები მითხარი!
- აბა, ახლა კარგად იყავით, დაღლილი ვარ და დასვენება მინდა.
- ჰო, დაისვენე, მერე დაგირეკავ. კარგად იყავი.



სავარჯიშოები

19.1. რომელი ფორმაა სწორი წინადადებისათვის: *-მეთქი, -თქო თუ -ო?*

1. მე ვთქვი, ხვალ სკოლაში არ ვიქნები_____.
2. ჩვენ ვუთხარით, გაკვეთილი არ ვიცით_____.
3. მასწავლებელს ვუთხარით, ექსკურსიაზე წასვლა გვინდა_____.
4. ასჯერ გითხარი, წაიკითხე_____.
5. რამდენჯერ ვთქვი, ცუდ სიტყვას ნუ იტყვი_____.
6. მარიამს უთხარი, წიგნი ვიყიდე.....
7. ეტყვი ნიკას, ნონას შენი დახმარება უნდა_____?
8. სამსახურში იყავი? – უკვე გითხარი, არა_____.
9. ნატამ თქვა, კინოში კარგი ფილმია_____.
10. ხომ გითხარი, ყველაფერი კარგად არის_____.

19.2. მოცემულია დიალოგი, დაწერეთ ის ტექსტის სახით, გამოიყენეთ მოცემული ზმნები (რამდენიმეჯერ) და ნაწილაკები: *-მეთქი, -თქო, -ო:*

გაიითხე (3-ჯერ); მითხრა; ვუთხარი (5-ჯერ); მითხრა (3-ჯერ); მიპასუხა; უთხარი (2-ჯერ); მკითხა; გადაეცა; თქვა.

მე: – სად მიდიხარ?

ანა: – მაღაზიაში.

მე: – მეც მაღაზიაში მივდივარ. სად არის მაღაზია?

ანა: – მაღაზია ახლოსაა, დიდი სახლის პირველ სართულზე.

მე: – შენი და სადაა?

ანა: – სახლში არ არის, კინოში წავიდა.

მე: – შენს დას უთხარი, ხვალ ჩვენი ქართულის მასწავლებელი სკოლაში არ იქნება, ავად არის და ამიტომ პირველი გაკვეთილი არ გვექნება. ასევე, უთხარი, ნიკამ თქვა, წიგნი მოიტანე.

ანა: – ვეტყვი.

მე: – კიდევ აი, რა უთხარი შენს დას: ჩვენ კვირას ექსკურსია გვაქვს.

ანა: – სად მიდიხართ ექსკურსიაზე?

მე: – მცხეთაში.

ანა: – მეც მინდა ექსკურსია.

მე: – ძალიან კარგი, მაშინ შენც იქნები ჩვენს ექსკურსიაზე.


ანა: – დიდი მადლობა.

19.3. გაიხსენეთ რაიმე დიალოგი თქვენსა და მასწავლებელს ან მეგობარს შორის. დაწერეთ ის დიალოგის სახით:

<hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/>	<hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/>
---	---

19.4. გადააკეთეთ თქვენი დიალოგი ტექსტად და გამოიყენეთ 19.2. სავარჯიშოში მოცემული ზმნები და ნაწილაკები:

20. სვლა და მიმართულება



ახლანდელი დრო	მომავალი დრო	წარსული დრო	სასურველი მოქმ.	წარსული უძებრობითი
მოვდივარ (თ) მოდიხარ (თ) მოდის (მოდიან)	მოვალ (თ) მოხვალ (თ) მოვა (მოვლენ)	მოვედი (თ) მოხვედი (თ) მოვიდა (მოვიდნენ)	მოვიდე (თ) მოხვიდე (თ) მოვიდეს (მოვიდნენ)	მოვსულვარ (თ) მოსულხარ (თ) მოსულა (მოსულან)
მივდივარ (თ) მიდიხარ (თ) მიდის (მიდიან)	მივალ (თ) მიხვალ (თ) მივა (მივლენ)	მივედი (თ) მიხვედი (თ) მივიდა (მივიდნენ)	მივიდე (თ) მიხვიდე (თ) მივიდეს (მივიდნენ)	მივსულვარ (თ) მისულხარ (თ) მისულა (მისულან)
_____	წავალ (თ) წახვალ (თ) წავა (წავლენ)	წავედი (თ) წახვედი (თ) წავიდა (წავიდნენ)	წავიდე (თ) წახვიდე (თ) წავიდეს (წავიდნენ)	წავსულვარ (თ) წასულხარ (თ) წასულა (წასულან)

1.

- შენთან მოვდივარ და სახლში იქნები?
- გუშინ შენთან მოვედი და სახლში არ იყავი.
- ნიკა მოვიდა შენთან? – კი, ხუთ საათზე მოვიდა.
- ხვალ, სამ საათზე, შენთან მოვალ, სახლში იქნები?
- ძალიან მინდა შენთან მოვიდე დღეს საღამოს, სახლში იქნები?
- გუშინ შენ ჩემთან იყავი? – არა, არ მოვსულვარ, დრო არ მქონდა.

2.

- სად მიდიხარ? – ნიკასთან მივდივარ.
- გუშინ ნიკასთან მივედი და სახლში არ იყო.
- ხვალ მარიკასთან მივალ და გაკვეთილებს ერთად ვისწავლით.
- გინდა, ხვალ ერთად მივიდეთ მარიკასთან და იქ ვისწავლოთ გაკვეთილები.
- გუშინ ნიკასთან იყავი? – არა, არ მივსულვარ, ჩემთან იყვნენ სტუმრები.

3.

- ხვალ სკოლაში არ წავალ. – რატომ? – ნიკასთან მივდივართ დაბადების დღეზე.
- გუშინ სად წახვედი? – ჩემს კლასელთან ვიყავი.
- გუშინწინ სკოლაში იყავი? – არა, არ წავსულვარ, ავად ვიყავი.
- დედა, ხვალ სამსახურში წახვალ? – ძალიან მინდა წავიდე, მაგრამ თუ შენ ავად იქნები, არ წავალ.
- ხვალ სკოლაში წახვალ? – არა, ვერ წავალ, ბებიასთან მივდივართ.
- ხვალ და ზეგ სამსახურში ვერ წავალ, დედაჩემთან მივდივარ სოფელში.
- გუშინ მე სკოლაში წავედი, მაგრამ ვერ მივედი.



შენიშვნა: ახლანდელი დროის ფორმები მომავალ დროს გამოხატავს, თუ ეს მოქმედება წინასწარაა დაგეგმილი.

* * *

გუშინ ექსკურსიაზე ვიყავით. ძალიან კარგი იყო. დილის ცხრა საათზე სკოლაში *მიველით*. ბავშვები მალე *მოვიდნენ*. დირექტორი ჯერ არ იყო მოსული, ის ათის ნახევარზე *მოვიდა*. ათ საათზე მასწავლებლებიც *მოვიდნენ*. მე და თაკო მაღაზიაში *წავედით* და სასმელები ვიყიდეთ, კოკა-კოლა და ფანტა. მერე მძღოლთან *მიველით* და ვკითხეთ, როდის მივდივართო. მძღოლმა გვითხრა, ერთ საათში წავალთო. გვანცა არ მოვიდა, ავად იყო და არ იცოდა ექსკურსია რომ იყო. *მიველით* გვანცასთან, სახლში არ იყო, დედამისმა გვითხრა, ბებიასთან არისო. წავედით გვანცას ბებიასთან, გვანცა იქ იყო, ვუთხარით ექსკურსიის შესახებ. მერე გვანცას სახლში *მიველით*, გვანცამ ჩანთა აიღო და ერთად *წავედით* სკოლაში. როცა სკოლაში *მიველით*, უკვე ყველა იქ იყო. *წავედით* მცხეთაში, ვიყავით ჯვრის მონასტერში, სვეტიცხოველში. მერე *წავედით* რესტორანში და ხინკლები ვჭამეთ. გზაში ბევრი ვიცინეთ, ვიმღერეთ და ვიმხიარულეთ. სკოლაში საღამოს ექვს საათზე *მიველით*. შვიდ საათზე სახლში *მოვედი*. ძალიან კარგი დღე იყო. მომავალ კვირას სამთავისში *წავალთ*. ძალიან მიხარია...



* * *



- სად *მიდიხარ?*
- მაღაზიაში *მივდივარ* და მალე *მოვალ*.
- სახლში ვინ არის?
- დედა სამსახურში *წავიდა* და მალე *მოვა*, მამაც დილით *წავიდა* სამსახურში და საღამოს *მოვა*, გიგი ცურვაზე *წავიდა* და ერთ საათში სახლში იქნება, მეც მალე *მოვალ*.
- რამდენ ხანში *მიხვალ* სახლში? მე თეატრში *მივდივარ* და გასაღები არ მაქვს.

- ძალიან მალე *მოვალ*. სალომესთან იყავი?
- კი, დილით ადრე *მივედი* და მერე სკოლაში *წავედი*. საღამოს შენ სახლში იქნები?
- ძალიან მინდა მეგობართან *წავიდე*, საღამოს *წავალ* და მალე *მოვალ*.
- ფოსტაში იყავი? დილით ფოსტალიონი იყო და თქვა, ამანათი *მოვიდა* და წაიღეთო.
- არა, არ *წავსულვარ*, ვერ *წავედი* და ახლა *წავალ*.
- კარგი, სახლში *მივალ* და როცა შენ *მოხვალ*, ჯერ ამხანაგთან *მივალ* და მერე ერთად თეატრში *წავალთ*.

სავარჯიშოები

20.1. დააღაგეთ ფორმები მი–, მო– და წა– ზმნისწინების მიხედვით:

მიღიან მოღიან მოვდივართ მივიღნენ წავალთ მიხვიდეთ მოვლენ მოსულან
წავიღნენ მოვიღნენ წასულან წახვიდეთ მოსულხართ მივსულვართ მოხვედით

მი–	მო–	წა–

20.2. მოცემული ფორმებიდან შეარჩიეთ სწორი ფორმა:

მიღიხართ მოვიღა წახვალ მივა წავალ მიღიან წავსულვარ მიღის
წავედი წახვედით მივდივარ მოვლენ მოსულა

1. მე სალომესთან _____.
2. გუშინ სკოლაში ვერ _____.
3. ხვალ შენ _____ სკოლაში?
4. ნათია მარიკასთან _____ და მე რე ერთად
_____ ჩემთან.
5. სად _____ გუშინ შენ და რეზო?
6. გუშინწინ და გუშინ სკოლაში არ _____.
7. სად _____ შენ და მერაბი?
8. სად _____ ნანა? – ის და ნინიკო თეატრში _____.
9. ხვალ სკოლაში ვერ _____, ავად ვარ.
10. ნონა _____? – არა, ჯერ არ
_____.

20.3. შეარჩიეთ სწორი პირის ფორმა:

1. მე სკოლაში მივდივარ; შენც სკოლაში _____?
2. მე მალე მოვალ; შენ მალე _____?
3. მე მერაბთან მივედი; შენც _____?
4. მე მინდა თეატრში წავიდე; შენც გინდა _____?

5. მე ნანასთან წავალ; შენც _____?
6. მე დღეს სამსახურში არ მივსულვარ; არც შენ _____?
7. მე ფოსტაში დღეს მივალ; შენც _____?
8. მე ორ საათზე მოვედი სახლში; შენ როდის _____?
9. მე სამსახურში დილით ათ საათზე მოვდივარ; შენ როდის _____?
10. მე გუშინ სახლში გვიან წავედი; შენ როდის _____?

20.4. შეადგინეთ წინადადებები დასახელებული ფორმების გამოყენებით:

- მივდივარ: _____.
- მოვდივარ: _____.
- მოვიდა: _____.
- წავიდნენ: _____.
- მოხვალ: _____.
- წავლენ: _____.
- მიდიხარ: _____.
- არ მისულა: _____.
- მივიდნენ: _____.
- უნდა წახვიდე: _____.
- არ წასულა: _____.
- მოვიდნენ: _____.
- მივდივარ: _____.
- მოდის: _____.

20.5. უპასუხეთ კითხვებს:

- სად მიდიხარ კვირას? _____.
- ვინ მოვიდა გუშინ შენთან? _____.
- სად წახვალ ხვალ? _____.
- სად გინდა წახვიდე ზაფხულში? _____.
- ვინ მოვა შენს დაბადების დღეზე? _____.
- სად წახვედი გუშინ? _____.
- ვინ მოვიდა შარშან შენს დაბადების დღეზე? _____.

21. უარყოფა: არაჰინ – ვერაჰინ – ნურაჰინ...

არაჰინ – არც ერთი ადამიანი	ვერაჰინ – ვერც ერთი ადამიანი	ნურაჰინ – ნურც ერთი ადამიანი
არაჰემი – არც ერთი რამე	ვერაჰემი – ვერც ერთი რამე	ნურაჰემი – ნურც ერთი რამე
არსად – არც ერთ ადგილას	ვერსად – ვერც ერთ ადგილას	ნურსად – ნურც ერთ ადგილას
არასოდეს – არც ერთ (არასდროს) დროს	ვერასდროს – ვერც ერთ დროს	ნურასდროს – ნურც ერთ დროს

არაჲინ – არაჲის არაჲერი – არაჲერს	ვერაჲინ – ვერაჲის ვერაჲერი – ვერაჲერს	ნურაჲინ – ნურაჲის ნურაჲერი – ნურაჲერს
--------------------------------------	--	--

1.

- იცი, გუშინ **არაჲინ** არ ყოფილა გაკვეთილზე?
- გუშინ სკოლაში ვიყავი და **ვერაჲინ** ვერ ვნახე.
- ხვალ სამსახურში არ ვიქნები და **ნურაჲინ** ნუ დამირეკავს!
- ამ ამბავს **არაჲის** არ ვეტყვი.
- ხვალ სკოლაში არ ვიქნები და **ვერაჲის** ვერ ვნახავ.
- ძალიან გთხოვ, ამ ამბავს **ნურაჲის** ნუ ეტყვი!

2.

- მე სკოლაში არ ვიყავი და **არაჲერი** არ ვიცი.
- გაკვეთილზე არ ვიყავი და **ვერაჲერი** ვერ გავიგე.
- ცუდი ადამიანის **ნურაჲერი** ნუ გინდა!
- მე **არაჲერს** არ ვეტყვი მასწავლებელს, რატომ არ იყავი სკოლაში.
- მე გუშინ სკოლაში არ ვიყავი და **ვერაჲერს** ვერ გეტყვი.
- ძალიან გთხოვ, **ნურაჲერს** ნუ იტყვი!

3.


- გუშინ **არსად** არ ვყოფილვარ, სახლში ვიყავი მთელი დღე.
- გუშინ **ვერსად** ვერ წავედი, მთელი დღე სახლში ვიყავი.
- ხვალ **ნურსად** ნუ წახვალ, მე მოვალ და სახლში იყავი.

4.

- **არასოდეს** არ თქვა ტყუილი!
- მე ტყუილს **ვერასოდეს** ვერ ვიტყვი.
- **ნურასოდეს** ნუ იტყვი ტყუილს!

5.

- მე **არასოდეს** არ მითქვამს ტყუილი და ვერც **ვერასოდეს** ვიტყვი.
- **ნურასოდეს ნურაჲის** ნუ ეტყვი ტყუილს!
- შენ **არასოდეს არაჲერს** არ გეტყვი!
- **ვერასოდეს ვერაჲერს** ვერ ისწავლი, თუ არ გინდა!



შენ ჩემზე ნაწყენი ხარ, მე კი მაინც მინდა ყველაფერი გითხრა. გუშინ სამსახურშიც არ ვიყავი და ტელეფონზეც არ ვუპასუხე, მაგრამ დამიჯერე, ისეთი არაფერი მომხდარა, რაც ჩემსა და შენს ურთიერთობას შეცვლის. არსად არ ვყოფილვარ, არავინ და არაფერი არ მინახავს, ნურც ნურავის დააბრალებ რაიმეს... ეს ყველაფერი მოულოდნელად მოხდა: დილით რომ გავიღვიძე, სახლში არავინ არ დამხვდა, სამსახურშიც დამაგვიანდა, დილით ვერ გავიღვიძე და წასვლა არ ღირდა. არაფერი არ შემეძლო, სამსახურშიც ვერ წავედი, ამიტომ გადავწყვიტე ჩემს მეგობართან წასვლა, მაგრამ ტელეფონის ნომერი ვერ ვიპოვე. ჩემი ბლოკნოტი სამსახურში დამრჩა. ვერაფერს ვიზამდი, ამიტომ პირდაპირ წასვლა გადავწყვიტე. მანქანა ავამუშავე და წავედი. ჩემი მეგობარი სახლში არ იყო, ამიტომ მის სამსახურში წავედი. იქ ვერ ვნახე, მითხრეს, რომ შაბათს დის ქორწილი ჰქონდა და ამიტომ სამსახურში არ იყო. გადავწყვიტე, მასთან სახლში წასვლა, წავედი, მაგრამ გზაში მანქანა გაფუჭდა და იქამდე ვერ მივედი. ვერც ვერავისთან

დავრეკე, არავის ტელეფონის ნომერი არ მქონდა, ვერავის ვერ ვუთხარი ჩემი ამბავი, თან ვერსად ვერ წავედი. სადამომდე ასე ვიყავი, გზაზე არავინ არ იყო, მერე კი ვიღაცა დიდი სატვირთო მანქანით მოვიდა და წამიყვანა...

ახლა კი გთხოვ, ნუ გეწყინება ჩემი გუშინდელი უყურადღებობა, ნურაფერს მეტყვი, ნურასოდეს გაიხსენებ ამ ნერვიულობას... მე კი გპირდები, არასოდეს მოხდება ასეთი რამ, არსად უშენოდ არ წავალ... ჩემს თავს კი ვერ ვაპატიებ იმას, რომ ასე განერვიულე...

უცნაური დიალოგი:

- სად მიდიხარ?
- არსად.
- სამსახურში ვინ არის?
- არავინ.
- რას მეტყვი ახალს?
- არაფერს.
- რამე გინდა?
- არაფერი.
- რას იტყვი ახალ დირექტორზე?
- ვერაფერს.
- ლონდონში როდის მიდიხარ?
- არასოდეს.
- აბა სად მიდიხარ?
- ვერსად.
- ვინმეს ელოდები?
- არავის.
- კლასელებს ვინმეს ნახულობ?
- ვერავის.
- რა გინდა?
- არაფერი.
- ვინ გინდა?
- არავინ.
- სად გინდა
- არსად...



საგარჯიშოები

21.1. შეარჩიეთ სწორი ფორმა: არავინ, არაფერი, არსად, არასოდეს

1. _____ არ მინახავს ეს ფილმი, კარგია?
2. მე გუშინ შენთან ვიყავი და სახლში _____ არ იყო.
3. ახლა ისეთ ხასიათზე ვარ, _____ არ მინდა წასვლა.
4. სკოლაში ვიყავი, მაგრამ _____ არ მინახავს.
5. მაღაზიაში ვიყავი და _____ არ აქვთ.
6. სად მიდიხარ? – _____.
7. რა გითხრა ჩემზე გუშინ მარიკამ? – _____.
8. დავალება არ ვიცი რა დავწერო, დავრეკე და _____ არ იცის.
9. მართალს ამბობ? – მე შენთვის _____ არ მითქვამს ტყუილი.
10. დღეს სამსახურში _____ არ მინახავს.

21.2. ჩასვით სწორი ფორმა: ვერავინ / ნურავინ, ვერაფერი / ნურაფერი, ვერსად / ნურსად, ვერასდროს / ნურასდროს.

1. სულ მინდა სამოგზაუროდ წასვლა, მაგრამ _____ ვერ წავედი.
2. უთხარი მასწავლებელს სიმართლე? – _____ ვერ ვუთხარი.
3. რამდენჯერ გითხარი, იატაკზე _____ ნუ დააგდე!
4. მე ძალიან ბევრი საქმე მაქვს და ახლა ჩემთან _____ ნუ მოვა!
5. ძალიან მინდა, მაგრამ ეს ფილმი _____ ვერ ვნახე.
6. მე მალე მოვალ შენთან და _____ ნუ წახვალ!
7. სკოლაში კი ვიყავი, მაგრამ _____ ვერ ვნახე.
8. _____ ნუ იტყვი ტყუილს!
9. არაფერი არ ვიცი, _____ ვერ გეტყვი.
10. _____ ვერ მეტყვის, სად არის დირექტორი?

21.3. ჩასვით სწორი ბრუნვის ფორმით:

1. ვის უთხარი, რომ მე აქ ვარ? _____ (არავინ / არავის)
2. ახლა _____ ვერ გეტყვი, ძალიან ცუდად ვარ. (ვერაფერი / ვერაფერს)
3. _____ არ ვიცი და ამიტომ _____ ვერ ვიტყვი. (არაფერი / არაფერს, ვერაფერი / ვერაფერს)
4. ვის უთხარი, რომ ხვალ გააკეთილები არ გვაქვს? – _____ (არავინ / არავის).

5. ცუდს _____ ნუ ეტყვი, არ შეიძლება. (ნურავინ / ნურავის)
6. დღეს პარკში ვიყავი, მაგრამ _____ ვერ ვნახე. (ვერავინ / ვერავის)
7. როცა შენ არ გეუბნებიან, შენც _____ ნუ ეუბნები.
(ნურავინ, ნურავის; ნურაფერი / ნურაფერს)
8. ვკითხულობ, მაგრამ _____ ვერ ვიგებ. (ვერაფერი / ვერაფერს)
9. არა, შენ _____ არ გეტყვი, ძალიან გაბრაზებული ვარ. (არაფერი / არაფერს)
10. რა გინდა? – _____ არ მინდა, დიდი მადლობა. (არაფერი / არაფერს)

21.4. შეადგინეთ წინადადებები დასახელებული ფორმების გამოყენებით:

- არაფერი: _____
- არავინ: _____
- არავის: _____
- არასოდეს: _____
- არსად: _____
- ვერსად: _____
- ნურსად: _____
- ნურასოდეს: _____
- ვერაფერს: _____
- ვერავის: _____
- ნურავინ: _____
- ვერასდროს: _____
- ნურავის: _____
- არაფერს _____
- ვერავინ: _____
- ვერაფერი: _____

21.5. უპასუხეთ კითხვებს:

- როდის იყავი პარიზში? _____
- ვინ არის შენს ოჯახში კინომსახიობი? _____
- იტალიის ნაკრების ფეხბურთელებიდან ვის იცნობ? _____
- ახლა რას მიირთმევ? _____
- რას იტყვი ჩინურ ენაზე? _____

22. უნდა – ვაღივებულება, მოვალეობა

1.

უნდა	ისწავლოს	მან	ის	ითამაშოს	მან	
	იცხოვროს	მან		ივარჯიშოს	მან	
	ჰქონდეს	მას	ის	იცეპოს	მან	
	ჰქაავდეს	მას	ის	იმღეროს	მან	
	თქვას	მან	ის	ილაპარაკოს	მან	
	უთხრას	მან	მას	ის	იმეზობროს	მან
	მიიხრას	მან	მე	ის	იჩქაროს	მან
	მოვიდეს	ის			იმკურნალოს	მან

- ხვალ საკონტროლო წერა მაქვს და ტექსტები *უნდა ვისწავლო*.
- თავისუფალი ხარ? – არა, გაკვეთილები *უნდა ვისწავლო*.
- ერთი წელი სახლფარგარეთ *უნდა ვიცხოვრო*, მამაჩემი იქ მუშაობს.
- დედამსმეც ყველაფერი *უნდა ვუთხრა!*
- ხვალ აუცილებლად *უნდა წავიდე* სკოლაში, ორი საკონტროლო წერა მაქვს!
- გამოცდაზე აუცილებლად *უნდა გქონდეს* საგამოცდო და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.
- მე სიმართლე *უნდა ვთქვა*, ეს აუცილებელია!

2.

- ხვალ შეჯიბრება გვაქვს და კარგად *უნდა ვითამაშო*, ჩვენ *უნდა მოვიგოთ!*
- სად *უნდა ითამაშოთ* ფეხბურთი? – დიდ სტადიონზე.
- ბევრი *უნდა ივარჯიშო*, თუ გინდა მოიგო!
- ხვალ კონცერტი გვაქვს, ფილარმონიის დიდ დარბაზში *უნდა ვიცეკვოთ*.
- კონცერტზე რა სიმღერა *უნდა იმღეროს ანამ!* – ერთი ახალი სიმღერა აქვს და ის *უნდა იმღეროს*.

3.

- თუ გინდა ენა კარგად ისწავლო, ბევრი *უნდა ილაპარაკო!*
- გაკვეთილზე არ *უნდა ილაპარაკო*, მასწავლებელს *უნდა მოუსმინო!*
- რაზე *უნდა ილაპარაკოს* დირექტორმა მშობელთა კრებაზე? – დისციპლინაზე სკოლაში.
- თქვენ *უნდა იმეგობროთ* და არ *უნდა იჩხუბოთ!*

4.

- გვაგვიანდება, *უნდა ვიჩქაროთ!*
- *უნდა იჩქარო*, გაკვეთილი უკვე დაიწყო!
- *უნდა იჩქარო*, დავალების დაწერას ვერ მოასწრებ!

5.

- ავად ვიყავი და ახლა ერთი თვე *უნდა ვიმკურნალო*.
- აუცილებლად *უნდა იმკურნალო!*
- ლალი სად არის? სამსახურში არ არის? – ავად იყო, ახლა მკურნალობს. – რამდენი ხანი *უნდა იმკურნალოს* ლალიმ? – გერმანიაშია, კიდევ ერთი თვე *უნდა იმკურნალოს*.

* * *



თქვენ ერთი წელი **უნდა ისწავლოთ** ჩვენს უნივერსიტეტში, **უნდა იცხოვროთ** საერთო საცხოვრებელში. უნივერსიტეტში მოსვლისას თან **უნდა გქონდეთ** ჩაბარებული გამოცდებისა და მოსმენილი საგნების დამადასტურებელი ცნობები. თქვენ **უნდა მიხვიდეთ** უნივერსიტეტში და შერჩეულ ფაკულტეტზე კურატორს **უნდა უთხრათ**, ვინ ხართ. რეგისტრაციის შემდეგ რამდენიმე დღეში **უნდა გქონდეთ** გასაუბრება, სადაც თქვენ **უნდა ილაპარაკოთ** თქვენ შესახებ.

თქვენ **უნდა იჩქაროთ** საბუთების გამოგზავნა, რადგან ორ კვირაში იწყება არდადეგები.

გისურვებთ წარმატებებს.

* * *

- გამარჯობა. დეკანი არის?
- რა გნებავთ?
- საზღვარგარეთ მივლივარ, ერთი წელი იქ **უნდა ვიცხოვრო** და **ვისწავლო** და დეკანს **უნდა ვუთხრა** ამის შესახებ.
- თქვენ განცხადება **უნდა დაწეროთ**.
- რა **უნდა დაწერო** განცხადებაში?
- **უნდა დაწეროთ**, რომ საზღვარგარეთ მიდიხართ.
- განცხადება დღეს **უნდა დაწეროთ**?
- დიახ, **უნდა იჩქაროთ**, დეკანი თათბირზე მიდის.
- განცხადებასთან ერთად რა **უნდა მქონდეს**?
- განცხადებასთან ერთად **უნდა იყოს** უნივერსიტეტის მიწვევა.
- მიწვევა ახლა არ მაქვს, ამიტომ ხვალ **უნდა მოვიდუ**. დეკანი დილიდან იქნება?
- დიახ, ხვალ დილით **უნდა მოხვიდეთ**, 12 საათზე რექტორთანაა შეხვედრა და იქ **უნდა წავიდეს**.
- დიახ, 11 საათისთვის მოვალ.
- აუცილებლად თორმეტამდე **უნდა მოხვიდეთ**.
- მოვალ. დიდი მადლობა. კარგად ბრძანდებოდეთ.
- ნახვამდის.

საპარჯიშოები

22.1. გადაიყვანეთ პირველი პირის ფორმები III პირში:

1. გაკვეთილი არ ვიცი და რა უნდა ვუთხრა მასწავლებელს ხვალ? (გურამი)
2. ხვალ დიდიდან სადამომდე სპორტულ დარბაზში ვიქნები, უნდა ვივარჯიშო. (გიორგი)
3. სად უნდა ვითამაშოთ ფეხბურთი? (სტუდენტები)
4. ხვალ მოხსენება მაქვს და ბევრი უნდა ვილაპარაკო. (თორნიკე)
5. მე ახლა ერთი სიმღერა უნდა ვიმღერო. (ანა)
6. ხვალ კონცერტი მაქვს და ცეკვა „ქართული“ უნდა ვიცეკვო. (დავითი)
7. გრიპის შემდეგ ცოტა ხანი უნდა ვიმკურნალო. (სალომე)
8. ახალი წლიდან ახალ ბინაში უნდა ვიცხოვრო. (ჩემი ბიძაშვილი)
9. ეს ტექსტი უნდა ვისწავლო, ხვალ ტესტირება მაქვს. (მოსწავლე)
10. ბევრი უნდა ვივარჯიშო, მალე მაქვს შეჯიბრი. (ვანო)

22.2. ჩასვით სახელი სწორი ბრუნვის ფორმით:

1. _____ კარგად უნდა ისწავლოს! (მარიამი)
2. სად უნდა იცხოვროს _____. (ნანა)
3. _____ აუცილებლად უნდა ჰქონდეს სტუდენტის მოწმობა. (სტუდენტი)
4. _____ სიმართლე უნდა თქვას. (ადამიანი)
5. _____ უნდა უთხრას თავისი მისამართი. (მაია, ანა)
6. _____ უნდა მითხრას, რა უნდა. (ჩემი და)
7. _____ ხვალ უნდა მივიდეს სკოლაში (გიორგი)
8. სოფელში როდის უნდა წავიდეს _____ ? (ანზორი)
9. ამ _____ კარგად უნდა ითამაშოს და აუცილებლად მოიგებს. (გუნდი)

10. რომელ საათამდე უნდა ივარჯიშონ _____ ? (ფეხბურთელები)
11. რაზე უნდა ილაპარაკონ სტუდიაში მოწვეულმა _____ ? (სტუმრები)
12. უკვე ცხრა საათია, _____ უნდა იჩქარონ, სკოლაში აგვიანდებათ. (ბავშვები)
13. ავადმყოფობის შემდეგ _____ ცოტახანი უნდა იმკურნალოს. (ნატა)
14. კარგი იქნება ჩვენმა _____ იმეგობრონ. (შვილები)

22.3. შეადგინეთ წინადადებები დასახელებული ფორმების გამოყენებით:

უნდა ვისწავლო: _____

უნდა იცხოვროს: _____

უნდა ჰყავდეს: _____

უნდა ვთქვა: _____

უნდა მითხრას: _____

უნდა მივიდე: _____

უნდა წავიდე: _____

უნდა ვითამაშო: _____

უნდა ივარჯიშოს: _____

უნდა ილაპარაკოს: _____

უნდა იმეგობრონ: _____

უნდა იჩქარონ: _____

უნდა იმკურნალოს: _____

უნდა იმღერო: _____

უნდა იცეკვო: _____

უნდა ითამაშო: _____

უნდა თქვას: _____

23. უწყვეტილი და უწყვეტი მოქმედება წარსულში

<p>ზმნის ფორმით არ ჩანს, რომ დასრულდა, შეწყდა მოქმედება</p> <p style="text-align: center;">უწყვეტი მოქმედება წარსულში</p>	<p>ზმნის ფორმით ჩანს, რომ მოქმედება წარსულ დროში იყო და გარკვეულ დროში დასრულდა, შეწყდა</p> <p style="text-align: center;">შეწყვეტილი მოქმედება წარსულში</p>
<p>მე გუშინ საღამოს გააკვთილვს ვსწავლობდი (არ ჩანს, სწავლა დავამთავრე თუ არა).</p>	<p>მე გუშინ საღამოს გააკვთილვს ვისწავლე (ესწავლობდი და სწავლა დავამთავრე, გაკეთილვს ვისწავლე).</p>
<p>ერთი თვე ვმკურნალობდი (არ ჩანს, დავამთავრე თუ არა მკურნალობა).</p>	<p>ერთი თვე ვიმკურნალე (ჩანს, რომ მკურნალობა დავამთავრე, შევწყვიტე).</p>
<p>ამაზე ბევრს ვოცნებობდი (არ ჩანს, შევწყვიტე თუ არა ოცნება).</p>	<p>ამაზე ბევრი ვიოცნებე (ჩანს, რომ შევწყვიტე, დავამთავრე ოცნება).</p>

1.

- გუშინ მთელი დღე ეზოში *ვთამაშობდით*.
- გუშინ სამ საათამდე *ვითამაშეთ* და მერე სახლში წავედი.
- რამდენი ხანი *ვივარჯიშეთ* გუშინ? – საღამოს შვიდ საათამდე *ვივარჯიშეთ*.
- დიდხანს *ვარჯიშობდით* გუშინ? – კი, საღამოს შვიდ საათამდე *ვივარჯიშეთ*.
- შენ რომელ ანსამბლში *ცეკვავდი*? – სამი წელი *ვიცეკვე* პატარების ანსამბლში, მერე *ვცეკვავდი* დიდების ანსამბლში, ახლაც იქ *ვცეკვავ*.
- გურანდას დაბადების დღეზე გუშინ მთელი დღე *ვმღეროდით* და *ვცეკვავდით*.
- კარგი იყო დაბადების დღეზე? – ძალიან კარგი იყო, ბევრი *ვიცეკვეთ* და *ვიმღერეთ*.

2.

- რას *ვლაპარაკობდით* გუშინ ჩვენს სკოლაზე? – ჩვენს ახალ დირექტორზე *ვლაპარაკობდით*, კარგი მასწავლებელი იყო და დირექტორიც კარგი იქნება.
- – იცი, ვინ არის გიგი? – კი, ვიცი, ჩვენ *ვმეგობრობდით*.
- ძალიან *ვჩქარობდით* და კარგია, რომ დროზე მოვედით.
- რამდენიმე თვე *ვმკურნალობდი*, მაგრამ შედეგი არ მაქვს.

3.

- მე სულ *ვეუბნებოდი*, წავიდეთ ექიმთან-მეთქი.
- ჩვენ დიდი ხანი *ვმეგობრობდით*, მერე ის მოსკოვში წავიდა.
- მე ათი წელი *ვცხოვრობდი* ქუთაისში.
- შენ რამდენი წელი *მუშაობდი* სკოლაში? – ოცი წელი *ვმუშაობდი*.
- გიორგიც ამ სკოლაში *სწავლობდა*? – კი, ჩვენ ერთ სკოლაში *ვსწავლობდით* და *ვმეგობრობდით*.
- მამამისი სკოლის დირექტორი იყო, მამაჩემიც მასთან *მუშაობდა*.
- მეც *ვმღეროდი* ამ გუნდში.

ვ-ვარჯიშობ(თ) მე (ჩვენ)
 ვ-ვარჯიშობდი(თ) მე (ჩვენ)

* * *

ეს ძალიან დიდი ხნის წინ იყო. ჩვენი ოჯახი მაშინ ქუთაისში ცხოვრობდა. მე სკოლაში ვსწავლობდი. იმ დროს ბევრს ვვარჯიშობდი, ჩვენი სკოლის კალათბურთის გუნდში ვთამაშობდი. ყოველ დღე გაკვეთილების შემდეგ სკოლაში ვრჩებოდი და დარბაზში ვვარჯიშობდი. ერთ დღეს ვარჯიშიდან დაღლილი სახლში მივდიოდი, რაღაცაზე ვფიქრობდი. უცებ ეზოდან მანქანა გამოვიდა, სწრაფად წამოვიდა და დამეჯახა. მე დავეცი. მანქანიდან მძღოლი გადმოვიდა, ჩემთან მოვიდა და ბოდიშის მოხდა დაიწყო. ის მძღოლი ჩემი კლასელის ძმა იყო. ძალიან წუხდა ჩემზე. მე კი ფეხი მოვიტეხე... მერე მთელი ერთი თვე სახლში ვიყავი და ვმკურნალობდი. აი, ასე იყო ეს ამბავი. ამიტომ, გადასასვლელელებზე და გზებზე ძალიან ფრთხილად უნდა იყო, არავინ იცის, საიდან რა იქნება...

დადის – დადიოდა
გამოდის – გამოდიოდა – გამოვიდა
გადმოდის – გადმოდიოდა – გადმოვიდა
წამოვიდა



* * *



- მამა, ბავშვობაში ფეხბურთზე დადიოდი?
- რამდენიმე წელი დავდიოდი.
- ბევრს ვვარჯიშობდი?
- ძალიან ბევრს ვვარჯიშობდი.
- ცეკვაზეც დადიოდი?
- კი, ცეკვაზეც დავდიოდი, მაგრამ ცოტა ხანი.
- სიმღერაზე?
- არა, სიმღერაზე არ დავდიოდი, კარგად ვერ ვმღეროდი.
- კარგად ცეკვავდი?
- კარგად არ ვცეკვავდი, მაგრამ ფეხბურთს კარგად ვთამაშობდი.
- გაკვეთილებზე ლაპარაკობდი?
- არა, არ ვლაპარაკობდი. შენ ლაპარაკობ გაკვეთილზე?
- ჰო, გუშინ ვლაპარაკობდი გაკვეთილზე და მასწავლებელმა მითხრა, მშობელთა კრებაზე მამას ვეიტყვი, გაკვეთილებზე რომ ლაპარაკობდიო.
- ა, ამის თქმა გინდოდა?
- ჰო, ამის თქმა მინდოდა. ძალიან ცუდი ვარ?
- არა, ცუდი არ ხარ, მაგრამ გაკვეთილზე არ უნდა ილაპარაკო და კარგია, მართალი რომ მითხარი.
- არ ვილაპარაკებ და კარგი ვიქნები.
- ძალიან კარგი.

საპარჯიშოები

23.1. დაუკავშირეთ უწყვეტი მოქმედების გამომხატველი ფორმა:

ისწავლე	მკურნალობდა
ვიცხოვრე	ლაპარაკობდა
ვითამაშე	მეგობრობდნენ
ივარჯიშე	ჩქარობდნენ
იცეკვა	ვცხოვრობდი
ვიმღერე	ვარჯიშობდი
ილაპარაკა	ვთამაშობდი
მეგობრობენ	ვმღეროდი
ჩქარობენ	სწავლობდი
მკურნალობს	ცეკვაავდა

23.2. მიუწერეთ უწყვეტი მოქმედების გამომხატველი ფორმა:

ვსწავლობ	<i>ვსწავლობდი</i>
ვცხოვრობ	
ვთამაშობ	
ვვარჯიშობ	
ვცეკვავ	
ვფიქრობ	
ვლაპარაკობ	
ვმეგობრობ	
ვჩქარობ	
ვმკურნალობ	
ვოცნებობ	
დავდივარ	

23.3. შეცვალეთ წინადადებებში აწმყოს ფორმა უწყვეტლის ფორმით:

1. ერთი წელი ვმკურნალობ. _____
2. დიდი ხანია ვცეკვავ. _____
3. მე ფეხბურთს ვთამაშობ. _____
4. მარინა ბევრს ლაპარაკობს. _____
5. ანა ოცნებობს. _____
6. გოგი ბევრს ვარჯიშობს. _____
7. ნანა ჩქარობს. _____
8. ნიკა თბილისში ცხოვრობს. _____
9. ლალი სკოლაში მუშაობს. _____
10. მარიამი სიმართლეს მეუბნება. _____

23.4. მიუწერე უწყვეტი მოქმედების გამომხატველი ფორმა:

დადის	
გადადის	
გადმოდის	
ჩადის	

23.5. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით:

ესწავლობდი: _____

ვისწავლე: _____

ვცხოვრობდი: _____

ვიცხოვრე: _____

ვთამაშობდი: _____

ვითამაშე: _____

დავდიოდი: _____

წავედი: _____

ვვარჯიშობდი: _____

ვივარჯიშე: _____

ვლაპარაკობდი: _____

ვილაპარაკეთ: _____

ვცმკვავდი: _____

ვოცმკვე: _____

ემღეროდი: _____

ვიმღერე: _____

ვჩქარობდი: _____

იჩქარე: _____

მუშაობს: _____

მუშაობდა: _____

ვოცნებობ: _____

ვოცნებობდი: _____

ვეუბნები: _____

ვეუბნებოდი: _____

24. მრავალჯერ გამეორებული მოქმედება: ხოლმე

ზაფხულში	ვთამაშობდით ვვარჯიშობდით ვცეკვავდით ვმღეროდით ვლაპარაკობდით დავდიოდით ვაკეთებდით ვფიქრობდით ვიხსენებდით ვკითხულობდით ვსაუბრობდით	ხოლმე ხშირად, მრავალჯერ გამეორებული მოქმედება
----------	--	--

იშვიათად ხანდახან ზოგჯერ – ხშირად სულ ყოველთვის

საღამოობით (= ხშირად საღამოს)
ზაფხულობით (= ხშირად ზაფხულში)
დილაობით (= ხშირად დილით)
კვირაობით (= ხშირად კვირას)

1.

- რას აკეთებდით *ხოლმე* ზაფხულში? – მდინარეზე *დავდიოდით ხოლმე, ვსეირნობდით, წიგნებს ვკითხულობდით.*
- ნანი ამ დარბაზში *ცეკვავდა ხოლმე.*
- როცა პატარები ვიყავით, ამ ბაღში *ვსეირნობდით ხოლმე.*
- აქ *მოვდიოდით ხოლმე* და *ვიხსენებდით* ჩვენს ბავშვობას.
- ეს ადგილი ძალიან მიყვარს, აქ *მოვდიოდით* და *ვლაპარაკობდით ხოლმე* ჩვენს კლასზე.

2.

- *ხანდახან* ზღვის ნაპირზე *ვსეირნობდით ხოლმე*, მაგრამ უფრო *ხშირად* კლუბებში *დავდიოდით.*
- გემით *იშვიათად* *გავდიოდით ხოლმე* ზღვაში, უფრო *ხშირად* ნაპირზე *ვსეირნობდით, ზოგჯერ* კი ღამის კლუბში *შევდიოდით* და *ვცეკვავდით.*
- გიგა *სულ* *კითხულობდა ხოლმე*, არსად არ *დადიოდა.*
- ჩემს მეგობრებთან ერთად *ხშირად* *ვთამაშობდით ხოლმე* ფეხბურთს.
- ბავშვობაში *ვარჯიშობდი ხოლმე?* – კი, *ყოველთვის ვვარჯიშობდი ხოლმე* და კარგ ფორმაში ვიყავი.

3.

- *საღამოობით* ბაღში *ვსეირნობდით ხოლმე.*
- *ზაფხულობით* სად *ისვენებთ ხოლმე?* – ორი კვირა *ყოველთვის* ზღვაზე *ვისვენებთ ხოლმე*, მერე კი ბებიასთან მივდივართ სოფელში.
- *დილაობით* რას *მიირთმევთ ხოლმე?* – *დილაობით* ყველს და პურს *ვჭამ ხოლმე*, ვსვამ ყავას ან ჩაის.
- *კვირაობით* ეკლესიაში *დავდივარ ხოლმე.*



შენიშვნა: *ხოლმე* შეიძლება დაერთოს ახლანდელი და წარსული დროის ფორმებსაც და ის აღნიშნავს ხშირად, მრავალჯერ გამეორებულ მოქმედებას.

* * *

ზაფხულობით სოფელში *ვისვენებდი ხოლმე*. ძალიან მიყვარდა ბებიასთან ყოფნა. იქ კარგად *ვერთობოდი*, მდინარეზე საბანაოდ *დავდიოდი* *ხოლმე*, საღამოობით კინოში *მივდიოდი* *ხოლმე*, ყოველ ღამე იყო კინო. *ზოგჯერ* ტყეში *მივდიოდი* და სოკოს *ვაგროვებდი*, ხილს *ვკრეფდი*. *საღამოობით* დიდ ცეცხლს *ვანთებდი* და ბევრს *ვლაპარაკობდი*. ჩვენთან ერთად ჩემი ბიძაშვილებიც იყვნენ; ისინი მაშინ *ჩამოდიოდნენ* *ხოლმე*, როცა ჩვენ *ჩავდიოდი* სოფელში. ერთად ბევრს *ვმხიარულობდი* *ხოლმე*, *ვიცინოდი*, *ვმღეროდი*, *ვცეკავდი*. ძალიან კარგი იყო, ახლაც ძალიან მინდა ასეთ არდადეგები.



ღიალოგი

- ბაკურიანში ყოფილხარ?
- კი, ორჯერ ვიყავი. შენ ყოფილხარ?
- კი, ჩვენ ყოველ ზამთარს იქ *ვისვენებთ* *ხოლმე*.
- ძალიან კარგია ბაკურიანში, არა?
- ჰო, ძალიან კარგია. შარშან „ვილა პარკში“ *ვისვენებდი*. დილით ადრე *გავდიოდი* და შუადღემდე *ვსრიალებდი*, მერე კაფეში *მივდიოდი* *ხოლმე* და იქ *ვსაუზმობდი*.
- თხილამურებით სრიალებ?
- კარგად არ ვიცოდი, მაგრამ იქ მწვრთნელი *მყავდა* და მასთან ერთად ორი-სამი საათი *ვეარჯიშობდი* *ხოლმე*, სწორად სრიალს *ვსწავლობდი*. რამდენიმე დღეში სრიალი *ვისწავლე*. პირველად ძალიან კარგად ვერ *ვსრიალებდი* *ხოლმე*, ძალიან მალე *ვიღლებოდი* *ხოლმე*, მაგრამ მერე ყველაფერი კარგად იყო.
- სასტუმროში კარგად *ერთობოდი* *ხოლმე*?
- კი, სასტუმროში ძალიან კარგი იყო, იქ არის ბილიარდი და საღამოობით მეგობრები ბილიარდს *ვთამაშობდი* *ხოლმე*, მერე გვიან ბარში *მივდიოდი* და იქ *ვცეკავდი* *ხოლმე*, ღამით ნომერში ვიყავით და გვიანობამდე *ვლაპარაკობდი* *ხოლმე*, დილით კი ისევ სასრიალოდ *მივდიოდი* *ხოლმე*. აი, ასეთი იყო ჩვენი დღეები. ბაკურიანში.
- კარგია. ჩვენ ოჯახთან ერთად ვიყავით ბაკურიანში. ჩვენც დილიდან საღამომდე *ვსრიალებდი* *ხოლმე*. მამაჩემმა ძალიან კარგად იცის სრიალი და ჩვენ მასთან ერთად *ვეარჯიშობდი* *ხოლმე*.
- ძალიან კარგია ბაკურიანში, წელსაც აუცილებლად წავალთ.
- ჩვენც.
- ერთ სასტუმროში წავიდეთ!
- კარგი იქნება!

საპარჯიშობი

24.1. ახლანდელი დროის ფორმებს მიუწერეთ უწყვეტი წარსულისა და მრავლობითი რიცხვის ფორმები:

თამაშობენ	<i>თამაშობდნენ</i>
ვარჯიშობენ	
ცეკვავენ	
მღერიან	
ლაპარაკობენ	
დადიან	
ფიქრობენ	
იხსენებენ	
კითხულობენ	
სეირნობენ	

24.2. შეავსეთ ფორმებით და შეუსაბამეთ ნაცვალსახელები:

თამაშობს	<i>თამაშობდა ის</i>	<i>ითამაშებს ის</i>	<i>ითამაშა მან</i>	<i>ითამაშოს მან</i>
ვარჯიშობს				
ცეკვაუს				<i>იცეკვოს მან</i>
მღერის	<i>მღეროდა ის</i>			
ლაპარაკობს			<i>ილაპარაკა მან</i>	
ფიქრობს		<i>იფიქრებს ის</i>		
აკეთებს				<i>გაკეთოს მან ის</i>
იხსენებს			<i>გაიხსენა მან ის</i>	
კითხულობს				
სეირნობს			<i>გაიხეირნა მან</i>	

24.3. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა:

1. კვირაობით ფეხბურთს _____ ხოლმე. (ვითამაშეთ, ვითამაშობდით)
2. ზაფხულში კლუბში _____ ხოლმე. (დავდიოდით, წავყვდით)
3. საღამოობით პარკში _____ ხოლმე. (ვისეირნეთ, ვსეირნობდით)
4. კლუბში ათ საათამდე _____ ხოლმე. (ვცეკვავდით, ვიცეკვავთ)
5. რას _____ ხოლმე ბაკურიანში? – მთელი დღე გარეთ ვიყავით და _____ . (გაკეთეთ, აკეთებდით; ვსრიალებდით, ვისრიალებთ)

6. ჩვენ ხშირად _____ ხოლმე ჩვენს ბავშვობას. (გავისვენეთ, ვისვენებდით)
7. ბავშვობაში ბევრს _____ ხოლმე. (წავიკითხე, ვკითხულობდი)
8. სავარჯიშო დარბაზში სამი საათი _____ ხოლმე. (ვვარჯიშობდი, ვივარჯიშე)
9. საინფორმაციო გადაცემებში ხშირად _____ ხოლმე პოლიტიკის შესახებ. (ილაპარაკეს, ლაპარაკობენ)
10. ზაფხულობით ზღვაზე _____ ხოლმე. (დავისვენეთ, ვისვენებდით)

24.4. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით:

- თამაშობს: _____
- ვარჯიშობდა ხოლმე: _____
- ილაპარაკა: _____
- გაისვენე: _____
- ვსეირნობდით: _____
- ვფიქრობდით ხოლმე: _____
- იმღერა: _____
- ცეკვავდნენ: _____
- დავდიოდით ხოლმე: _____
- მოდითდა ხოლმე: _____
- ვიმხიარულეთ: _____
- მხიარულობდნენ: _____
- ვერ გავისვენე: _____
- ისვენებდნენ ხოლმე: _____
- სეირნობდნენ ხოლმე: _____
- ვისეირნეთ: _____
- ვერ წავიკითხე: _____
- დადიოდა: _____
- წაიკითხა: _____
- ხშირად ვლაპარაკობდით: _____ ზე.
- ზოგჯერ მოდიოდნენ: _____
- ივარჯიშა: _____
- არ ცეკვავდა ხოლმე: _____
- ვერ კითხულობდა: _____

25. მომავლის გეგმა: ალბათ, აუცილებლად, შეიძლება

რას აპირებ?

<p>ალბათ (ვარაუდი)</p>	<p>წავალ ვისწავლი ვიცხოვრებ ვიმუშავებ ვეტყვი ვიმარჯოშებ ვიმპურნალებ მეყოლება ბავაბრძელებ ბაღავყვიტ</p>	<p>აუცილებლად უნდა შეიძლება (სურვილი, ვარაუდი) ვაპირებ</p>	<p>წავიდე ვისწავლო ვიცხოვრო ვიმუშაო ვეუბნა ვიმარჯოშო ვიმპურნალო მეგაფეს ბავაბრძელო ბაღავყვიტო</p>
----------------------------	--	--	---

1.

- რას აპირებ? – ალბათ სახლში წავალ, უკვე გვიანია.
- ხვალ სკოლაში მოხვალ? – არა, ალბათ ხვალ ექიმთან წავალ.
- დღეს სადამოს რას აპირებ? – ალბათ გაკვეთილებს ვისწავლი, მერე მეგობართან წავალ და მერე დავიძინებ, ხვალ ადრე უნდა წავიდე სამსახურში.
- რას აპირებ, დედას ეტყვი, რომ სკოლაში უნდა მივიდეს? – ალბათ ვეტყვი; არა, არა, აუცილებლად ვეტყვი.
- ალბათ ცოტა ხანს კიდევ ვივარჯიშებ და სახლში ერთ საათში ვიქნები.
- წელს გიორგიმ ბაკალავრიატი დაამთავრა? – ჰო, ალბათ მაგისტრატურაში გააგრძელებს სწავლას.
- მიდიხარ საზღვარგარეთ სასწავლებლად? – არ ვიცი, ალბათ ორ-სამ თვეში გადავწყვიტ.

2.

- ავად იყავი? – ჰო, ავად ვიყავი და აუცილებლად უნდა ვიმპურნალო.
- კაფეში მივდივართ. წამოხვალ? – არა, დრო არ მაქვს, აუცილებლად უნდა ვისწავლო გაკვეთილები, ხვალ ორი საკონტროლო უნდა დავწერო.
- მარიამს აუცილებლად უნდა ვუთხრა სიმართლე.
- აუცილებლად უნდა ვივარჯიშოთ ყოველდღე, ორ კვირაში თამაში გვაქვს.
- დღეს აუცილებლად უნდა გადავწყვიტოთ, როდის წავალთ სოფელში.

3.

- მაგისტრატურაში გააგრძელებ სწავლას? – არ ვიცი, შეიძლება გააგრძელო.
- შეიძლება ერთი წელი საზღვარგარეთ ვისწავლო.
- სად იცხოვრებ? – შეიძლება დეიდასთან ვიცხოვრო, დეიდაჩემი თბილისში ცხოვრობს.
- ხვალ ბიბლიოთეკაში წახვალ? – არ ვიცი, შეიძლება გადავწყვიტო და წავიდე.
- ეტყვი დედას სიმართლეს? – შეიძლება ვუთხრა.

ერთი თვის წინ თამაზი კონკურსზე გავიდა. კონკურსი რთული იყო. **თამაზმა** ტესტი დაწერა, შემდეგ კი გასაუბრება ჰქონდა. გუშინ პასუხი მოვიდა. **თამაზმა** კონკურსში გაიმარჯვა. იგი ერთი წლით საზღვარგარეთ წავა სასწავლებლად. **თამაზი ალბათ** სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში **იცხოვრებს**. სტიპენდია ცოტაა და **აუცილებლად უნდა იმუშაოს**. თამაზს სამედიცინო დაზღვევაც ექნება. იქ **მან შეიძლება იმკურნალოს**. თამაზი



კარგი სპორტსმენია და **ალბათ** იქ უნივერსიტეტის გუნდში **ივარჯიშებს**. ერთი წლის შემდეგ **თამაზმა შეიძლება** სწავლა **გააგრძელოს** მაგისტრატურაში. ერთ წელიწადში **თამაზმა აუცილებლად უნდა გადაწყვიტოს** საქართველოში ჩამოვა თუ საზღვარგარეთ გააგრძელებს სწავლას. **თამაზს** ოჯახი იქ არ **ეყოლება** და მისთვის **ალბათ ძნელი იქნება** რამდენიმე წლით საზღვარგარეთ ყოფნა. **თამაზი** არდადეგებზე **შეიძლება** საქართველოში **ჩამოვიდეს**.

დაიმახსოვრეთ:	
წავიდე	ის
ისწავლოს	მან ის
იცხოვროს	მან
იმუშაოს	მან
უთხრას	მან მან ის
ივარჯიშოს	მან
იმკურნალოს	მან
ჰქაავდეს	მან ის
ბააბრძელოს	მან ის
ბადაწყვიტოს	მან ის

ღიალობი

- გამარჯობა, ნანა, როგორ ხარ?
- გამარჯობა, კარგად. შენ?
- მეც არა მიშავს. მუშაობ?
- ვმუშაობ. **ალბათ** გაზაფხულზე საზღვარგარეთ **წავალ**.
- მართლა? რა კარგია. **ალბათ** იქ **ისწავლი**, არა?
- ჰო, **შეიძლება** ერთი წელი **ვისწავლო** იქ, **შეიძლება** ორი წელი **დავრჩე**.
- როგორი პროგრამაა? **შეიძლება იმუშაო**?
- ჰო, **ალბათ ვიმუშავებ**, თან ვისწავლი.
- იქ ვინმე ნაცნობი იქნება?
- **ალბათ** ჩემი ერთი ნაცნობი **იქნება** ჩემთან ერთად.
- სად იცხოვრებ?
- **აუცილებლად** საერთო საცხოვრებელში **უნდა ვიცხოვრო**, ბინა ძვირია.
- როდის ჩამოხვალ?
- **შეიძლება** ერთი წლის მერე **ჩამოვიდე**.
- **ალბათ** იქ ცოტა ხანში ბევრი ახალი მეგობარი **გეყოლება**. კარგია ახალი მეგობრები...
- ვნახოთ...

საკვარჯიშოები

25.1. შეარჩიეთ ზმნის სწორი ფორმა:

1. ხვალ ალბათ კინოში _____ . (წავიდეთ წავალთ)
2. მუშაობა მინდა დაიწყო და შეიძლება სწავლა არ _____ .
(გაგაგრძელებ, გაგაგრძელო)
3. დედანემს ალბათ ყველაფერს _____ . (ვეტყვი, ვუთხრა)
4. თუ ვირუსი გქონდათ, ცოტა ხანი აუცილებლად უნდა _____ .
(იმკურნალოთ, იმკურნალებთ)
5. რას ამბობდით? შეიძლება _____ ? (გააგრძელებთ, გააგრძელოთ)
6. ყველაფერი ძალიან მალე უნდა _____ . (გადავწყვეტ, გადავწყვიტო)
7. რას აპირებ? ცოტა ხანი კიდევ შეიძლება _____ . და მერე სახლში
წავალ. (ვივარჯიშებ, ვივარჯიშო)
8. ქართული აუცილებლად უნდა _____ . , ეს ხომ სახელმწიფო ენაა.
(ისწავლი, ისწავლო)
9. რამდენ ხანში _____ . გაკვეთილებს? მერე სასეირნოდ წავიდეთ.
(ისწავლო, ისწავლი)
10. გიორგიმ ახალციხის უნივერსიტეტში დაიწყო მუშაობა, ალბათ იქ
_____ . (იცხოვრებს, იცხოვროს)

25.2. შეცვალე წინადადება მოცემული ნიმუშის მიხედვით:

დღეს საღამოს თეატრში მივდივარ.

დღეს საღამოს ალბათ თეატრში წავალ.

1. მე ქუთაისში ვცხოვრობ. _____
2. ნატა ტყუილს არ ამბობს. _____
3. შენ ყოველდღე ვარჯიშობ. _____
4. ნიკა ერთი თვეა მკურნალობს. _____
5. გივი სწავლას მაგისტრატურაში აგრძელებს. _____

25.3. შეცვალე წინადადება მოცემული ნიმუშის მიხედვით:

ნანა თბილისში ცხოვრობს.

ნანამ შეიძლება თბილისში იცხოვროს.

1. სალომე ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე სწავლობს. _____

2. კლადე იტალიის ნაკრებში თამაშობს. _____
3. გიგა სამინისტროში მუშაობს. _____
4. ნანა გადაწყვეტს როლის უნდა წავიდეს ლონდონში. _____

5. ბატონ შალვას ახალი მდივანი ჰყავს. _____

25.4. შეადგინეთ წინადადებები მოცემულ ფორმებზე:

აუცილებლად უნდა თქვა: _____

შეიძლება წახვიდე: _____

აღბათ მეყოლება: _____

აღბათ გააგრძელებს: _____

აუცილებლად უნდა ივარჯიშო: _____

აუცილებლად უნდა გააგრძელო: _____

შეიძლება იცხოვროს: _____

შეიძლება ისწავლოს: _____

აღბათ ისწავლის: _____

აღბათ ეტყვის: _____

25.5. შეადგინეთ ტექსტი თქვენ შესახებ, გამოიყენეთ ფორმები: აღბათ, აუცილებლად უნდა, შეიძლება.

26. თავაზიანი ზორმეზი: მოზოდიშება, თხოვნა, შეკითხვა

მოზოდიშება	უპაცრავად მაპატიეთ ბოდიში დიდი ბოდიში
------------	--

თხოვნა

შეკითხვა

თუ შეიძლება	აიღეთ მომეცით მომაწოდეთ მითხარით გააზრდელეთ	შეიძლება	ავიღო?
		შეგიძლიათ (// შეიძლება)	მომცემთ? მომაწოდოთ? მითხრათ?
		შეიძლება	გააზრდელო?



1.

- უპაცრავად, ეს თქვენი ჩანთაა? – დიახ, ჩემია.
- მაპატიეთ, ეს რა ქუჩაა?
- ბოდიში, არ ვიცოდი, თუ ეს ჩანთა თქვენი იყო!
- დიდი ბოდიში, თქვენ გიორგი ხართ? – არა, მე გიორგი არ ვარ, შეგეშალათ.

2.

- რა გნებათ? – უპაცრავად, თუ შეიძლება, თქვენი პალტო აიღეთ, ეს ჩემი სკამია.
- თუ შეიძლება, მომეცით ორი პური!
- უპაცრავად, ეს ჩანთა თქვენია? – თუ შეიძლება, მომაწოდეთ, ჩემია.
- თუ შეიძლება, მითხარით, სად არის ჭავჭავაძის ქუჩა?
- უპაცრავად, შეგაწყვეტინეთ, თუ შეიძლება, გააზრდელეთ!
- მაპატიეთ, თუ შეიძლება მითხარით, რომელი საათია?

3.

- შეიძლება, ეს წიგნი ავიღო? – დიახ, ინებეთ!
- შეიძლება, გააზრდელო? – დიახ, დიახ, გააზრდელეთ!
- შეგიძლიათ, მომცეთ ეს წიგნი? – დიახ, ინებეთ!
- შეგიძლიათ, მომაწოდოთ ჩემი პალტო? – აი, ინებეთ.
- შეგიძლიათ, მითხრათ, რა დღეა დღეს? – ოთხშაბათი.

4.

- უკაცრავად, თუ შეიძლება, მითხარით ვინ არის ეს ქალბატონი?
- უკაცრავად, შეგიძლიათ მითხრათ, ვინ არის ეს ბატონი?



დიდ ბოდიშს გიხდით...
 უკაცრავად შეწუხებისთვის...
 მაპატიეთ შეწუხებისთვის...
 ბოდიში, გაწუხებთ...
 მაპატიეთ, რომ გაწუხებთ...

უკაცრავად შეწუხებისთვის, მაგრამ აუცილებლად უნდა ვითხროთ ერთი რამ: დღეს თქვენ სამსახურში ხელფასი აიღეთ და ნაწვლად ასი ლარისა მე მოგყრით ორასი ლარი. თუ შეიძლება, მომანოდეთ თანხა. ასევე, შეგიძლიათ მითხრათ, თქვენი განყოფილების გამგე ისევ შვებულებშია? თუ ისევ შვებულებშია, შეგიძლიათ მითხრათ, სად არის? ან შეიძლება მითხრათ მისი ტელეფონის ნომერი? კიდევ ერთი რამ: თუ შეიძლება გაგრძელეთ თქვენი თანამშრომლების კონტრაქტები. მათ აიღეს მანისის ხელფასი, მაგრამ ივნისის ხელფასს ვერ აიღებენ. შეგიძლიათ მომანოდეთ მათი კონტრაქტები?

კიდევ ერთხელ მაპატიეთ შეწუხებისთვის.

ეკატერინე ჩხაიძე

* * *

- თუ შეიძლება, მითხარით, ვისია ის ჩანთა?
- არ ვიცი, ვერ გეტყვით.
- შეგიძლიათ, მომაწოდოთ?
- აი, ინებეთ.
- შეგიძლიათ, მითხრათ, ვინ იყო აქ ერთი საათის წინ?
- არ ვიცი, ვერ გეტყვით, მე ახლა მოვედი.
- თუ შეიძლება, აიღეთ ტელეფონების წიგნი და დარეკეთ თანამშრომლებთან და გაიგეთ, ვისია ეს ჩანთა. დიდი ბოდიში შეწუხებისთვის, მაგრამ აუცილებლად უნდა გავიგოთ, ვისია ეს ჩანთა.
- ტელეფონების წიგნი აქ არ არის, თქვენს უჯრაშია, თუ შეიძლება, მომეცით.
- შეგიძლიათ მითხრათ, რომელ უჯრაშია?
- პირველ უჯრაში.
- აი, ინებეთ. ყველასთან დარეკეთ და მერე თუ შეიძლება, გაგრძელეთ თქვენი საქმე, განცხადება ერთ საათში მზად უნდა იყოს.
- შეიძლება ეს ქაღალდები ავიღო, მე აღარ მაქვს ქაღალდები.
- აიღეთ.
- თუ შეიძლება მითხარით თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, განცხადებაში უნდა დავწერო.
- 8 99 45 65 76.
- გმადლობთ.

საკარჯიშოები

26.1. შეარჩიეთ ზმნის სწორი ფორმა:

1. თუ შეიძლება, _____ ეს რვეული, თქვენი. (აიღეთ, აიღოთ)
2. შეგიძლიათ, _____ სალათი? (მომაწოდეთ, მომაწოდოთ)
3. შეიძლება _____ ჩემი საქმე? (გააგრძელებთ, გავაგრძელო)
4. თუ შეიძლება, _____ რა ჰქვია ჩვენს ახალ თანამშრომელს? (მითხრათ, მითხარიო)
5. შეგიძლიათ, _____ როდის არის ჩვენი დირექტორის დაბადების დღე? (მითხრათ, მითხარიო)
6. თუ შეიძლება, _____ ორი კილოგრამი შაქარი! (მომეცით, მომცეთ)
7. შეიძლება _____ ეს გაზეთი? (აიღეთ, ავიღო)
8. შეგიძლიათ, _____ როდის არის თანამშრომელთა კრება? (მითხრათ, მითხარიო)
9. შეიძლება _____ თანამშრომელთა სია? (მომეცით, მომცეთ)
10. თუ შეიძლება, _____, სად არის ბატონი გურამი? (მითხრათ, მითხარიო)

26.2. შეცვალე წინადადებები თავაზიანი ფორმებით:

1. აიღე წიგნი! _____
2. მომცემ რვეულს? _____
3. გააგრძელებ კითხვას? _____
4. მომაწოდე გიტარა! _____
5. მითხარი შენი მისამართი! _____
6. მომეცი ბურთი! _____
7. მომცემ ფულს? _____
8. მეტყვი სიმართლეს? _____
9. მითხარი, სად არის ანა! _____
10. აიღებ გაზეთს? _____

26.3. შეადგინეთ წინადადებები თავაზიანი ფორმების გამოყენებით შემდეგ სიტყვებზე:

ფული _____

მისამართი _____

დაბადების დღე _____

ვარჯიში _____

27. მთქმელის პოზიცია: გაცნობა. ვიცნობ – მიცნობს

ახლანდელი: ვიცნობ მე მას
მომავალი: გავიცნობ მე მას
წარსული უწყვეტი: ვიცნობდი მე მას
წარსული წყვეტი: გავიცანი მე (კაცმა) ის
სასურვე. მოქმ.: გავიცნო მე (კაცმა) ის
წარს შედეგი: (არ) გამიცვინია მე (კაცს) ის

ახლანდელი: მიცნობს ის მე
მომავალი: გამიცნობს ის მე
წარსული უწყვეტი: მიცნობდა ის მე
წარსული წყვეტი: გამიცნო მან (კაცმა) მე
სასურვე. მოქმ.: გამიცნოს მან (კაცმა) მე
წარს შედეგი: (არ) გაგუცვნივარ მას მე

გაიცანი, ეს ზურაა!
იცნობდეთ ერთმანეთს, ეს ზურაა, ეს ნიკაა.
ჩვენ ვიცნობთ (არ ვიცნობთ) ერთმანეთს?
თუ შეიძლება, გამაცანით თქვენი მეგობარი!

შეაღარეთ:

- მე ანას *ვიცნობ*, მაგრამ ის არ *მიცნობს* მე.
- მე დღეს საღამოს შენს ძმას *გავიცნობ* – დღეს საღამოს შენი ძმა *გამიცნობს* მე.
- მე ადრე *ვიცნობდი* ზურას და ისიც *მიცნობდა* მე.
- მე ლელა ზაფხულში *გავიცანი* – *ლელამ* მე ზაფხულში *გამიცნო*.
- ძალიან მინდა შენი და *გავიცნო* – შენს დას უნდა მე *გამიცნოს*?
- ნიკა არ *გამიცვინია*, მაგრამ ვიცი, ვინ არის – ნიკას მე არ *გაგუცვნივარ*, მაგრამ იცის, ვინ ვარ.

1.

- შენ *იცნობ* ანას? – არა, არ *ვიცნობ*, მაგრამ ის *მიცნობს*, ჩემი ძმის კლასელია.
- ნიკა ზურას *იცნობს*? – არ ვიცი.
- მე ვიცი, რომ თქვენ ერთმანეთს არ *იცნობთ*. *გაიცანი*, ეს კოკაა.
- ჩვენი მშობლები ერთმანეთს *იცნობენ*.

2.

- მე სიამოვნებით *გავიცნობ* თქვენს მეგობარს, *გამაცანით*, თუ შეიძლება!
- შენ *იცნობდი* მარიამ ალავიძეს? – კი, ბავშვობაში *ვიცნობდი*, ჩემს სკოლაში სწავლობდა.
- იცი, მამაჩემი მამაშენს *იცნობდა*, ერთ სკოლაში სწავლობდნენ.
- ვინ გინდა *გაიცნო*? – ძალიან მინდა, ანსამბლ „პაპარაციის“ წევრები *გავიცნო*, კარგი მომღერლები არიან.
- ნეტა *გურამმა* ნატა *გაიცნოს*, ძალიან კარგი იქნება!

3.

- მარიამი შენ არ *ვიცნობს*? – არა, არ *მიცნობს*.
- დრო გავა და სალომე კარგად *გავიცნობს*, მერე არ იტყვის შენზე ასეთ რამეს.
- ნატა *ვიცნობდა*? – კი, ჩვენ ერთ სამსახურში ვმუშაობთ.
- გუშინ ჩემმა ბიძაშვილმა *გავიცნო*, არა? – ჰო, დაბადების დღეზე *გავიცანით* ერთმანეთი, ადრეც *მიცნობდა*, მაგრამ კარგად არა და ამ დაბადების დღეზე ერთმანეთი ისევ *გაგვაცნეს*.
- მართლა *გავიცნო* ჩემმა კლასელმა გუშინ კინოში? – არა, არც არავინ *გამიცვინია* და არც არავის *გაგუცვნივარ*, ვინ ვითხრა?

მესამე პირის წარმოება

<p>ვიცნობ (-ს, -ენ) გავიცნობ (-ს, -ენ) ვიცნობდი (-ა, -ნენ) გავიცანი (გაიცნო, გაიცნეს) გავიცნო (-ს, -ნ) არ გამიცვინია (გავიცვინია, გაუცვინია გავიცვინია, გაუცვინიათ)</p>	<p>მიცნობს (გიცნობს(თ), გვიცნობს) გამიცნობს(გავიცნობს(თ), გაგვიცნობს) მიცნობდა (გიცნობდა(თ), გვიცნობდა) გამიცნო (გავიცნო(თ), გაგვიცნო) გამიცნოს (გავიცნოს, გაგვიცნოს) არ გამიცვინია (გავიცვინია, გაგვიცვინია)</p>
---	--

* * *



ამ წერილს გწერთ გერმანიიდან. მე გერმანიაში ვცხოვრობ. თქვენ მე არ **მიცნობთ**, მაგრამ იმედი მაქვს, მალე ერთმანეთს **გავიცნობთ** და თან კარგად **გავიცნობთ**, უფრო ახლოს **გავიცნობთ** და ოჯახებსაც **გავაცნობთ** ერთმანეთს.

მე გერმანიაში ათი წელია ვცხოვრობ. აქ ბევრ ქართველს **ვიცნობ**. იცით, მე თქვენს ერთ მეგობარს კარგად **ვიცნობ**, მურმან გომართელს. ისიც ჩემს ქალაქში ცხოვრობს, კარგად **მიცნობს**, ვმეგობრობთ და ალბათ ისიც მოგწერთ ჩემზე. კიდევ ერთმა თქვენმა ნათესავმაც **გამიცნო** რამდენიმე დღის წინ წვეულებაზე, ჩვენ ბევრი საქართველოზე, თქვენზე და თქვენს ახალ

ვისაუბრეთ წიგნებზე. სამწუხაროდ, მე არ **ვიცნობ** თქვენს ახალ მოთხრობებს და ძალიან მინდა წავიკითხო და გერმანულად ვთარგმნო. მართალია, ჯერ ჩვენ კარგად არ **გავგვიცვინია** ერთმანეთი, მაგრამ მომავალში **გავიცნობთ**. თქვენ დაგიკავშირდებით მურმანიც და ის **გავაცნობთ** ჩემს პიროვნებასაც და ჩემს წიგნებსაც. მე ძალიან მინდა **გავაცნოთ** ჩემი მეუღლე, რომელსაც ძალიან უყვარს თქვენი შემოქმედება.

ლილე თავაძე გერმანიიდან

* * *

- **თუ შეიძლება, გამაცანით** თქვენი მეგობარი.
- დიდი სიამოვნებით. **გაიცანით**, ეს რამაზ გალდავაა.
- სასიამოვნოა, მე აკაკი გორდუზიანი გახლავართ. იცით, მე მამათქვენს **ვიცნობდი**.
- ძალიან სასიამოვნოა. თქვენ საიდან **იცნობდით** მამას?
- ჩვენ ერთ სკოლაში ვსწავლობდით.
- ესე იგი, თქვენ დედასაც **იცნობთ**, დედა და მამა კლასელები იყვნენ.
- ალბათ დედასაც **ვიცნობ**. რა ჰქვია დედას?
- მარიამ იაძე.
- **ვიცნობ**, მაგრამ კარგად არა. მამამაც ამას წინათ მეორედ **გამიცნო**. მამათქვენი ჩემზე უფროსია, ამიტომ სკოლაში მე **ვიცნობდი**, მაგრამ თვითონ არ **მიცნობდა**. აი, ეს კი ჩემი ქალიშვილია, **გაიცანით**. ნანა.
- **სასიამოვნოა თქვენი გაცნობა**.
- მე თქვენ **ვიცნობთ**.
- საიდან?
- ჩვენ ერთ შენობაში ვმუშაობთ, თქვენ მესამე სართულზე ხართ, მე – მეშვიდეზე.
- ძალიან კარგი.

საკვარჯიშოები

27.1. ჩასვით შესაფერისი ზმნა:

1. ანა მე არ _____ . (ვიცნობ, მიცნობს)
2. გუშინ კინოში ერთი გოგო _____ , ძალიან მომეწონა. (გამიცნო, გავიცანი)
3. მამუკა _____ მე? (ვიცნობდი, მიცნობდა)
4. ჩემი დეიდაშვილი _____ დაბადების დღეზე? – არა, არ _____ . (გაიცანი, გამიცნო; გაგუცვნივარ, გამიცვნია)
5. ძალიან მინდა, შენი ძმა _____ . (გამიცნოს, გავიცნო)
6. გუშინ წვეულებაზე ვიყავით და ბევრი ახალი ვინმე _____ . (გაგვიცნო, გავიცანით)
7. შენ _____ ჩემი და? (იცნობ, გიცნობს)
8. მე არავის არ _____ დაბადების დღეზე, მე ყველა _____ . (გამიცვნია, გაგუცვნივარ; ვიცნობდი, მიცნობდა)
9. _____ ერთმანეთს. მე კახა ჭელიძე ვარ! (მიცნობდეთ, ვიცნობდეთ)
10. იცი, მე შენმა მამიდაშვილმა _____ გუშინ. (გავიცანი, გამიცნო)

27.2. ჩასვი სახელი სწორი ფორმით:

1. მე _____ არ ვიცნობ. (ნანა, ნანას)
2. გუშინ მე _____ გავიცანი. (ვერიკო, ვერიკომ)
3. _____ მე ზაფხულში გამიცნო. (ვატო, ვატომ)
4. _____ გაიცნო ანა? (ნიკა, ნიკამ)
5. _____ არ გაუცვნია ალექო. (მარიამს, მარიამი)
6. _____ იცნობს ნანას? (სოლიკო, სოლიკომ)
7. _____ რუსუდანი არ გაუცვნია. (ზაზა, ზაზას)
8. _____ დაბადების დღეზე გაიცნო _____. (ეკა, ეკამ; კახა, კახამ)
9. ნანა და ზურა _____ არ იცნობენ. (ვახო, ვახოს)
10. _____ კარგად იცნობს _____. (მაიას, მაია; დათოს, დათო)

27.3. ჩასვით სწორი ფორმა:

1. _____, ეს ვოვა ვოლკოვია. (გაიცანით, გამაცანით)
2. _____ ერთმანეთს. ეს ნანაა, ეს ზურა. (იცნობდეთ, გაიცანით)
3. ჩვენ _____ ერთმანეთს? არა, არ _____ , ახლა _____ ერთმანეთი. (მიცნობთ, ვიცნობთ; გაიცანი, გავიცნოთ)

4. თუ შეიძლება, _____ თქვენი მეგობარი! (გაუაცნე, გამაცანიო)
5. _____ ერთმანეთს. მე ზურა ვარ. თქვენ? (ვიცნობდეთ, გამაცანიო)

27.4. შეადგინეთ წინადადებები მოცემულ ფორმებზე:

ვიცნობ: _____

მიცნობს: _____

არ გამიცვნი: _____

მინდა გავიცნო: _____

გინდა გაიცნო? _____

იცნობს: _____

გაიცნო: _____

გაგვიცნო: _____

არ გაგვიცვნი: _____

მიცნობდა : _____

გიცნობდა? _____

გავიცანი: _____

გიცნობს: _____

გაიცანი: _____

გაგვიცანი? _____

გაგვაცნო: _____

არ ვიცნობთ: _____

არ ვიცნობ: _____

არ მიცნობს: _____

არ გამიცვნი: _____

ძალიან მინდა გავიცნო: _____

არ გინდა გაიცნო? _____

არ იცნობს: _____

ვერ გაიცნო: _____

ვერ გაგვიცნო: _____

არ გაგვიცვნი: _____

არ მიცნობდა : _____

არ გიცნობდა? _____

ვერ გავიცანი: _____


არ გიცნობს: _____

ვერ გაგვაცნო: _____

28. ჩვენება, მიითება: ჩვენებითი ნაცვალსახელები

ეს	ეს კაცი	ეპ	ეპ კაცი	ის	ის კაცი
ამან	ამ კაცმა	მაგან	მაგ კაცმა	იმან (მან)	იმ კაცმა
ამას	ამ კაცს	მაგას	მაგ კაცს	იმას (მას)	იმ კაცს
ამის	ამ კაცის	მაგის	მაგ კაცის	იმის (მის)	იმ კაცის
ამით	ამ კაცით	მაგით	მაგ კაცით	იმით (მით)	იმ კაცით

ისინი - მათ



1.

- *ეს* ჩემი ძმაა, *ის* ჩემი დაა.
- *ეს* გოგო ვინაა? – *ეს* ჩემი კლასელია. *ამან* მითხრა შენზე, მოსკოვში წავიდაო.
- *ეს* ჩემი ჩანთაა, გინდა, *ამას* მოგცემ და გქონდეს!
- *ეს* ჩემი კლასელია და *ეს ამის* ძმაა.
- *ეს* ცუდი კალამია, *ამით* როგორ დაგწერო?

2.

- *ეს გოგონა* ვინაა? – *ამ გოგონამ* წელს ვიქტორინაში გაიმარჯვა.
- *ამ ქალბატონმა* თქვა, რომ ღირეპტორთან საქმე აქვს.
- *ამ ქალბატონს* უთხარით, რომ ხვალ მოვიდეს, დღეს ღირეპტორი არ იქნება.
- *ეს ჩანთა* ვისია? – *ამ ქალბატონისაა*.
- *ეს ქუდი* კარგი არ არის, *ამ ქუდით* სამსახურში ვერ წავაღ.

3.

- *ეპ* ჩანთა ვისია? – ჩემია. – *მაგით* მოხვედი? – ჰო. არ მოგწონს?
- სკოლაში *მაგ ჩანთით* მიდიხარ? – ჰო. – *მაგას* მე წავიღებ, შენ *ის* ჩანთა წაიღე.
- ვინ არის ჩვენთან? – ჩემი კლასელი. – *ეს* პაატო *მაგისია*? – კი.
- *ეპ გოგონა* ვინ არის? – ნანის ამხანაგია. – *მაგას* ვიცნობ? – არა, შენ არ იცნობ.

4.

- ძალიან მინდა *ის* პაატო ვიყიდო. კარგია და *იმით* ორი წელიწადი ვივლი.
- დღეს *ის* შენი ახალი ნაცნობი გოგონა მოვიდა, შენ სახელში არ იყავი და *იმან* თქვა, ხვალ მოვალო.
- *იმ* მოსწავლით კმაყოფილი ხარ? – რომელი მოსწავლით? – ახალი მოსწავლით. – ჰო, *იმან* უკვე სამი ტესტი უშეცდომოდ დაწერა.
- *იმ* დღეს სკოლაში არ იყავი? – არა, უკვე სამი დღეა სკოლაში არ ვყოფილვარ.

* * *



ეს ჩემი კლასია. *ეს* ჩემი მასწავლებელია. *ამან* მასწავლა წიგნის სიყვარული. *ამ ბიჭის* და *შენი* დის კლასელია. მე და *ის* ერთად დავდიოდით ცეკვაზე. *ის* ძალიან კარგად ცეკვავს. ერთხელ *იმისი* კაბა მე ჩავიცვი და ჩემი კაბა *იმან* ჩაიცვა. *იმ* კონცერტზე კარგად ვერ ვიცეკვე. *იმისი* კაბა პატარა მქონდა და ცუდად ვიცეკვე.

ეს გოგო შენც იცი, *იმ მასწავლებლის* შვილია, შენს ძმას რომ მათემატიკას ასწავლის. *ამ გოგომ* ძალიან კარგად იცის ფრანგული და ერთი თვე იყო საფრანგეთში. *ამან* ჩამომიტანა საფრანგეთიდან *ის კაბა*, შენ რომ ძალიან მოგწონს. *მაგის* გვერდით ზის შენი მეზობელი. *მაგ ბიჭს* არ ველაპარაკები, ძალიან ცუდად მოიქცა.

აი, *ეს პატარა გოგო* ჩემი მეგობარია. *ამან* მანუქა დაბადების დღეზე ჩემი საყვარელი ფილმების დისკი. *ამისი* ძმა გერმანიაში სწავლობს.

მაგ გოგოსაც არ ველაპარაკები, ძალიან ჭორიკანაა, ყველაზე ცუდს ლაპარაკობს. *მაგასთან* ერთ დროს ვმეგობრობდი, მაგრამ ჩემზეც ცუდი რამეები თქვა. მე და ნატუკა ვეჩხუბეთ *მაგას* და არ ველაპარაკებით.

ეს ძალიან კარგი ბიჭია. *მაგას* შენც ხომ იცნობ. *მაგას* მოსწონს ნატუკა. *ეგ* იყო, ყვავილების დიდი თაიგული რომ მოუტანა სკოლაში ნატუკას.

ამ ბიჭს „გენიოსს“ ეძახიან, ძალიან ჭკვიანია. *მაგით* ძალიან ამაყობს ჩვენი მასწავლებელი და მთელი სკოლა. *მაგან* გაიმარჯვა კონკურსში „ყველაზე ჭკვიანი“. კარგი სურათია, არა?

* * *

– გამარჯობათ, *ეს ფეხსაცმელი* თქვენთან ვიყიდე და ერთ დღეში გაფუჭდა.

– რატომ?

– აი, ნახეთ, *ამით* ველარ ივლის ადამიანი.

– *მაგას* ჩეკი უნდა ჰქონდეს, ისე უკან ვერ დავიბრუნებთ.

– *ამის* ჩეკი არა მაქვს, მაგრამ იმ დღეს სხვა ფეხსაცმელიც ვიყიდე თქვენს მაღაზიაში და *იმის* ჩეკი მაქვს.

– არ ვიცი, მე ვერაფერს გეტყვით. *ამ* ფეხსაცმელს და *მაგ ჩეკსაც* დირექტორს ვაჩვენებ და ვნახოთ, რას იტყვის.

– *ამას* მე სახლში არ წავიღებ, თუ ფულს არ მომცემთ, *ამას* თქვენთან დავტოვებ, მე არ მინდა... *ამით* ვერ ვივლი....

– ნუ ნერვიულობთ, დირექტორთან წავალ და მაღე მოვალ.

–

– აი, ინებეთ თქვენი ფული, *ამას* კი ჩვენ დავიტოვებთ.

– დიდი მადლობა.



სამარჯობები

28.1. მიუწერე შესაფერისი ფორმები:

<p>ამ მამ იმ</p> <p>იმან მაგას ამან ამით მაგით იმის მაგის ამას მაგან ამით იმით იმას</p>
--

მს	ეზ	ის

28.2. ჩასვით რომელიმე ფორმა: *ეს, ევ, ის*

1. _____ ჩემი მეზობელია, _____ კი ჩემი კლასელის დაა.
2. _____ ჩანთა შენია?
3. _____ შარვალი დიდი მაქვს.
4. _____ ძალიან ლამაზი კაბაა.
5. თუ შეიძლება, _____ ჭიქა მომაწოდეთ!
6. _____ რვეულები ჩემია.
7. დღეს _____ ბიჭი ვნახე, გუშინ იყო კინოში ჩვენთან ერთად.
8. თუ შეიძლება, მითხარით, _____ გოგონა ვინაა?
9. _____ ქალბატონი, გუშინ რომ იყო ჩვენთან, ანას დეიდაა.
10. _____ წიგნი შენია?

28.3. შეარჩიეთ სწორი ფორმა: *ეს – ამ, ევ – მაგ, ის – იმ.*

1. _____ მასწავლებელი ქართულს მასწავლის.
2. _____ მასწავლებლის შვილი ჩემს კლასში სწავლობს.
3. _____ კარგი ფეხსაცმელებია.
4. _____ ფეხსაცმელებით ექსკურსიაზე ვერ წახვალ, იქ ცუდი გზაა.
5. _____ კაცმა რა გითხრა?
6. _____ ვინ არის?
7. _____ ფანქრით ვერ დავწერ, წვერი არ აქვს.
8. _____ ქალბატონმა თქვა, რომ დირექტორს ელოდება.
9. ვისია ეს ჩანთა? – _____ ბიჭის.
10. _____ ქალი ჩემი მეზობელია.

28.4. წარმოადგინე ნაცვალსახელი სწორი ფორმით.

1. ეგ გოგონა ვინაა? – _____ კონკურსში პირველი ადგილი დაიკავა.
2. ეს ნახატი შენია? – მე _____ შენ გაჩუქებ.
3. იცი, ის კაცი ვინაა? – არა, _____ არ ვიცნობ.
4. ეგ ფეხსაცმელები ძალიან ღამაზია. – ღამაზია, მაგრამ _____ ძალიან მატკინა ფეხი.
5. ეგ მანქანა ვისია? _____ გუშინ მამუკა იყო ჩემთან.
6. ის გოგო ვინ იყო? _____ გაცნობა დიდი ხანია მინდა.
7. ეს ჩემი პალტოა, მაგრამ ქორწილში _____ ვერ წავალ, ახალი უნდა ვიყიდო.
8. ეს ბავშვი ძალიან ნიჭიერია. _____ ლექსები ჟურნალში დაიბეჭდა.
9. ეგ ქოლგა გატეხილია, _____ ვერ წავალ.

28.5. შეადგინეთ წინადადებები მოცემულ ფორმებზე:

- ეს ამბავი: _____
- ამ ბავშვმა: _____
- ეს ჩანთა: _____
- ამ ქუდით: _____
- იმ კაცს: _____
- ის ქალბატონი: _____
- იმ ქალბატონს: _____
- მაგ ჩანთით: _____
- ამ ფეხსაცმელმა: _____
- ეს მასწავლებელი: _____
- ამ გოგონას: _____
- იმ ბიჭს: _____
- ამ სურათს: _____
- ამ ბავშვს: _____
- ამ ტელეფონით: _____
- იმ სკოლაში: _____
- იმ კინოს: _____
- ამ ადამიანს: _____
- ეს წიგნი: _____

29. შეთავაზება, არჩევანი: ხომ არ ინებებთ? ჩაი ბნებავთ თუ ყავა?

ყავა	
ჩაი	ხომ არ ბნებავთ?
წყალი	

ყავას	
ჩაის	ხომ არ ინებებთ?
წყალს	

1.

- ყავა ხომ არ გნებავთ? – დიას, სიამოვნებით.
- ეს საღაათი ხომ არ გნებავთ? ძალიან გემრიელია.
- დახმარება ხომ არ გნებავთ? – არა, გმადლობთ.
- ეს კაბა მაჩვენეთ, თუ შეიძლება. – გასინჯვა ხომ არ გნებავთ? აქეთ მობრძანდით და აქ გაისინჯეთ.
- რაიმე სასმელი ხომ არ გნებავთ? – არა, გმადლობთ, წყალს დავლევ.

2.

- ყავას ხომ არ ინებებთ? – დიას, დიდი სიამოვნებით დავლევ.
- ნაყინს ხომ არ ინებებთ? – სიამოვნებით.
- ტაქსს ხომ არ ინებებთ? – არა, მეგობარს ველოდები.
- შეგიძლიათ მითხრათ, რა არის ახალი თქვენს მაღაზიაში? – ბევრი რამ. აი, ახალ კოსტუმს ხომ არ ინებებთ? ძალიან კარგი ხარისხია.

3.

- ჩვენთან ერთად ხომ არ გინდათ გამოფენაზე წამოსვლა?
- კინოში წასვლა ხომ არ გინდათ, სამი ბილეთი მაქვს.
- მაღაზიაში რამის ყიდვა ხომ არ გინდა? – კი, პური უნდა ვიყიდო.
- ხილი და ბოსტნეული ხომ არ გინდა, ბაზარში მივდივარ.

4.

- ხომ არ წამოხვალ? ქალაქის ცენტრში მივდივარ.
- ხვალ შემთხვევით აქ ხომ არ იქნები, მეც მოვალ.
- რამეს ხომ არ დალევ? – ლიმონათი გაქვს?
- ხვალ ბიბლიოთეკაში ხომ არ მოხვალ, მეც იქ ვიქნები.
- საშინაო დავალება ერთად ხომ არ დაეწეროთ?
- ხომ არ ვიცეკვოთ? – ვიცეკვოთ!

5.

- რას ინებებთ? ყავას თუ ჩაის?
- ყავა გნებავთ თუ ჩაი? – თუ შეიძლება, ჩაი.
- თუ შეიძლება, ეს სვიტერი მაჩვენეთ. ძალიან ლამაზია. – აი, ინებეთ. წითელი გნებავთ თუ ყავისფერი? ორივე ფერი გვაქვს.
- პაულო კოელიოს წიგნები გაქვთ? – დიას, ქართულად გნებავთ თუ რუსულად? – ქართულად.
- სუფრაზე რას ინებებთ? ღვინოს, შამპანურს თუ ლიქიორს?
- ტორტს ინებებთ თუ ნამცხვარს? – ნამცხვარი, თუ შეიძლება.



მე ვიცი, რომ თქვენ ორშაბათს უკვე ჩვენს ქალაქში იქნებით. ძალიან სასიამოვნოა თქვენი სტუმრობა. მინდა რამდენიმე წინადადება შემოგთავაზოთ და გკითხოთ: სასტუმროში აღიღები უკვე დავჯავშნეთ, მაგრამ ჩვენთან ოჯახში **ხომ არ ინებებთ** სტუმრობას? ჩვენ დიდი სიამოვნებით მიგიღებთ. ასევე, **ხომ არ გნებავთ** ექსკურსია ქალაქში და ქალაქგარეთ? ჩაწერა რამდენიმე დღით ადრე უნდა მოხდეს და თქვენი აზრი უნდა ვიცოდეთ. კიდევ **ხომ არ გნებავთ** ფესტივალზე წასვლა? ქალაქში ფოლკლორის ფესტივალი დაიწყო. რაც შეეხება ოფიციალურ შეხვედრებს: განათლების მინისტრი ქალაქში არ არის და მის მოადგილესთან შეხვედრას **ხომ არ ინებებთ?**

ხომ არ გინდათ დასავლეთ საქართველოს ნახვა? მე არ ვიცი, როდის მიდიხართ საქართველოდან და **ხომ არ გნებავთ** ბათუმში რამდენიმე დღით დასვენება? ეს ძალიან კარგი იქნება. მინდა ოპერის თეატრშიც დაგპატიჟოთ, ოპერას **ინებებთ თუ** ბალეტს? ორივე წარმოდგენა ძალიან კარგია. ველოდები თქვენს პასუხს.

პატივისცემით ნანი ჩიქოვანი

- რა გაქვთ?
- თქვენ **რას ინებებთ?** სადილს **თუ** ტკბილეულს?
- ჯერ სადილს. თუ შეიძლება, რაიმე ცხელი.
- წვნიანი **ხომ არ გნებავთ?**
- არა, წვნიანი არა. ხინკალი გაქვთ?
- ათ წუთში იქნება. მწვადიც **ხომ არ გნებავთ?**
- დიახ. ორი პორცია მწვადი და 15 ხინკალი.
- სალათიც **ხომ არ გნებავთ?**
- დიახ.
- რომელი გნებავთ, „ცეზარი“ თუ „ოლივიე“?
- „ოლივიე“.
- სასმელი **ხომ არ გინდათ?**
- დიახ, ერთი ბოთლი შავი ღვინო და ერთი ლიმონათი.
- მინერალურ წყალს **ხომ არ ინებებთ?**
- დიახ.
- ბორჯომი გინდათ **თუ** ნაბეღლავი?
- ბორჯომი.
- დესერტიც **ხომ არ გინდათ?**
- ჯერ არა.
- გემრიელად მიირთვიეთ!



საკვარჯიშოები

29.1. შეარჩიეთ სახელის სწორი ფორმა:

1. _____ ხომ არ ინებებთ? (ყავა, ყავას)
2. _____ ხომ არ გნებავთ? (წყალი, წყალს)
3. _____ გნებავთ თუ _____? (ღვინო, შამპანური; ღვინოს, შამპანურს)
4. _____ ხომ არ ინებებთ? (სალათი, სალათს)
5. _____ ინებებთ თუ _____? (სადილი, ტკბილეული; სადილს, ტკბილეულს)
6. ხომ არ გნებავთ კინოში _____? (წასვლა, წასვლას)
7. ფორტეპიანოზე _____ ხომ არ ინებებთ? (დაკვრა, დაკვრას)
8. _____ ხომ არ გნებავთ? (მინერალური წყალი, მინერალურ წყალს)
9. ხომ არ გინდათ _____? (დახმარება, დახმარებას)
10. რამე _____ ხომ არ გნებავთ? (სასმელი, სასმელს)

29.2. წარმოადგინეთ წინადადება თავაზიანი ფორმით:

1. გინდა ნამცხვარი?
2. გინდა საჭმელი?
3. რამე გინდა?
4. თევზი გინდა?
5. ლიმონათი გინდა თუ მინერალური წყალი?
6. რომელი სასმელი გინდა სუფრაზე: ღვინო თუ არაყი?
7. ბეჭედი გინდა თუ ყელსაბამი?
8. ტაქსით გინდა წასვლა თუ ფეხით გავისეირნოთ?
9. რომელი კაბა გინდა – გრძელმკლავიანი თუ მოკლემკლავიანი?
10. მუსიკას მოვუსმინოთ თუ ვისაუბროთ?

29.3. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ფორმების გამოყენებით:

- სომ არ წავიდეთ? _____
- სომ არ მოხვალ? _____
- სომ არ გნებავთ? _____
- სომ არ იქნებით? _____
- სომ არ ინებებთ? _____
- სომ არ დალევთ? _____
- სომ არ გინდა? _____
- ჩაი თუ ყავა? _____
- სომ არ ინებებთ? _____

29.4. შეადგინეთ ორი დიალოგი, ერთში გამოიყენეთ ჩვეულებრივი ფორმები, მეორეში - თავაზიანი ფორმები:

კაფეში მეგობართან ერთად

რესტორანში უფროსებთან ერთად

_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____

**30. მისაღმება – დამწვიღობეპა. მოკითხვა.
მილოცვა. მაღლიერება.**

მისაღმება	დამწვიღობეპა	მოკითხვა	მილოცვა	მაღლიერება
გამარჯობა!	ნახვამღის!	როგორ ხარ(თ)?	გილოცავ დაბადების დღეს!	გმაღლობთ.
დილა მწვიღობისა!	კარბად იყავი(თ)!	როგორ ბრძანდები(თ)?	ბისუტრვებ ჯანმრთელიობას, ბედნიერებას და დიღხანს სიცოცხლეს!	დიდი მაღლობა.
საღამო მწვიღობისა!	ღამე მწვიღობისა!	როგორ ბიკითხო(თ)?	გილოცავთ ახალ წელს! მრავალს დაესწარით!	უღრმესი მაღლობა!
	მომავალ შეხვედრამდე!	მწობლები როგორ არიან?	გილოცავთ შვილის შექნას (დაოჯახებას)!	თქვენი მაღლიერი ვარ!
	ორშაბათამდე!		წარმატებებს ბისუტრვებთ!	

1.

- დილა მწვიღობისა! როგორ ხარ(თ)? – დილა მწვიღობისა! კარბად. თქვენ როგორ ხარ(თ)? – ჩვენც კარბად.
- საღამო მწვიღობისა! – გამარჯობა!
- როგორ ბრძანდებით? – გმაღლობთ, კარბად!
- დედა და მამა როგორ არიან? – გმაღლობთ, კარბად!

2.

- როგორ ბრძანდებით? – გმაღლობთ, კარბად. თქვენ როგორ ვიკითხო(თ)? – გმაღლობთ, მეც არა მიშავს!
- როგორ ხარ? – კარბად. შენ? – მეც არა მიშავს.
- როგორ ხარ(თ), დეიდა ნანი? – კარბად. შენ როგორ ხარ? – გმაღლობთ, კარბად.

3.

- ნახვამღის, დეიდა ანა! – კარბად იყავი, ნატა.
- ბატონო ვიორგი, კარბად ბრძანდებოდეთ! – კარბად იყავით. ორშაბათამდე.
- ღამე მწვიღობისა, ქალბატონო რუსუდან! – ღამე მწვიღობისა! ძილი ნებისა!
- ნახვამღის! – მომავალ შეხვედრამდე!

4.

- გილოცავ დაბადების დღეს! – დიდი მაღლობა!
- ახალ წელს გილოცავთ! – ჩვენც გილოცავთ! მრავალს დაესწარით!
- გილოცავთ დაოჯახებას! ბედნიერი იყავით!
- გილოცავთ შვილის შექნას! ჯანმრთელი და ბედნიერი იყოს!
- გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ დღეგრძელობას, ბედნიერებას! – უღრმესი მაღლობა!

გამარჯობა, ქალბატონო ანა!

როგორ ბრძანდებით? როგორ გიკითხოთ? როგორ არიან თქვენი ოჯახის წევრები?

გილოცავთ დაბადების დღეს! დაესწარიტ მრავალს! იყავით ბედნიერი და დღეგრძელი! იბედნიერეთ თქვენს ოჯახთან ერთად... გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ბევრ სიხარულს და ახლობლების კარგად ყოფნას!..

მინდა, მადლობა გადაგიხადოთ თქვენი ყურადღებისათვის. მე თქვენი მადლიერი ვარ, რომ ჩემი საქმე ასე კარგად არის. თქვენ რომ არა, მე ვერაფერს ვერ შევქმნიდი... უღრმესი მადლობა ყველაფრისათვის!

თქვენი პატივისცემული ნინო გიორგობიანი

* * *

- დილა მშვიდობისა, ბატონო ვახტანგ.
- გამარჯობა. როგორ გიკითხოთ?
- გმადლობთ, კარგად. თქვენ როგორ ბრძანდებით, ბატონო ამირან?
- არა მიშავს. ვიცი, გუშინ თქვენი დაბადების დღე ყოფილა.
- დიახ.
- გილოცავთ, მრავალს დაესწარიტ.
- დიდი მადლობა.
- ოჯახში როგორ ხართ?
- გმადლობთ, არა გვიშავს.
- დედა როგორ არის?
- გმადლობთ, კარგად.
- აბა, კიდევ ერთხელ გილოცავ დაბადების დღეს! ჯანმრთელობას და წარმატებებს გისურვებ!
- უღრმესი მადლობა!
- აბა, კარგად იყავით.
- კარგად ბრძანდებოდეთ!



საპარჯიშოები

30.1. შეავსეთ დიალოგი:

- საღამო მშვიდობისა!
- _____
- როგორ ბრძანდებით?
- _____
- დღეს თქვენი დაბადების დღეა?
- _____
- გილოცავთ!
- დიდი მადლობა!
- _____
- გმადლობთ.

30.2. შეავსეთ დიალოგი:

- _____
- დილა მშვიდობისა!
- _____
- არა მიშავს!
- _____
- გმადლობთ, კარგად არიან.
- _____
- კარგადაა.
- _____
- ნახვამდის.

30.3. შეავსეთ დიალოგი:

- გილოცავთ ახალ წელს!
- _____
- დაესწართ მრავალს!
- _____

30.4. შეადგინეთ მისალოცი ბარათები, ერთი – მეგობრისათვის, ერთი – უფროსი და პატივსაცემი ადამიანისათვის. მიულოცეთ:

დაბადების დღე

ახალი წელი

შვილის შამენა

დაქორწინება

31. დამოკიდებულება – შეფასება: მომწონს

ახლანდელი დრო	მოსწონს მას ის	არ მოსწონს მას ის
მომავალი დრო	მოეწონება მას ის	არ მოეწონება მას ის
წარსული უწყვეტელი	მოსწონდა მას ის	არ მოსწონდა მას ის
წარსული წყვეტილი	მოეწონა მას ის	არ მოეწონა მას ის
სასურველი მოქმედება	მოეწონოს მას ის	არ მოეწონოს მას ის
წარსული შედეგობითი	მოსწონებია მას ის	არ მოსწონებია მას ის

1.
 - მოგწონს ახალი ფილმი? – არა, არ მომწონს.
 - იცი, ირაკლის თათია მოსწონს.
 - მე და ნანას არ მოგვეწონს ჩვენი ახალი მასწავლებელი.
 - რატომ არ მოგწონთ ახალი მასწავლებელი? – ძალიან მკაცრია.
 - მოსწავლეებს ძალიან მკაცრი მასწავლებელი არ მოსწონთ ხოლმე, მათ მოსწონთ კეთილი და გულთბილი პედაგოგი.

2.
 - წამოდი, ახალი ფილმი ვნახოთ, ვიცი, ძალიან მოგვეწონება.
 - ნანას საჩუქარი ვუყიდე, ვიცი მოეწონება.
 - თუ ეს კაბა ყველას მოგვეწონება, აუცილებლად ვიყიდი.
 - მე ვფიქრობ, ეს ცეკვა თიურის წევრებს მოეწონებათ.
 - მოგვეწონებათ, ვინმემ რომ ცუდად გითხრათ რამე? – არა, არ მომეწონება.

3.
 - არასოდეს არ მომწონდა თავხედი ადამიანები.
 - რა მოგწონდა ამ ადამიანში, არ ვიცი!
 - ჩემს მეგობარს არ მოსწონდა ინდური ფილმები, არც მე.
 - ჩვენ არ მოგვეწონდა, რაც ჩვენს სკოლაში ხდებოდა, მაგრამ პატარები ვიყავით და ვერაფერს ვამბობდით.

4.

არ მოგვეწონათ ნატას ახალი ბინა? – ძალიან მოგვეწონა, გუშინ ვიყავით ნანასთან.

 - ჩემმა კლასელებმა რაღაც უნდა მახუქონ დაბადების დღეზე, ძალიან მინდა მომეწონოს!
 - ცუდი არ უნდა მოგვეწონოს, კარგი უნდა მოგვეწონოს, ეს ასეც უნდა იყოს.
 - მოგვეწონათ ფილმი? – არა, არ მოგვეწონებია. სპექტაკლიც არ მოგვეწონათ გუშინ? – სპექტაკლი ძალიან მოგვეწონა.
 - ასე არასდროს მომწონებია კაბა, აუცილებლად უნდა ვიყიდო!

ნანას მოსწონს ბალეტზე სიარული.
 ნატას მოეწონება ეს კაბა.
 ნიკას მოსწონდა ანა.
 სალომეს მოეწონა ჩვენი საჩუქარი.
 ნეტავ დედას მოეწონოს ეს აპლტო.
 ანას არ მოსწონებია ციგურებით სრიალი.

ნანი, ამ წერილს ბერლინიდან გწერ. უკვე ათი დღეა აქ ვარ და ყველაფერი ძალიან **მომწონს**. ყოველთვის **მომწონდა** მოგზაურობა და ახლა ძალიან ბედნიერი ვარ. გუშინ მაღაზიებში ვიყავი. აქ ძალიან დიდი და ლამაზი მაღაზიებია. ბევრი რამე **მომეწონა**, ყველაფრის ყიდვა მინდოდა, მაგრამ ამდენი ფული არ მქონდა. შენთვის ერთი ლამაზი ქუდი ვიყიდე. მე ვიცი, შენ ქუდები ძალიან **მოგწონს** და ვიცი ესეც **მოგეწონება**. ბევრი რამე ვნახე, მაგრამ ასე არაფერი **მომწონებია** შენთვის. ძალიან ორიგინალურიცაა და ძალიან კლასიკურიც. შენ ყოველთვის **მოგწონდა** ასეთი რამეები. კიდევ დედაჩემისთვის ვიყიდე ფეხსაცმელები, ალბათ მასაც **მოეწონება**. ჩემთვისაც **მომეწონა** ერთი კაბა და პალტო, შეიძლება ვიყიდო. კიდევ ხუთი დღე ვიქნები ბერლინში, მერე აუცილებლად უნდა წავიდე ჰამბურგში. ლუბეკში თომას მანის სახლ-მუზეუმიც უნდა ვნახო. ხომ იცი, როგორ **მომწონს** მისი რომანი „ბუდენბროკები“. მოკლედ, კარგია. ძალიან მინდა შენც აქ იყო და ჩემთან ერთად **მოგეწონოს** ყველაფერი...

ლიზი.

* * *

- **მოგწონს** ჩვენი ახალი თანამშრომელი?
- არა, არ **მომწონს**.
- რა არ **მოგეწონა**?
- არასოდეს არ **მომწონდა** თავდაჯერებული ადამიანები, ძალიან დიდი წარმოდგენა აქვთ თავზე, არ **მომწონს** ასეთი ადამიანები.
- კარგად გაიცნობ და მერე **მოგეწონება**.
- არ **მომეწონება**, რაც თავიდან არის, ის იქნება მერეც.
- **მოგეწონება**, **მოგეწონება**. არ გქონია ისეთი შემთხვევა, რომ პირველად არ **მოგწონებია**, მერე კი გაიცნობ და **მოგეწონება**?
- მე ვინც გაცნობის დროს **მომწონს**, მერეც **მომწონს**, ვინც არა – არც მერე **მომწონს**.
- უნდა **მოგეწონოს**, ჩვენი ახალი თანამშრომელია და ერთად უნდა იმუშაოთ წლები.



საპარჯიშოები

31.1. შეარჩიეთ სწორი ფორმა:

მომწონს, მოგწონს, მოსწონს, მოგეწონს, მოგწონთ, მოსწონთ.

1. შენ რას იტყვი, _____ ეს ფილმი? – არა, არ _____.
2. ჩვენ არ _____ მკაცრი მასწავლებელი.
3. ნანას არ _____ ახალი კლასელი.
4. _____ თქვენი ახალი წიგნი?
5. მე ძალიან _____ ჩვენი სკოლა.
6. დედას არ _____ ერთი ჩემი ამხანაგი.
7. რატომ არ _____ ნათიას ღელა?
8. მე არ მითქვამს არ _____ -მეთქი, ძალიანაც _____.
9. შენ რა _____, კინო თუ თეატრი?
10. ნანას _____ ამერიკული ფილმები.

31.2. ჩასვით სწორი ფორმა:

1. ჯერ არ ვიცი, ეს წიგნი _____ თუ არა. (მომწონდა, მომეწონება)
2. _____ შენი სკოლა? (მომწონდა, მომეწონება)
3. სპექტაკლი _____ ? (მოგწონდა, მოგეწონა)
4. ასე არასოდეს არ _____ პალტო, მინდა, რომ ვიყიდო. (მომწონს, მომწონებია)
5. ანას და ირმას არ _____ გუშინდელი წარმოდგენა. (მოსწონდათ, მოსწონებიათ)
6. ლალის ძალიან _____ ჩემი ახალი კაბა. (მოეწონოს, მოეწონა)
7. მე ყოველთვის _____ კარგი ადამიანები. (მომწონს, მომწონებია)
8. არ _____ ნიკას ახალი მანქანა? (მოგეწონა, მოგეწონება)
9. ძალიან მინდა ეს ფილმი _____. (მომეწონა, მომეწონოს)
10. ნეტავ ნანას ის ჩემები _____ . (მოეწონა, მოეწონოს)

31.3. ჩასვით წინადადებაში სახელები სწორი ფორმით:

1. _____ ძალიან მოსწონს _____. (მამაჩემი, ჯიპი)
2. ეს _____ მოეწონა _____. (კაბა, ქეთა)
3. _____ არ მოსწონებია _____. (ნანა, ფილმი)

4. _____ მოეწონა მაღაზიაში _____? (რა, ეკა)
5. _____ კონკურსის _____ მოეწონა? (ცეკვა, ჟიური)
6. შენს _____ მოეწონა თქვენი _____? კლასელი, საჩუქარი)
7. _____ ძალიან მოსწონს _____. (ნატა, გიგი)
8. _____ მოსწონს ეს _____. (მარიკა, წიგნი)
9. _____ მოსწონს _____. (დავითი, ჯაზი)
10. _____ არ მოსწონებია _____ ახალი
_____. (თამარი, სპექტაკლი)

31.4. შეადგინეთ წინადადებები მოცემულ ფორმებზე:

მომწონს: _____

არ მომწონს: _____

მოგეწონა? _____

არ მოგეწონა? _____

მოსწონს: _____

არ მოსწონს: _____

მოეწონა: _____

არ მოეწონა: _____

მომწონდა: _____

არ მომწონდა: _____

მოგწონდა? _____

31.5. დაწერეთ ვის რა მოსწონს?

მამას: _____

დედას: _____

ამხანაგს: _____

მასწავლებელს: _____

ჩემს დას: _____

ჩემს ძმას: _____

ბებიას: _____

32. თხოვნა: ბოხოვო

გოხოვო,	დამეხმაროთ გაიმეოროთ გააგრძელოთ გადაწყვიტოთ გამათავისუფლოთ დაბრძანდეთ მიიხრათ მიიღოთ
---------	---

1.

- *გოხოვო, დამეხმაროთ*, დირექტორთან შესვლა მინდა და ორი დღეა ვერ შევედი.
- ძალიან მძიმეა ეს ჩემოდანი, *გოხოვო, დამეხმარო!*
- ნანა დავალებას ვერ წერს, *გოხოვო, დაეხმარო!*

2.

- რას ამბობდით, ვერ გავიგე, *გოხოვო, გაიმეოროთ!*
- *გოხოვო*, გაკვეთილები *გაიმეორო*, ხვალ საკონტროლო ტესტი გაქვს.
- *გოხოვო, გააგრძელოთ*, რატომ შეწყვიტეთ?

3.

- *გოხოვო, გადაწყვიტოთ*, სად უნდა იცხოვროთ: თქვენ გაქვთ ადგილი სასტუმროშიც და შეგიძლიათ იცხოვროთ ჩვენთანაც, ჩვენს სახლში.
- რას აპირებ, *გოხოვო*, მალე გადაწყვიტო!

4.

- *გოხოვო, გამათავისუფლოთ* ლექციებიდან!
- მე აღარ მინდა ამ სამსახურში მუშაობა, *გოხოვო, გამათავისუფლოთ!*

5.

- მობრძანდით, *გოხოვო*, აქ *დაბრძანდეთ!*
- *გოხოვო*, ამ ადგილას *დაბრძანდეთ*, ეს ადგილი თქვენია.

6.

- *გოხოვო*, სიმართლე *მიიხრათ!*
- *გოხოვო, მიიხრათ*, რა გნებავთ, ბევრი დრო არ მაქვს!

7.

- *გოხოვო*, ეს განცხადება *მიიღოთ!*
- *გოხოვო, გაითვალისწინოთ* ჩემი მდგომარეობა და თქვენს ორგანიზაციაში *მიიღოთ* თანამშრომლად.

ორგანიზაცია „ლიდერის“ დირექტორს
ვარლამ გეგეშიძეს
ამავე ორგანიზაციის თანამშრომლის
თამაზ კაკაბაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, დამეხმაროთ. მე ვარ თქვენი ორგანიზაციის ყოფილი თანამშრომელი. ჩემი კონტრაქტი დამთავრდა ერთი თვის წინ, ოქტომბერში. მყავს დიდი ოჯახი, მეუღლე და ოთხი შვილი. ოჯახში ვმუშაობ მხოლოდ მე. ახალი კონტრაქტი ორგანიზაციამ არ გააგრძელა. **გთხოვთ, გაითვალისწინოთ** ჩემი მდგომარეობა და **გააგრძელოთ** ჩემი კონტრაქტი. განცხადებით ვიყავი განყოფილების გამგესთან, მაგრამ უშედეგოდ. **გთხოვთ, გადაწყვიტოთ** ჩემი საკითხი.

თამაზ კაკაბაძე

16. X. 2006

ქ. თბილისის მე-20 სკოლის დირექტორს
ქეთევან კანდელაკს
ამავე სკოლის პედაგოგის
ნანა ლაღიძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

12–15 დეკემბერს ტარდება ტრენინგი ქართული ენის მასწავლებლებისათვის. მინდა ტრენინგზე დასწრება. **გთხოვთ,** მხედველობაში მიიღოთ ეს და **გამათავისუფლოთ** გაკვეთილებიდან და გაცდენილი საათები ჩამითვალოთ საპატიოდ.

ნანა ლაღიძე.

8. XII. 2006

* * *

- **გთხოვთ, მობრძანდეთ, დაბრძანდეთ.**
- გმადლობთ.
- **გთხოვთ, ბრძანოთ,** რა გნებავთ.
- მე მინდა ვითხრაო, რომ განცხადება მაქვს დირექტორთან და **გთხოვთ, მიიღოთ.**
- დიდი სიამოვნებით დაგეხმარებით, ეს ძნელი არ არის, დატოვეთ განცხადება.
- **ძალიან გთხოვთ, დამეხმაროთ.** უკვე რამდენიმე დღეა მოვდივარ და დირექტორი არ არის.
- დიდი სიამოვნებით დაგეხმარებით.
- დიდი მადლობა.
- არაფრის. გისურვებთ წარმატებებს!

საკარჯიშობი

32.1. წარმოადგინეთ ზმნა სწორი ფორმით და შეადგინეთ წინადადებები მოცემული ნიმუშის მიხედვით:

2. დახმარება:

*გთხოვ, დამეხმარო, მინდა დავაღება დავწერო და ვერ ვწერ.
გთხოვთ, დამეხმაროთ, ეს სავარჯიშო ძალიან ძნელია.*

3. გამეორება:

4. გაგრძელება:

5. გადაწყვეტა:

6. გათავისუფლება:

7. დარეკვა:

32.2. დაწერეთ განცხადებები მოცემული თემისა და ფორმების გამოყენებით:

1. თხოვნა: გაკვეთილებიდან გამათავისუფლოთ

მიზეზი: თავს ცუდად ვგრძნობ.

2. თხოვნა: გაცდენილი საათები ჩამითვალოთ საპატრიოლ.

მიზეზი: ავად ვიყავი.

3. თხოვნა: მიიღოთ ჩემი საბუთები.

მიზეზი: სწავლა მინდა გააგრძელო თქვენს სკოლაში.

33. მოქმედების სიხშირე: არასოდეს – იშვიათად – ხშირად

არასოდეს – იშვიათად – ხოგჯერ – ხანდახან
ხშირად – ყოველთვის – მუდამ – საერთოდ

არასოდეს	არ ვყოფილვარ, არ მითქვამს, არ მივღივარ, არ ვსწავლობ... არ მითხოვია, არ ღავკირებია...	წარსული შედეგობითი ახლანდელი დრო
იშვიათად ხოგჯერ ხანდახან ხშირად ყოველთვის მუდამ საერთოდ	ვარ, მივღივარ, ვსწავლობ, ვეუბნები, ვთამაშობ, ვვარჯიშობ, ვცეკვავ, ვსეირნობ, ვოცნებობ... ვთხოვ, ვპირდები...	ახლანდელი დრო (+ ხოლმე)

1.

- სამოგზაუროდ არასოდეს მარტო არ მივდივარ, ყოველთვის მეგობრებთან ერთად მივდივარ ხოლმე.
- ტყუილი არასოდეს არ მითქვამს, ყოველთვის სიმართლეს ვამბობ.
- ამ პარკში ხშირად მოდიხართ ხოლმე? – არც ისე ხშირად, ზოგჯერ მოვდივართ ხოლმე.
- თეატრში იშვიათად მივდივარ, უფრო ხშირად კინოში დავდივარ ხოლმე.
- დედანემს ყოველთვის ვეუბნები სად მივდივარ, ყოველთვის იცის, სად ვარ.

2.

- მე ოცნება ძალიან მიყვარს, მუდამ ვოცნებობ.
- საერთოდ არ ვუყურებ მძაფრსიუჟეტის ფილმებს და თრილერებს, არ მომწონს ასეთი ფილმები, მე მომწონს მელოდრამა.
- ჩემს მეგობრებთან ერთად ხანდახან კინოში მივდივარ, იშვიათად – თეატრში და ხშირად ვსეირნობთ პარკში.

3.

- არასოდეს არ ვპირდები ადამიანს იმას, რასაც ვერ გავაკეთებ.
- შენ ყოველთვის პირდები შენს დას, რომ დაეხმარები, მაგრამ არასოდეს არ ეხმარები. რატომ? ასე არ შეიძლება.
- არასოდეს არ დაგვირებია, დაგეხმარები-მეთქი, ყოველთვის ვეუბნებოდი, არ ვიცი, დაგეხმარები თუ არა-მეთქი.
- არასოდეს არ მითხოვია ფული ჩემი ძმისთვის, მე ყოველთვის მაქვს ჩემი ფული.
- ხანდახან ვთხოვ ხოლმე ფულს ჩემს დას, მაგრამ ყოველთვის არ აქვს, ზოგჯერ – არა.
- არასოდეს არ მითხოვია სხვისთვის ფული, მე ყოველთვის მაქვს ჩემი ფული.

* * *



არ ვიცი, დაიჯერებ თუ არა, მაგრამ მე **არასოდეს არ მითქვამს** ტყუილი და არც ახლა ვიტყვი. **ყოველთვის** სიმართლეს ვამბობ და ეს ძალიან მომწონს. ზოგი **საერთოდ** ტყუილებით **ცხოვრობს**, მაგრამ მე ეს არ შემეძლია. ხათუნასთან **საერთოდ არ ვყოფილვარ**, არც იმ დღეს და არც სხვა დროს. არც ვიცი, სად **ცხოვრობს**. მართალია, **ზოგჯერ მივდივარ ხოლმე** ხათუნას ბიძაშვილთან, ის ჩემი კლასელია, მაგრამ ხათუნასთან **საერთოდ არ ვყოფილვარ**. მე და ლელა, ხათუნას ბიძაშვილს ლელა ჰქვია, **ხშირად ვლაპარაკობთ** ჩვენს ამხანაგებზე, კლასელებზე, მაგრამ ის არ მახსოვს, ნიკაზე ვილაპარაკეთ თუ არა. **ხშირად** ჩვენთან ერთად სხვებიც **არიან**, ჩვენი სხვა კლასელები ან ლელას მეზობლები. შეიძლება ისინი ლაპარაკობდნენ ნიკაზე. არ მახსოვს.... **იშვიათად გავდივართ** პარკში და იქ ვსეირნობთ. იქაც ყოველთვის გვხვდებიან ამხანაგები, მაგრამ იქ ნიკა **არასოდეს არ მინახავს**, არც **არასოდეს გვილაპარაკია** ნიკაზე. არ ვიცი ხათუნამ რატომ თქვა ტყუილი, შეიძლება არ ახსოვს და სხვამ უთხრა რამე, მე არ ვიცი... **იშვიათად ვარ** ასეთ მდგომარეობაში, არა, **არასოდეს არ ვყოფილვარ** ასე.. ძალიან გთხოვ, დამიჯერო, მე **არასოდეს არ მილაპარაკია** ნიკაზე. არც ის ვიცი, რა გითხრა ხათუნამ, მაგრამ ძალიან მინდა, მე დამიჯერო...

ნატა

უცნაური დიალოგი

- ლონდონში ყოფილხართ?
- არა, **არასოდეს არ ვყოფილვარ**.
- სამოგზაუროდ დადიხართ?
- ძალიან **იშვიათად**.
- მუშაობთ?
- დიახ, **ყოველთვის ვმუშაობ**.
- სამსახურს აცდენთ?
- **არასოდეს არ ვაცდენ**.
- ქალაქგარეთ გადიხართ?
- **ზოგჯერ**.
- თეატრში დადიხართ?
- **იშვიათად**.
- კინოში?
- **ხანდახან**.
- მეგობრებთან მიდიხართ ხოლმე?
- **ხშირად**. ბევრი მეგობარი მყავს.
- სამართლიანი ხართ?
- **ყოველთვის**.
- რამეს სწავლობთ?
- **მუდამ** ვსწავლობ რამეს, ახლა იტალიურს ვსწავლობ.
- სიგარეტს ეწევი?
- **საერთოდ არ ვეწევი**.
- სიმართლეს ამბობთ?
- **ყოველთვის**.

სამარჯობები

33.1. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ფორმების გამოყენებით:

იშვიათად ყოველთვის ხანდახან ხშირად მუდამ საერთოდ ზოგჯერ

დავდივარ ვარ ვთამაშობ ვვარჯიშობ ვსეირნობ ვცეკვავ ვსწავლობ

თეატრში სტადიონზე სკოლაში ბებიასთან სპორტულ დარბაზში კლუბში

33.2. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ფორმების გამოყენებით:

არასოდეს

არ მიმუშავია არ ვყოფილვარ არ მითქვამს არ წავსულვარ არ მისწავლია
არ მყოლია არ მითამაშია

33.3. დაწერეთ თქვენი ცხოვრების მიხედვით:

არასოდეს: _____

ხშირად: _____

ზოგჯერ: _____

ხანდახან: _____

იშვიათად: _____

ყოველთვის: _____

საერთოდ: _____

მუდამ: _____

33.4. დაწერეთ ამბავი სხვის ან თქვენ შესახებ, გამოიყენეთ მოქმედების სიხშირის გამომხატველი ფორმები:

34. პარაულის ბამონატვა: მე მბონი, არა მბონია

მე მბონი	ვთქვი, მოგახსენეთ, მოგართვით, გეახლებით, ვუთხარი, გავაბრძელებ, ვიცნობ... ჩქარობ... მუშაობს, სწავლობს, მკურნალობს, უნდა, ისვენებს, კითხულობს, მიცნობს...
არა მბონია	მიცნობდეს, მჭონდეს, ჰჭონდეს, იყოს, მუშაობდეს, ცხოვრობდეს, ამბობდეს, სწავლობდეს, ჩქარობდეს, ვარჯიშობდეს, ვიძრობდეს, მებობრობდნენ... (მე) ბამიხსენოს, (არ) მითხრას... ვიმუშაო, დავიწყო, გავაბრძელო, გავიცნო, მომილოცოს...

1.

- *მე მბონი, ვთქვი*, რომ მარიამი დღეს სამსახურში არ იქნება.
- *მე მბონი, გუშინ მოგახსენეთ*, რომ მარიამი ავადაა. *კარგად არ მახსოვს, დარწმუნებული არა ვარ*, მაგრამ, *მე მბონი, გითხარით*.
- ახალი მოსწავლის საბუთები სადაა? – *მე მბონი*, საბუთები გუშინწინ *მოგართვით*.
- ხვალ სადამოს, *მე მბონი, გეახლებით*, მე და ჩემი შვილი მოვალთ.
- *მე მბონი*, ანას *ვუთხარი*, რომ ხვალ ჩვენთან სტუმრები მოვლენ.
- მაგისტრატურაში სწავლას გააგრძელებ? – *მე მბონი, გავაგრძელებ*, დარწმუნებული არ ვარ.
- ნატა მურვანიძეს იცნობ? – *მე მბონი, ვიცნობ*; გურამიშვილის ქუჩაზე ცხოვრობს? – *მე მბონი, კი. – ვიცნობ*.


2.

- *მე მბონი* ჩქარობ, არა? – დიას, ძალიან მეჩქარება.
- ნიკო სად მუშაობს? – *მე მბონი*, ბანკში *მუშაობს*, *ზუსტად არ ვიცი*.
- ნანა, *მე მბონი*, ბიზნესის ფაკულტეტზე სწავლობს, არა? – არ ვიცი.
- მაღაზიაში მივდივარ, დედას, *მე მბონი*, პური უნდა არა? – კო, პური არა გვაქვს.
- ნინის იცნობ? – იცი რა, *მე მბონი, ვიცნობ* და ისიც *მიცნობს*, უნივერსიტეტში სწავლობს? – *მე მბონი, კი*.

3.

- თორნიკე, *არა მბონია, მიცნობდეს*, მე კი ვიცი, ვინ არის.
- ტოლსტოის „ანა კარენინა“ ხომ არ გაქვს? – *არა მბონია, მჭონდეს*.
- მაკას, *მბონი*, ხვალ გამოცდა აქვს? – *არა მბონია*, გამოცდა *ჰჭონდეს*, დღეს კინოში წავიდა.
- ანზორ გვარამაძე უნივერსიტეტში მუშაობს? – *არა მბონია, იქ მუშაობდეს*, მე მბონი განათლების სამინისტროშია.
- ანა ჩქარობს და მალე დაამთავრებ სამსახურს? – *არა მბონია, ჩქარობდეს*, ჩემთვის არ უთქვამს.
- ფიქრია გურგენიძეს მეც ვიცნობდი, მაგრამ ახლა, *არა მბონია, გამიხსენოს*.

ალბათ
იქნებ



ამ წერილს გწერთ ქუთაისიდან. თქვენ, **არა მგონია, გამიხსენოთ**, მაგრამ ჩვენ ერთ დროს ვსწავლობდით უნივერსიტეტში. **მე მგონი**, თქვენთან მუშაობს ჩემი ერთი თანაკურსელი მადონა კარტოზია. ამ წერილის მოწერა გადავწყვიტე იმიტომ, რომ თქვენთან შეხვედრა ვერ შევძელი. მე ვმუშაობ სკოლაში, ვარ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. ქვეყანაში სასკოლო რეფორმა ტარდება, მაგრამ, **არა მგონია**, ჩვენი დირექტორი სკოლის რეფორმაზე **ფიქრობდეს**. უკვე მეორე კვირაა, იგი სკოლაში არ მოდის, **მე მგონი**, ისვენებს, **ალბათ** ქალაქგარეთაა წასული. მე ძალიან არ მინდა სკოლიდან წასვლა, მაგრამ, **არა მგონია**, ამ სკოლაში **გაეავრძელო** მუშაობა. **იქნებ** სხვაგან **დავიწყო** მუშაობა, **გავიცნო** ახალი თანამშრომლები...

ახალ სამსახურში, **არა მგონია**, მსგავსი პრობლემები **იყოს**. მე არ მინდა დირექტორთან კამათი, კონფლიქტი. ჩემი ოჯახი თბილისში ცხოვრობს. მეც მინდა თბილისში გადასვლა. **არა მგონია**, სამსახური ისევ ამ ქალაქში **გაეავრძელო**. **მე მგონი**, მომავალ კვირაში ჩამოვალ თბილისში, **გვახლებით** და **მოგახსენებთ** ყველაფერს, რა პრობლემებიც მაქვს და გთხოვთ, დამეხმაროთ.

- როგორ გგონია?
- მე მგონი, ...
- არა მგონია

პატივისცემით დარეჯან ხალვაში.

* * *

- ჩემი განცხადების პასუხი თქვენთანაა?
- რა განცხადების?
- სამი დღის წინ მოგართვით, **მე მგონი**, თქვენ ბრძანდებოდით.
- **მე მგონი**, მაშინ მე გითხარით, რომ პასუხი რამდენიმე დღეში იქნება-მეთქი, არა?
- დიახ, დიახ, ასე იყო.
- ორი დღე გავიდა, **არა მგონია**, ჯერ პასუხი **იყოს**.
- **მე მგონი**, თქვენთან მუშაობს ამირან დვალი, ასეა?
- დიახ, ბატონი ამირანი ჩვენთან მუშაობს.
- **იქნებ** ამირანი დამეხმაროს?
- **არა მგონია**, ბატონი ამირანი **დაგეხმაროთ**. **მე მგონი**, ის ქალაქში არც არის, მივლინებაშია.
- ამირანს ვუთხარი ჩემი პრობლემის შესახებ. **როგორ გგონიათ**, პასუხი როდის იქნება?
- **მე მგონი**, ორ დღეში იქნება.
- კარგი, მაგრამ უნდა გითხრათ, **არა მგონია**, თქვენი უფროსი **ჩქარობდეს** და **არც ის მგონია**, სხვის პრობლემებზე **ფიქრობდეს**.
- ასე რატომ ამბობთ?
- უკვე რამდენიმე დღეა განცხადება თქვენთანაა და **მე მგონი**, არც **ჩქარობს**, რომ წაიკითხოს. ასე არ შეიძლება.
- ყველაფერი კარგად იქნება. **მგონი**, ორ დღეში პასუხს მოგართმევთ. არ ინერვიულოთ.
- კარგად ბრძანდებოდეთ.
- ნახვამდის.



საპარჯიშოები

34.1. უპასუხეთ კითხვებს მოცემული ნიმუშის მიხედვით. გამოიყენეთ ფორმები:
მე გგონია, არა გგონია. დაუკვირდით და სწორად გამოიყენეთ ზმნის ფორმები.

*როგორ გგონია, ხვალ გაკვეთილები იქნება?
არა გგონია, ხვალ გაკვეთილები იყოს.*

– როგორ გგონიათ, დირექტორი ჩქარობს? საქმე მაქვს.

– _____

– როგორ გგონიათ, ვანო მუშაობს თუ სწავლობს?

– _____

– როგორ გგონია, ნათელა მკურნალობს? მე ვიცი, რომ ავად იყო.

– _____

– როგორ გგონია, შაბათს მერაბი ისვენებს?

– _____

– როგორ გგონია, ქალბატონი ანა მიცნობს?

– _____

– როგორ გგონია, ანუკა და ხატია მეგობრობენ?

– _____

– როგორ გგონია, ვანო დიდი ხანია ვარჯიშობს?

– _____

– როგორ გგონია, ლამარა მასწავლებელი გამისხენებს?

– _____

– როგორ გგონია, ამ თვეში მუშაობას დაიწყებ?

– _____

– როგორ გგონია, სწავლა უნდა გადაგრძელო?

– _____

– როგორ გგონია, ბატონი გურამი უნდა გავიცნო?

– _____

– როგორ გგონია, ნიკა დაბადების დღეს მომილოცავს?

– _____

– როგორ გგონია, ვოვა სიმართლეს ამბობს?

– _____

34.2. შეადგინეთ ორი ტექსტი; პირველში გამოიყენეთ ვარაუდის ფორმა *მე მგონი*, მეორეში – *არა მგონია*.

მე მგონი... ალბათ... იქნებ...

არა მგონია... ალბათ... იქნებ...

35. ემოციების გამოხატვა: მიხარია, მწყინს, მეშინია...

ახლანდელი	უხარია მას ის	სწყინს მას ის	ეშინია მას
მომავალი	გაუხარდება მას ის	ეწყინება მას ის	შეეშინდება მას
წარსული	გაუხარდა მას ის	ეწყინა მას ის	შეეშინდა მას
წარსული შედეგ.	(არ) გახარებია მას ის	(არ) სწყენია მას ის	(არ) შემშინებია (მისი, ძაღლის)

1.

- მალე ახალი წელი მოდის და ძალიან **მიხარია**.
- **გიხარია**, მამა რომ ჩამოდის საფრანგეთიდან? – ძალიან **მიხარია**.
- ახალი და კარგი ამბავი ყველას **უხარია**.
- ჩვენი მასწავლებელი დააჯილდოვეს და ყველას ძალიან **გეხარია**.
- არ **გიხარიათ**, მალე არდადეგები იწყება და ერთი კვირით მესხეთში წავალთ! – **გეხარია**, აბა რა!
- რა მოხდა? რა ხმაურია? – დღეს საკონტროლო ტესტს არ წერენ და ბავშვებს **უხარიათ!**
- მე ყოველთვის **გამიხარდება** შენი წარმატებები!
- ძალიან **გამიხარდა**, რომ ჩამოხვედი!
- გაკეთილის გაცდენა **არ გამხარებია**, მე ყველაფერი მზად მქონდა ტესტის დაწერაც მინდოდა.

2.

- ყველაფერი ნუ **გწყინს**, ასე არ შეიძლება! – ყველაფერი **არ მწყინს**, მაგრამ უყურადღებობა ყოველთვის **მეწყინება**.
- რა **გეწყინა**? – ყველაზე მეტად უყურადღებობა **მეწყინა**.
- ნატას **ეწყინა**, რომ არ მივედით დაბადების დღეზე? – ძალიან ეწყინა.
- ბატონო გიორგი, ძალიან **გვეწყინა**, თქვენი სამსახურიდან წასვლა რომ გავიგეთ. ახალ სამსახურში კარგია? – მე არ **მწყენია**, იმიტომ რომ, ახალ სამსახურში ძალიან კარგად ვგრძნობ თავს.

3.

- ძაღლის **გეშინია**? – ძალიან **მეშინია**.
- ნუ **გეშინია**, ყველაფერი კარგად იქნება!
- ბავშვებს ბევრი რამის **ეშინიათ**, მაგრამ გაიზრდებიან და აღარ **შეეშინდებათ**.
- რატომ იყვირე? – კარებზე დავაკაკუნე და უცებ ძაღლი გამოვარდა, ძალიან **შემეშინდა**.
- პატარა ანი რატომ ტირის? – ძაღლის **შეეშინდა**.
- შენ რის **გეშინია**? – ჩვენ არაფრის არ **გვეშინია**!
- ნუკის უთხარი, ნურაფრის ნუ **ეშინია**, მე მოვალ და ყველაფერს მოვაგვარებ-თქო.
- როგორ **შეეშინდა** პატარას! როგორ ტირის!

4.

- ნურც **გწყინს** და ნურც **გეშინია**, ყველაფერი კარგად იქნება!
- **მიხარია**, რომ არ **გეშინია**, მე ხომ შენთან ვარ!

ნანას უხარია სოფელში წასვლა.
ნიკას სწყინს ტყუილი.
სალომეს ეშინია ძაღლის.

ხვალ ბებიასთან მივდივარ. **მიხარია**. მაგრამ ის **მწყინს**, რომ მეგობრებს ორი თვე ვერ ვნახავ. ბებიას ძალიან **გაუხარდება** ჩემი ნახვა...

დღეს ჩემმა მეგობარმა წიგნი მაჩუქა, ძალიან **გამიხარდა**, სოფელში წავიკითხავ, ასე დიდი ხანია არაფერი **გამხარებია**. თან ეს წიგნი ძალიან მინდოდა.

კიდევ ნანასგან ძალიან **მეწყინა** ერთი რამ, აუცილებლად ვეტყვი, მაგრამ სხვა დროს... მკითხა, რა **გეწყინაო**, მაგრამ, მე მგონი, ვერც გაიგო, მართლა რა **მეწყინა**...

გუშინ ექიმთან ვიყავი. აცრა გამიკეთეს, ნემსის ძალიან **მეშინია**. დიდი ნემსი რომ დავინახე, ისე **შემეშინდა**, ტირილი დავიწყე, ისე ცუდად გავხდი, მე მგონი დედას უფრო **შეეშინდა**. ასე ძალიან დიდი ძაღლისაც არ **შემშინებია**, მაშინ, სოფელში... არა და, ყველამ იცის, როგორ **მეშინია** ძაღლების.

ხვალ სოფელში მივდივარ... რა კარგია...



5 ივნისი

ყველაზე მეტად

- რა **გიხარია** ყველაზე მეტად?
- ახალი წელი.
- რატომ **გიხარია**?
- ახალი ცხოვრება იწყება.
- რის **გეშინია** ყველაზე მეტად?
- ტყუილის და ღალატის.
- რა **გწყინს** ყველაზე მეტად?
- უმადურობა.
- რა **გაგიხარდება** ყველაზე მეტად?
- სტუდენტად გახდომა.
- რატომ?
- ახალი ცხოვრება იწყება.
- რის **შეგეშინდება** ყველაზე მეტად?
- ახლობლების დაკარგვის.
- რატომ?
- მარტოობის **მეშინია**.

საკვარჯიშოები:

35.1. დააღაგეთ ზმნის ფორმები პირების მიხედვით და მიუწერეთ ნაცვალსახელები:

გაუხარდება გამიხარდა არ გაგხარებია გვიხარია გაგიხარდა გიხარია გამიხარდება
 უხარია გაგვიხარდება გაუხარდა არ გაგხარებით გაუხარდებათ გაგიხარდათ
 მიხარია უხარიათ არ გაგხარებია გაგიხარდებათ არ გახარებით გაუხარდათ
 გაგვიხარდა არ გამხარებია გიხარიათ გაგიხარდება არ გახარებია

მიხარია	გამიხარდება	გამიხარდა	არ გამხარებია

35.2. დაწერეთ ქვემოთ მოცემული ზმნების პირის ფორმები:

მწყინს	მეწყინება	მეწყინა	არ მწყენია

მეშინია	შემეშინდება	შემეშინდა	არ შემშინებია

35.3. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა: მიხარია, გიხარია, უხარია, გვიხარია, გიხარიათ, უხარიათ.

1. არ _____ ახალი წელი?
2. ნანას _____ სკოლის დაწყება.
3. მე სხვისი კარგი ყოველთვის _____.
4. ექსკურსიაზე წასვლა ჩვენ ყველას ძალიან _____.
5. მოსწავლეებს _____ არდადეგების დაწყება.
6. კარგია, რომ თქვენ _____ თქვენი მეგობრის წარმატება!

35.4. ჩასვით სახელები სწორი ფორმით:

1. _____ უხარია ახალი _____. (ნანა, წელი)
2. _____ გაუხარდა არდადეგების _____. (ნიკა, დაწვება)
3. _____ ეშინია _____. (ვერიკო, სიბნელე)
4. _____ შეეშინდა მანქანის დიდი _____. (ლადო, სისწრაფე)
5. _____ ეწყინა _____. (ელენე, ტყუილი)

35.5. შეადგინე მოცემული ფორმებით წინადადებები:

- სწყინს: _____
- უხარია: _____
- არ შეშინებია: _____
- შემეშინდა: _____
- გაუხარდა: _____
- ეწყინა: _____
- გამიხარდა: _____
- მეწყინა: _____
- გაგიხარდა? _____
- შეგეშინდა? _____
- გეწყინა? _____
- გაგიხარდება: _____
- შემეშინდება: _____
- ეწყინება: _____
- მეწყინება: _____
- ნუ შეგეშინდება: _____
- მე მგონი, გაგიხარდება: _____
- არ სწყინია: _____
- არ შემშინებია: _____
- არ გახარებია: _____
- არ მწყინს: _____
- არ მეშინია: _____

36. შედარება: კარგი – უკეთესი, ცუდი – უარესი

დიდი უდიდესი ყველაზე დიდი მოდილო ოდნავ დიდი შედარებით დიდი	ეს დიდი უბანია. ეს ამ ქალაქის უდიდესი უბანია. ეს ამ ქალაქის ყველაზე დიდი უბანია. ეს ოთახი დიდი არაა, მოდილოა. ეს ოთახი ოდნავ დიდია მეორეზე. ეს ოთახი მეორე ოთახთან შედარებით დიდია.
--	---

კარგი – უკეთესი – საუკეთესო ცუდი – უარესი	ტკბილი – მოტკბო – უტკბესი გრძელი – მოგრძო – უგრძესი
--	--

ახლანდელი დრო	ირჩევს ის მას	ადარებს ის მას	ათვალიერებს ის მას
წარსული უწყვეტ.	ირჩევდა ის მას	ადარებდა ის მას	ათვალიერებდა ის მას
მომავალი დრო	აირჩევს ის მას	შეადარებს ის მას	დაათვალიერებს ის მას
წარსული წყვეტ.	აირჩია მან ის	შეგადარე	დაათვალიერა მან ის
სასურველი მოქმ.	ვირჩიოს მან ის	შეადარა მან მას	დაათვალიეროს მან ის
წარსული შედეგ.	არ აურჩევია მას ის	არ შეუდარებია მას ის (მისთვის)	არ დაუთვალიერებია მას ის

1.

- ეს შენობა **უმადლესია** ამ ქალაქში.
- ქალაქის ეს **უდიდესი** ნაგებობა მეოცე საუკუნის სამოციან წლებში აშენდა.
- ეს **ულამაზესი** პარკი ქალაქში **უდიდესიცაა**.
- დედამიწის **უმადლესი** მწვერვალი ჯომოლუნგმაა.
- პარიზში ნანა ორი კვირა იყო და ქალაქის **ულამაზესი** ადგილები სულ **დაათვალიერა**.

2.

- ეს სადილი **მომჯავოა**, არ მომწონს, ვერ შევჭამ.
- **შეადარე**, ეს მთა **ოდნავ დაბალია** მეორე **მთაზე**, მაგრამ აქედან სოფელი კარგად ჩანს.
- ნიკა **გიორგიზე ოდნავ მაღალია**.
- ეს ჩაი **მოტკბოა**, მე ტკბილი ჩაი მინდა. თუ შეიძლება, შექარი მომაწოდეთ.
- ეს კაბა **ოდნავ გრძელი** რომ იყოს, კარგი იქნება.
- მე ძალიან მომწონს, როცა შენ **მოგრძო** თმები გაქვს, **არც ძალიან მოკლე და არც ძალიან გრძელი**.
- **ირაკლისთან შედარებით** თორნიკე **მაღალია**.

3.

- ამ შარვალს **მოდურჯო-მოშავო ფერი** აქვს და ძალიან მომწონს.
- ნანას **მომწვანო** თვალები აქვს.
- **მოწითალო** და **მოყვითალო** ფერები ერთად არაა ლამაზი.
- **მოცისფრო** ჯინსი ძალიან მომწონს.

4.

- მე ყოველთვის **ვირჩევ საუკეთესოს**.

- ეს კალამი **ცუდია**, არ წერს, მაგრამ მეორე **უარესია**, გატეხილიცაა და არც წერს.
- ეს ფერი **საუკეთესოა**, ამიტომ მე ამ ჟაკეტს **ვირჩევ**.
- **უმცირეს** საგანს **უდიდესს ვერ შეადარებ**.

<p>ირჩევს ნანა კაბას ირჩევდა ნანა კაბას აირჩევს ნანა კაბას აირჩია ნანამ კაბა აირჩიოს ნანამ კაბა არ აურჩევია ნანას კაბა</p>	<p>ადარებს ნანა კაბას კოსტუმს ადარებდა ნანა კაბას კოსტუმს შეადარებს ნანა კაბას კოსტუმს შეადარა ნანამ კაბას კოსტუმი შეადაროს ნანამ კაბას კოსტუმი არ შეუდარებია ნანას კაბისთვის კოსტუმი</p>
---	--

* * *

როცა ვმოგზაურობ, დიდი სიამოვნებით **ვათვალიერებ** ქალაქის მუზეუმებს. მოგზაურობის დროს ჯერ მუზეუმებს **ვათვალიერებდი**, მერე კი ქალაქში მივდიოდი, მუზეუმებს წინასწარ **ვირჩევ**. ეს ჩემი პოზია. ორ კვირაში ლონდონში მივდივარ. პირველად რამდენიმე მუზეუმს **დავათვალიერებ**, მერე თვითონ ქალაქს. ლონდონი **ულამაზესია**. ხანდახან ქალაქებს ერთმანეთს **ვადარებ**: ნიუ-იორკი **უდიდესია**, პარიზი **ულამაზესია**, პეტერბურგი **უმშვენიერესია**...

შარშან კარგი წელი იყო. ორჯერ ვიმოგზაურე, 22 მუზეუმი **დავათვალიერე**. ლონდონში სამი პატარა მუზეუმი **არ დამითვალიერებია**, შედარებით პატარა მუზეუმებია, მაგრამ ძალიან საინტერესო. ძალიან მინდა ისინი **დავათვალიერო**.

წელს მინდა აღმოსავლეთის ქვეყნებში წავიდე. ერთ-ერთ აზიურ ქვეყანაში წავალ, კარგად **დავათვალიერებ**, მაინტერესებს, აზიის ქალაქები ევროპულ ქალაქებს **შევადარო**.



* * *



- მაღაზიაში ახალი კოლექცია გვაქვს, მობრძანდით, **დაათვალიერეთ**.
- დიდი სიამოვნებით. მართლა **ულამაზესი** ტანსაცმელია. ალბათ ბევრ რამეს **ავირჩევ**.
- აი, ეს კოსტუმი ნახეთ, **საუკეთესოა**, ხარისხიც კარგია. არც ეს კოსტუმი **ცუდი**, ესეც **ძალიან ლამაზია**.
- **ყველაზე დიდი ზომა** რომელია?
- აი, ესაა **უდიდესი** ზომა ამ კოლექციაში, ამაზე დიდი არ გვაქვს.
- აი, ამ ორ კოსტუმს **შევადარებ**, რომელიც **უფრო დიდი** იქნება, იმას ვიყიდი.
- ეს სვიტრი **შედარებით მოგრძო** მკლავით არა გაქვთ, ამას მოკლე მკლავი აქვს და არ მომწონს.

- დიახ, გვაქვს **შედარებით გრძელი** მკლავით, აი, ინებეთ. ამას მაგ **სვიტრზე გრძელი** მკლავი აქვს.
- ეს ფეხსაცმელებიც **უნდა დავათვალიერო**, **საუკეთესო** ფეხსაცმელებია. თუ შეიძლება, ეს ჩექმა მაჩვენეთ.
- აი, ინებეთ. მაგრამ, მე მგონი, თქვენთვის ეს **უკეთესია**. ნახეთ.
- დიახ, ნამდვილად **უკეთესია**. ასეთი ჩექმები ძალიან მინდოდა, **ოდნავ მაღალი** ქუსლით.
- უკვე **დაათვალიერეთ** ტანსაცმელი?
- სულ არ **დამითვალიერებია** და არც **ამირჩევია**. ცოტა ხანში **დავათვალიერებ** და **ავარჩევ**.

საპარჯიშოები

36.1. შეარჩიეთ ზმნის სწორი ფორმა:

ვათვალიერებდი ათვალიერებდნენ ვათვალიერებ დაათვალიერეს
დამითვალიერებია ათვალიერებენ დაუთვალიერებიათ დავათვალიერებ
დაათვალიერებენ დავათვალიერე დავათვალიერო

1. გუშინ ისინი ქალაქს _____.
2. ხვალ მუზეუმს _____.
3. ქალაქის ეს ნაწილი ორი დღის წინ _____.
4. ეს მხარე ჯერ არ _____.
5. ქალაქში ყველაფერი მაინტერესებს და ყველაფერს _____.
6. როცა სხვა ქალაქში ჩავდიოდი, ყველაფერს _____.
7. ამ უურნალს _____ და თუ მომეწონა, ვიყიდი.
8. ეს ალბომი სტუმრებს ჯერ არ _____.
9. ეს ალბომი მინდა, უნდა _____.
10. ქალაქი ორ დღეში უნდა _____.

36.2. შეარჩიეთ სახელის ბრუნვის ფორმა სწორად:

1. რომელი _____ აირჩია _____ მაღაზიაში?
(ფეხსაცმელი, ნანა)
2. _____ მოგზაურობის დროს სამი _____
დაათვალიერა. (გურამი, ქალაქი)
3. _____ ადარებს პარიზს და ლონდონს, მას
პარიზი მოსწონს. (ნიკა, ერთმანეთი)
4. _____ არ დაუთვალიერებია, ის ამ ქალაქში
ორი საათით იყო. (ნატა, პრადა)
5. ძალიან მინდა _____ კარგად
დაათვალიეროს ჩემი _____. (ბატონი დავითი, გამოფენა).

36.3. მიუწერეთ ფორმები ნიმუშის მსგავსად: შავი – მოშავო, იისფერი – მოიისფრო

- | | |
|--------------|--------------|
| თეთრი – | ყვითელი – |
| ნაცრისფერი – | ლურჯი – |
| მწვანე – | ვარდისფერი – |
| ყავისფერი – | ოქროსფერი – |

36.4. შეადგინეთ წინადადებები მოცემულ ფორმებზე:

ვირჩევ: _____

დავათვალიერე: _____

შეადარა: _____

ნეტავ დაათვალიეროს: _____

აირჩია: _____

აირჩევს: _____

არ აურჩევია: _____

უდიდესი: _____

ურბილესი: _____

მოტკბო: _____

უარესი: _____

საუკეთესო: _____

ოდნავ დიდი: _____

ოდნავ მალაღი: _____

შედარებით ფართო: _____

ურთულესი: _____

უკეთესი: _____

ულამაზესი: _____

დავათვალიერებ: _____

უდიდესი: _____

ყველაზე დიდი: _____

ძალიან გრძელი: _____

უნდა შევადარო: _____

მოგრძო: _____

მოცისფრო: _____

უმშვენიერესი: _____

უმცირესი: _____

მოკლე: _____

უმოკლესი: _____

მთავარი: _____

უმთავრესი: _____

37. უნახავი მოქმედება: თურმე

უნახავი მოქმედება = სხვისაგან გაგონილი ინფორმაცია ან მოქმედების შედეგის მიხედვით გაკეთებული დასკვნა.

თურმე	<p>ჰქონია მას ის ჰქოლია მას ის უთქვამს მას ის სცოდნია მას ის მიუტანია მას ის მისულა ის უსწავლია მას ის დახმარებია მას ის</p>	<p>გაუპქეთებია მას ის უთხოვია მას ის მიუცია მას ის გაუზბია მას ის აუჩქევია მას ის გადაუწყვეტია მას ის გაუბრძელებია მას ის გაუცვნია მას ის</p>
--------------	---	--

1.
 - ნანამ მითხრა, ხვალ გაკვეთილები არ მაქვსო და **თურმე ჰქონია**.
 - მე არ ვიცოდი, **თურმე** ხვალ გამოცდა **მქონია**.
 - იცი, ნიკას **თურმე** რა კარგი ბიძაშვილი **ჰყოლია**! ხვალ ნიკას დაბადების დღეზე გავიციან.
 - სალომეს დედამისისთვის **თურმე** ტყუილი **უთქვამს** და დედამისი გაბრაზებულია.
 - ნინოს **თურმე არ სცოდნია**, ხვალ რომ გამოცდა გვაქვს; რა უნდა ქნას, არ ვიცი.
 - **თურმე** ირაკლის ყველა საბუთი ერთ კვირაში **გაუკეთებია** და საზღვარგარეთ წასულა.

2.
 - ჩვენს მასწავლებელს საგამოცდო ტესტები **მოუტანია** გაკვეთილზე და ბავშვებს **დაუწერიათ**. – შენ ვინ გითხრა? – ლელამ.
 - ნიკას დედა დირექტორთან **მისულა** და დირექტორს **უთქვამს**, ნიკა ცუდად იქცევაო.
 - მაიას სხვა ტექსტი **უსწავლია** და დღეს გაკვეთილი არ იცოდა.
 - იცი, გურამმა ჩემი ძმა მოსკოვში ნახა და ძალიან **დახმარებია**. – ვინ თქვა? – ჩემმა ბიძაშვილმა დარეკა და გვითხრა.
 - ჩემი სურათი მაიას **მიუცია** თამაზისთვის.
 - ანის **დაურეკავს** გერმანიიდან და **უთქვამს** ორ კვირაში ჩამოვალ. – ვინ გითხრა? – დედამისმა.
 - მამუკას **გაუგია**, რომ გივი ახლა საფრანგეთშია.
 - ნატა მაღაზიაში ყოფილა და ძალიან კარგი ტანსაცმელი **აურჩევია**.

3.
 - მანანას საბოლოოდ **გადაუწყვეტია** უცხოეთში სწავლის გაგრძელება და საბუთები **გაუგზავნია**.
 - იცი, მანანას სწავლა **გაუგრძელებია** ინგლისში, მარიკამ მითხრა.
 - ნატას ნიკა **გაუცვნია** ზღვაზე.

4.
 - შორს მეგონა და **თურმე უკვე მოვსულვართ**.
 - ეს წიგნი **თურმე** სახლში **მქონია** და მე არ ვიცოდი.
 - დედამ მითხრა, რომ ჩვენ **თურმე** ნათესავეები **გვეყოლია** ბოლნისში, შეიძლება შენ იცნობ.

* * *



დღეს ბევრი რამ გაგიგე და ნათიაზე ძალიან ნაწყენი ვარ. **თურმე** მასწავლებელთან **მისულა** და **უთქვამს**, მარიკას საახალწლო წარმოდგენაში არ შეუძლია მონაწილეობის მიღებაო. მასწავლებელს **სცოდნია**, რომ მე ძალიან მინდოდა ზეიმში მონაწილეობა და **უკითხავს**, შენ საიდან იციო. ნათიას **უთქვამს**, თვითონ მარიკამ მითხრაო. მე ასეთი რამ **არ მითქვამს**. მასწავლებელს **უკითხავს**, ლექსს ვინ იტყვის, თუ მარიკა არ იქნებაო და ნათიას **უთქვამს**, მე ვიტყვიო, **უსწავლია** ლექსი და **უთქვამს**. ანაზეც ნაწყენი ვარ, ანაც **დახმარებია** ნათიას და მასწავლებლისთვის **უთხოვია**, მეც ვიტყვი მარიკას

მეორე ლექსსო. მასწავლებელს ჩემი ერთი ლექსი ნათიასთვის **მიუცია**, მეორე – ანასთვის, ყველაფერი უჩემოდ **გადაუწყვეტიათ** და რეპეტიცია **გაუგრძელებიათ**. **აურჩევიათ** სხვა მონაწილეებიც. მეორე დღეს ნათიას ბავშვების სიაც **მიუტანია**, ზეიმში მონაწილეობა ამათაც უნდათო. ყველას თავისი ტექსტი ან ლექსი **ჰქონია**. ეს ყველაფერი ნატას **გაუგია** და დღეს მე მითხრა. არ ვიცი, რა ვქნა...

* * *

- დღეს ვინ იყო ჩემთან?
- გურამ გეგეშიძე **ყოფილა** და განცხადება პირველ სართულზე **დაუტოვებია**. **უთქვამს**, ეს მდივანს გადაეცითო.
- ზემოთ რატომ არ **ამოსულა**?
- არ ვიცი.
- სად არის განცხადება?
- აი, აქ არის.
- კიდევ რა მოხდა?



- დღეს საკანცელარიო საქონელი **მოუტანიათ**, ჩვენს მძღოლს ერთი თანამშრომელი **დახმარებია**, ძალიან ბევრი **ყოფილა** და მარტო მას ზემოთ ვერ **ამოუტანია**.

- კარგი. ვანო გამოვიდა შვებულებიდან?
- არა, შვებულება **გაუგრძელებია**, ორი დღის წინ განცხადება **მოუტანია** და კიდევ ერთი კვირით **გაუგრძელებია**.
- ხომ არ იცი, რატომ?
- მე მგონი, ავად **ყოფილა** და **გადაუწყვეტია** კიდევ ერთი კვირა სახლში ყოფნა.
- შენ ვინ გითხრა ეს?
- ვანოს მეუღლე **ყოფილა** და მას **მოუტანია** განცხადება.
- რაიმე სერიოზული ხომ არ არის?
- არა, გრიპით **ყოფილა** ავად.

საპარჯიშოები

37.1. ჩასვი წინადადებებში შესაფერისი ფორმები:

გვეოლია გაუცვნია ვეოფილვარ გაუგრძელებია გაუგია დამხმარებია
სკოდნია უსწავლია გადაუწყვეტია მისულა აურჩევია

1. იცი, თურმე ვანო სკოლაში არ _____!
2. მე მეგონა სწავლობდა და ნანას თურმე გაკვეთილები არ _____.
3. ირაკლის არ _____, როდის არის ჩემი დაბადების დღე.
4. ნინოს ჯერ კიდევ არ _____, სად გააგრძელებს სწავლას.
5. ნიკას ნანა ზღვაზე არ _____.
6. მარიამს მაგისტრატურაში სწავლა ვერ _____.
7. იცი, ჩვენ ნათესავეები _____ ქუთაისში, მე კი ქუთაისში არასოდეს არ _____.
8. მე არავინ არასოდეს არ _____ გაკვეთილების მომზადებაში.
9. მამუკას ძალიან კარგი სპეციალობა _____ უნივერსიტეტში.
10. დედაჩემს არ _____, რომ სკოლაში არ ვიყავი.

37.2. შეცვალეთ წინადადებები უნახავი მოქმედების გამომხატველი ზმნით:

ნიმუში: გურამი სკოლაში მივიდა. გურამი სკოლაში მისულა.

1. ეს წიგნი ჩემს ბიძაშვილს აქვს.
2. ჩემს მეგობარს ნათესავეები ბოლნისში ჰყავს.
3. მამაჩემი გუშინ სკოლაში მივიდა.
4. მე ეს ლექსიკონი არ მაქვს.
5. ნატა ცეკვაზე ხუთ საათზე არ მივიდა.

37.3. შეცვალეთ წინადადებები უნახავი მოქმედების გამომხატველი ზმნით, დაუკვირდით სუბიექტის ფორმას.

ნიმუში: ანამ დედას სიმართლე უთხრა. ანას დედისთვის სიმართლე უთქვამს.

1. ნიკამ იცის სიმართლე.
2. ნიკამ მასწავლებელს ყვავილები მიუტანა.
3. მარიკამ მაგისტრატურაში სწავლა გააგრძელა.
4. დავითმა გაიგო გამოცდის დღე.
5. ნანამ კარგად ისწავლა ტექსტი.

37.4. შეადგინეთ წინადადებები მოცემულ ფორმებზე:

არ მქონია: _____

გაუცვნია: _____

არ გამიცვნია: _____

არ მივსულვარ: _____

არ გადამიწყვეტია: _____

გაუგრძელებია: _____

ვერ გაუგია: _____

არ გაუგია: _____

არ მისულა: _____

ვერ მისულა: _____

ვერ მიუტანია: _____

არ ჰყოლია: _____

ვერ უთქვამს: _____

არ უსწავლია: _____

ვერ უსწავლია: _____

არ გაუცვნია: _____

არ სცოდნია: _____

ვერ აურხევია: _____

თურმე არ ყოფილა: _____

თურმე სცოდნია: _____

არ უთხოვია: _____

არ ჰქონია: _____

თურმე მოსულან: _____

თურმე ჰყოლიათ: _____

ვერ გაუგრძელებია: _____

ვერ გაუკეთებია: _____

არ გამიგრძელებია: _____

არ უთქვამს: _____

არ გაუგია: _____

თურმე უცეკვია: _____

38. მოტანა: მოაქვს – მოიტანს – მოიტანა – მოუტანია



ახლანდელი დრო	მოაქვს მას ის (მომაქვს, მოგაქვს, მოგვაქვს...)
წარსული უწყვეტ.	მოჰქონდა მას ის (მომჰქონდა, მოგჰქონდა, მოგვექონდა...)
მომავალი დრო	მოიტანს ის მას (მოვიტან, მოიტან, მოვიტანთ...)
წარსული წყვეტ.	მოიტანა მან ის (მოვიტანე, მოიტანე, მოვიტანეთ...)
სასურველი მოქმ.	მოიტანოს მან ის (მოვიტანო, მოიტანო, მოვიტანოთ...)
წარსული შედეგ.	მოუტანია მას ის (მომიტანია, მოგიტანია, მოგვეტანია...)
<p>არ – აღარ (მოქმედება იყო, მაგრამ რაღაც დროიდან არ არის, შეწყდა: ინგლისურს აღარ ვსწავლობ (= ვსწავლობდი და ახლა არ ვსწავლობ) შეადარე: ინგლისურს არ ვსწავლობ)</p> <p>ვერ – ვეღარ (მოქმედება შეწყდა შესაძლებლობის არარსებობის გამო. ინგლისურს ვეღარ ვსწავლობ (= ვსწავლობდი, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო ახლა არ ვსწავლობ)</p>	

1.
 - რა მოგაქვს? – ორი დიდი ჩანთა მომაქვს, ძალიან მძიმეა, თუ შეიძლება, მომეხმარე.
 - ვის მოაქვს გაზეთები თქვენთან? – ფოსტალიონს მოჰქონდა, მაგრამ ახლა აღარ მოაქვს.
 - სურსათი ბაზრიდან ჩვენ მოგვაქვს.
 - ამ მაღაზიიდან რა მოგაქვთ ხოლმე? – პური, სურსათი, ხილი – ყველაფერი ამ მაღაზიიდან მოგვაქვს.
2.
 - სურსათი ყოველთვის დედაჩემს მოჰქონდა.
 - პური სახლში მე მომჰქონდა ხოლმე, მაგრამ აღარ მოვიტან.
 - ახალ წიგნებს როდის მოიტანთ? – უკვე მოვიტანეთ ახალი წიგნები, აი, აქ არის, ამ თაროზე.
 - რა მოიტანა დედამ? – ნამცხვარი მოიტანა.
 - ნანი, რა მოიტანე? – შენი წიგნი მოვიტანე, მე მქონდა.
 - ეს გაზეთები ახალია? – დიახ, ახალია, ახლა მოიტანეს.
 - ბავშვებო, საკონტროლო წერის რვეულები მოიტანეთ? – დიახ, მოვიტანეთ.
3.
 - ძალიან მინდა, დედამ ნამცხვარი მოიტანოს, დაურეკე და უთხარი.
 - წიგნი მე უნდა მოვიტანო, თუ თქვენ გაქვთ?

- სად მიდიხარ? რა უნდა *მოიტანო*? – მალე მოვალ და საჭმელს *მოვიტან*.
- მასწავლებლო, ხვალ რვეულები *მოვიტანოთ*? – არა, აღარ *მოიტანოთ*, ჩვენ უკვე *მოვიტანეთ* ახალი რვეულები და საკონტროლო წერას იმ რვეულებში დაწერთ.
- ნანიმ *მოიტანა* საბუთები? – არა, *არ მოუტანია*, ალბათ დღეს *ვეღარ მოიტანს*, მე მგონი ხვალ დილით *მოიტანს*.
- ეს რა არის? – ჩვენ სახლში არ ვიყავით და თორნიკეს *მოუტანია* ჩვენი წიგნები.
- თქვენ ჟურნალები *მოვიტანიათ* და აქ დაგიტოვებიათ, მაგრამ აქ *აღარ* არის.



მოაქვს *ნიკას პური*
 მოჰქონდა *ნიკას პური*
 მოიტანს *ნიკა პურს*
 მოიტანა *ნიკამ პური*
 მოიტანოს *ნიკამ პური*
 მოუტანია *ნიკას პური*

გამარჯობათ. როგორც მე გავიგე, თქვენ გუშინ სამსახურში ყოფილხართ და *მოვიტანიათ* თქვენი საბუთები. ასევე საბუთები *მოიტანა* მეორე თანამშრომელმა. დღეს თქვენი საბუთები ჩვენთან აღარ არის. გთხოვთ, ისევ *მოიტანოთ* საბუთები. მე ვთხოვე მეორე თანამშრომელსაც, ალბათ ისიც *მოიტანს*. ხვალ დაიწყება საბუთების განხილვა.

მე გუშინ *მოვიტანე* საბუთები. დავტოვე მდივანთან. თქვენ მთხოვთ, ისევ *მოვიტანო*. დიდი სიამოვნებით, დღეს ხუთ საათზე მოვალ და *მოვიტან* ყველაფერს. მე *არ მომიტანია* პირადობის მოწმობის ასლი. თუ საჭიროა, იმასაც *მოვიტან*. გთხოვთ, მაცნობოთ ამის შესახებ.

პირადობის მოწმობის ასლი აუცილებლად *მოიტანეთ*.

* * *

- რა *მოიტანეთ*?
- ყველაფერი *მოვიტანეთ*: მწვადი, ხინკალი, ხილი, ტორტი... სასმელს ვაქა *მოიტანს*, პურს ირაკლი *მოიტანს* და ვისადილოთ.
- ლიმონათები ვის *მოაქვს*? ჩვენ ლიმონათი გვინდა.
- ლიმონათი გურამს *მოაქვს*, თხუთმეტ წუთში აქ იქნება.
- ირაკლის პური ჯერ *არ მოუტანია*, დაურეკე და უთხარი ყველიც *მოიტანოს*.
- ლალიმ თეფშები და ჭიქები *მოიტანა*, მაგიდა გაშალეთ და ყველაფერს რამდენიმე წუთში *მოვიტანთ*.
- შამპანური გვაქვს?
- შამპანური დათოს *მოუტანია*, მაცივარშია.
- კარგია. დათო სად არის?
- ხაჭაპურები *უნდა მოიტანოს*.
- დაურეკე და უთხარი პიცაც *მოიტანოს*, კარგი იქნება.
- რამდენ ხანში ვისადილებთ?
- ერთ საათში ყველაფერი მზად იქნება.

საპარჯიშოები

38.1. ჩასვით წინადადებებში ზმნების შესაბამისი ფორმები:

მოვიტანე	მოუტანია	მოიტანე	მოიტანოს	მოიტანო	მომაქვს	მოვიტანე
	მოიტანა	მოჰქონდა	მოუტანიათ	მოაქვს		

1. პური ჩემს ოჯახში ყოველთვის მე _____.
2. რა _____? – ბაზრიდან სურსათი _____.
3. ჩვენთან წერილები ფოსტალიონს _____ ხოლმე.
4. ვინ უნდა _____ ტორტი? – ქეთინომ.
5. ეს ხილი დედამ _____ ბაზრიდან.
6. ეს წიგნი ვისია? – მე _____ ბიბლიოთეკიდან.
7. მოსწავლეებს დღეს ჩანთები არ _____, ისინი ექსკურსიაზე მიდიან.
8. სად მიდიხარ? რა უნდა _____?
9. ნანის ჯერ საბუთები არ _____.
10. ვის _____ ტორტი? ქეთინოს.

38.2. გადაიყვანეთ წინადადება მითითებულ დროში, არ დაგავიწყდეთ სახელის ბრუნვის ფორმების შეცვლა:

1. პური მე მომაქვს ხოლმე. (წარსული უწყვეტელი)
2. ნიკას არ მოაქვს რვეული. (წარსული წყვეტილი)
3. ნანის არ მოუტანია ჩანთა. (მომავალი დრო)
4. ხილი დედას მოაქვს. (წარსული წყვეტილი)
5. ტორტი დედამ არ მოიტანა. (წარსული შედეგობითი)

38.3. ჩასვით სახელები სწორი ფორმით:

1. ეს წიგნი _____ არ მოუტანია. (ნატა)
2. ტორტი _____ მოიტანა. (თამარი)
3. ახალი გაზეთები _____ მოიტანა. (ფოსტალიონი)
4. ეს ჟურნალები თურმე _____ მოუტანია. (ანა)
5. _____ ეს რვეულები არ მოუტანია, ეს რვეულები _____ მოიტანა. (ნანა, კობა)
6. ჩვენთვის საჩუქრები ახალ წელს _____ და _____ მოაქვთ. (დედა, მამა)
7. ეს ლამაზი ყვავილები _____ მოიტანა. (ქეთი)

8. ეგ დიდი ჩანთა _____ მოიტანა? (სოსო)
9. _____ ჯერ არ მოუტანია წიგნები? ნათია)
10. ეს ჟურნალები თურმე _____ მოუტანია. (ანა)

38.4. შეადგინეთ წინადადებები მოცემულ ფორმებზე:

- მოაქვს: _____
- არ მოაქვს: _____
- ვერ მოაქვს: _____
- აღარ მოიტანა: _____
- ვერ მოიტანა: _____
- ნეტავ მოიტანოს: _____
- არ მოუტანია: _____
- თურმე მოუტანია: _____
- მოჰქონდა ხოლმე: _____
- არ მოვიტანე: _____
- მოიტანა: _____
- მომაქვს: _____
- ვერ მოვიტანე: _____
- მოვიტანეთ: _____
- არ მოიტანოთ: _____
- არ მოუტანიათ: _____
- მოიტანს: _____
- უნდა მოიტანოს: _____
- არ მომიტანია: _____
- არ მოვიტანია? _____
- მე მგონი, მოვიტანე: _____
- ვერ მოვიტანეთ: _____
- მოგვიტანია: _____
- უნდა მოვიტანოთ: _____
- მოგვქონდა: _____
- მოჰქონდა: _____
- ვერ მოვიტანე: _____
- არ მოვიტანიათ? _____
- არ მოუტანიათ: _____
- მოიტანს: _____
- მოვიტან: _____

39. წაღება: მიაქვს – წაიღებს – წაიღო – წაუღია

ასლანდელი დრო	მიაქვს მას ის (მიმაქვს, მიგაქვს, მიგვაქვს, მიგაქვთ, მიაქვთ)
წარსული უწყვეტ.	მიჰქონდა მას ის (მიმქონდა, მიგქონდა, მიგვქონდა...)
მომავალი დრო	წაიღებს ის მას (წაიღებ, წაიღებ, წაიღებთ, წაიღებენ...)
წარსული წყვეტ.	წაიღო მან ის (წაიღე, წაიღე, წაიღეთ, წაიღეთ, წაიღეს)
სასურველი მოქმ.	წაიღოს მან ის (წაიღო, წაიღო, წაიღოთ, წაიღოთ, წაიღონ)
წარსული შედეგ.	წაუღია მას ის (წამიღია, წაგიღია, წაგვიღია...)

1.

- ექსკურსიაზე რა *მიგაქვს*? – თბილი ტანსაცმელი და საჭმელი.
- ვის *მიაქვს* საბუთები თქვენი სამსახურიდან? – კურიერს *მიაქვს* ყოველ დღით.
- რა *მიაქვთ* ამ ბიჭებს? – მერხები *მიაქვთ* სკოლისათვის.
- სად *მიგაქვს* ეს სკამი? – კაბინეტში სტუმარია და იქ *მიმაქვს*.
- ეს ყვავილები და ტორტი მარიამთან მიგვაქვს, დღეს მისი დაბადების დღეა.

2.

- ბიბლიოთეკაში წიგნები მე ყოველთვის დროზე *მიმქონდა*.
- სკოლაში საჭმელი შინიდან *მიგქონდათ*? – არა, არასოდეს არ *მიგვქონდა* შინიდან, სკოლაში კარგი ბუფეტი იყო.
- ამ წერილებს კურიერი *წაიღებს*.
- შენ *წაიღებ* ამ რვეულებს თუ მარიამი? – მე ვერ *წაიღებ*, მარიამი *წაიღებს*.

3.

- მე რა *წაიღო*? – არაფერი, ეს ჩანთები ძალიან მძიმეა, კაცები მოვლენ და ყველაფერს ისინი *წაიღებენ*.
- ნანამ სკოლაში *წაიღო* თავისი წიგნები, სახლში არაფერი არ არის.
- სად *წაიღო* გივიმ ის საბუთები? – არ ვიცი სად *წაიღო*.

4.

- ნანამ ეს ყვავილები სკოლაში *უნდა წაიღოს*.
- რა *უნდა წაიღო* სამსახურში? – ატესტატი და დიპლომი.
- თქვენ *უნდა წაიღოთ* ეს საბუთები? – დიახ, ჩვენ *უნდა წაიღოთ* ყველაფერი.

5.

- ვინ *წაიღო* ეს წიგნი? – არ ვიცი, გუშინ თაროზე იყო და დღეს ვიღაცას *წაუღია*.
- სად *წაიღეს* ჩაიდან? – არსად არ *წაუღიათ*, კარადაშია.
- რვეულები ნატას *წაუღია*; წიგნები, გაზეთები და ჟურნალები გურამს და გოგის *წაუღიათ* ბიბლიოთეკაში.



მიაქვს ნიკას წიგნი
 მიჰქონდა ნიკას წიგნი
 წაიღებს ნიკა წიგნს
 წაიღო ნიკამ წიგნი
 წაიღოს ნიკამ წიგნი
 წაუღია ნიკას წიგნი

საბუთები სამინისტროში კურიერს **მიაქვს**. ადრე კურიერი იყო გოგი გეგეშიძე და მას **მიჰქონდა** ხოლმე, ახლა კი გია მაისურაძეს **მიაქვს**. გუშინაც მან **წაიღო** საბუთები სამინისტროში. თქვენი საბუთები ჩვენთან არ იყო, ამიტომ, ბუნებრივია, მას თქვენი საბუთები **არ წაუღია** სამინისტროში. თუ დღეს მოიტანთ საბუთებს, ხვალ ჩვენი კურიერი სხვა საბუთებთან ერთად **წაიღებს** მასაც, თუ თქვენ ვერ მოიტანთ ჩვენთან, მაშინ თქვენ **უნდა წაიღოთ**. მაგრამ აუცილებლად ხვალ **უნდა წაიღოთ**, რადგან კონკურსი ზევ იწყება. მე ვიცი, რამდენიმე კონკურსანტს თავისი საბუთები **წაუღიათ**, ამიტომ თქვენც შეგიძლიათ **წაიღოთ**.

დიდი მადლობა ინფორმაციისათვის. ჩემს საბუთებს მე **წავიღებ** ხვალ დილით. კიდევ ერთხელ მადლობა ყურადღებისათვის.

* * *

- ზურა სად მიდის?
- ექსკურსიაზე კახეთში.
- რამდენი დლით?
- ორი დლით.
- ახლა ძალიან ცივა, თბილი ტანსაცმელი **უნდა წაიღოს**.
- ჰო, თბილი ტანსაცმელი **მიაქვს**, მაგრამ, მე მგონი, კარავიც **უნდა წაიღონ**, დამე სად იქნებიან?
- მართალია, კარავიც **უნდა წაიღონ** და საძილე ტომრებიც.
- საჭმელი რა **მიაქვთ**?
- ალბათ პურს, ყველს, კონსერვებს **წაიღებენ**.
- ზურგჩანთა აქვს?
- არა, ზურგჩანთა ნიკას **წაუღია** და აღარ აქვს.
- ამდენ ბარგს რით **წაიღებენ**?
- მანქანით მიდიან და იმით წაიღებენ ყველაფერს.
- მანქანით ექსკურსია კარგია. რამდენი ბიჭი მიდის?
- სამი ბიჭი და ორი გოგო იქნებიან.
- მაშინ ორი კარავი **უნდა წაიღონ**.
- ჰო, ორი კარავი **მიაქვთ**.



საპარჯიშოები

39.1. ჩასვით წინადადებებში ზმნების შესაბამისი ფორმები:

წაიღებს წაუღია წავიღო წამიღია წაიღეს მიმაქვს წაიღებენ წაიღოს მიაქვს წაიღო
--

1. ნანას სკოლაში რა _____? – წიგნები და რვეულები.
2. ვინ _____ ეს სკამი?
3. მანანა ხვალ _____ სკოლაში ამ რვეულს.
4. ეს წიგნი ნიკას არ _____.
5. ხვალ ამ რვეულებს მათა და ანა _____.
6. მე სკოლაში _____ წიგნები და რვეულები.
7. რა უნდა _____? აი, ეს გაზეთი.
8. სად უნდა _____ ანამ ეს ჟურნალი?
9. მე არ _____ წიგნები.
10. სად _____ ბავშვებმა ჩემი ახალი ჩანთა?

39.2. გადაიყვანეთ წინადადება მითითებულ დროში, არ დაგავიწყდეთ სახელის ბრუნვის ფორმების შეცვლა:

1. სკოლაში ჟურნალები არ მიმაქვს. (წარსული უწყვეტელი)
2. ნიკას ბიბლიოთეკაში წიგნი არ მიაქვს. (წარსული წყვეტილი)
3. ანას არ წაუღია თავისი რვეული სკოლაში. (მომავალი დრო)
4. საბუთები კურიერს მიაქვს ხოლმე. (წარსული წყვეტილი)
5. ნამცხვარი სკოლაში დედას მიაქვს. (წარსული შედეგობითი)

39.3. ჩასვით სახელები სწორი ფორმით:

1. ეს _____ თურმე _____ წაუღია.
(რვეული, ნიკა)
2. ამ _____ წაიღებს სკოლაში.
(თაიგული, ანა)
3. თავისი _____ სკოლაში წაუღია.
(წიგნები, თემური)
4. _____ სამინისტროში წაიღო.
(მასწავლებელი, ატესტატი)
5. ამ _____ წაიღებს მეორე ოთახში.
(სკამი, სოსო)
6. _____ წაიღო უნივერსიტეტში. (ლაშა, საბუთები)
7. _____ სად წაიღო ჩემი _____? (დედა, კაბა)

8. _____ წაიღებს სკოლაში. (რვეულები, მარიამი)
9. _____ წაიღო ფოსტაში. (მამა, ამანათი)
10. ექსკურსიაზე _____ თბილი _____ წაიღო. (ვაჟა, ტანსაცმელი).

39.4. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ფორმების გამოყენებით:

მიაქვს: _____

არ მიაქვს: _____

ვერ მიაქვს: _____

აღარ წაიღო: _____

ვერ წაიღებს: _____

ნეტავ წაიღოს: _____

არ წაუღია: _____

თურმე წაუღია: _____

მიჰქონდა ხოლმე: _____

წავიღე: _____

წაიღო: _____

მიმაქვს: _____

არ წაიღე? _____

მოვიტანეთ: _____

არ წაიღო: _____

არ წაუღიათ: _____

წაიღებს: _____

უნდა წაიღოს: _____

არ წამიღია: _____

არ წავიღია? _____

წაიღე: _____

წავიღეთ: _____

წავგიღია: _____

უნდა წავიღოთ: _____

მიგვქონდა: _____

მიჰქონდა: _____

ვერ წავიღე: _____

არ წავგიღიათ? _____

არ წაუღიათ: _____

წაიღებს: _____

წავიღებ: _____

40. წაყვანა: მიჰყავს – წაიყვანს – წაიყვანა – წაუყვანია

ახლანდელი დრო	მიჰყავს მას ის (მიმყავს, მიგყავს, მიგვეყავს, მიგყავთ, მიჰყავთ)
წარსული უწყვეტ.	მიჰყავდა მას ის (მიმყავდა, მიგყავდა, მიგვეყავდა...)
მომავალი დრო	წაიყვანს ის მას (წაიყვანს, წაიყვანს, წაიყვანს, წაიყვანს...)
წარსული წყვეტ.	წაიყვანა მან ის (წაიყვანა, წაიყვანა, წაიყვანა, წაიყვანა, წაიყვანა)
სასურველი მოქმ.	წაიყვანოს მან ის (წაიყვანოს, წაიყვანოს, წაიყვანოს, წაიყვანოს, წაიყვანოს)
წარსული შედეგ.	წაუყვანია მას ის (წამიყვანია, წაგიყვანია, წაგვიყვანია...)

1.

- ვინ *მიგყავს* ექსკურსიაზე? – მე ჩემი ძმა *მიმყავს* და ნოდარს თავისი ძმა *მოჰყავს*.
- შენ ვინ *მიგყავს*, სალომე თუ ნუციკო? – ორივე მე *მიმყავს*, ჩემთან ახლოს ცხოვრობენ.
- პატარა და მე და ჩემს ძმას *მიგვეყავს* საბავშვო ბაღში, მერე ჩვენ სკოლაში მივდივართ. ჩემი ძმაც მე *მიმყავდა* ბაღში, როცა პატარა იყო.
- ნუცა მე უკვე სახლში *მიმყავდა*, როცა დედამისი მოვიდა.

2.

- ნინიკოს ვინ *წაიყვანს* სკოლაში? – მამა *წაიყვანს*.
- პატარა ანას მე *წაიყვანს* სახლში და ნიკა შენ *წაიყვანე*.
- მესუთეკლასელები მიდიან ექსკურსიაზე და მეორეკლასელებს ისინი *წაიყვანენ*.
- კარგი იქნება, თუ მოსწავლეებს ხშირად *წაიყვანთ* ექსკურსიებზე.
- თქვენ *წაიყვანთ* ანას თუ დედამისი მოვა?

3.

- ვინ *წაიყვანა* დღეს ანა სკოლაში? – ხათუნა მოვიდა თავის შვილთან ერთად და იმან *წაიყვანა*.
- უკვე *წაიყვანე* ნინი საბავშვო ბაღში? – არა, არ *წამიყვანია*, დღეს არ *მიმყავს*, ავადაა.
- სად *წაიყვანეს* ბავშვები ექსკურსიაზე? – საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში *წაიყვანეს* ორი დღით.
- შენ *წაიყვანე* ნანუკა ბაღში, სადამოს მე *მოვიყვან*.

4.

- ვინ უნდა *წაიყვანოს* ძალი სასეირნოდ? – თამუნამ *უნდა წაიყვანოს*, მე გუშინ *წაიყვანე*, მაგას ორი დღეა არ *წაუყვანია*.
- ჩემი ლეკვი ვიღაცას *წაუყვანია*.
- ლექსოს გუშინ თავისი თუთიყუში ვეტყვინართან *წაუყვანია*, თურმე ავად ყოფილა.
- მამამ თქვა, სალომეს მე *წაიყვანო* და დღეს დღით ინგლისურზე იმას *წაუყვანია*.



მიჰყავს *ნიკას ძმა*
 მიჰყავდა *ნიკას ძმა*
 წაიყვანს *ნიკა ძმას*
 წაიყვანა *ნიკამ ძმა*
 წაიყვანოს *ნიკამ ძმა*
 წაუყვანია *ნიკას ძმა*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
 ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანს
 ამავე ფაკულტეტის II კურსის სტუდენტების

გ ა ნ რ ხ ა დ ე ზ ა

2006 წლის 15-17 ოქტომბერს გვაქვს ექსკურსია მესხეთში. მიგვყავს მეორეკურსელები. ასევე გვინდა წავიყვანოთ რამდენიმე მოსწავლეც, ჩვენ ადრეც გვქონდა ასეთი ექსკურსია კახეთში. იქ 10 მოსწავლე წავიყვანეთ. ახლა სურვილი გამოთქვას პირველკურსელებმა. ჩვენ შეგვიძლია წავიყვანოთ ისინიც (ადრეც წაგვიყვანია პირველკურსელები), მაგრამ საჭიროა მათი კურატორის თანხმობა. ამჟამად მათი კურატორი საზღვარგარეთაა ერთი თვით. ჩვენ შეგვიძლია წავიყვანოთ 15 პირველკურსელი. გთხოვთ, შეარჩიოთ ისინი და გაათავისუფლოთ ლექციებიდან. სტუდენტთა საბჭო.

* * *

- გამარჯობათ. ანუკა როგორაა?
- ახლა კარგადაა. ავად იყო.
- ხვალ ბაღში წაიყვანო?
- კი, წაიყვანო.
- მე ვერ მიმყავს გიორგი, დილით ადრე სამსახურში უნდა ვიყო და შეგიძლიათ თქვენ წაიყვანოთ გიორგი?
- დიდი სიამოვნებით, აუცილებლად წაიყვანოთ. თქვენ დილით ცხრა საათზე მოიყვანეთ გიორგი ჩვენთან და ათის ნახევარზე ორივეს, ანუკას და გიორგის, ერთად წაიყვანოთ. ჩვენ ანუკას სხვა ჯგუფელებიც წაგვიყვანია, პრობლემა არაა, ბავშვები მანქანით მიგვყავს ხოლმე.
- ძალიან დიდი მადლობა.
- თუ გნებავთ, სადამოსაც ჩვენ მოვიყვანოთ.
- არ მინდა გთხოვოთ, მაგრამ... თუ ძნელი არ იქნება, გთხოვთ ანუკასთან ერთად გიორგიც წამოვიყვანოთ და სხვა დროს, თუ გნებავთ, მე წაიყვან და წამოვიყვან ანუკას.
- არაა პრობლემა. თუ გნებავთ, ზეგაც ჩვენ წაიყვანოთ. ხომ გითხარით, ჩვენ მანქანით მიგვყავს ბავშვი და შეგიძლია გიორგიც წაიყვანოთ ხოლმე.
- არა, დიდი მადლობა. ზეგ ჩემი ქმარი წაიყვანს. დიდი მადლობა.

საპარჯიშოები

40.1. ჩასვით წინადადებებში ზმნების შესაბამისი ფორმები:

წაიყვან მიჰყავს წაიყვანს წაიყვანო წაიყვანე წაიყვანონ
მიჰყავს წაიყვანა წაუყვანია წაიყვან მოვიყვან

1. დედას ანუკა _____ საბავშვო ბაღში.
2. ვინ _____ გუშინ პატარა ლაზარე ბაღში?
3. ანანოს მე _____ სკოლაში.
4. მე ნუციკო უნდა _____ თოჯინების თეატრში.
5. ხათუნა გუშინ მამას კინოში _____.
6. სად _____ შენი ძმა?
7. შენ _____ ანა სკოლაში?
8. მშობლებმა ბავშვები ხშირად უნდა _____ თეატრში.
9. ვინ _____ ლელას ბაღში?
10. შენ _____ თამუნას ბაღში და მე საღამოს _____.

40.2. გადაიყვანეთ წინადადება მითითებულ დროში, არ დაგავიწყდეთ სახელის ბრუნვის ფორმების შეცვლა:

1. ნინი სკოლაში მე მიმყავს. (წარსული უწყვეტილი)
2. ნიკას ბავშვი ზღვაზე მიჰყავს. (წარსული წყვეტილი)
3. ხათუნას წაუყვანია ბავშვი ბაკურიანში. (მომავალი დრო)
4. პატარა ნანიკო მამას მიჰყავს საბავშვო ბაღში. (წარსული წყვეტილი)
5. ზურას ბავშვები ექსკურსიაზე მიჰყავს. (წარსული შედეგობითი)
6. ლევანს გუშინ მეგობრები რესტორანში წაუყვანია. (წარსული წყვეტილი)
7. ანამ თავისი შვილი ცირკში წაიყვანა. (მომავალი დრო)
8. სალომემ გაკვეთილზე უნდა წაიყვანოს თავისი პატარა და. (ახლანდელი დრო)
9. მე ჩემი მეგობარი ჩემთან სოფელში მიმყავს. (წარსული წყვეტილი)
10. სად მიმყავს პატარა ლუკა? (წარსული წყვეტილი)

40.3. შეადგინეთ წინადადებები მოცემულ ფორმების გამოყენებით:

- მიმყავს: _____
- წავიყვანე: _____
- არ წავგიყვანია: _____
- წავიყვან: _____
- ვერ წავიყვან: _____
- არ წავიყვან: _____
- მიტყავს: _____
- წაიყვანა: _____
- მიტყავდა: _____
- წაიყვანო: _____
- წავიყვანო: _____
- მოვიტანე: _____
- ვერ წავიღე: _____
- არ მოაქვს: _____
- წაიყვან: _____
- მოგვყავს: _____
- მიჰყავთ: _____
- მიაქვთ: _____
- წაიყვანონ: _____
- მიტყავდა: _____
- არ წამიყვანია: _____
- არ წამიღია: _____
- მიჰყავდა: _____
- უნდა წაიყვანოს: _____
- ვერ წაიყვანენ: _____
- მიუტანია: _____
- მიტყავთ: _____
- ვერ მიგვყავდა: _____
- ვერ წავიყვანეთ: _____
- არ წაიყვანო: _____
- ნუ წაიყვან: _____

**41. მოქმედებაში სხვა პირის ჩართვა:
გავაკეთე – გავაკეთებინე
(იძულება, თხოვნა, დახმარება)**

ვაშენებ მე სახლს	ვაშენებინებ მე <u>მას</u> სახლს
პიროვნება სხვის დაუხმარებლად მოქმედებს.	პიროვნება სხვა პირის საშუალებით ასრულებს მოქმედებას

<p>ვითქვი მე სიმათლე გავაკეთე მე საჭმელი მოვიტანე მე კური მოვიყვანე მე ანა გადავწყვიტე მე პრობლემა წავიყვანე მე ნანა წავიღე მე ჩანთა გავაბრძოლე მე სწავლა გავიმოტრე მე გაკვეთილი დავიწყე მე კითხვა გავაბზავნე მე წერილი</p>	<p>ვათქმევინე მე გიორგის სიმათლე გავაკეთებინე მე ნანას საჭმელი მოვატანინე მე ნიკას კური მოვაყვანინე მე ლიას ანა გადავაწყვეტინე მე დირექტორს პრობლემა წავაყვანინე მე დედას ნანა წავაღებინე მე ბებიას ჩანთა გავაბრძოლებინე მე თამარს სწავლა გავამოტრებინე მე ლაშას გაკვეთილი დავაწყებინე მე სოსოს კითხვა გავაბზავნინე მე მამას წერილი</p>
---	---

1.

- გიორგი სიმათლეს არ ამბობდა და მე *ვათქმევინე*.
- დღეს დედაჩემს დრო არ ჰქონდა და მე *გავაკეთებინე* საჭმელი.
- ჩანთა ძალიან მძიმე იყო და დედაჩემს მე *მივატანინე* სახლში.
- ნატას არ უნდოდა უნივერსიტეტში ჩაბარება და მე *გადავაწყვეტინე*.
- დილით ადრე ჩემი მანქანით *წავაყვანინე* მეზობელს თავისი ძაღლი ვეტექიმთან.
- ნათიას არ უნდოდა მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელება და მე *გავაგრძელებინე*.
- დილით გაკვეთილები *გავამოტრებინე* და ისე წავიყვანე ბავშვები სკოლაში.
- ინგლისურად კითხვა *დავაწყებინე* ჩემს შვილს, მინდა ენა კარგად ისწავლოს.
- დღეს დილით მამაჩემს ამანათი *გავაგზავნინე* თავის ნათესავთან.

2.

- გურამი მეზობელს დაეხმარა და სახლში *მოაყვანინა* გაფუჭებული მანქანა.
- ეს თარო გატეხილი იყო და სოსომ *გავაკეთებინა* ირაკლის.
- დღეს ზეიმი აქვს და ანუკას *გავამოტრებინე* ლექსი? – მე ვერ *გავამოტრებინე*, ბებია იყო აქ და ის *ამოტრებინებდა*, მერე მამა მოვიდა და *წავაყვანინა* დედას თავისი საზეიმო კაბით, ძალიან ლამაზი იყო ანუკა.
- სწორედ თანამშრომლებმა *უნდა გადააწყვეტინონ* ხელმძღვანელობას ის პრობლემები, რაც მათ აქვთ!
- თამარს დედამისმა იტალიურის სწავლა *დააწყებინა* და ცოტა ხნის მერე იტალიაში *გავაგზავნინა* საბუთები სწავლის გასაგრძელებლად, ვნახოთ რა იქნება.

* * *

- გამარჯობა, მარინა, როგორ ხარ? ცუდ ხასიათზე ხარ?
- ძალიან ცუდ ხასიათზე ვარ. გუშინ წინ ჩემი შვილის სკოლაში ვიყავი და მასწავლებლებმა ისეთი რამეები მითხრა ჩემს შვილზე, ორი დღეა ვნერვიულობ. გაკვეთილებს არ სწავლობს, ზარმაცობს, აცდენს და რა ვიცი... ძალიან ვინერვიულე.
- მერე რას აპირებ, რა თქვა გიორგიმ?
- არაფერი, ხმას არ იღებს... გუშინ დღიური *მოვატანინე* და ვნახე, სამი ორიანი უწერია.
- მერე?
- მერე ვეჩხუბე, ცხრილი *დავაწერინე*, კედელზე *დავაკიდებინე* და ახლა ორივე ერთად ვმეცადინებოთ.
- მაგის დრო გაქვს?
- რა ვქნა... ახლა ერთად ვკითხულობთ გაკვეთილებს. გუშინ ისტორიის წიგნი *მოვატანინე* და ჩემთან ერთად *წავაკითხე* მთელი გაკვეთილი, მერე *მოვაყოლე*, მერე მათემატიკა *გამოვაყვანინე*, მერე ქართულში თემა *დავაწერინე*, მერე გეოგრაფიაში კონტურული რუკა *გავაფურადებინე*, მერე ფანქრები *გავათლევინე*, თურმე ხატვის გაკვეთილზეც არაფერს აკეთებს, ფანქრები არ მაქვსო... მოკლედ სწავლა იმასაც *დავაწყებინე* და მეც, თავიდან

დამაწყებინა სწავლა... აბა როგორ ხასიათზე ვიქნები, შვილი შენი საქმისთვის თავს რომ *დაგანებებინებს*, სახლის საქმესაც რომ აღარ *გავაკეთებინებს* და ამ ასაკში სწავლას რომ *დავაწყებინებს*... რა ხასიათზე დადგები, მითხარი ერთი...

- კი მაგრამ, ასე აპირებ *გააგრძელებინო*? შენ გცალია მაგისთვის?

- რა ვქნა, რა გავაკეთო?

- მე გირჩევ ერთ რამეს: ჩემს მეზობლად

ერთი ძალიან კარგი გოგო ცხოვრობს, ისტორიკოსია, მაგრამ ახლა უმუშევარია. ამას წინათ მითხრა, ვინმეს თუ სჭირდება, ბავშვს ვამეცადინებო. მოვა, გაკვეთილებსაც *გავაკეთებინებს*, *გავაფურადებინებს* კიდევ და თუ საჭიროა *დაახატვინებს* კიდევ...

- რამდენი უნდა გადაუხადო?
- არა, ბევრს არ *გადაგახდევინებს*, მეც ვეტყვი, რომ ჩემი ახლობელი ხარ...
- ძალიან გამახარე, ხვალვე მოვიდეს... მე მეტი აღარ შემიძლია... მე რომ ბავშვთან ერთად გაკვეთილები ვისწავლო, სახლის საქმე ვის *გავაკეთებინო*, სახლი ვის *დავალაგებინო*, საქმელი ვის *მოვამზადებინო*... მე ყველაფერი არ შემიძლია!
- თუ გინდა, სახლში დამხმარესაც *გამოვაგზავნინებ*...
- ჯერ ეს დარდი *მომამშორებინე* და დანარჩენზე მომავალში ვიფიქროთ...
- კარგი, საღამოს დაგირეკავ და ყველაფერზე შევთანხმდეთ...



საპარჯიშოები

41.1. ჩასვით შესაფერისი ფორმები:

მოვატანინე გადავაწყვეტინე გავაგზავნინე წავაყვანინე
გავაგრძელებინე დავაწერინე გავამეორებინე წავაღებინე
დაახატვინე გაამეორებინე გააკეთებინა

1. მაიკოს მე _____ დავალება.
2. ძალიან გთხოვ, ბავშვს ბურთი _____, ვერ ხატავს და ტირის.
3. ანას პური _____, სახლში არ გვქონდა და ვერ ვისადილეო.
4. ლევანს გაკვეთილები _____? – კი, დილით _____.
5. ანის მუსიკალურ სკოლაში სწავლა _____.
6. მე დღეს დრო არ მქონდა და ბავშვი მეზობელს _____ საბავშვო ბაღში.
7. სკამი გატეხილი იყო და გურამმა პაპას _____.
8. საზღვარგარეთ წასვლა ჩემს დას მე _____.
9. გუშინ დედას ამანათი _____ სოფელში.
10. ძალიან დიდი ჩანთა ჰქონდა ბებიას და მე _____ სადგურამდე.

41.2. გადააკეთე წინადადება ნიმუშის მიხედვით:

*ნიმუში: მე ვთქვი სიმართლე. (გურამი)
მე გურამს ვათქმევინე სიმართლე.*

1. მე გავაკეთე საჭმელი. (დედა)
2. მე დავწერე წერილი. (ანა)
3. მე დავხატე პატარა სახლი. (ზურა)
4. მე დავაღაგე სახლი. (ბებია)
5. მე წავიდე ჩანთა. (მეზობელი)
6. მე გავაფერადე ნახატი. (ჩემი ძმა)
7. მე გავაგზავნე საბუთები. (სალომე)
8. მე მოვიყვანე ანა სკოლიდან. (მამა)
9. მე დავიწყე ლექსის სწავლა. (ლადო)
10. მე გავთალე ფანქრები. (ირაკლი)

413. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ფორმების გამოყენებით:

- ვთქვი: _____
- ვათქმევინე: _____
- გავაგრძელე: _____
- გავაგრძელებინე: _____
- დავხატე: _____
- დავხატვინე: _____
- დავიწყე: _____
- დავაწყებინე: _____
- გავაგრძელე: _____
- გავაგრძელებინე: _____
- მოვიტანე: _____
- მოვატანინე: _____
- წავიღე: _____
- წავაღებინე: _____
- გავაგზავნე: _____
- გავაგზავნინე: _____
- დავწერე: _____
- დავაწერინე: _____
- მოვიყვანე: _____
- მოვაყვანინე: _____
- ათქმევინა: _____
- გააკეთებინა: _____
- გააგრძელებინა: _____
- გადააწყვეტინა: _____
- დააღაგებინა: _____
- მოაყვანინა: _____
- დააწყებინა: _____
- გააგზავნინა: _____
- გაამეორებინა: _____
- დაახატვინა: _____

42. თვითონ, თავად

მე		ბავაპეთებ
შენ		ბააკეთებ
ის	თვითონ	ბააკეთებს
ჩვენ	თავად	ბავაპეთებთ
თქვენ		ბააკეთებთ
ისინი		ბააკეთებენ

ახლანდელი დრო	იწყებს ის მას (ვიწყებ)	წყვეტს ის მას (ვწყვეტ)
წარსული უწყვეტელი	იწყებდა ის მას (ვიწყებდი)	წყვეტდა ის მას (ვწყვეტდი)
მომავალი დრო	დაიწყებს ის მას (დავიწყებ)	გადაწყვეტს ის მას (გადავწყვეტ)
წარსული წვეებ.	დაიწყო მან ის (დავიწყე)	გადაწყვიტა მან ის (გადავწყვიტე)
სასურველი მოქმედება	დაიწყოს მან ის (დავიწყო)	გადაწყვიტოს მან ის (გადავწყვიტო)
წარსული შედეგ.	დაუწყია მას ის (დამიწყია)	გადაუწყვეტია მას ის (გადამიწყვეტია)

1.

- *მე თვითონ ვიწყებ* ესპანურის სწავლას, ძალიან მინდა ვისწავლო.
- ინგლისურს სწავლობ? – კი, *მე თვითონ ვსწავლობ*, კარგი სახელმძღვანელო მაქვს.
- სწავლას გააგრძელებ? – ჯერ არ *გადამიწყვეტია*, *მე თვითონ გადავწყვეტ* როდის და როგორ გადაგრძელებ.
- *შენ თვითონ გადაწყვიტე* ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელება თუ ოჯახში უნდოდათ? – *მე თვითონ გადავწყვიტე*, ძალიან მიყვარს ლიტერატურა.
- *თამარმა თვითონ გადაწყვიტა* ეკონომიკურ ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელება და ახლა აღარ მოსწონს.
- ყველა *აღამიანმა თვითონ უნდა დაიწყოს* თავისი საქმე, სხვისი დახმარებით ვერაფერს გააკეთებს და პრობლემებიც *თვითონ უნდა გადაწყვიტოს*.
- რას აპირებს სანდრო? – არ ვიცი, რას აპირებს, ჯერ *თვითონ არაფერი არ გადაუწყვეტია*.

2.

- ეს განცხადება *თავად დაწერეთ* თუ სხვამ დაწერა? – *მე თავად დაწერე*.
- *შენ თავად გადაწყვიტე*, რა გინდა, მე ვერაფერს გეტყვი.
- *ახალგაზრდებმა თავად უნდა გადაწყვიტონ*, როგორ უნდათ ცხოვრება.
- გინდა დაგაწერინო დავალება? – არა, არ მინდა, *მე თვითონ დაწერე*.
- როცა *თავად წერთ დავალებას*, უფრო მეტს სწავლობთ, ამიტომ ყოველთვის *თქვენ თვითონ დაწერეთ* და სხვას ნუ სთხოვთ დახმარებას.
- *თქვენ თავად იცით*, რა გინდათ? – ჩვენ ის ვიცით, რომ ჩვენ *თვითონ უნდა გადავწყვიტოთ*, როგორ ვიცხოვრებთ.
- *შენ თავად* რას ფიქრობ ამაზე? – არ ვიცი, *მე თვითონაც ვერ გამოვიცა*, რა ხდება და რა იქნება.
- *შენ თვითონ მოიფიქრე* რამე და *თავად გადაწყვიტე*, მე არაფერი არ ვიცი.

* * *

შაბათს 26 დეკემბერს სკოლაში იქნება საახალწლო სახეიმო კონცერტი. კონცერტს დაესწრება ყველა მასწავლებელი და X კლასის ყველა მოსწავლე. ასევე მათი მშობლები და ოჯახის წევრები. კონცერტზე მოსწავლეები იმღერებენ, იცეკვებენ, წარმოადგენენ სპექტაკლს და მოაწიებენ მოდელების ჩვენებას. კონცერტი ძალიან ღამაში იქნება და საინტერესო იმითაც, რომ **თავად ბავშვებმა გააკეთეს** ყველაფერი. **მათ თავად დაწერეს** სცენარი, კოსტუმებიც **თვითონ შეკერეს**, **თავად დაწერეს** ლექსები, **თავად შექმნეს** მუსიკა ამ ლექსებისთვის. **მათ თვითონ შეკერეს** ის მოდელები, რომლებსაც წარმოადგენენ ჩვენებაზე. მოსწავლეები **თვითონ წაიყვანენ** კონცერტს, მათ **თვითონ გამოაცხვეს** დიდი ტორტი, რომელსაც კონცერტის შემდეგ გამოიტანენ. ასევე **თავად მოამზადეს** ყველა ის საჭმელი, რაც იქნება სუფრაზე. ბოლოს გათამაშდება ლატარია და მოსწავლეები დაარიგებენ იმ საჩუქრებს, რაც **თვითონ გააკეთეს**.



გთხოვთ, მობრძანდეთ კონცერტზე!

* * *



- რას აპირებ?
- ჯერ არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ **თვითონ გადავწყვეტ**, რა უნდა ვქნა.
- მუშაობა უნდა დაიწყო?
- ალბათ დავიწყებ მუშაობას, **მე თვითონ უნდა ვიშოვო** ფული.
- ყველაფერს **შენ თვითონ ვერ შეძლებ**.
- შევძლებ! **მე თვითონ გადავწყვეტ**, რა უნდა ვქნა! ვიმუშავებ, მერე სწავლას გავაგრძელებ და **მე თავად ავირჩევ** იმ სპეციალობას, სადაც სწავლას გავაგრძელებ.
- კარგია, რომ **შენ თვითონ გინდა**

გადაწყვიტო ყველაფერი.

- ყველა **ადამიანმა თავად უნდა აირჩიოს** ცხოვრების გზა.
- მართალია.
- **შენ თვითონ უნდა იპოვო** შენი პრობლემების გადაწყვეტის გზები.
- **შენ ძლიერი ხარ და თავად შეგიძლია გადაწყვიტო** პრობლემები. ყველას ასე არ შეუძლია.
- **შენ თვითონ წვევტ** თუ სხვებს ეკითხები?
- ჯერ სხვებს ეკითხები აზრს და მერე **მე თვითონ ვწყვეტ** ყველაფერს.
- **შენც ძლიერი ყოფილხარ**.

5. სწავლა თამარი ფაკულტეტი გადაწყვიტა ეკონომიკური თვითონ

42.3. გამოიყენე უკვე ნასწავლი ზმნები და დაწერე, რა გააკეთე შენ თვითონ:

42.4. დაწერე რა გააკეთეს შენმა ნაცნობებმა თვითონ (თავად). (გაითვალისწინე ზმნასთან შეწყობილი სახელების ბრუნვის ფორმები):

43. მიზეზის გამოხატვა

<p>რატომ? რის გამო? რა მიზეზით?</p>	<p style="text-align: right;">-ბან:</p> <p>სიცივისაგან, შიშობისაგან, სიცხისაგან...</p> <p style="text-align: right;">-ის გამო:</p> <p>სიცხის გამო, შიშობის გამო, სიცივის გამო, ავადმყოფობის გამო...</p> <p style="text-align: center;">იმიტომ რომ...</p> <p>სახლში იმიტომ წავიდი, რომ ბაკვეთილები გაცდა.</p>
--	--

1.

- *სიცივისაგან* ნანას ხელები გაღურჯებული ჰქონდა.
- *სიცხისაგან* ბებია ცუდად გახდა.
- პატარა ლეკვი *შიმშილისაგან* ძალიან გამხდარი იყო.
- *შიშისაგან* ბავშვებმა ტირილი დაიწყეს.

2.

- *სიცხის გამო* ყველა შეწუხებული იყო.
- დედას *ავადმყოფობის გამო* სამი დღეა სკოლაში ვერ წავედი.
- *სიცივის გამო* სკოლებში სწავლა შეწყდა.
- *დიდი ყინვის გამო* გზებზე ავტომანქანებით მოძრაობა დროებით აკრძალულია.
- *გრიპის ეპიდემიის გავრცელების გამო* სკოლაში სწავლა შეწყდა.
- ძლიერი ქარის გამო ელექტროენერჯის მიწოდება ქალაქში დროებით შეწყდა.

3.

- დავალება *იმიტომ ვერ დავეწერე, რომ* ძნელი იყო.
- გაკვეთილი *იმიტომ არ ვიცი, რომ* გუშინ სკოლაში არ ვიყავი.
- გიორგი ავად გახდა *იმიტომ, რომ* გარეთ უქულოდ გავიდა.

4.

- კინოში ამხანაგებთან ერთად *რატომ* არ წახვედი? – *იმიტომ რომ* ბევრი დავალება მაქვს.
- *რატომ* აცდენ გაკვეთილებს ასე ხშირად? – *იმიტომ ვაცდენდი, რომ* ავად ვიყავი.
- *რატომ* არ მოიტანე საკონტროლოს რვეული? – *იმიტომ რომ,* არ ვიცოდი, საკონტროლო თუ გვქონდა.
- *რატომ* ტირი? – *იმიტომ რომ,* ორიანი მივიდე. – *რატომ* მივიდე? – იმიტომ რომ, გუშინ სკოლაში არ ვიყავი და არ ვიცოდი რა გვქონდა დასაწერი.
- *რატომ* არ გინდა ნამცხვარი? – *იმიტომ რომ,* ახლა ვისადიდე.
- *რატომ* უნდა წახვიდე ანასთან? – *იმიტომ რომ,* მისი წიგნი მაქვს და უნდა მივუტანო.
- თეატრში *რატომ* არ მოდიხარ? – *იმიტომ რომ,* ბილეთი არ მაქვს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანს
ამავე ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტის
ეკა კვალიაშვილის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ავადმყოფობის გამო გამიცდა ლექციები, *გაცდენების გამო* კი შეიძლება დაეკარგო გარკვეული რაოდენობის ქულა. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩემი მდგომარეობა და გაცდენილი საათები ჩამითვალოთ საპატიოდ.

ეკა კვალიაშვილი

16. 10. 2006 წ.

.....

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანს
ამავე ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტის
ანა გეგეჭკორის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ოჯახური მდგომარეობის გამო (ავად მყავდა დედა) გამიცდა ლექციები. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩემი მდგომარეობა და გაცდენილი საათები ჩამითვალოთ საპატიოდ.

ანა გეგეჭკორი

8. 11. 2006

* * *

- *რატომ* არ იყავი სკოლაში?
- *იმიტომ რომ*, დედა იყო ავად.
- *რატომ*აა დედა ავად?
- მაღალი სიცხე ჰქონდა და *სიცხისაგან* ცუდად გახდა.
- *რატომ* ჰქონდა მაღალი სიცხე?
- *გრიპის გამო*.
- *დიდი სიცივის გამო* გრიპის ვირუსია გავრცელებული და ყველა ფრთხილად უნდა იყოთ.
- *სიცივეების გამო* სწავლა ხომ არ შეწყდება?
- არა მგონია.

საპარჯიშოები:

43.1. წარმოადგინეთ სახელი მიზეზის გამომხატველი ფორმით: -გან.

1. (სიხარული) _____ ბავშვებმა სიცილი დაიწყეს.
2. (სიცივე) _____ ნანამ კანკალი დაიწყო.
3. (მოწყენილობა) _____ მაკამ წიგნის კითხვა დაიწყო.
4. (დაღლილობა) _____ ზურას მალე დაეძინა.
5. (სიარული) _____ ლადოს ფეხები ეტკინა.
6. ბევრი (სიმღერა) _____ ნატას ყელი ეტკინა.
7. დიდი (შრომა) _____ ბატონი გიორგი ცუდად გახდა.
8. (სიცხე) _____ ყველა შეწუხდა.
9. კომპიუტერზე (თამაში) _____ თაზოს თვალები ეტკინა.
10. (შიმშილი) _____ მოხუცი ცუდად გახდა.

43.2. წარმოადგინეთ სახელი მიზეზის გამომხატველი ფორმით: -ის გამო.

1. დიდი (სიცივე) _____ მდინარე გაიყინა.
2. დიდი (სიცხე) _____ აგვისტოში სამსახურებმა მუშაობა შეწყვიტეს.
3. ნანა (ავადმყოფობა) _____ სამსახურში ვერ წავიდა.
4. ბევრი (გაცდენა) _____ თამაზი უნივერსიტეტიდან გარიცხეს.
5. (დაღლილობა) _____ გურამი თეატრში ვერ წავიდა.

43.3. დასვით კითხვები და უპასუხეთ მოცემული ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ანა სკოლაში არ წავიდა. გაკვეთილები არ იცოდა.

– რატომ არ წავიდა ანა სკოლაში?

– იმიტომ, რომ გაკვეთილები არ იცოდა.

1. დედამ საჭმელი ვერ გააკეთა. დრო არ ჰქონდა.
2. ანამ გაკვეთილი ვერ ისწავლა. დაბადების დღე ჰქონდა.
3. გურამმა დავალება ვერ დაწერა. ვერ გაიგო.
4. საჭმელი არ მინდა. უკვე ვისადილე.

5. ანას ვერ წაგიყვან ბაღში. სამსახურში მივდივარ.
6. გურამი სახლში არ იყო. სოფელში წასულა.

43.4. დაწერეთ განცხადება სკოლის დირექტორის სახელზე:

ავადმყოფობის გამო:

43.5. დაწერეთ განცხადება სამართლის ფაკულტეტის დეკანის სახელზე:

ოჯახური მდგომარეობის გამო გთხოვთ გამათავისუფლოთ

44. მიზანი. მიზნის გამოხატვა

<p>რისთვის? რა მიზნით?</p>	<p>-თვის: სწავლისთვის, საჭმლისთვის, ტანსაცმლისთვის... -ად, -დ: სათევზაოდ, სათამაშოდ, მოსატანად, წასაყვანად... ...-ის მიზნით: ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, შესწავლის მიზნით, დათვალიერების მიზნით...</p>
--------------------------------	--

<p>გამოტანა – გამოსატანად ყიდვა – საყიდლად ბაკეთება – ბასაკეთებლად თევზაობა – სათევზაოდ მეცადინეობა – სამეცადინოდ დაცვა – დასაცავად</p>	<p>წაყვანა – წასაყვანად მიყვანა – მისაყვანად დაწერა – დასაწერად თამაში – სათამაშოდ სწავლა – სასწავლად (სწავლება – სასწავლებლად)</p>
---	---

1.

- *სწავლისთვის* ნინოს საზღვარგარეთ წასვლა უნდა.
- მაღაზიაში *რისთვის* მიდიხარ? – *პურისთვის*.
- *საჭმლისთვის* ბაზარში უნდა წავიდე, მაღაზიაში ვერაფერი ვერ ვიყიდე.
- სავაჭრო ცენტრში *რისთვის* მიდიხარ? რა უნდა იყილო? – გიორგის *ტანსაცმლისთვის* მივდივარ, *ჩემთვის* კი ჩექმა მინდა.
- ბიბლიოთეკაში მივდივარ *წიგნისთვის* და მალე მოვალ.

2.

- ნინო საზღვარგარეთ *სასწავლებლად* მიდის.
- პურის *საყიდლად* უნდა ჩავიდე მაღაზიაში, შენც გინდა რამე?
- საჭმლის *საყიდლად* ბაზარში წავალ, აქ არაფერი არაა.
- ბავშვის *წასაყვანად* ვინ მოვა? – ჩემი და.
- ბიბლიოთეკაში მივდივარ წიგნის *გამოსატანად*.
- საჭმლის *გასაკეთებლად* დრო ახლა არ მაქვს, ცოტა ხნის მერე გავაკეთებ.
- დავალების *დასაწერად* და *სამეცადინოდ* ანისონ მივდივარ, მალე ვერ მოვალ.
- ზურა *სათევზაოდ* წავიდა თბილისის ზღვაზე.
- სტუდენტები ფეხბურთის *სათამაშოდ* სტადიონზე წავიდნენ.
- დისერტაციის *დასაცავად* მზად ხართ? – არა, ჯერ არა.

3.

- *დათვალიერების მიზნით* მოსწავლეები მუზეუმში წავიდნენ.
- *ჯანმრთელობის დაცვის მიზნით* მოეწყო სტუდენტთა შეხვედრა სპეციალისტებთან.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა



ისტორიული ძეგლების დათვალიერების მიზნით, აგრეთვე მშობლიური კუთხის უკეთესად გაცნობის მიზნით 25 და 26 ოქტომბერს ჩატარდება ექსკურსია-ლაშქრობა. მსურველებს ვთხოვთ ჩაეწერონ სკოლის დირექციაში მდივანთან.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების უკეთ შესწავლის მიზნით ტარდება მოსწავლეთა კონფერენცია. მონაწილეობის მიღების მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებთან.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების ხალხთა კულტურის გაცნობის მიზნით ტარდება შეხვედრა ინტერნაციონალურ კლუბში. მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ ინტერკლუბის პრეზიდენტთან და მდივანთან.

* * *

- სად მიდიხარ?
- სკოლაში.
- რისთვის?
- ამხანაგებთან შესახვედრად.
- რისთვის ხვდებით ერთმანეთს?
- კონფერენციის მოსამზადებლად.
- კონფერენცია რა საკითხზეა?
- ჩვენი ისტორიის შესწავლის მიზნით ტარდება კონფერენცია, მასწავლებელმა დასაწერად მოგვცა თემები.
- დღეს რისთვის იკრიბებით?
- თემებზე სამუშაოდ.

საკვარჯიშოები:

44.1. წარმოადგინეთ სიტყვა მიზნის გამომხატველი ფორმით: -თვის:

1. ალბათ ფული აღარ მეყოფა _____ . (ფესხაცმელი)
2. ბაზარში რატომ მიდიხარ? – _____ . (საჭმელი)
3. ეს რა ფულია? – გადასახადია _____ . (სწავლა)
4. რისთვის გინდა ასე ღარი? _____ . (ბენზინი)
5. რისთვის ემზადები? _____ . (ზეიმი)

44.2. წარმოადგინეთ სიტყვა მიზნის გამომხატველი ფორმით: -ად, -დ.

1. სად მიდიხარ? – ბიბლიოთეკაში მივდივარ წიგნის _____ .
(გამოტანა)
2. ხვალ ვინ მოვა პატარა სანდროს _____ ? (წაყვანა)
3. კანონის _____ (დაცვა) ქვეყანაში არსებობს სასამართლო.
4. ბურთი სად მივაქვს? – ფეხბურთის _____ (თამაში) მივდივარ და მიმაქვს.
5. მამა სად წავიდა? – მეგობრებთან ერთად _____ (თევზაობა) წავიდა.
6. რატომ არ გაქვს დავალება? – დავალების _____ (დაწერა) დრო არ მქონდა.
7. დედა მარიამის _____ (მოყვანა) წავიდა და მალე მოვა.
8. ლექსი არ იცი? – არა, ლექსის _____ (სწავლა) დრო არ დამრჩა, ბევრი დავალება მქონდა.
9. მე ვიცი, რომ თორნიკე საზღვარგარეთაა. სადაა და რისთვის? – ინგლისშია _____ (სწავლება).
10. ისტორიული ძეგლების _____ (დაცვა) მხოლოდ სპეციალისტებმა კი არა, ყველამ უნდა გააკეთოს ის, რაც შეუძლია.

44.3. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, დაუკვირდით, კითხვა მიზანს გამოხატავს თუ მიზეზს და გაეცით სათანადო პასუხი:

1. ბაზარში რისთვის მიდიხარ?	
2. რატომ არ დადიოდი სკოლაში?	
3. რისთვის მიდიან სტუდენტები საზღვარგარეთ?	

45. ნახვა: ნახულობს – ნახავს – ნახა – უნახავს

ახლანდელი დრო	ნახულობს ის ნახს (ენახულობ... ნახულობენ)
წარსული უწყვეტ.	ნახულობდა ის მახს (ენახულობდი... ნახულობდნენ)
მომავალი დრო	ნახავს ის მახს (ენახავ... ნახავენ)
წარსული წყვეტ.	ნახა მან ის (ენახე... ნახეს)
სასურველი მოქმ.	ნახოს მან ის (ენახო... ნახონ)
წარსული შედეგ.	უნახავს მახს ის (მინახავს, გინახავს... გვინახავს, გინახავთ, უნახავთ)

1.

- სადღეს სად არის? – კიევში. – გიორგის *ნახულობს*, ისიც კიევშია.
- ჩემს მეგობრებს ისე ხშირად ვეღარ *ენახულობ*, დრო არ მაქვს.
- ხშირად *ნახულობთ* ერთმანეთს? – კი, ხშირად *ენახულობთ* ხოლმე.
- დედანემის კლასელები ყოველ წელს იკრიბებიან და *ნახულობენ* ერთმანეთს.
- მე გერმანიაში ვცხოვრობდი ერთი წელი, მაგრამ ქართველ სტუდენტებს ხშირად *ვერ ენახულობდი*.
- ქართველებს ნახულობდი ამერიკაში? – ხანდახან.

2.

- ხვალ უნივერსიტეტში მივდივარ და ალბათ მარის *ენახავ*.
- ეკა და ნათია *ნახავენ* ერთმანეთს გერმანიაში? – ალბათ ვერა, ისინი ერთ ქალაქში არ იქნებიან.
- ხვალ *ნახე* ნიკას? – არა მგონია.
- ვინ *ნახავს* მარიამს? უთხარით, რომ ხვალ რეპეტიცია გვაქვს და მოვიდეს.

3.

- იცი, ლონდონში ნიკამ თეა *ნახა* და ერთმანეთი გაიცნეს.
- გუშინ სკოლაში ვიყავი, მაგრამ ღირექტორი *ვერ ენახე*, არ იყო.
- *ნახე* შენი მასწავლებელი? – ვერც ღირექტორი *ენახე* და ვერც მასწავლებელი.
- როდის *ნახეთ* გურამი და ლადო? – გუშინ *ენახეთ* კინოში.

4.

- ძალიან მინდა ამ ახალი ფილმის *ნახვა*.
- ანუკამ ნათია პარასკევს *უნდა ნახოს* პარიზში, ორივე იქაა.
- გინდა ახალი სპექტაკლი *ენახოთ*? – *ენახოთ*.
- *ნეტავ* გვიმ და ლუკამ ერთმანეთი *ნახონ* მოსკოვში, დიდი ხანია ერთმანეთის გაცნობა უნდათ.

5.

- ანას ეს ფილმი *არ უნახავს*, ვუთხრათ და ერთად წავიდეთ.
- იცი, კოტეს თეა *უნახავს* თეატრში!
- ჩემი ორი კლასელი პოლონეთშია და რამდენიმე ხნის წინათ ერთმანეთი *უნახავთ*.
- ასეთი ღამაში წარმოდგენა *ჯერ არ მინახავს*, შენც აუცილებლად *უნდა ნახო*.

ნატა ნახულობს ქეთის
 ნატა ნახავს ქეთის
 ნატამ ნახა ქეთი
 ნატამ უნდა ნახოს ქეთი
 ნატას არ უნახავს ქეთი

* * *



სადღი, როგორ ხარ. რა ხდება? ვინმეს **ნახულობ**? მეც რამდენიმე დღეა არავინ **არ მინახავს**. ადრე **ვნახულობდი** გოგოებს, გუშინ ტესტირება მქონდა სკოლაში და მთელი დღეები ვმეცადინებოდი. ერთხელ ანუკა **ვნახე** და იცი, რა მითხრა? ნიკა **უნახავს** ამას წინათ და იმისგან გაუგია ამბები. სანდრო საფრანგეთში წასულა, იქ **უნახავს** ქეთი. ის ქეთი, სანდროს რომ მოსწონდა. ქეთი ვიღაც ბიჭთან ერთად **უნახავს** ბარში, ალბათ ქეთის ის ბიჭი მოსწონს. სანდრო არ მისაღმებია და ბარიდან წასულა. მეორე დღეს ისევ იმ ბარში **უნახავს** ქეთი და ულაპარაკიათ. მე მეტი არაფერი ვიცი. მერე ანუკასაც აღარ **უნახავს** ნიკა. შენ ხომ არ იცი რამე? თუ ვინმე **ნახე** და რამე გაიგე, წერილი მომწერე.

როდის უნდა **ვნახოთ** ერთმანეთი? დრო კიდევ არ გაქვს? კარგი ფილმი გამოვიდა და არ **ვნახოთ**? საღამოსაც საქმე გაქვს? ადრე უფრო ხშირად **ვნახულობდით** ერთმანეთს. ახლა კი სულ მეცადინეობა და მეცადინეობა...

მომწერე წერილი... კარგად... თათა

* * *

- ახალი ფილმი **ნახე**?
- არა, არ **მინახავს**.
- არც მე **მინახავს**. წამოდი და **ვნახოთ**.
- როდის **ვნახოთ**?
- ხვალ თავისუფალი ხარ?
- კი. საღამოს. ბიჭებს **ნახულობ**?
- ზოგს **ვნახულობ**, ზოგს – ვერა.
- კობა **ნახე**?
- არა, ორი დღეა არ **მინახავს**.
- ხვალ **ვნახოთ**, საქმე მაქვს მაგასთან.
- გუშინ თათა **ვნახე**.
- მე დიდი ხანია **არ მინახავს**. რაო, რა თქვა?
- არაფერი ისეთი. მეც **ვერ ვნახულობ** ვერავისო.
- ხვალ საღამოს ჯერ გოგოები **ვნახოთ**, მერე კინოში წავიდეთ. შეიძლება ისინიც წამოვიდნენ.
- კარგი, **ვნახოთ**.
- აბა, ხვალამდე.
- ხვალამდე.



საპარჯიშოები:

45.1. ჩასვით წინადადებებში შესაფერისი ფორმები:

ენახო ნახოს უნახავს ენახე ენახავ ნახა
ნახულობს ნახავს ნახე უნახავთ ნახო

1. სანდრო ჰამბურგშია, მაგრამ ვანო ვერ _____.
2. ხვალ გიორგი თბილისში წავა, თავის ლექტორი უნდა _____.
3. სად _____ ნატას და გურამს ერთმანეთი?
4. სამსახურში მივდივარ და იქ _____ ლაღის.
5. დირექტორი _____? ვერ _____.
6. სად უნდა _____ ანა? – თეატრთან.
7. ზეგ ანა ლიკას სკოლაში _____.
8. სკოლაში მივდივარ, დირექტორი უნდა _____.
9. კინოში ლუკაც მოდის? – არა ლუკამ კვირას უკვე _____ ეს ფილმი.
10. ნანას თავისი ძმა არ _____ სკოლაში.

45.2. ჩასვით სახელები სწორ ფორმაში:

1. _____ ყოველდღე ვერ ნახულობს _____. (ნიკა, ლუკა)
2. გუშინ _____ ძალიან კარგი _____ ნახა. (აკაკი, ფილმი)
3. _____ სამი წელია თავისი _____ არ უნახავს, ის გერმანიაშია. (ქეთინო, მეგობარი)
4. _____ გუშინ კარგი _____ ნახეს რუსთაველის თეატრში. (სტუდენტები, სპექტაკლი)
5. ხვალ _____ სკოლის _____ აუცილებლად ნახავს. (დედა, დირექტორი)
6. _____ დღეს თავისი ახალი _____ უნდა ნახოს. (ვოვა, თანამშრომელი)
7. _____ ალბათ ზეგ ნახავს თავის _____. (მანანა, მეზობელი)
8. _____ ეს _____ არ უნახავს. (დათო, ფილმი)

9. მე მგონი, ეს _____ უნდა ნახოს. (სპექტაკლი, ყველა)
10. თურმე _____ უნახავს მოსკოვში. (გურამი, მათა)

45.3. შეადგინეთ წინადადებები მოცემული სიტყვებით, წარმოადგინეთ სახელები სწორი ფორმით.

1. ანა მაღაზია წიგნი ნახა. _____
 2. ლიკა ფილმი კინო ნახავს. _____
 3. მაკა პაატა გუშინ ნახა. _____
 4. ნონა არ ნაზი უნახავს. _____
 5. თურმე მამა კლასელი უნახავს. _____
- _____

45.4. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ფორმების გამოყენებით:

- ვნახულობ: _____
- ნახულობ? _____
- ვერ ნახა: _____
- თურმე უნახავს: _____
- არ უნახავს: _____
- ნახა: _____
- ვნახე: _____
- ნახავს: _____
- ვერ უნახავს: _____
- ნეტავ ნახოს: _____
- უნდა ნახოს: _____
- ვნახულობდი: _____
- ვერ ვნახულობდი: _____
- ვერ ნახულობდა: _____
- ნახულობდნენ: _____
- თურმე არ უნახავს: _____
- უნახავთ: _____
- ნახულობთ: _____

46. მთქმელის პოზიცია: ვეხმარები – მეხმარება

ახლანდელი დრო	ვეხმარები მე მას	მეხმარება ის მე (კაცს)
წარსული უწყვეტ.	ვეხმარებოდი მე მას	მეხმარებოდა ის მე (კაცს)
მომავალი დრო	დავეხმარები მე მას	დამეხმარება ის მე (კაცს)
წარსული წყვეტ.	დავეხმარე მე მას	დამეხმარა ის მე (კაცს)
სასურველი მოქმ.	დავეხმარო მე მას	დამეხმაროს ის მე (კაცს)
წარსული შედეგ.	დავხმარებივარ მე მას	დამხმარებია ის მე (კაცს)

**ვეხმარები სახლის აშენებაში
მეხმარება საჭმლის ბაკთეხებაში.**

1.

- მე დედას **ვეხმარები** და დღეს კინოში ვერ წამოვალ.
- ნანა რას აკეთებ? დედას **ეხმარები** თუ შეგიძლია ჩემთან მოხვიდე?
- გიორგი თავის პატარა ძმას **ეხმარება** დავალების **დაწერაში**.
- ვის **ეხმარებით** ახლა? – ორ თანაკლასელს **ვეხმარებით** საკონფერენციო თემის **მომზადებაში**.
- ბიჭები მოხუც მეზობელს **ეხმარებიან**.

2.

- ვინ **ვეხმარება** დღეს? – დღეს კობა **მეხმარება**, ხვალ კი კახა **დამეხმარება** და ორშაბათს ყველაფერი მზად იქნება.
- ძალიან **დამეხმარა** შენი ძმა.
- ჩემი ძმა ყოველთვის **მეხმარებოდა**.
- ვინ **ვეხმარებათ** სახლის აშენებაში? – მეზობლები **გვეხმარებიან**.
- ბატონი თამაზი **დავეხმარათ** ამ კონფერენციის **მოწყობაში**? – დიას, ბატონი თამაზი ძალიან **დავეხმარა**.


3.

- მე **დავეხმარე** ნიკას ტესტის **დაწერაში**.
- არ გინდა პაპას **დაეხმარო**? – მინდა და აი, **ვეხმარები**.
- მე არ **დავხმარებივარ** ანას, მან თვითონ დაწერა ეს თემა.
- მე ყოველთვის **ვეხმარებოდი**, **ვეხმარები** და ყოველთვის **დავეხმარები**, იმას ვისაც ეს უნდა და სჭირდება.
- შენ **დაეხმარები** გიორგის? – **დავეხმარები**, პრობლემა არაა.
- თქვენ უნდა **დაეხმაროთ** პირველკლასელებსო, გვითხრა მასწავლებელმა.

4.

- მეც **ვეხმარები** და ისიც **მეხმარება**, როცა საჭიროა.
- რატომ გგონიათ, რომ მართო მე **ვეხმარებოდი** ნიკას? ისიც **მეხმარებოდა** ხოლმე.
- ზოგჯერ მე **ვეხმარები** მამაჩემს, ზოგჯერ ის **მეხმარება** მე.
- მე ნიკას **დავეხმარე** მათემატიკის ამოცანის **გამოყვანაში**, მერე ნიკა **დამეხმარა** თემის **დაწერაში**.
- არც მე **დავხმარებივარ** სანდროს და არც სანდრო **დამხმარებია** მე. ჩვენ თვითონ დავწერეთ საკონტროლო ტესტი.

* * *



შაბათს სკოლაში გაიმართება „სკოლის დღე“. უნდა მოვიდეს ყველა მოსწავლე. ისინი დააღაგებენ კაბინეტებს. უფროსები **დაეხმარებიან** უმცროსკლასელებს. სასწავლო წლის დაწყების წინ ასეთი დღეები იმართება ჩვენს სკოლაში, ეს ჩვენი სკოლის ტრადიციაა. ყველა ერთმანეთს **ეხმარება**, დიდები პატარებს კლასის დაღაგებაში **ეხმარებიან**, ბიჭები ახალი მერხების მოტანაში **ეხმარებიან** ხელოსნებს, გოგონები კი ფანჯრებს წმენდენ და მათ მეხუთეკლასელები **ეხმარებიან**. წელს ქალბატონი თინა **დაეხმარება** დირექტორს საბუთების მოწესრიგებაში, შარშან ბატონი ზურაბი **დაეხმარა**, შარშანწინ კი ჩვენი მასწავლებელი **ეხმარებოდა**. მას ჩვენც **დავეხმარეთ**, რადგან ბევრი საქმე ჰქონდა. წელს ქალბატონ თინასაც **დავეხმარებით**. „სკოლის დღე“ ძალიან კარგი ტრადიციაა, რადგან ამ დღეს ყველა ერთმანეთს **ვეხმარებით**.

* * *

- გიორგი, რას აკეთებ?
- მამას **ვეხმარები**.
- **ეხმარები** თუ **გეხმარება**?
- ხან მამა **მეხმარება**, ხან მე **ვეხმარები**.
- რას აკეთებ?
- ჩემი ველოსიპედი გაფუჭებული და ვაკეთებ.
- გუშინ ხომ გააკეთეთ? კიდევ გაფუჭდა?
- გუშინ მე გაკეთებდი, მამა **ვერ მეხმარებოდა** და კარგად ვერ გავაკეთე.
- მერე სანდრო **გეხმარებოდა**?
- ჰო, სანდრო **მეხმარებოდა**, მაგრამ ვერ გავაკეთეთ.
- შენ მოდი და ჭამე საჭმელი, მამა გააკეთებს.
- არა, არა, მეც **უნდა დავეხმარო**, მარტო მამა ვერ გააკეთებს.
- შენ **რაში ეხმარები**?
- **ყველაფერში ვეხმარები**.
- მოდი მეც **დამეხმარე**.
- რაში **უნდა დამეხმარო**?
- სადილის ჭამაში...
- არა, დედა, არ მინდა ჭამა... მამას **უნდა დავეხმარო!**



საპარჯიშოები

46.1. ჩასვით შესაფერისი ზმნა:

1. მე დედას ყოველთვის _____ სახლის საქმეებში. (ვეხმარები, მეხმარება)
2. მე ნიკას _____, როცა ის საზღვარგარეთ მიდიოდა. (დავეხმარე, დამეხმარა)
3. ვინ _____ თემის დაწერაში? (ეხმარებოდი, გეხმარებოდა)
4. ამ საღამოს მოწეობაში ქალბატონი ნანა _____. (დაეხმარა, დაგვეხმარა)
5. მე არ _____, ნატამ თვითონ გააკეთა ყველაფერი. (დამხმარებია, დავხმარებივარ)
6. ვინ უნდა _____ ამ ჩანთის წაღებაში? ძალიან მძიმეა. (დამეხმაროს, დავეხმარო)
7. ხვალ მე _____ მამას მანქანის გაკეთებაში. (დამეხმარება, დავეხმარები)
8. ბატონი მიშა მარტო ცხოვრობს და ჩვენ ხშირად _____. (ვეხმარებით, გვეხმარება)
9. ნეტავ ვინმე _____, მე მარტო ვერ გავაკეთებ ამ საქმეს. (დავეხმარო, დამეხმაროს)
10. შენ _____ მასწავლებელს? (ეხმარები, გეხმარება)

46.2. ჩასვით შესაბამისი სიტყვები სწორი ფორმით:

1. დედა, _____ დაგეხმარო? ჭურჭლის _____. (რა; დარეცხვა)
2. მე ჩემი უფროსი ძმა მეხმარება დავალებების _____. (დაწერა)
3. ვინ გეხმარებათ სახლის _____? (აშენება)
4. ტესტის _____ არავინ არ დამხმარებია, მე თვითონ დავწერე. (დაწერა)
5. დედას მე ვეხმარები ბაზრიდან სურსათის _____. (მოტანა)
6. მე როგორ დავეხმარო? – თუ შეგიძლია, ბავშვის _____ დამეხმარე. (მოყვანა)

7. რას აკეთებ ამ საღამოს? დედას ვეხმარები სადილის _____.
(გაკეთება)
8. ძალიან კარგი საღამო იყო. ვინ დაგეხმარათ საღამოს _____?
(მომზადება)
9. ამ ჩანთის _____ მომეხმარე, თუ შეგიძლია. (წადება)
10. მე ბებიას ვეხმარები ცხოველების _____. (მოვლა)

46.3. დაწერეთ სახელები სწორი ფორმით:

1. (გიორგი, ანა, ეხმარება) _____
2. (მე, დედა, ვეხმარები) _____
3. (ნიკა, ლევანი, დახმარებია) _____
4. (ანა, ლიკა, უნდა დაეხმაროს) _____
5. (გოვა, კობა, ხვალ დაეხმარება) _____

46.4. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ფორმების გამოყენებით:

- ვეხმარებო: _____
- ვერ ვეხმარები: _____
- არ დავეხმარები: _____
- დამეხმარე: _____
- დაგეხმარე: _____
- ვერ დაგეხმარე: _____
- არ დამეხმარა: _____
- ვერ დამეხმარა: _____
- დაეხმარებით? _____
- ვერ ეხმარება: _____
- არ დაეხმარა: _____
- არ დამხმარებია: _____
- ეხმარები? _____
- არ ეხმარები? _____
- უნდა დაეხმარო: _____
- მინდა დავეხმარო: _____
- ნეტავ დაეხმაროს: _____
- გეხმარებოდა? _____

47. აქტიური და პასიური მოქმედება: აშენებს – შენდება

ფუნქციური აშენებს სახლს	სახლი შენდება
მოქმედებას სუბიექტი ასრულებს	არ ჩანს, ვინ ასრულებს მოქმედებას

სწავლობს – ისწავლება მუშაობს – მუშავდება მკურნალობს – იკურნება თამაშობს – თამაშდება აგროვებს – გროვდება	აგრძელებს – გრძელდება წყვეტს – წყდება გადაწყვეტს – გადაწყდება აგზავნის – იგზავნება აერთიანებს – ერთიანდება
---	--

1.

- ვანო რომელ კლასში **სწავლობს**? – მეხუთეში. – ბიოლოგია **ისწავლება** მეხუთე კლასში? – არა.
- ამ სახლს სამშენებლო კომპანია „**იბერია**“ **აშენებს**; მე მგონი, სახლი ექვს თვეში **აშენდება**.
- ქალბატონი ნათელა სამი თვეა **მკურნალობს**. მისი დაავადება ადვილად **იკურნება**.
- კვირას **თამაშდება** ლატარია „იღბლიანი დარტყმა“. ამ ლატარიას **ირაკლი** და **გურამი** **თამაშობენ** ხოლმე.

2.

- **ნატა** საახალწლო საჩუქრებს **აგროვებს**, ახალ წელს მეგობრებს უნდა აჩუქოს.
- **გროვდება** საახალწლო საჩუქრები პატიმრებისთვის. გთხოვთ, მოიტანოთ ადმინისტრაციაში.
- **ნოდარი** **აგრძელებს** მაგისტრატურაში სწავლას? – მე მგონი, კი.
- ბაკალავრიატის შემდეგ სწავლა მაგისტრატურაში **გრძელდება**, შემდეგ კი – დოქტორანტურაში.
- ამ საკითხს სწორედ ახლა **წყვეტს პარლამენტი**; ასეთი საკითხები ქუჩაში **არ წყდება**.
- **ვინ გადაწყვეტს** ამ პრობლემას? – არ ვიცი, მაგრამ ის ვიცი, რომ ასეთი პრობლემები თავად **ვერ გადაწყდება**.
- **ბატონი ვალერი** ახლა უკვე მესამე წერილს **აგზავნის** პარლამენტში.
- სად **იგზავნება** ეს წერილები? – პარლამენტში.

3.

- ამ სკოლაში საკმაოდ კარგად **ისწავლება** უცხო ენები, კარგი მასწავლებლები **ასწავლიან** და მოსწავლეებიც ამიტომ **სწავლობენ** კარგად.
- ეს დაავადება ადვილად **იკურნება** და თქვენი ექიმიც, მე მგონი, კარგად **მკურნალობს** პაციენტს.
- ახლა საქართველოში ბევრი ლატარია **თამაშდება** და ბევრი ადამიანიც **თამაშობს**.

* * *



ამ ბოლო დროს ბევრი რამ შეიცვალა საქართველოში, **შენდება** ახალი სახლები, **იგება** გზები, **იხსნება** შადრევნები. ცვლილებები **ხდება** განათლების სისტემაშიც. **ისწავლება** ახალი საგნები და **ისწავლება** ახალი მეთოდებით, **მუშავდება** ახალი სასწავლო გეგმები. **გრძელდება** განვითარება. მომავალში **აუცილებლად** გადაწყდება სოციალური პრობლემები. იმედია, რომ საქართველოც **გაერთიანდება**.

მაგრამ არის პრობლემებიც. ზოგჯერ ადამიანები **აგრძელებენ** ძველი წესით ცხოვრებას და სიბნელები არ უნდათ. მაგალითად, მასწავლებლები ასწავლიან ძველი წესით, ეს არაა სწორი. ბევრი ადამიანი არ **მუშაობს** და ეს მათი დიდი პრობლემაა. მაგრამ ბევრი რამე თვითონ **ადამიანმა უნდა გადაწყვიტოს**, პრობლემები წყდება ჩვენში და არა ჩვენგან შორს, ჩვენ გარეშე.

* * *

- წერილები თქვენგან **იგზავნება** სამინისტროში.
- დიას, ჩვენგან **იგზავნება**.
- ვინ **აგზავნის**?
- წერილების განყოფილებიდან **აგზავნის** ერთი თანამშრომელი.
- წერილები სად **მუშავდება**?
- ვერ გავიგე?
- ვინ **კითხულობს** ამ წერილებს?
- ჩვენთან **იწერება** მხოლოდ მონაცემები ამ წერილების შესახებ, საიდან **იგზავნება**, ვინ **აგზავნის**... მერე სამინისტროში **იგზავნება**, იქ **მუშავდება**, პასუხი კი ისევ ჩვენთან მოვა.
- წერილები თქვენთან **გროვდება**?
- დიას. ჩვენ **ვაგროვებთ** და მერე პასუხებს **ვაგზავნით**.
- აი, ამ წერილს **ვაგზავნი**. პასუხი როდის იქნება?
- ალბათ ორ კვირაში.
- ჩემი საკითხი სად **გადაწყდება**?
- როცა პასუხი მოვა, ჩვენს გამგეობაში **გადაწყვეტს** განყოფილების გამგე.



სამარჯობები

47.1. შეარჩიეთ სწორი ფორმა:

1. ვანო რომელ კლასში _____? (სწავლობს, ისწავლება)
2. ბიოლოგია _____ მეხუთე კლასში? (სწავლობს, ისწავლება)
3. ნანა პარლამენტში _____. (მუშაობს, მუშავდება)
4. ეს საკითხი ახლა _____ პარლამენტში. (მუშაობს, მუშავდება)
5. ლატარია როდის _____? (თამაშობს, თამაშდება)
6. ნიკა ფეხბურთის კარგ გუნდში _____. (თამაშობს, თამაშდება)
7. ეს პროექტი რამდენი წელი _____? (აგრძელებს, გრძელდება)
8. ორგანიზაცია ამ პროექტს _____. (აგრძელებს, გრძელდება)
9. წერილები საზღვარგარეთ ამ ფოსტიდან _____. (აგზავნის, იგზავნება)
10. ვინ _____ ამ წერილს? – სანდრო. (აგზავნის, იგზავნება)
11. ასეთი საკითხები მხოლოდ პარლამენტში _____. (წყვეტს, წყდება)
12. ვინ _____ ამ საკითხს პარლამენტში? (წყვეტს, წყდება)
13. ბატონი ვლადიმერი დღეს ჩვენს ორგანიზაციაში _____.
(აერთიანებს, ერთიანდება)
14. მე მაინტერესებს, რა _____ თქვენს ორგანიზაციებს? (აერთიანებს, ერთიანდება)
15. სად _____ დედა? (მკურნალობს, იკურნება)
16. ეს დაავადება ადვილად _____? (მკურნალობს, იკურნება)

47.2. გადაიყვანეთ წინადადებები მოცემული ნიმუშის მიხედვით:

*ეს საგანი ამ სკოლაში კარგად ისწავლება.
ამ საგანს ნანა დოლიძე ასწავლის.*

კონფერენცია ორ აპრილამდე გრძელდება.	
	ეს საბუთები სამინისტროში იგზავნება.
ნანა საახალწლო საჩუქრებს აგროვებს.	

	სახლს კარგი ორგანიზაცია აშენებს.
შერაბი დიდი ხანია ამ ლატარიას თამაშობს.	

47.3. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ფორმების გამოყენებით:

შენდება: _____

აშენებს: _____

მუშავდება: _____

აგროვებს: _____

გროვდება: _____

ისწავლება: _____

ასწავლის: _____

აკეთებს: _____

კეთდება: _____

ამზადებს: _____

მზადდება: _____

წერს: _____

იწერება: _____

გადაწყვეტს: _____

გადაწყდება: _____

თამაშობს: _____

თამაშდება: _____

აგზავნის: _____

იგზავნება: _____

გააერთიანებს: _____

გაერთიანდება: _____

კრეფს: _____

იკრიფება: _____

48. რიცხვში ცვალებადი ზმნები: ზის – სხედან



მოსწავლე კლასში <u>ზის</u>	მოსწავლეები კლასში <u>სხედან</u>
----------------------------	----------------------------------

ახლანდელი დრო	ზის ის	სხედან ისინი
წარსული უწყვეტ.	იჯდა ის	ისხდნენ ისინი
მომავალი დრო	დაჯდება ის	დასხდებიან ისინი
წარსული წყვეტ.	დაჯდა ის	დასხდნენ ისინი
სასურველი მოქმ.	დაჯდეს ის	დასხდნენ ისინი
წარსული შედეგ.	დამჯდარა ის	დამსხდარან ისინი

1.

- გურამ სად ხარ? – მაგიდასთან **ვზივარ** და ვწერ.
- რამდენი ხანია **ზისხარ** და მეცადინეობ? – ორი საათია აქ **ვზივარ** და ვმეცადინეობ.
- სად არის ანა? – ოთახში **ზის** და წიგნს კითხულობს.
- ჩვენ ოთახში **ვსხედვართ** და ტელევიზორს ვუყურებთ.
- სად **სხედხართ**? – აივანზე **ვსხედვართ** და ვსაუბრობთ.
- ბავშვები **სხედან** და მულტფილმებს უყურებენ.

2.

- სად იყავი? შენს ოთახში **იჯექი**? – ჰო, ჩემს ოთახში **ვიჯექი** და დავალებას ვწერდი.
- პატარა ნინიკო პიანინოსთან **იჯდა** და ახალ სონეტას უკრავდა.
- ჩვენ აქეთ ოთახში **ვისხედით**, ანა და ლალი, მეორე ოთახში **ისხდნენ**. თქვენ სად **ისხედით**?

3.

- აქ ქეთი **დაჯდება**, აქ კი სალომე და გურამი **დასხდებიან**. მე სად **დავჯდები**? – შენ ფანჯარასთან **დაჯდები**.
- აქ, ამ ოთახში, **დავსხდებით** და ფილმს ვუყურებთ.
- აქ უფროსები **სხედან**, პატარები პატარა მაგიდასთან **დასხდებიან**, თქვენ კი აქ დივანზე **დასხდებით**.

4.

- კინოში პირველ რიგში **დავჯექი** და ფილმი კარგად ვერ ვნახე.
- სად **დავჯექი**? – მე მეხუთე რიგში **დავჯექი**, ანა მეოთხეში **დაჯდა**, გურამი და გოგი მეექვსე რიგში **დასხდნენ**.
- სად **დასხედით**? – მესამე რიგში **დავსხედით**, კარგი აღვიღებია.

5.

- მე სად უნდა დავჯდე? – შენ აქ, ფანჯარასთან უნდა დაჯდე, ანა კი კარებთან უნდა დაჯდეს, მალე მიდის.
- სად დასხდნენ ისინი? – აქვე ახლოს კაფეში დასხდნენ, ჩვენც ხომ არ დავსხდეთ სადმე?

6.

- აქ ვინ დამჯდარა? – მე დავმჯდარე, შენ ვინ ხარ? შენ თვითონ სად დამჯდარხარ?
- აქ სად დამსხდარხართ? ქარია და ცივა.

* * *

გუმინ სახლში მარტო და მოწყენილი ვიჯექი. საღამოს კლასელმა დამირეკა და ერთად წავედით პარკში. იქ ისხდნენ ჩვენი კლასელები. პარკში ერთი საათი ვისხედით და ბევრი ვილაპარაკეთ. იქვე, მეორე სკამზე, ჩვენი სკოლელები ისხდნენ, ისინი ჩვენზე უფროსები არიან. მე ყველას არ ვიცნობდი, გავიცანით ერთმანეთი და ცოტა ხნის შემდეგ ჩვენთან ერთად დასხდნენ, ბევრი ვილაპარაკეთ ჩვენს სკოლაზე, მასწავლებლებზე, ნაცნობებზე. მერე კაფეში წავედით და ერთი საათი იქ ვისხედით. ანას დავურეკეთ, თურმე პარკში დამჯდარა და ნახევარი საათი იქ გველოდებოდა მარტო. ანა რომ არ მოვიდა, კაფედან წავედით ისევ პარკში და იქ ვნახეთ ანა მარტო იჯდა და ჟურნალს კითხულობდა. ჩვენზე გაბრაზებული იყო, მაგრამ მერე მაინც დაგველაპარაკა. შემდეგ მე დავპატიჟე ჩემთან ყველა, წამოვედით, ჩემს ოთახში დავსხედით და ფილმი ვნახეთ. კარგი დღე იყო.



ჩემ (შენ, ჩვენ, თქვენ, მის, მათ) უკან / წინ / გვერდით

* * *

- რა კარგია ექსკურსიაზე რომ მივდივართ!...
- ნანი, შენ სად დაჯდები ავტობუსში?
- მე პირველ სკამზე დავჯდები.
- შენ გვერდით ვინ დაჯდება?
- ჩემ გვერდით ეკა დაჯდება.
- მაშინ მე და სალი დავსხდებით ერთად თქვენ უკან.
- ირინა მასწავლებელი სად დაჯდება?
- მძღოლის უკან, პირველ სკამზე, მის გვერდით რუსიკო მასწავლებელი დაჯდება.
- ზურა სად ზის?
- უკან ზის, ბიჭები უკან სხედან.

სამარჯობები

48.1. ჩასვით შესაფერისი ფორმა:

ვსხედვართ	ვიჯექი	ზიხარ	სხედან	ისხედით	სხედხართ	იჯდა
	ზის	ისხდნენ	ვზივარ	ვისხედით		

1. მე აი ამ რიგში _____.
2. ნიკა მეორე მერსზე _____, შენ სად _____?
3. მოსწავლეები კლასში ჩუმად _____ და ტესტს წერენ.
4. რას აკეთებთ ამ ოთახში? _____ და ნანას ველოდებით.
5. რატომ _____ ჩუმად? ტელევიზორს რატომ არ უყურებთ?
6. გუშინწინ ჩვენთან _____ ანას კლასელები და ვიდუოფილმს უყურებდნენ.
7. გუშინ სად იყავით? – სადამოს კაფეში _____.
8. ნინიკო დღეს მთელი დღე _____ კომპიუტერთან.
9. ოპერაში ვნახეთ ჩემი კლასელები, თქვენ სად _____? რატომ ვერ გნახეთ?
10. გუშინ ბიბლიოთეკაში მეც ვიყავი. – რატომ ვერ გნახე? – უკან, ბოლო მაგიდასთან _____.

48.2. გადაიყვანეთ წინადადებები მრავლობით რიცხვში:

1. აქ ჩემი კლასელი დაჯდება.	
2. მე აქ დავჯდები.	
3. შენ სად დაჯდები?	
4. ჩემი კლასელი გუშინ ბიბლიოთეკაში იჯდა.	
5. მე ამ ადგილას ვიჯექი, შენ სად იჯექი?	
5. გოგონა აქ დაჯდეს, ჩემთან.	
6. შეიძლება, აქ დავჯდე?	
7. შენ სად უნდა დაჯდე?	
8. სტუმარი ანას გვერდით დამჯდარა.	

48.3. გადაიყვანეთ წინადადებები თავაზიან ფორმაში:

შენ აქ დაჯექი.	
დაჯექი, თუ შეიძლება.	
მოდი, დაჯექი.	

48.4. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ფორმების გამოყენებით:

ვზივარ: _____

ესხედვართ _____

ზიხარ: _____

სხედხართ: _____

ზის: _____

სხედან: _____

დავჯექი: _____

დავსხედით: _____

დაჯექი: _____

დასხედით: _____

დაჯდა: _____

დასხდნენ: _____

დავჯდები: _____

დავსხდებით: _____

დაჯდები: _____

დასხდებით: _____

დაჯდება: _____

დასხდებიან: _____

ვიჯექი: _____

ვისხედით: _____

იჯექი: _____

ისხედით: _____

იჯდა: _____

ისხდნენ: _____

უნდა დავჯდე: _____

49. იმედის გამოხატვა: იმედი მაქვს, ვიმედოვნებ

<p>იმედია, იმედი მაქვს, ვიმედოვნებ,</p>	<p>მომავალი დრო</p> <p>წავალ... ვისწავლი... დაგეხმარები, დაგეხმარები... გეტყვი, მეტყვის... მოხვალ, მოხვალთ, მობრძანდებით... შეძლებს, შეძლებთ... წაიკითხავ... გადაწვევით... გააგრძელებთ... მოგეწონებათ... მოიტანს... გააკეთებს... გააგზავნის...</p>
<p>მაინც – გამოხატავს გადაწვევტილებას, იმედს...</p>	

1.

- ძალიან მინდა ამ ფილმის ნახვა, **იმედია**, დღეს **მაინც წავალ** კინოში.
- ჩემი სტატია გაზეთში დაიბეჭდა, **იმედია**, **წაიკითხავ**.
- ხვალ ჩემი დაბადების დღეა, **იმედია**, **მობრძანდებით!**
- გიორგი კარგი სტუდენტია, **იმედია**, ის **გააგრძელებს** სწავლას მაგისტრატურაში.
- დღეს ნინო ლექციაზე არ იყო, ავაღა და **იმედია**, ის ხვალ ექიმის ცნობას **მოიტანს**.
- **იმედია**, საბუთებს **გააგზავნი** კონკურსზე. – ალბათ გააგზავნის.

2.

- **იმედი მაქვს**, ახალ სკოლაში გიორგი უკეთესად **ისწავლის**.
- **იმედი მაქვს**, ამ საქმეში მეც დაგეხმარებით.
- **იმედი მაქვს**, თქვენ **დამეხმარებით**.
- ორშაბათს ჩემი სურათების გამოფენაა, **იმედი მაქვს**, **მობრძანდებით**.
- **იმედი მაქვს**, თქვენც **მობრძანდებით** ჩემი წიგნის პრეზენტაციაზე და თქვენი მეუღლეს **შეძლებს მოსვლას**.
- **იმედი მაქვს**, ჩვენი ახალი კაბინეტი **მოგეწონებათ!**
- **იმედი მაქვს**, მარიამი ყველაფერს კარგად **გააკეთებს**.

3.

- **ვიმედოვნებთ**, ჩვენი საიუბილეო საღამოთი ყველა **კმაყოფილი დარჩება!**
- **ვიმედოვნებთ**, ყველაფერი კარგად **იქნება!**
- **ვიმედოვნებთ**, პარლამენტი მალე **გადაწვევტს** ამ საკითხს!
- **ვიმედოვნებთ**, თქვენი უცხოეთში მივლინება **წარმატებული იქნება!**
- **ვიმედოვნებთ**, თქვენ წარმატებით **გააგრძელებთ** სამეცნიერო მუშაობას და ასევე წარმატებით **დაიცავთ** სამეცნიერო ხარისხს!
- **ვიმედოვნებთ**, მალე **გამოჯანმრთელდებით!**

* * *



მოგახსენებთ, რომ ორშაბათს, 15 დეკემბერს გაიმართება ბატონი კოტე იმნაძის 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სხდომა, რომელიც ჩატარდება სააქტო დარბაზში. გთხოვთ, მობრძანდეთ! **ვიმედოვნებთ**, რომ თქვენთან ერთად მობრძანებას **შეძლებს** თქვენი მეუღლეც. ასევე **იმედი გვაქვს**, რომ თქვენ **გამოხვალთ** სიტყვით.

იმედია, სადამო კარგად ჩაივლის. საიუბილეო სადამოს შემდეგ იმართება წვეულება და **ვიმედოვნებთ**, თქვენ და თქვენი მეუღლე იქაც **შეძლებთ** წამობრძანებას.

პატივისცემით
საიუბილეო სხდომის ორგანიზატორები

* * *

- რას აპირებ?
- **იმედი მაქვს**, ხვალ ბილეთებს ავიღებ და ალბათ ერთ კვირაში თბილისში **ვიქნები**.
- ძალიან კარგია, ყველა **ვიმედოვნებთ**, რომ მალე **გნახავთ**. **იმედია**, ორგანიზაციასთან ყველაფერი კარგად **დამთავრდება** და კონტრაქტის გაგრძელება.
- **იმედი მაქვს**.
- ბავშვიც მოგყავს?
- ჯერ არ ვიცი, **იმედი მაქვს**, საბუთების გაკეთებას მოვასწრებ და მაშინ ბავშვიც ჩემთან ერთად წამოვა. შენ რას აპირებ?
- კონკურსზე გავაგზავნე საბუთები და **იმედია**, **გაეაღ**.
- მეც **იმედი მაქვს**, ყველაფერი კარგად იქნება.
- კარგად იყავი, შეხვედრამდე.
- შეხვედრამდე. **იმედია**, მალე **გნახავთ**.



საპარჯიშოები

49.1. შეცვალებულ წინადადებები მოცემული ნიმუშების მიხედვით:

*მარიამი კარგად სწავლობს.
იმედია, მარიამი კარგად ისწავლის.*

*წიგნს მოიტან?
იმედი მაქვს წიგნს მოიტან.*

დღეს საღამოს თეატრში მივდივარ.	
ნატა დედას ეხმარება.	
მარიკა თავის კლასელს სიმართლეს ეუბნება.	
სანდრო მამას ეხმარება.	
მე ჩემი მასწავლებელი მეხმარება.	
ხვალ ჩემი დაბადების დღეა. მოხვალ?	
ჩვენს პრეზენტაციაზე მობრძანდებით?	
ჩვენი გამოფენა მოგწონთ?	
შედლებთ ჩემს დაბადების დღეზე მოსვლას?	
ამ საკითხს მალე გადაწყვეტთ?	
სწავლას მაგისტრატურაში გააგრძელებთ?	
ეს სპექტაკლი მოგწონთ?	
მე ყველაფერს კარგად გავაკეთებ.	
ხვალ წიგნს ბიბლიოთეკაში მოიტანთ?	
გერმანიაში გიორგი უკეთესად ისწავლის.	
ამ წიგნს მალე წაიკითხავ?	
სტატიას მალე დაწერო?	
კონკურსში მიიღებთ მონაწილეობას?	

49.2. შეადგინეთ სამი ტექსტი პირველი, მეორე და მესამე პირისათვის. გამოიყენეთ შესწავლილი ზმნები და ფორმები:
იშვიათად, იშვიათად, ვიმედოვნებ.

I პირი:

II პირი:

III პირი:

50. პირობითი წინადადება: რომ მცოდნოდა, ბავაკეთებდი...

არარეალური და სასურველი მოქმედება ახლანდელ (ან მომავალ) დროში	არარეალური და სასურველი მოქმედება წარსულ დროში	
რომ მქონდეს რომ მყავდეს რომ ვიცოდე	რომ მქონოდა რომ მყოლოდა რომ მცოდნოდა	ვიყიდდი წავიდოდი ვიქნებოდი ბავაკეთებდი ბავაკებებდი ვისწავლიდი ვიმუშავებდი ვიმკურნალებდი ვიმუშავებდი ვიჩქარებდი მოვიმზადებოდი ვეტყოდი

1.

- ფული რომ მქონდეს, მანქანას ვიყიდდი.
- და რომ მყავდეს, ერთად ვიცხოვრებდით.
- ინგლისური რომ ვიცოდე, სწავლას უცხოეთში გაეაგრძელებდი.

2.

- ფული რომ მქონოდა, მანქანაც მეყოლებოდა და ბინაც მექნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არაა.
- და რომ მყოლოდა, ბედნიერი ვიქნებოდი.
- გერმანული რომ მცოდნოდა, სასწავლებლად გერმანიაში წავიდოდი.
- მაშინ ჭკუა რომ მქონოდა, სწავლას გაეაგრძელებდი.
- არ ვიცოდი, ეს დაავადება სერიოზული თუ იყო; რომ მცოდნოდა, აუცილებლად ვიმკურნალებდი.

3.

- გამგეობას რომ სცოდნოდა, რა პრობლემები იქნებოდა, აუცილებლად უკეთესად მოემზადებოდა.
- გურამს წიგნი რომ ჰქონოდა, უკეთესად მოამზადებდა გამოცდას.
- დრო რომ გქონოდა, უკეთესად არ იმუშავებდი?
- თამაზს შესაძლებლობა რომ ჰქონოდა, უკეთესად გააკეთებდა თავის საქმეს.

4.

- კარგი იქნებოდა, რომ მცოდნოდა, აუცილებლად იქ ვიმუშავებდი.
- რომ მცოდნოდა, მაგვიანდებოდა, აუცილებლად ვიჩქარებდი.
- რომ მცოდნოდა გამოცდა მქონდა, აუცილებლად მოვემზადებოდი, მაგრამ, სამწუხაროდ, არ ვიცოდი.
- არ ვიცოდი გამოცდის დღე და საათი, რომ მცოდნოდა, აუცილებლად ვეტყოდი.

* * *



ქალბატონო მარიამ, ამ წერილს გწერთ და ბოდიშს გიხდით ყველაფრისათვის. **რომ მცოდნოდა**, ასე მოხდებოდა, საერთოდ არ **გეტყოდით** არაფერს. საშუალება **რომ მქონოდა**, მე თვითონ **მივიდოდი** და ვეტყოდი ბატონ ალექსანდრეს, რომ მომავალში უკეთესად **ვისწავლიდი** და მერე **ჩავაბარებდი** გამოცდას. მაგრამ ამის არც საშუალება მქონდა და არც დრო. თქვენ იცით, რომ მე ქალაქშიც არ ვიყავი. ქალაქში **რომ ვყოფილიყავი**, მე თუ არა, სხვას **გავაგზავნიდი**. მაგრამ მე ქალაქში არ ვიყავი... ამიტომ გთხოვეთ თქვენ. თქვენ უთხარიტ ბატონ ალექსანდრეს და მან არ დაიჯერა, რომ მე ქალაქში არ ვიყავი... ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი გაუგებრობა მოხდა. კიდევ ერთხელ გიმეორებთ, მე

რომ მცოდნოდა, რომ ბატონი ალექსანდრე არ დაიჯერებდა თქვენს ნათქვამს, მე **არც დაგირეკავდით** და **არც გთხოვდით**... დიდ ბოდიშს გიხდით!.. მე რომ აქ **ვყოფილიყავი**, თქვენ ასე არ შეწუხდებოდით...

დიდი პატივისცემით სალომე გოგავა

* * *

- რაზე ოცნებობ?
- დიდ სახლზე.
- ბევრი ფული **რომ გქონოდა**, სახლს იყიდდი?
- ბევრი ფული **რომ მქონოდა**, აუცილებლად ვიყიდდი დიდ სახლს ზღვის ნაპირას...
- სახლი **რომ გქონოდა** ზღვის ნაპირას, იქ **იცხოვრებდი**?
- აუცილებლად იქ **ვიცხოვრებდი** სამთარშიც და ზაფხულშიც. ძალიან მიყვარს ზღვა...
- ცოლი **რომ გყოლოდა**, როგორი **იქნებოდა**?
- ლამაზი და თბილი...
- შვილები **რომ გყოლოდა**, რას **დაარქმევდი**?
- გოგონას თამარს **დავარქმევდი**, ვაჟს - დავითს...
- **მანქანა რომ გყოლოდა**, რას **იზამდი**?
- ბევრს **ვიმოგზაურებდი**...
- ბევრი ფული **რომ გქონოდა**, კიდევ რას **იზამდი**?
- რას **ვიზამდი**?... აღარ მინდა ოცნება!.. ვიცი, რომ არც მანქანა მყავს, არც სახლი ზღვის პირას, არც ცოლი და არც შვილები... მე ის ვიცი, ახლა რას ვიზამ: წავალ კინოში და კარგ ფილმს ვნახავ...



სავარჯიშოები

50.1. წარმოადგინეთ წინადადებები სასურველი მოქმედებით ახლანდელ დროში:
რომ მქონდეს... რომ მყავდეს...

დრო – კინო – წასვლა

ფული – სახლი – ყიდვა

მანქანა – მოგზაურობა

ოჯახი – დიდი სახლი – ცხოვრება

კომპიუტერი – ინტერნეტი – მუშაობა

50.2. წარმოადგინეთ წინადადებები სასურველი მოქმედებით ახლანდელ დროში:
*რომ მყოლოდა... რომ მცოდნოდა... რომ წავსულიყავი... რომ შემძლებოდა... რომ
ვეოფილიყავი...*

ინგლისური – საზღვარგარეთ – უნივერსიტეტი – სწავლა

კარგი ქართულის მასწავლებელი – ქართული – კარგად – სწავლა

უცხოეთი – წასვლა – კარგი განათლება – მიღება

მდიდარი – ბევრი – კარგი საქმე – გაკეთება

შენი მისამართი – შენი დაბადების დღე – აუცილებლად – მოსვლა

51. სახელის ბრუნება ქართულში

1. ბრუნვის ფორმები

ბრუნვა	ნიშანი	მაბალითი	ფუნქცია
სახელობითი	ი, –	კაც-ი, დროშა	სახელდება; S/O
მოთხრობითი	-მა, -მ	კაც-მა, დროშა-მ	მოქმედი პირი, S
მიცემითი	-ს	კაც-ს, დროშა-ს	სამოქმედო, O
ნათესაობითი	-ის, -ს	კაც-ის, დროშა-ის, წყარო-ს	კუთვნილება
მოქმედებითი	-ით, თი	კაც-ით, დროშა-ით, წყარო-თი	ინსტრუმენტი, დროის მინიშნება (დილით)
ვითარებითი	-ად, -დ	კაც-ად, დროშა-დ	ცვლილება, მდგომარეობა.
წოდებითი	-ო, -ვ	კაც-ო, დროშა-ვ გურამ! ანა!	მიმართვის ფორმა

- ეს არის *კაცი*; ეს არის *ქალი*.
- ეს არის ჩემი *მასწავლებელი*.
- ეს არის *დროშა*.
- ეს არის *ხე*.
- ეს არის *უთო*.

- *დავითმა* რამდენიმე ენა იცის.
- *მასწავლებელმა* თქვა, რომ ხვალ გაკვეთილები არ იქნება.
- *ანამ* თამაში დაიწყო.
- *მარიამმა* დედას რაღაც ჰკითხა.
- გოგონამ / ბიჭმა *კაცს* გამარჯობა უთხრა.

- ბიჭმა *კაცს* გამარჯობა უთხრა..
- დედა *შვილს* წერილს სწერს.
- ზამთარში *ხეს* ფოთლები არ აქვს.
- *ზურაბს* კარგი ოჯახი ჰყავს.

- გიორგი ამ *კაცის* ძმია.
- ეს ჩანთა ჩემი *მასწავლებლისაა*.
- ეს *უთოს* მაგიდაა.

- მე ჩემი *შვილით* ვამაყოფ. ის კარგი ადამიანია.
- მე ამ *კაცით* კმაყოფილი არ ვარ, ჩემი *მასწავლებლით* კი კმაყოფილი ვარ.
- ჩვენ საჭმელს *დანით* და *ჩანგლით* ვჭამთ, წყალს კი *ჭიქით* ვსვამთ.

- დედაჩემი ამ სკოლაში *მასწავლებლად* მუშაობს.
- გურამი სკოლის *დირექტორად* აირჩიეს.
- *კაცო*, არ გესმის?!
- *გურამ*, ხვალ სკოლაში არ იქნები?
- *ანა*, ეს კაბა ვისია?

ფუძე
 კაც-ი ანა-მ ქალ-მა მასწავლებელ-ს დროშა-ს ხე-ს უთო-ს
 გურამ-ს

~~ა, ე, ო~~ + რ, ლ, მ, ნ + ის, ით, ად // ებ
 სტუმარ-ი – სტუმრ-ის, სტუმრ-ით, სტუმრ-ად, სტუმრ-ები

თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელი

სახელობითი	სტუმარ-ი	კედელ-ი	მაწონ-ი	ობოლ-ი
ნათესაობითი	სტუმრ-ის	კედლ-ის	მაწვნ-ის	ობლ-ის
მოქმედებითი	სტუმრ-ით	კედლ-ით	მაწვნ-ით	ობლ-ით
ვითარებითი	სტუმრ-ად	კედლ-ად	მაწვნ-ად	ობლ-ად
მრავლობითი	სტუმრ-ები	კედლ-ები	მაწვნ-ები	ობლ-ები

ხმოვანფუძიანი არსებითი სახელი

სახელობითი	ძმა	ხე	უთო	კუ
ნათესაობითი	ძმ-ის	ხ-ის	უთო-ს	კუ-ს
მოქმედებითი	ძმ-ით	ხ-ით	უთო-თი	კუ-თი
მრავლობითი	ძმ-ები	ხე-ები	უთო-ები	კუ-ები

მე *სტუდენტი* ვარ. ვცხოვრობ თბილისში. ვსწავლობ უნივერსიტეტში. *დედაჩემმა* და *მამაჩემმა* თბილისში საკუთარი სახლი იყიდეს და ახლა ჩვენ დიდ და ღამაზ სახლში ვცხოვრობთ. *დედაჩემს* ძალიან მოსწონს სახლი, *მამაჩემს* კი უნდა საბილიარდო ოთახის გაკეთება. ჩვენს სახლში ყველაზე დიდი ოთახი *მამაჩემის* ოთახია. მე ძალიან მიყვარს ჩემი მშობლები და ვამაყობ *მამაჩემით*. იგი კარგი სპორტსმენი იყო, ახლა კი სპორტული სკოლის *დირექტორად* მუშაობს. გუშინ ჩვენს სახლში ჟურნალისტი იყო. *ჟურნალისტმა* ინტერვიუ აიღო:

– *ბატონო გურამ*, თქვენ სპორტული სკოლის დირექტორი ხართ. ძნელია *დირექტორად* მუშაობა?

– ძნელია, სკოლაში ბევრი ბავშვი სწავლობს.

მე ვიცი, მამაჩემი კარგი დირექტორი იქნება.

6. ----- წიგნი მისცა. (ნინო ნანა)
7. ეს არის ჩემი ----- ოთახი. (ძმა)
8. სად იქნება ----- ხვალ? (გიორგი)
9. ეს არის ----- სახლი. (თამარი)
10. მე თეატრში ----- მივდივარ, ნათია კი ----- მიდის.
(მანქანა, ავტობუსი)

4. ზოგიერთი ზმნა სახელისაგან მოითხოვს გარკვეულ ბრუნვის ფორმას. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით და ჩასვით სახელი სწორი ბრუნვის ფორმით, დაუკვირდით ზმნის კონსტრუქციას:

წიგნში:

იცი მან ის

დავითმა კარგად იცის ინგლისური.

არის ის	
ესმარება ის მას	
დაათვალიერა მან ის	
დაპატიუა მან ის	
დაპატიუა მან ის	
თქვა მან ის	
უთხრა მან მას ის	
იცი მან ის	
დაწერა მან ის	
დახატა მან ის	
უხარია მას (ის)	
აქვს მას ის	
ჰყავს მას ის	
მოსწონს მას ის	
უყვარს მას ის	

52. თანდებული ქართული

თანდებული	ფუნქცია	ნიმუში
-ვით	მსგავსება	კაცივით, ძაღლივით (სახელობითი ბრუნვა + ვით, თანხმოვანფუძიანი სახელები) მზესავით, პეპელასავით... (მიცემითი ბრუნვა + ვით; ხმოვანფუძიანი)
-თან	ადგილი მიმართება	სახლთან, ამხანაგთან (მიცემითი ბრუნვა, თანხმოვანფუძიანი: ფუძე + თან; სკოლასთან, ძმასთან (ხმოვანფუძიანი: ფუძე + ს + თან)
-ზე	ადგილი მდებარეობა დრო	მაგიდაზე ქუჩაზე სუთ საათზე (ფუძე + ზე)
-ში	ადგილი მდებარეობა (ქალაქი, ქვეყანა...) დრო	ქუჩაში თბილისში საქართველოში სამ საათში (ფუძე + ში)
-თვის	დანიშნულება დრო	მეგობრის(ა)თვის სახლის(ა)თვის სამსახურის(ა)თვის ხის(ა)თვის 7 საათისთვის (ფუძე + ის(ა) + თვის)
-გან	გამოსვლითობა (პიროვნება) მასალა	მეგობრის(ა)გან ჩემგან ხის(ა)გან (ფუძე + ის(ა) + გან)
-კენ	მიმართულება	სახლის(ა)კენ ჩემკენ (ფუძე + ის(ა) + კენ)
-დან	გამოსვლითობა (ადგილი) დრო	საქართველოდან თბილისიდან სამი საათიდან ორშაბათიდან 1980 წლიდან (ფუძე + ი + დან)
-მდე	მიღწევითობა დრო	თბილისამდე სახლამდე 7 საათამდე კვლემდე(ხმოვანფუძიანი) (ფუძე + (ა)მდე)

ცალკე მდგომი თანდებულები

თანდებულები	ფუნქცია	ნიმუში
შორის	მდებარეობა დროის შუალედი ადამიანთა მიმართება, გამორჩევა	ორ ქალაქს შორის სამ საათსა და ხუთ საათს შორის შესვენება გაკვეთილებს შორის მეზობლებს შორის ჩვენ შორის (ფუძე ებ + ს + შორის)
შუა	ორ საგანს შორის თანაბარ მანძილზე დაშორებული საგნის მდებარეობა დასაწყისიდან დასასრულამდე თანაბარი დროით დაშორებული მოვლენა დროის დიდი ერთეულის მითითება	ორ ქალაქს შუა ტოტებს შუა ქალაქის შუა ნაწილში შუა ქუჩაში შუა ზაფხულში შუა ზამთარში XX საუკუნის შუა წლებში (ფუძე + ს + შუა; შუა + ფუძე + ში)
მიერ	მოქმედი პირი	მეცნიერის მიერ ჩატარებული სამუშაო ჩემ მიერ შესრულებული სამუშაო (ფუძე + ის + მიერ)
გამო	მიზეზი	ავადმყოფობის გამო დიდი სიციხის გამო (ფუძე + ის + გამო)
გარდა	გამორიცხვა	ერთის გარდა ყველა ჩემ გარდა (ფუძე + ის + გარდა)
მიმართ	დამოკიდებულება ვინმესთან, რამესთან	ჩემი მასწავლებლის მიმართ ჩემ მიმართ (ფუძე + ის + მიმართ)
შესახებ	რაიმეს, ვინმეს თაობაზე	ყოველი ფაქტის შესახებ მასწავლებლის შესახებ ჩემ შესახებ

* * *

ზაფხულში ბათუმში ვიყავი ჩემს მეგობრებთან ერთად. ძალიან კარგი იყო. ჩვენ ქალაქის ცენტრში ვცხოვრობდით, ზღვასთან ახლოს. დილას პლაჟზე მივდიოდით, შუადღეზე კაფეში დავდიოდით, საღამოს ისევ პლაჟზე მივდიოდით, ღამით კი ბულვარში ვსეირნობდით. ღამის თორმეტ საათამდე ვსეირნობდით. დილით კი ცხრა საათამდე გვეძინა, მერე ათის ნახევრიდან თორმეტ საათამდე პლაჟზე ვიყავით. ბათუმში მაღაზიაში ძალიან ღამაზი სუვენირები ვიყიდე ჩემი მეგობრებისათვის და ახლობლებისათვის. ბათუმში ორი კვირა დავრჩით, მერე კი თბილისისაკენ წამოვედით. თბილისამდე ექვსი საათი ვიმგზავრეთ ავტობუსით, თბილისში კი სადგურიდან სახლში ტაქსით მივედი. ძალიან კარგი იყო ბათუმში!

8. სკოლაში გაკვეთილები 9 საათ----- იწყება.
9. ამ ნამცხვარს დედაჩემის----- ვაცხობ, ხვალ მისი დაბადების დღეა.
10. წიგნი სად არის? – თარო-----.
11. ეს წერილი იტალიი----- მივიღე ჩემი მეგობრის-----.
12. ორშაბათ----- თბილისში არ ვიქნები.
13. სად იყავი? – ჩემს მეგობარ-----.
14. ავთიაქი სად არის? სუპერმარკეტ----- ახლოს.
15. ეს კარადა ხის----- გაკეთებული.
16. გუშინ სახლ----- არ იყავი. სად იყავი? – ჩემს ძმა-----.
17. ახლა სალომე პარიზ----- არის, ტურისტულ ჯგუფ----- ერთად.
18. 1980 წლი----- 1985 წლა----- საქართველო----- არ ვიყავი.
19. ეს ჭიქები შენ იყიდე? – ჰო, სამსახური----- მინდა.
20. გორი----- თბილის----- 80 კილომეტრია.

3. ჩასვით ცალკე მდგომი თანდებულები შესაფერის ადგილას:

გარდა	მიმართ	შუა	მიერ	შორის	გამო
-------	--------	-----	------	-------	------

1. ორ ქალაქ----- მანძილი 100 კილომეტრია.
2. ----- ზაფხულ----- ქალაქში ძალიან ცოტა ხალხია.
3. ეს ნახატი ცნობილი მხატვრ----- არის დახატული.
4. დიდი სიცხ----- გაკვეთილები არ ჩატარდება.
5. ექსკურსიაზე ყველა წავიდა გიორგი-----.
6. მეგობრებ----- ყოველთვის ყურადღებიანი უნდა იყო!
7. ამ წიგნი----- რა იცი? – ძალიან საინტერესოა.
8. მე პოლიტიკ----- ბევრი რამე მაინტერესებს.
9. რა იცი გიორგი-----? – ვიცი, რომ ახლა თბილისში არ არის, თავის ბიძასთანაა სოფელში.
10. გუშინ სკოლაში არ ვიყავი ავადმყოფობ-----.

53. ორი სახელის ერთად ბრუნება

სახელობითი	პატარა სახლ-ი	დიდ-ი სახლ-ი	ჩემ-ი სახლ-ი
მოთხრობითი	პატარა სახლ-მა	დიდ-მა სახლ-მა	ჩემ-მა სახლ-მა
მიცემითი	პატარა სახლ-ს	დიდ სახლ-ს	ჩემ-ს სახლ-ს
ნათესაობითი	პატარა სახლ-ის	დიდ-ი სახლ-ის	ჩემ-ი სახლ-ის
მოქმედებითი	პატარა სახლ-ით	დიდ-ი სახლ-ით	ჩემ-ი სახლ-ით
ვითარებითი	პატარა სახლ-ად	დიდ სახლად	ჩემ სახლ-ად
წოდებითი	პატარა სახლ-ო	დიდ-ო სახლო	ჩემ-ო სახლ-ო

თანდებული და ბრუნვის ფორმა

სახელობითი	-ვით
მოთხრობითი	_____
მიცემითი	-ვით, -თან, -ზე, -ში შუა, შორის
ნათესაობითი	-თვის, -გან, -კენ, -ებრ, -თანავე გამო, მიერ, გარდა, შესახებ, ნაცვლად, მაგიერ, მიმართ, მიხედვით, გარეშე, შემდეგ
მოქმედებითი	-ურთ (= -თან ერთად), -გან (> -დან)
ვითარებითი	-მდე
წოდებითი	_____

თანდებულიანი ფორმები:

სახელობითი	დიდი სახლივით პატარა სახლივით კაცის სახლივით
მიცემითი	დიდ სახლთან, დიდ სახლზე, დიდ სახლში; პატარა სახლთან, პატარა სახლზე, პატარა სახლში; კაცის სახლთან, კაცის სახლზე, კაცის სახლში დიდ სახლებს შუა, პატარა სახლებს შუა, კაცების სახლებს შუა დიდ სახლებს შორის, პატარა სახლებს შორის, კაცების სახლებს შორის

ნათესაობითი	დიდი სახლისთვის, დიდი სახლისკენ... პატარა სახლისთვის, პატარა სახლისკენ... კაცის სახლისთვის, კაცის სახლისკენ... დიდი სახლის გამო, პატარა სახლის შესახებ, კაცის სახლის გარდა.....
მოქმედებითი	დიდი სახლიდან, პატარა სახლიდან, კაცის სახლიდან
ვითარებითი	დიდ სახლამდე, პატარა სახლამდე, კაცის სახლამდე

1.

- პატარა ბიჭი დიდი კაცივით იცვამს.
- მე ხვალ *ჩემს მეგობართან* მივდივარ.
- მე დღეს *კარგ კონცერტზე* მივდივარ.
- მარიამი დიდ ქალაქში ცხოვრობს.
- ალექსანდრე გერმანულ ბანკში მუშაობს.
- ამ ორ ქალაქს შუა დადის ყოველთვის, რადგან ერთში ცხოვრობს და მეორეში მუშაობს.
- ორ ქალაქს შორის მანძილი ოცი კილომეტრია.
- ჩემი ძმის სახლი ძალიან ლამაზია.

2.

- ეს წიგნი ჩემი მეგობრისთვის მინდა.
- მე ახლა ჩემი მეგობრისაგან მოვდივარ.
- ჯერ დიდი სახლისაკენ წადი, მერე კი მარჯვნივ შეუხვიე.
- სახლში მისვლისთანავე დაუურეკე დედაჩემს.
- შენი ამხანაგის გამო გუშინ თეატრში ვერ წავედი.
- ეს სახლი გერმანელი მშენებლების მიერ არის აშენებული.
- ძალიან მაინტერესებს შენი აზრი ამ წიგნის შესახებ.
- ჩემი ძმის ნაცვლად მაღაზიაში მე წავაღ.
- მე შენ მიმართ დიდი პატივისცემა მაქვს.
- მე თემა უნდა დავწერო ამ ტრაფარეტის მიხედვით.
- თქვენ გარეშე არსად არ წავაღ.
- მარიამი დიდი ხნის შემდეგ მოვიდა.

3.

- პატარა ბავშვივით ნუ მოიქცევი!
- ჩემი სახლი დიდ ბაღთანაა.
- პატარა ბავშვთან შენც პატარა უნდა იყო, ეს მათ ძალიან მოსწონთ.
- ხვალ, ორ საათზე, ჩემი ძმის სამსახურთან მოვალ და შენც იქ მოდი.
- ეს ავეჯი ჩემი ახალი სახლისთვის მინდა.
- ჩემი სკოლიდან შენ სკოლამდე დიდი მანძილია.
- სამი საათიდან ექვს საათამდე სახლში არ ვიქნები.

სამარჯობები

1. ჩასვით სახელები წინადადებაში სწორი ფორმით:

1. ანა ----- ცხოვრობს (დიდი სახლი, -ში).
2. ის დღეს ----- თეატრში მიდის (შვიდი საათი, -ზე).
3. ეს ბავშვი ----- იქცევა. (დიდი კაცი, -ვით)
4. ეს წიგნი ----- მინდა (ჩემი მეგობარი, -თვის)
5. მე ----- წავალ, შენ ----- წადი (ჩემი სახლი, შენი სახლი, -კენ)
6. ჩემი სამსახური ----- ახლოსა (ჩემი სახლი, -თან)
7. მე ვერაფერს ვერ ვიტყვი ----- (დავითის სამსახური, -ზე)
8. ამ ----- არის პატარა ლამაზი პარკი (დიდი კორპუსები, შუა)
9. ----- ხუთი კილომეტრია (დიდი მდინარე, -მდე)
10. ----- გაკვეთილები მაქვს (სამი საათი, -დან, ხუთი საათი, -მდე)

2. ჩასვით წინადადებაში შესაფერისი სიტყვა სწორი ფორმით, გაითვალისწინეთ ორი სახელის ერთად ბრუნების პრინციპები:

დიდი – პატარა

1. ეს რომანი ----- ოჯახზეა.
2. ეს მოთხრობა ----- ბიჭზეა.

ფართო – ვიწრო

1. ამ ----- ქუჩებში დიდი მანქანა ვერ შემოვა.
2. ამ კაბაზე ----- ჯიბე მინდა.

გრძელი – მოკლე

1. ამ ----- ფანქრით დავხატავ.
2. ამ ----- ფანქარს წვერი არ აქვს.

თეორიული ნაწილი

1. პიროვნება

პირის ნაცვალსახელებია **მე, შენ ის – ჩვენ, თქვენ, ისინი**. ეს ნაცვალსახელები განაწილებულია პირების მიხედვით. პირველი პირი გამოხატავს საკუთარ თავს (**მე, ჩვენ**), მეორე პირი თანამოსაუბრეა (**შენ, თქვენ**), ხოლო მესამე პირი კი სხვაა, განსხვავებული, გარეშე პირი (**ის, ისინი**). როცა ადამიანი, პიროვნება საკუთარ თავზე ლაპარაკობს, იგი I პირის მხოლოდობით რიცხვის ფორმას იყენებს: **მე ვარ სტუდენტი**. თუ პიროვნება თანამოსაუბრეს მიმართავს, იგი II პირის ფორმას იყენებს; II პირის ფორმები ხშირად შეკითხვის დასმისას გამოიყენება: **შენ სტუდენტი ხარ?** მესამე პირის ფორმები სხვა პიროვნებას, სხვა ადამიანს ეხება: **ის სტუდენტია**.

ანალოგიურ შემთხვევებში გამოიყენება მრავლობითი რიცხვის ფორმები: **ჩვენ სტუდენტები ვართ. თქვენ სტუდენტები ხართ? ისინი სტუდენტები არიან**.

ფუნქციურად განსხვავებულია II პირის მრავლობითი რიცხვის ფორმა: იგი **თავაზიანი მიმართვისას** გამოიყენება, ანუ მეორე პირს შეიძლება მრავლობითი რიცხვის ფორმის გამოყენებით მივმართოთ და ამით გამოვხატოთ მის მიმართ პატივისცემა: **თქვენ სტუდენტი ხართ? არა, მე სტუდენტი არ ვარ, მე მასწავლებელი ვარ**.

ვინ? კითხვითი ნაცვალსახელია, იგი მხოლოდ ადამიანებს დაესმის. ყველა დანარჩენ სახელს დაესმის კითხვა: **რა?**

ღიახ დადასტურების ფორმაა, **არა** – უარყოფისა.

~~~~~

## 2. კუთვნილება

კუთვნილება ქართულში ორი საშუალებით გადმოიცემა: **ნათესაობითი ბრუნვის ფორმით** და **კუთვნილებითი ნაცვალსახელებით**. ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია –**ის. გიორგის წიგნი, კაცის სახლი**; კუთვნილებითი ნაცვალსახელები სამი პირის არსებობს: I – ჩემი, ჩვენი; II – შენი, თქვენი, III – მისი, მათი.

თავაზიანი ფორმის გადმოსაცემად გამოიყენება II პირის მრავლობითი რიცხვის ფორმა: **ეს შენი წიგნია? – ღიახ, ეს ჩემი წიგნია; ეს თქვენი წიგნია? – არა, ეს ჩემი წიგნი არაა**.

კუთვნილებას გამოხატავს კითხვითი ნაცვალსახელები: **ვისი? რისი?** მხოლოდ ადამიანებს დაესმის კითხვა **ვისი?**

**-ც** ნაწილაკი წინადადების სხვადასხვა წევრს შეიძლება დაერთოს. მას **გაძლიერებით** ნაწილაკს უწოდებენ. იგი ხშირად გამოხატავს **დამატებითობას**: აქ არის დედა და მამა, ჩემი **დაც** და **ძმაც**.

**-ში** და **-ზე** თანდებულები დაერთვის სახელს და გამოხატავს ადგილს. გამოიყენება საცხოვრებელი ადგილის ან მისამართის მითითებისას: ცხოვრობს **თბილისში**, აბაშიძის **ქუჩაზე**.

~~~~~

3. კითხვის ღასმა – კითხვითი სიტყვები

ვინ? – გამოხატავს პიროვნებას, დაესმის მხოლოდ ადამიანებს.

რა? – გამოხატავს ადამიანის გარდა ყველა არსებით სახელს.

სად? – გამოხატავს ადგილს.

როდის? – გამოხატავს დროს.

რამდენი? – გამოხატავს რაოდენობას.

რომელი? – გამოხატავს რიგს, საათს...

როგორი? – გამოხატავს საგნის მახასიათებელს, დაესმის ზედსართავს.

როგორ? – გამოხატავს ზმნით გამოხატული მოქმედების როგორობას.

ვისი? – გამოხატავს კითხვას და კუთვნილებას.

რისი? – გამოხატავს კითხვას და კუთვნილებას.

6. დროის მითითება (2)

დღის ნაწილების მითითებისას გამოიყენება:

1. მიცემითი ბრუნვა – *საღამოს: კვირას საღამოს;*
2. მოქმედებითი ბრუნვის ფორმა: *დილით, ხუთშაბათს დილით. ღამით, სამშაბათს ღამით.* ასევე შესაძლებელია *დილას: ოთხშაბათს დილას;*
3. თავისებური წარმოება – *შუადღისას: შაბათს შუადღისას.* ასევე შესაძლებელია: *კვირას შუადღეზე;*


კონკრეტული დროის მითითება მოითხოვს თანდებულებიან ფორმებს.

-დან... -მდე: ორშაბათიდან კვირამდე; შესაძლებელია ეს ფორმები ცალკეც იყოს გამოყენებულ:

ორშაბათიდან არ ვიქნები = ორშაბათს ვიქნები და მერე არ ვიქნები; ორშაბათამდე არ ვიქნები = მანამდე არ ვიქნები, ორშაბათს ვიქნები;

იმავე პრინციპით აიგება კონსტრუქციები საათების, თვეების ან წლების მითითებისას.

კონკრეტული დროის დასაწყისის ან ბოლოს მითითებისას გამოიყენება ნათესაობითი ბრუნვის ფორმა: *კვირის / თვის / წლის დასაწყისში / ბოლოს.*



7. დროის მითითება (3)


მიცემითი ბრუნვის ფორმა გამოიყენება წლის განსაკუთრებული დღეების დასახელებისას: *შობას, აღდგომას, ახალ წელს, გოიგობას, დამოუკიდებლობის დღეს...*

მოქმედებისათვის საჭირო კონკრეტული დროის მისათითებლად გამოიყენება რამდენიმე ფორმა: *ხუთ წუთში, ხუთი წუთით, ხუთი წუთის განმავლობაში.* მათ შორის არის გარკვეული აზრობრივი განსხვავება:

ხუთ წუთში – ნიშნავს, რომ ამ დროის გასვლის შემდეგ ეს მოქმედება დასრულდება: *ხუთ წუთში მოვალ, ხუთ წუთში გავაკეთებ ამ საქმეს.*

ხუთი წუთით – ნიშნავს, რომ მთავარი მოქმედება ან მდგომარეობა, რომელიც აქვს სუბიექტს, მხილოდ ამ დროით შეწყდება და შემდეგ კვლავ იმავე მოქმედებას ან მდგომარეობას დაუბრუნდება: *სახლში ვარ, ხუთი წუთით გავალ და მალე მოვალ* (=ახლა სახლში ვარ, ეს მდგომარეობა შეწყდება ჩემი გარეთ გასვლით და ხუთი წუთის შემდეგ ისევ სახლში ვიქნები, ე. ი. ისევ იმავე მდგომარეობას დავიბრუნდები).

ხუთი წუთის განმავლობაში – ნიშნავს, რომ დასახელებული მოქმედება ან მოვლენა გაგრძელდება ხუთი წუთის განმავლობაში უწყვეტად: *ხუთი წუთის განმავლობაში გაუჩერებლად ლაპარაკობდა.*




8-9. ქონა-ყოლა: მაქვს/მყავს

ქართულში მხოლოდ ერთადერთი ზმნა განახვავებს სულიერ და უსულო საგნებს. მას *ქონა-ყოლის* ზმნებს უწოდებენ: *ქონა (მაქვს)* გამოიყენება უსულო სახელებთან, ხოლო *ყოლა (მყავს)* – სულიერ სახელებთან.

გარდა ამისა, ამ ზმნების უდლება მეტად თავისებურია. ამიტომ მოცემულ გაკვეთილში მოწოდებულია ამ ზმნის სხვადასხვა ფორმა და ფორმათა საილუსტრაციო წინადადებები. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ზმნის ფორმები სერიებად და მწკრივებად დაყოფას ეფუძნება, კომუნიკაციური გრამატიკის პრინციპია ზმნურ ფორმათა დროების მიხედვით მოწოდება. *ახლანდელი დრო* აღნიშნავს რომ მოქმედება ახლანდელ დროში ხდება, ანუ საუბრის მომენტში მიმდინარეობს. *მომავალი დრო* მომავალში შესასრულებელ მოქმედებას გამოხატავს. *წარსული დრო* ძირითადად ორი ფორმითაა მოწოდებული: *წარსული სრული*, ანუ როცა მოქმედება დასრულებულია წარსულ დროში და *წარსული შედეგობითი*, როცა აწმყოში ჩანს წარსულში მიმდინარე მოქმედების შედეგი. ეს უკანასკნელი ძირითადად *უარყოფის კონსტრუქციაში* გამოიყენება.

ზმნური ფორმები წარმოდგენილია საილუსტრაციო მაგალითებით, ნიმუშებით, რომლებშიც კარგად ჩანს ზმნური ფორმის შინაარსი და ფუნქცია. განსაკუთრებულ შემთხვევებში ზმნურ ფორმათა თავისებურება წარმოდგენილია ორი წინადადებით, რათა მათ შორის განსხვავება ნათლად ჩანდეს. (მაგ ჯერ არ მაქვს – არასოდეს არ მქონია, იხ. გაკვ. 10)




10. მაქვს და მყავს ზმნები

ქართულში **მაქვს** და **მყავს** ზმნები განსაკუთრებულ თავისებურებას ამჟღავნებენ: **მაქვს** გამოიყენება უსულო არსებით სახელებთან, ხოლო **მყავს** – სულიერ არსებით სახელებთან: **მაქვს წიგნი, მაგრამ: მყავს ძმა.** (იხ. გაკვეთილი 8-9)

გამონაკლისს წარმოადგენს რამდენიმე სახელი: **მანქანა, ველოსიპედი, თვითმფრინავი, მოტოციკლი, ველოსიპედი, გემი, კატერი, ნავი...** ისინი გადაადგილების საშუალებებია და ამდენად **გადაადგილების უნარის ანუ მოძრაობის თვისების** გამო ენაში სულიერ სახელებს გაუთანაბრდა და მათთან **მყავს** ზმნა გამოიყენება: **მანქანა გყავს? – არა, არ მყავს, მე მოტოციკლი მყავს.**

გარკვეულ კონსტრუქციაში ზოგჯერ ზმნის გარკვეული ფორმები გამოიყენება და სხვა ფორმის გამოყენება ან არასწორია, ან ცვლის შინაარსს, ამიტომ ასეთი კონსტრუქციები სასურველია დაიმახსოვროთ. მაგ.: **ჯერ არ მყავს** ნიშნავს, რომ აქამდე, ამ დრომდე არ მყავდა, მაგრამ მომავალში მეყოლება: ხოლო **არასოდეს არ მყოლია** ნიშნავს, რომ არც წარსულში და არც ახლა არ მყავს.




11. სასურველი მოქმედება

მინდა ზმნა ცალკე დამოუკიდებლად იუღლება, მაგრამ ეს ზმნა შეიძლება დამხმარე მნიშვნელობითაც შეგვსვდეს და ძირითად ზმნასთან ერთად გამოხატოს სასურველი მოქმედება: **მინდა დიდი სახლი მქონდეს.**


სასურველი მოქმედების გამოსახატავად ქართულში შეიძლება რამდენიმე კონსტრუქცია გამოვიყენოთ: **ძალიან მინდა მყავდეს მანქანა** ან **ძალიან მინდა რომ მყავდეს მანქანა.**

გაკვეთილის ბოლოს მოცემულია კონსტრუქცია, რომელიც გარდა სასურველი შინაარსისა, გამოხატავს **პირობითობას ანუ ერთგვარ პირობას: მე რომ ძაღლი მყავდეს, გავასეირნებდი.** ამგვარი კონსტრუქციები უფრო სრულად სხვა გაკვეთილში განიხილება.



12. ცოდნა: 3060

გაკვეთილში განხილულია **ცოდნა** ზმნის სხვადასხვა ფორმა. განსაკუთრებით ყურადღებაამისაქცევია ამ ზმნის კონსტრუქციები: **იცის** ფორმა შეიწყობს **სუბიექტს** ანუ მოქმედ პირს **მოთხრობით ბრუნვაში**, ხოლო **ობიექტს** – **სახელობით ბრუნვაში: დავითმა იცის ინგლისური.** აქვე მოცემულის სხვა ფორმების კონსტრუქციებიც, რაც სასურველია ენის შემსწავლელმა ზეპირად დაიმახსოვროს და სავარჯიშოებით განიმტკიცოს.



13. თქვა: ამბობს – თქვა – იტყვის – (არ) უთქვამს


ამბობს თავისებური ზმნაა: მას სხვადასხვა დროში შეენაცვლება სხვადასხვა ზმნა: წარსულ დროში – **თქვა** ფორმა, მომავალში – **იტყვის**, ხოლო წარსულ შედეგობითში – **უთქვამს**; ზმნები ორპირიანია, შეიცავს სუბიექტსა და ობიექტს:

**ამბობს ის მას
თქვა მან ის**

იტყვის ის მას
უთქვამს მას ის.

გასათვალისწინებელია, რომ ამ ზმნებთან შეწყობილი სახელების ბრუნვის ფორმები სხვადასხვაა:

- დავითი / ელენე სიმართლეს ამბობს.
- დავითი / ელენე სიმართლეს იტყვის.
- დავითმა / ელენემ სიმართლე თქვა.
- ნეტავ დავითმა / ელენემ სიმართლე თქვას.
- დავითს / ელენეს სიმართლე არ უთქვამს.




14. სურვილი, შესაძლებლობა და აკრძალვა: არ – ვერ – ნუ

ქართულში სურვილი, შესაძლებლობა და აკრძალვა სხვადასხვა ნაწლაკებით გადმოიცემა: **არ** – კატეგორიულ უარყოფას აღნიშნავს, რაც სურვილსაც მოიცავს: არ გავაკეთებ ნიშნავს, რომ არ მინდა და არ გავაკეთებ; **ვერ** – აღნიშნავს, მინდა, მაგრამ არ შემიძლია და ვერ გავაკეთებ; **ნუ** აკრძალვას და ძირითადად გამოიყენება მეორე და მესამე პირის მიმართ; პირველ პირში მხოლოდ მრავლობით რიცხვში შეიძლება: **ნუ აკეთებ! ნუ აკეთებ!** **ნუ ვაკეთებ!**

აქვე მოცემულია **ვწერ** ზმნა; მაგრამ რამდენადაც სხვა გაკვეთილებში სრული პარადიგმა არ იქნება წარმოდგენილი, აქ გაანალიზებულია პირის ნიშანთა სქემა; სხვა ზმნებთან მითითებული იქნება რომელი პირის ნიშანი აქვს მესამე პირში.

ვწერ ზმნასთან დაკავშირებით ყურადღებასამისაქცევია იმ სახელთა ბრუნვის ფორმები, რომელიც მას უკავშირდება; წარსულ დროში და სასურველი მოქმედების გამოსატვისას წერს ზმნა სუბიექტს შეიწყობს მოთხრობით ბრუნვაში, ხოლო ობიექტს – სახელობით ბრუნვაში, ხოლო წარსული შედეგობითის გამოსატვისას სუბიექტი მიცემით ბრუნვაშია, ხილო ობიექტი – სახელობითში. (მეორე გვერდზე მოცემულია კონსტრუქციების სქემა). ზმნის ეს თავისებურება ენის შემსწავლელმა ფორმათა კონტექსტებში გამოყენებით უნდა დაიმახსოვროს.




15. თავაზიანი ფორმები

თავაზიანი ფორმები ქართულში ძირითადად მრავლობითის ფორმით გამოიხატება. (იხ. გაკვ. 1). რამდენიმე ზმნას თავაზიანობის გამოსახატავად სხვა ფორმა აქვს, თუმცა იმავე ზმნის მრავლობითის ფორმითაც შეიძლება გამოიხატოს თავაზიანობა. მაგ. **ხარ – ხართ – ბრძანდებით: ხართ** ფორმაც გამოსატავს თავაზიანობას, მაგრამ **ბრძანდებით** უგრო მეტად ოფიციალური და მეტი პატივისცემის გამომხატველია.

გაკვეთილში მოცემულია ის ფორმები, რომლებსაც თავაზიანობის გამოსახატავად სხვა ზმნა ენაცვლება. ეს ფორმები მოწოდებულია ზმნების მიხედვით.

გაითვალისწინეთ, რომ ზოგიერთ ფორმას ახლავს აკრძალვა: I პირის ფორმებთან თავაზიანობის გამომხატველი ზმნები ჩვეულებრივ არ გამოიყენება, რადგან საკუთარი თავის თავაზიანი ფორმით მოხსენება ერთგვარ უხერხულობას ბადებს.

თავაზიან ფორმებს შესაძლოა ზოგჯერ ირონიული ელფერი ახლდეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა თავაზიანი ფორმით მივმართავთ ისეთ პირს, რომელიც თავაზიან მიმართვას არ იმსახურებს. ამგვარ შემთხვევაში თავაზიანი ფორმა ირონიულ გაგებას გულისხმობს.




16. თავაზიანი ფორმები. მიმართვა

ქართულში თავაზიანი მიმართვის ფორმაა *ბატონი* და *ქალბატონი*. სახელთან ერთად ეს ფორმები თავისებურად იბრუნება.

გაკვეთილში მოცემულია ჩვეულებრივი მიმართვის ფორმებიც, რომელიც სახელის ფუძის ფორმითაა წარმოდგენილი.


მიმართვა ყოველთვის მძიმით გამოიყოფა წინადადების დანარჩენი სიტყვებისაგან.



17. თქმა: ეუბნება – ეტყვის – უთხრა – არ უთქვამს

ჩვენ უკვე განვიხილეთ ზმნა **თქმა: ამბობს – თქვა – იტყვის – (არ) უთქვამს** (იხ. გაკვ. 13). ამბობს ზმნაში არ იგულისხმება მიმართვის ობიექტი, ხოლო *ეუბნება* ზმნაში მიმართვის ობიექტი ჩანს; *ამბობს* ზმნა ორპირიანია (იგულისხმება ორი პირი: ამბობს ის მას), ხოლო *ეუბნება* ზმნა სამპირიანია (ეუბნება ის მას მას).

გაკვეთილში მოცემული პირის ნიშანთა სქემა საშუალებას მისცემს ენის შემსწავლელს თავად აღადგინოს ამ ზმნათა უღლების სრული პარადიგმა (ფრჩხილებში მოცემულია ამ ზმნათა მესამე პირის ორივე რიცხვის ფორმები). მეორე პირის ფორმათა აღდგენა ენის შემსწავლელს არ უნდა გაუჭირდეს – პირველი პირის ფორმას უნდა ჩამოაშოროს პირის ნიშანი.




18. მთქმელის პოზიცია: სუბიექტი და ობიექტი

გაკვეთილში ერთი ზმნის მაგალითზე მოცემულია ქართული ენისათვის დამახასიათებელი მეტად სპეციფიკური ფორმები: როგორ აღიქმება მოქმედება – სუბიექტის პოზიციიდან თუ ობიექტის პოზიციიდან. მაგ.: *მე* შეიძლება ვიყო სუბიექტი (*ვეუბნები მე* მას მას) და შეიძლება ვიყო ობიექტი (*მეუბნება ის მე* მას), ანუ მნიშვნელობა აქვს იმას, საიდან აღიქმება მოქმედება: სუბიექტის პოზიციიდან თუ ობიექტის პოზიციიდან. შესაბამისად ზმნაში ჩნდება სათანადო ნიშნები – ვ (სუბიექტის ნიშანი) ან მ (ობიექტის ნიშანი). ეს თავისებურება ქართულში მეტად მნიშვნელოვანია და ამავე დროს კომუნიკაციისას, საუბარში ეს ფორმები ხშირად გამოიყენება. ამ გრამატიკული თავისებურების არსი კარგად უნდა გააცნობიეროს ენის შემსწავლელმა, რადგან ინდოევროპულ ენებს ამგვარი რამ არ ახასიათებს.


გარდა ამისა, გასათვალისწინებელია სუბიექტ-ობიექტის ბრუნვები:

ეუბნება დავითი მასწავლებელს სიმართლეს
ეტყვის დავითი მასწავლებელს სიმართლეს
უთხრა დავითმა მასწავლებელს სიმართლე
უნდა უთხრას დავითმა მასწავლებელს სიმართლე
არ უთქვამს დავითს მასწავლებლისთვის სიმართლე












19. ნათქვამის განმეორება (პირდაპირი და ირიბი ნათქვამი)



ხშირად ადამიანებს უხდებათ თავისი ან სხვისი ნათქვამის განმეორება. ამისათვის ქართულში არსებობს ნაწილაკები. მათ თავ-თავიანთი ფუნქცია აქვთ: *მეთქი* გამოიყენება მაშინ, როცა პირველი პირი იმეორებს თავისივე ნათქვამს; *თქო* – როცა მეორე პირი გადასცემს მესამე პირის ნათქვამს, ხოლო *ო* გამოიყენება I პირის მრავლობით რიცხვში და მესამე პირის ნათქვამის განმეორებისას.



20. სვლა და მიმართულება

გაკვეთილში განხილულია მო-, მი- და წა- ზმნისწინის ფუნქციები. სასურველია, ამასთან ერთად ენის შემსწავლელს მიეწოდოს სხვა ზმნისწინები და განვიხილოთ იგი ერთი ზმნის მაგალითზე.






21. შარჟოფა: არაჰონ – ვერაჰონ – ნურაჰონ

გაიხსენეთ გაკვეთილი 14 (სურვილი, შესაძლებლობა და აკრძალვა: არ – ვერ – ნუ). ამჯერად კი განხილულია ამავე პრინციპით ნაწარმოები ნაცვალსახელები. განსხვავებულია ამ ნაცვალსახელთა მნიშვნელობა და გამოყენების შემთხვევები: სქემა ვერტიკალურად გვიჩვენებს *ადამიანის, საგნის, ადგილის და დროის* მნიშვნელობით გამოსაყენებელ ფორმებს, ხოლო ჰორიზონტალურად – წარმოებას, რაც *არ, ვერ, ნუ* ნაწილაკების მნიშვნელობის პრინციპზეა მოწოდებული.


ადამიანისა და საგნის გამომხატველი ნაცვალსახელები იცვლება ბრუნვის ფორმების მიხედვითაც, ხოლო ადგილისა და დროის გამომხატველი ნაცვალსახელები უცვლელია. (გაკვეთილში მოცემულია მხოლოდ სახელობითისა დამიცემითის ფორმები; არაა განხილული ადამიანის გამომხატველი ნათესაობითი ბრუნვის ფორმა: არავისი; ასევე საგნის გამომხატველი ნაცვალსახრელის მოთხრობითის (არაფერმა), ნათესაობითის (არაფრის), მოქმედებითის (არაფრით), ვითარებითის (არაფრად). საჭიროების შემთხვევაში ენის შემსწავლელს შეიძლება ეს ფორმებიც მიეწოდოს ამ ეტაპზე, მაგრამ სისტემურად ისინი განიხილება სხვა დროს; ამ ბრუნვათა ფუნქციების გამოკვეთის პარალელურად და ბრუნვის ფორმების კომუნიკაციური ასპექტით მიწოდებისას.



22. უნდა – ვალდეშლება, მოვალეობა


უნდა ფორმა გამოხატავს ვალდეშლებას, მოვალეობას. *უნდა* ფორმას ემატება სასურველი მოქმედების გამომხატველი ფორმები. პირების მიხედვით ზმნის ცვლილებისას *უნდა* არ იცვლება: *უნდა ვითამაშო, უნდა ითამაშო, უნდა ითამაშოს, უნდა ვითამაშოთ, უნდა ითამაშოთ, უნდა ითამაშონ*.

გაკვეთილში მოცემულია უკვე შესაწავლილი ზმნები და ასევე ახალი ზმნები.



23. შეწყვეტილი და უწყვეტი მოქმედება წარსულში


აქამდე წარსულის ორი ფორმა იყო მოცემული: **წარსული (წყვეტილი) და წარსული შედეგობითი**. ამჯერად მოცემულია წარსული დროის ისეთი ფორმები, რომელიც გამოსატყვის წარსულში მომხდარ **შეუწყვეტელ** მოქმედებას, ანუ მოქმედებას, რომელიც იყო წარსულში, მაგრამ არ ჩანს რომ **შეწყდა, დასრულდა**. შემდგომში ამ ფორმათა სახელწოდება იქნება **წარსული უწყვეტელი**. ეს ფორმები იწარმოება **ახლანდელი დროის ფორმებზე** (ფუძეზე) და **ან ოდ** სუფიქსის დართვით: ვთამაშობ – ვთამაშობდი, ვმუშაობ – ვმუშაობდი, ვიცი – ვიცოდი. უწყვეტლის ფორმები ქართულში ხშირად გამოიყენება. მომდევნი გაკვეთილებში ყველგან მითითებულია, რომელი ზმნა როგორ აწარმოებს უწყვეტელი წარსულის ფორმას.



24. მრავალჯერ განმეორებული მოქმედება: ხოლმე


ქართულში ამ შინაარსს გამოსახატავს **ხოლმე** ნაწილაკი. იგი ხშირად ერთვის **წარსულ უწყვეტელ** ფორმას, მაგრამ შეიძლება დაერთოს სხვა ფორმებსაც და გამოსატყვის მრავალჯერ გამეორებული მოქმედება: ამ დროს სკოლაში **ვარ ხოლმე**.

აქვე მოცემულია ის სიტყვები, რომლებიც ხშირად გამოიყენება მრავალჯერ გამეორებული მოქმედების გამოსახატავად.



25. მომავლის ბეზმა: ალბათ, აუცილებლად, შეიძლება


მომავლის გეგმის გამოსახატავად გარდა ზმნის მომავალი დროის ფორმისა, გამოიყენება შემდეგი ფორმები: **ალბათ** – ვარაუდის გადმოსაცემად; როცა მოსაუბრე არაა დარწმუნებული ზმნით გამოსატყვლი მოქმედების შესრულებაში; **შეიძლება** – ეს ფორმაც ვარაუდს გამოსატყვის, მაგრამ ამასთანავე სურვილსაც; **აუცილებლად უნდა** – გამოსატყვის აუცილებლობას, გადაწყვეტილებას, ვაღდეულებას, მოვალეობას, დიდი სურვილს. გასათვალისწინებელია, რომ ისინი სხვადასხვა ზმნურ ფორმებს შეიწყობენ: **ალბათ** გამოიყენება მომავალი დროის ფორმებთან, ხოლო დანარჩენი ორი – სასურველი მოქმედების გამომხატველ ფორმებთან. კითხვაზე: რას აპირებ? პასუხი აიგება იმის მიხედვით, როგორ უყურებს მოსაუბრე მომავალში შესასრულებელ მოქმედებას. აქვე გასათვალისწინებელია, III პირის გამომხატველი სახელი რა ფორმაში უნდა ჩაისვას. გაკვეთილში სასურველი მოქმედების გამომხატველი მოცემული ზმნებიდან მხოლოდ **წავიდეს** შეიწყობს სუბიექტს სახელობით ბრუნვაში, დანარჩენი კი – მოთხრობით ბრუნვაში შეითანხმებს სახელს: **გიორგიმ შეიძლება გადაწყვიტოს სწავლის გაგრძელება**.



26. თავაზიანი ფორმები: მობოდიშება, თხოვნა, შუამთხვევა


გაკვეთილში მოცემულია **მობოდიშების** ოთხი ფორმა: მათ შორის მცირე ნიუანსობრივი განსხვავებაა: **უკაცრავად** – ოფიციალური ფორმაა და მეტ თავაზიანობას შეიცავს. **მაპატიე** ფორმას აქვს როგორც თავაზიანი, ისე ჩვეულებრივი ფორმა: **მაპატიე, ნანა!** – **მაპატიეთ, ბატონი გურამ!** **ბოდიში** ფორმა გამოიყენება ახლო ურთიერთობისას, თანატოლებს შორის. დიდი ბოდიში შედარებით უფრო მეტ ემოციას შეიცავს.

თხოვნა და თავაზიანი შეკითხვა **შეიძლება** ფორმით გადმოიცემა. ამ ფორმის განაწილება მოცემულია სქემაში.




32. თხოვნა: ბიზნოსი

ეს ფორმა ხშირად გამოიყენება ოფიციალურ ურთიერთობებში და განცხადებებში. სასურველია, ენის შემსწავლელმა თავადაც შეადგინოს რამდენიმე განცხადება, რადგან არსებობს განცხადების შაბლონი და იგი ძირითადად მსგავსი ფორმებით იწერება.




33. მოქმედების სიხშირე

გაკვეთილში გაანალიზებულია რამდენიმე ფორმა, განსაკუთრებით ყურადღებამისაქცევია, რომელ ფორმასთან რომელი ზმნა შეიძლება გამოვიყენოთ; ეს პრაქტიკული მაგალითებით უნდა განმტკიცდეს.




34. ვარაუდის გამოხატვა

გაკვეთილში მოცემულია ორი ფრაზა: *მე მგონი და არა მგონია*. პირველი გამოხატავს ვარაუდს, მეორე სავარაუდო უარყოფას. განსაკუთრებით ყურადღებამისაქცევია, რომელ ფრაზასთან რომელი ზმნა უნდა გამოვიყენოთ; ეს პრაქტიკული მაგალითებით უნდა განმტკიცდეს.




35. ემოციების გამოხატვა: მიხარია, მწყინს, მეშინია

ამ ზმნებს მხოლოდ მოცემული ფორმები აქვს, მაგრამ პირის ფორმები თავად ენის შემსწავლელებმა უნდა აღადგინონ ფრაზებითა და სავარჯიშოებით.



36. შედარება: კარბი – უპეიუსი, ცუდი – უარუსი


გაკვეთილში მოცემულია ხარისხის ფორმების როგორც ორგანული წარმოების პრინციპი, ისე აღწერითი წარმოება. აქვე წარმოდგენილია ზმნა: *ვირჩევ, ვადარებ და ვათვალთვლებ*. ეს ზმნები კომუნიკაციური სიტუაციების ასაგებად მეტად საჭიროა.



37. უნახავი მოქმედება: თურმე

თუ წარსული შედეგობითის ფორმას დაერთვება *თურმე* ნაწილაკი, იგი გამოხატავს უნახავ მოქმედებას, ამ მოქმედების შედეგი რეალობაა, რაც სხვისაგანაა გაგონილი, ან მოქმედების შედეგის მიხედვით გაკეთებული დასკვნაა. ე. ი. წარსულ შედეგობითს ორი ფუნქცია აქვს: იგი გამოიყენება უარყოფით კონსტრუქციაში – *არ უთქვამს* და გადმოსცემს უნახავ მოქმედებას: *თურმე უთქვამს*.


შეიძლება შენიშვნის სახის აღვნიშნოთ, რომ I პირის ფორმაში უფრო შედეგი ჩანს: *არ მითქვამს*; ხოლო მეორე და მესამე პირის ფორმაში უნახავი მოქმედება: *თურმე გითქვამს, თურმე უთქვამს*.



38-39-40. მოტანა. წაღება. წაყვანა.

გაკვეთილებში განხილულია კონკრეტულ ზმნათა ფორმები. ეს ზმნები გამონაკლისია ქართულში, რადგან განასხვავებენ სულიერსა და უსულო ობიექტებს.


გასათვალისწინებელია სუბიექტ-ობიექტის ბრუნვები: *დავითმა* მოიტანა პური, წაიღო ჩანთა, წაიყვანა ძმა.



41. მოქმედებაში სხვა პირის ჩართვა: ბავაკეთე – ბავაკეთებინე


ქართული განარჩევს მოქმედების ორგვარ სახეს: სუბიექტი თავად ასრულებს მოქმედებას თუ სხვაც (ობიექტიც) ერთვება მოქმედებაში. ეს ჩართვა შეიძლება იყოს სხვადასხვა თვალსაზრისით: დახმარება ან იძულება. სქემაში მოცემულია ორივე ფორმა. სქემისა და კონკრეტული მაგალითების დახმარებით ენის შემსწავლელმა თავად უნდა გააანალიზოს ეს ფორმა, რადგან ამგვარი კატეგორია არაა ინდოევროპულ ენებში.

მოქმედებაში სხვა პირის ჩართვის გამოსატყობა ხდება სპეციალური მაწარმოებლით: *ინ*.



42. თვითონ, თავად


ეს ორი ფორმა თანაბრად გამოიყენება სამივე პირთან; გამოსატყობს იმის ხაზგასმას, რომ სუბიექტმა მოქმედება სხვის დაუხმარებლად შეასრულა. მათ შორის სხვაობა თითქმის არაა, *თავად* ოდნავ უფრო ფორმალურია.



43-44. მიზანი. მიზანი


ეს კონსტრუქციები ჩვეულებრივ კომუნიკაციისას ხშირად გამოსაყენებელია. სქემების მეშვეობით მოწოდებულია ამ კონსტრუქციების გადმოსაცემი ენობრივი ფორმები.

ამ ფორმების გამოყენება შეიძლება განცხადებებშიც.




45. ნახვა

გაკვეთილი კონკრეტული ზმნის ანალიზს ეხება. სქემაში მოცემულია მესამე პირის ფორმების წარმოებაც.




46. მოქმედლის პოზიცია: ვეხმარები – მეხმარება

ზმნის ანალიზი მოცემულია მოქმედლის პოზიციიდან. გასათვალისწინებელია კონსტრუქცია: *ვეხმარები / მეხმარება სახლის აშენებაში*.




47. აქტიური და პასიური მოქმედება

ეს კატეგორია ინდოევროპულ ენებშიც არსებობს. მისი მთავარი ნიშანია: მოქმედებას ასრულებს სუბიექტი თუ მოქმედება სრულდება ისე, რომ არ ჩანს, ვინ ასრულებს ამ მოქმედებას. ქართულში ეს კატეგორიაა გვარი. სახელმძღვანელოში ეს კატეგორია წარმოდგენილია სხვა ტერმინებით: მოქმედებითი გვარი – *აქტიურ მოქმედება* (სწავლობს), ვნებით გვარი – *პასიური მოქმედება* (ისწავლება). პასიური მოქმედების ფორმები შეიძლება გამოიხატოს ამგვარადაც: *აშენებს კომპანია სახლს – სახლი შენდება კომპანიის მიერ*.




48. რიცხვში ცვალბადი ზმნები: ზის – სხედან

გაკვეთილში გაანალიზებულია ამ თავისებური ზმნის ფორმები.




49. იმედის გამოსატვა – იმედია, იმედი მაქვს, ვიმედოვნებ

ამ ფრაზებთან გამოიყენება მომავალი ზმნის დროის ფორმები.



50. პირობითი წინადადება: რომ მცოდნოდა ... ბავაკეთებდი...

წიგნის 50-ე გაკვეთილში მოცემულია არარეალური და საურველი მოქმედების გამომხატველი კონსტრუქციის ანალიზი. ესაა ისეთი კონსტრუქცია, რომელიც გამოსატავს მოქმედებას, რომელიც ახლანდელ დროში უკვე არარეალურია, რადგან სასურველი მოქმედება წარსულში არ მოხდა: *ფული რომ მქონოდა, დიდ სახლს ვიყიდდი.* ე. ი. წარსულში ფული არ მქონდა, ამიტომ სახლი ვერ ვიყიდე, თუმცა ძალიან მინდოდა, ძალიან სასურველი იყო. (იხ. აგრეთვე გაკვეთილი 11)



მოცემულია ზმნების ახლანდელი დროის I პირის ფორმა (ფრჩხილებში მითითებულია იმ გაკვეთილის ნომერი, რომელშიც განხილულია ამ ზმნის ფორმები)

ვარ (1, 4)	წაველი (20)
ვწავლობ (1, 14)	წავიდე (20)
ვმუშაობ (1)	წავსულვარ (20)
ვცხოვრობ (1)	ვისწავლო (22)
დავიბადე (1)	ვიცხოვრო (22)
მაქვს (8, 10)	ვივარჯიშო (22)
მყავს (9, 10)	ვითამაშო (22)
ვიცი (12)	ვიცეკვო (22)
ვამბობ (13)	ვიმღერო (22)
ვთქვი (13)	ვილაპარაკო (22)
ვიტყვი (13)	ვიმეგობრო (22)
ვთქვა (13)	ვიჩქარო (22)
მითქვამს (15)	ვიმკურნალო (22)
ვწერ (14)	ვსწავლობდი – ვისწავლე (23)
გახლავართ (15)	ვმკურნალობდი – ვიმკურნალო (23)
ბრძანდებით (15)	ვოცნებობდი – ვიოცნებე (23)
ბრძანება (15)	ვცეკვავდი – ვიცეკვე (23)
ბრძანეთ (15)	ვთამაშობდი – ვითამაშე (23)
გეტყვი, მოგახსენებთ (15)	მეგობრობდი (23)
მოგეცი, მოგართვით (15)	ვჩქარობდი (23)
მოგცემ, მოგართმევთ (15)	ვმკურნალობდი (23)
ჭამე, მიირთვით (15)	ვცხოვრობდი (23)
ვჭამე, გეახელით (15)	ვსწავლობდი (23)
მოდი, მობრძანდით (15)	ვმღეროდი (23)
მოვალ, გეახლებით (15)	ვრჩებოდი (23)
დაჯექი, დასხედით, დაბრძანდით (15)	წუხდა (23)
მუშაობს, მოღვაწეობს (15)	ვმკურნალობდი (23)
გინდა, გნებავს (15)	მინდოდა (23)
გინდა, ინებებთ (15)	ვაკეთებდით (24)
მომეცი, მიბოძეთ (15)	უფიქრობდით (24)
აიდე, ინებეთ (15)	ვისხენებდი (24)
ვეუბნები (17)	აკითხულობდი (24)
ვეტყვი (17)	უსეირნობდი (24)
ვუთხარი (17)	ვისვენებდი (24)
ვუთხრა (17)	ვერთობოდი (24)
მითქვამს (17)	ვაგროვებდი (24)
მეუბნება (18)	ვკრეფდი (24)
მეტყვის (18)	ვანთებდით (24)
მითხრა (18)	ჩამოდიოდა (24)
მითხრას (18)	ვმხიარულობდი (24)
მი/მოვდივარ (20)	ვიცინოდით (24)
მი/მოვალ (20)	ვისწავლი (25)
მი/მოვედი (20)	ვიცხოვრებ (25)
მი/მოვიდე (20)	ვიმუშავებ (25)
